

ଜାରତଳୀଳ
ଫେଲ୍‌ଗୁର୍ଜୁଙ୍କ



୩



Ժամանակակից Առաջնային գրքեր



ଫାନ୍ଦିଲୀର ଚକ୍ରକ୍ରିପ୍ତା



ପଞ୍ଚମୀ III



ქართლის ცხოვტება

ყდის დიზაინი: ნათია კვარაცხელია
დაკაბადონება: თინათინ ბერბერაშვილი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
პირველი გამოცემა, 2012

შპს „ბაკურ სულავაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ: 291 09 54, ელფონსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-601-4

„History of Georgia“
Bakur Sulakauri Publishing, First Edition, 2012
Bakur Sulakauri Publishing Ltd
D. Agmashenebeli ave. 150,
0112 Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

ქეტი ეჭნაცვალი



ახალი ქართლის ცხოვრება



საჩნევი



პირველი ტექსტი.....	9
მეორე ტექსტი.....	157
მესამე ტექსტი.....	203

ବୋଲିଗ୍ରେଣ୍ଡ ଫେଲ୍ସ୍‌ଫ୍ରୋ





უამამდე, ღმრთივ გვრგვნოსნსა მეფისა გიორგისამდე ძისა თავდადებულისა მეფისა დიმიტრისამდე, ენერათ ცხოვრებანი ქართველთანი. ხოლო ძისა მეფისა გიორგისა, მეფისა ბაგრატისა, არლარა წერებულ იყო, ვიდრე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდე. ხოლო ამის ბაგრატისა და ძისა მისისა კოსტანტინესი დაეწერათ და ვპოვეთ ძუელთა წიგნთა შინა და ქუემორე რიგსა მისსა ზედა დაგვნერია. და ესე ამბავნი მის-ზემოთნი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან გამოვიდეთ და აღვნერეთ, ხოლო მეფისა ალექსანდრესა და ძისა მისისა მეფისა კოსტანტინესი და ქემდგომი ძუელთა კაცთა და სპარსთა ცხოვრებისა, და ქორანიკონთა და გუჯართაგან აღგვნერია ვიდრე მეფისა როსტომისად-მდე. ხოლო მეფისა როსტომის-აქათი თვთ თუალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვნერია. და, რაოდენი საეჭუელი იყო, უქმარ ვყავით, ხოლო მართალი აღგვნერია ცხოვ-რებისა ბაგრატ მეფისითგან.

ცხოვტება მეფე ბაჟრიაც ბაჟრიაცოვანისა, ვ-ტ

უამსა მას ოდეს განაგებდა ღმრთივ-გვრგვნოსანი მეფეთ-მეფე ბაგრატ, ეპურა ყოველი საქართველო საბრძანებელსა თვისსა ქუეშე. მას. უამსა იჯდა კათალიკოზი ელიოზ, კაცი საფერი საქმისა.

და უამსა მას გამოჩნდა კაცი ერთი თურქეთის ქუეყანასა, სახელით თემურ, ხოლო ენოდაცა ლანგი, და იყო ესე მკელობელი, და სპარსთა ენათაგან „ლანგ“ მკელობელსა ენოდების, ამად ენოდა ლანგ-თემურ. და ესე ლანგ-თემურ იყო გუარად ჩინყიზი; და ამისთვის ენოდა ჩინყიზი, რომე თურქეთისა ქუეყანისა მკვდროანთა იყოფებოდა ქალი ერთი, და იყო ქალი ესე მრავლისა ერისა და ულუსისა უფროსი, და იქმნა მის ზედა საქმე ესევითარი: დაორსულდა დედაკაცი იგი, და არა ესუა ქმარი. და შეუძნდა საქმე ესე ერსა და ულუსისა მისსა და შეერბეს სრასა მის დედაკაცისასა და მიუვლინეს მოციქული და ესრეთ ეტყოდეს: „ვინათვან მთავარ და უფალ ქენილ ხარ ჩუენ ზედა, რასათვის შეამთხვე თავსა შენსა საქმე ესე საკიცხელი“. ხოლო იგი უარპყოფდა და ესრეთ ეტყოდა: „უკეთუ ირნმუნებთ სიტყუათა ჩემთა, უწყოდეთ, რამეთუ ჩემ თანა მამაკაცი არა ყოფილა და არცა მივდგომილვარ წორციელთა კაცთაგან, და, უკეთუ არა რნმუნო ხართ, დაადგინეთ ჩემ თანა მსტოვარნი კაცნი სარნმუნონი თქუენნი და მე ცხადად უჩვენო, ვინ მოვალს ჩემ თანა“. და დაადგინეს ერმან და ულუსმან მისმან მცველნი და იხილეს მსგავსი ნათლისა და წელოვანება ელიარისა რომელი მივიდა ღამე დედაკაცისა მის თანა და მსგავსმან განისუენა მსგავსისა თანა. ვითარცა სცნეს საქმე ესე, ირნმუნეს ერმან და ულუსმან მისმან, ღამე ყოველ მოვიდოდეს დედაკაცისა მის თანა და იყოფებოდა, და იტყოდეს: საქმე ესე ჭეშმარიტ არს. და რაჟაშს მიუდგა დედაკაცი იგი და იშვა მისგან ყრმა წული, ალიზარდა და უწყოდეს ყრმასა მას ძედ ნათლისად და გააწელმნიფეს და ყვეს პატრონად თვსად. და მიერითგან უწყოდეს ჩინყიზი და სნამს მათ ვიდრე აქამომდე დიდ გუარად. მიერითგან მეფობენ ძენი მისნი.

და ესეც ლანგ-თემურ თესლისაგან მათისა იყო და პატრონობდა ულუსისა რომელსამე ზედა. და პოვა უამი რამე ნებისა თვსისა და მოკლა მეფე თურქთა და მოსრნა ყოველნივე ძენი მისნი და თკთ დაპყრა სრულიად თურქეთი და პატრონობდა ყოველთავე ზედა.



ბეჭი გუნდაცმებილი

და ამიერითგან გაძლიერდა ლანგ-თემურ და პოვა ჟამი წარმართებული საქმისა თვესისა და დაიპყრა რომელიმე ქუეყანა და წარემართებოდა საქმე მისი კეთილად, ვითარცა არს ჩუეულება სანუთოსა ამის სოფლისა, და იყო რჯულითა სუნი.

წარმოემართა და მოინია სომხითად. და მოაოზრა სომხითი და ტყუე-ყო, და ჭირი დიდი მონია მათ ზედაო, რამეთუ თვესად მიმძღვრნა იგინი და ყო საპრძანებელსა ქუეშე თვესსა.

და წარვიდეს მუნითგან და მინივნეს კარსა, და იპყრნა და მოსრნა ყოველნივე, რამეთუ ვერვის ძალ-ედვა წინააღდგომა მისი სიმრავლისაგან სპათასა. და დაიბანაკა და დაიზამთრა მუნვე. და იყო ზამთარი ფიცხელი.

ამას ჟამსა შინა მიერთო ათაბაგიცა და პატივ-სცა დიდად ათაბაგსა.

და შემდგომად ზამთრისა წარმოემართა ქართლსა ზედა, რამეთუ ესე იყო წადილი მისი. გარდამოვლო აბოცი და მოაოზრა და იავარ-ყო ყოველივე, ქრისტეს აქათ ჩ-ტუგ. ჩამოვლო თრიალეთი და ვერა აღუდგეს წინა. რომელცა ან საბარათიანოდ უწოდენ მუნებურნი, და იგინიცა მოსრნა და მკუდრნი მის ადილისანი და შემუსრნა სიმაგრენი და ციხენი მის ადგილისანი.

და ვითარცა ესმა მეფესა ბაგრატს, გამაგრდა ციხესა ტფილისისასა. და, რა ესმა საქმე ესე ლანგ-თემურს, უფროსად განძვნდა და დაუმძიმდა წინააღდგომა მეფისა ბაგრატისა. წარვიდა და მოადგა ციხესა ტფილისისასა, უბრძანა სპასპეტთა, სპასალართა და მებრძოლთა მისთა ყოველთავე ბრძოლა ძლიერი, და მრისხანებით მიეტევნეს ცახესა ტფილისსსა. და გამოვიდა მეფე ბაგრატ და სრულიად ქართველნი, მიეტევნეს ურთიერთას, და ბრძოლეს ქართველნი ფიცხად. და იქმნა იმიერ და ამიერ ბრძოლა ძლიერი და მოისრა ორგნითვე სიმრავლე კაცთა ფრიადი, და უფროისად მოსწყდეს. სპანი თემურისანი და ვერდარა აღილეს ციხე ტფილისისა. და შემდგომად ამისა მოიპოვა ლანგ-თემურ ღონე ესევითარი:

ქმნეს ჩელტები რკინისა, და იფარეს სპათა მისთა, და სიმრავლისა-გან ლაშქართასა მიეტევნეს ციხესა და მძლავრებით შემუსრეს და აღიღეს ციხე. და შეპყრა მეფე ბაგრატ და ყოველივე მყოფი ციხე-სა მას შინა, და თვთ დაიპყრა ციხე და ტყუუ-ყუ მეფე ბაგრატ. ხოლო დაპპატიუა ლანგ-თემურ რჯული მაჰმადისა, ხოლო მეფემან არა უსმინა და შევა პატიმრად.

მაშინ წარვიდა ლანგ-თემურ ყარაიაში ნადირობად: მოინადირეს, შეექცეს და დაჭოცეს მრავალი. და მიერითგან წარვიდეს ყარა-ბალა და მეფე ბაგრატცა თანა წარიყვანეს პატიმარი, და ვითარცა მიინივა ბარდას, დაყო მუნ უამი რაოდენიმე.

მაშინ ლანგ-თემურ ყო ვინმე სარდლადა ერთი მოყმეთა თვესთა-განი რჩეული, და მისცა მას ლაშქარი მრავალი, და წარგზავნა შიდა ქართლსა ზედა, რამეთუ თვთ ლანგ-თემურ არა მოსრულ იყო შიდა ქართლსა, და უბრძანა შემუსრვა ციხეთა და ქალაქთა, მოსრვა პირ-ითა მახვლისათა ყოველთავე მუნ მკედრთა, მამაკაცისა და დედაკა-ცისა. და უამსა მას იყო ქორანიკონი ქრისტეს აქათ ჩ-ტუგ.

და მოინივნეს ლაშქარნი მისნი და იავარ-ყვეს და მოაოწრეს ყო-ველივე საქართველო, შემუსრეს და დაარღვეს ნმიდა კათოლიკე ეკლესია მცხეთისა, და მიინივნეს მუნით ქუაბთა-წევს, და შეპყრეს მუნ მყოფი კაცნი, მამანი და დედანი, მღდელნი და დიაკონი და მონაზონნი, და შეამწყუდის ტაძარსა ნმიდისა ქუაბთა-წევისა ღ(მრ)თის-მშობელისასა. და შეუგზნეს ცეცხლი შინაგან ეკლესიისა და დაწვეს რომელიცა იყოფებოდეს ეკლესიასა მას შინა და ვიდრე დღეინდელად დღედმდე იხილვების შინაგანიატაკესა ზედან ნმიდისა ეკლესიისასა და დამწვარნი სახენი მათნი დღესაცვე ზედან სხენან.

და აღიყარნეს მუნითგან და წარვიდენ ზედა და, სადაცა ვინ იხ-ილეს კაცნი და შენობა, მოსრეს და აღაოწრეს ყოველივე. და მიი-ნივნეს რუის[ს]ა და მოიცვეს იგიცა, და იავარ-ყვეს და ეკლესია ნმიდისა ღ(მრ)თაბებისა ძირითურთ აღმოფხურეს, და მოაოწრეს. ყოველივე ქუეყანა.

ბეჭი ეჭნაციშვილი

და წარმოვიდეს მუნითგან, და ჩამოვლეს კახეთი და ივიცა აღაოწერეს და დაწვეს და წარვიდეს.

და იყო მუნ უამ რაოდენმე, ხოლო წარვიდა მუნითგან და მივიდა შაქის. და მიერთნეს ყოველნივე მკვდრნი მის ადგილისანი, დიდებულნი და მცირენი, კავკასიანი და ლექნი, შირვანელნი და გილან-მაზანდარელნი.

და თანა ჰყვა მეფე ბაგრატი, ტყუკე პყრობილი. და კუალად ლონე-ჰყოფდა ლანგ-თემურ მიქცევად მეფისა ბაგრატისა რჯულსა ზედა მაჰმადისასა ლიქნითა და მრავალთა ნიჭთა ქადებითა. მაშინ გულისხმა-ჰყო წინააღმრჩევით მეფემან ბაგრატი, და მოიქელოვნა განზრახვა ესევითარი, და მიჰყვა ნებასა მათსა არა გულითა ჭემმარიტითა, არამედ საქმისა ამისთვის, რომელი წინამდებარემან სიტყუამან გაუწყოს, და მორჩილ -ექმნა ლანგ-თემურს და მიიქცა რჯულსა ზედა მაჰმადისასა. მაშინ ლანგ-თემურ განიხარა სიხარულითა დიდითა, და შეიტყობო მეფე ბაგრატი და პატივ-სცა დიდად, და ძუძუნა საპოძვარი და შესამოსელი საქელმწიფო, საგებელ-სახურავი, მსგავსი სიდიდისა მათისა, დიდად ითვა და მრავალსა კეთილს-უყოფდა. მაშინ მრავალთა ქართველთა დაუტევეს რჯული თვისი და მივიდეს რჯულსა ზედა მაჰმადისასა. ხოლო მაშინ დიდად მწუხარე იყო მეფე ბაგრატი და იტყოდა გულსა შინა თვისსა: „არა ვსცე ძილი თუალთა, არცა განსუენება წორცოთა ჩემთა, ვიდრემდის არა ვიძიო მათ ზედა შური“, და საქმე ღმერთსა მიანდო. და უმეტე-სადღა ზრუნვიდა დატევებისა რჯულისა თვისისათვს და მიდრევისა ქართველთათვს. მაშინ მოიპოვა ღონე ესევითარი: ვინათგან დიდად სარწმუნო უჩნდა ლანგ-თემურს და მორჩილობდა სიტყუასა მეფის ბაგრატისასა, და ჰრქეუა ლანგ-თემურს: „ვინათგან ვსცან კეთილად სიმტკიცე რჯულისა შენისა, ან მეცა მოქენე ვარ, რათამცა სრული-ად მორჩილ ვყვნე რჯულისა თქუენისა მკვდრნი საქართველოსანი სრულიად. უკეთე გნებავს მოქცევა მათი სჯულსა თქუენსა ზედა, ან მომეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი, და წარვალ თემთა და



სამეფოთა ჩემთა, და მოვხადო კაცთა მყოფთა მთის ადგილისათა: მთიულთა, ოვსთა, დუალთა, სუანთა, აფხაზთა და ყოველთავე მუნ მყოფთა, და მე დავარწმუნებ სჯულსა თქუენსა”.

და ვითარცა ესმა ლანგ-თემურს განზრახვა ესე მეფისა ბაგრატისა, განიხარა სიხარულითა დიდითა, და მოსცა საბოძვარი ურიცხვ, და სპანი, ვითარ თორმეტი ათასი, და სარდალი უჩინა, და ნარმოააჩინა მეფე ბაგრატ საქართველოსა ზედა.

ვითარცა მოინივნეს კერძოთა და არეთა საქართველოსათა, მაშინ გაგზავნა ჩინებული და სარწმუნო აზნაური რუს ეგნატაანთაგანი, და საიდუმლოდ მიუწერა მეფემან ბაგრატ ძესა თვესსა გიორგის ესრეთ, ვითარმედ: „მე მოვალ სპითა ლანგ-თემურისათა და თქუენცა შეიყარეთ სპანი საქართველოსანი და მზირად წინა შეგუეთხენით ერთსა სიმაგრესა და ვინროთა გზათა ზედა, და მეცა მოვალ თქუენ თანა, და უქმნათ წინაუკანა, და მოვსრათ პირითა მახვლისათა, და ვიძიოთ შური პირველი, რომელ ჰყვეს მათ ჩუენ ზედა”.

და ყო ეგრე, ვითარცა მიუწერა მამამან ძისმან, და შემოიყარნა სპანი საქართველოსანი რჩეულნი, და დაუმზირდა გიორგი ერთსა ვინროთა გზათა და სიმაგრეთა ზედა. რა მიინივნეს მეფე ბაგრატ და სპანი ლანგ-თემურისანი, მაშინ მიივლტოდა მეფე ბაგრატ ძისა თვესისა თანა. და განეწყუნეს წინა-უკმო, და მიეტევნეს ქართველი, ვითარცა ლომნი, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მოსრეს და ამოსნყვტეს სრულიად თათარნი. და მოკუდა კაცი თორმეტი ათასი თათართაგანი, და არარა ევნო სპათა საქართველოსათა. და იძიეს შური პირველი. და ნარვიდა თვსად მეფე ბაგრატ და ძე მისი გიორგი გამარჯუებული.

და ვითარცა მიინია ამბავი ესე ლანგ-თემურისა, დიდად შეუძნდა და მწუხარე იყო საქმისა ამისთვის, და დაიბანაკა მუნვე ზამთარსა მას. და ვითარცა მოინივა თუე მარტისა, შემოიკრიბა სიმრავლე ლანგ-თემურ და ნარმოემართა კუალად ქართლად, განძვნებული



ბეჭი ეფნაცაშვილი

ფრიად. და დაუტევა შაქისი და მოინივა ბარდავს, და მუნ დაუტევა ბარგი სამძიმარი, რომელი არა ეწმარებოდა. და დაარჩივა მეომარი სპა, და თუთ ნარმოემართა სიმრავლითა ურიცხვეთა სპათათა, და მოინია მდინარესა ზედა მტკუარსა. და მტკუარსა ზედა გასდვა წილი ნავებითა და განვლეს მას ზედა. მოვიდა შირვანშა, და შემო-ეყარა ჯარითა ლანგ-თემურს, და ნარმოემართა საქართველოსა ზედა.

მას უამსა იყო გაზაფხულის პირი და ციოდა დიდად და მოსწოდდა და სთოვდა.

და ვითარცა მოინია ლანგ-თემურ საქართველოსა შიგან, დახ-უდეს მეფე ბაგრატ და ქართველნიცა შეყრილნი. და მიეტევნეს ერთმანერთსა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოისრა იმიერ და ამი-ერ კაცი ურიცხვ და უფროსად თათარნი ორი ზომა მოისრა ომსა მას შინა. და სპათა სიმრავლისაგან თათართასა მძლე ექმნე; თათარნი, მიიქცეს. და ივლტოდეს ქართველნი სიმაგრეთა და ხიზანთა თვსთა თანა, და რომელიმე შეპყრეს, დაწოცეს და ამოსწყვტეს, და ყო-ველივე მოსრეს პირითა მახსულისათა. ხოლო ქართველნი ნინავე უწყოდეს მოსვლა ლანგ-თემურისა და ყოველივე შეღტოლვილ იყ-ვნეს მთასა კავკასიისას. და მოჰყვნენ თათარნი თანა, შემოვიდეს საქართველოში, მოითარეშეს, მოაოქრეს და დაწვეს წმიდანი ეკლე-სიანი და აღამარჯუ ქუეყნები, და ხიზანი ვერა დააწელეს.

და შემდგომად ამისა შეიქცა ლანგ-თემური თვსადვე. და ამისად შემდგომად ნარვიდა კუალად ყარაბაღსავე, დაყო მუნ ხანი რაოდენიმე.

და უამსა ამასვე მიიცვალა მეფე ბაგრატ და დაჯდა მის ნილად ძე მისი გიორგი მეფედ. და იყო კათალიკოზი ელიოზ. და მიიცვალა კათალიკოზი ელიოზ და დაჯდა მის ნილ კათალიკოზი გიორგი.



მეფე გიორგი, მ-თ

და დაიპყრა მეფემან გიორგი ყოველი საქართველო, და იმერნი და ამერნი.

და რა ესმა ლანგ-თემურს დაპყრობა საქართველოსი მეფისა გიორგისაგან, ინყინა დიდად ამისთვეს, რომე მეფემან ბაგრატ იძია მას ზედა შური, მომსრველმან სპათა მისთამან. ამისთვეს დიდად მტერ ექმნა, და ნარმოგზავნა სარდალი თვისი ყარალათი სპითა მრავლითა მოწინავედ, და თვთცა უკანა გამოუდგა და ნარმოე-მართნეს საქართველოსა ზედა სპითა ურიცხვთა. და გასცა საბ-ოძვარი მრავალი სპათა თვხთა ზედა, და დაიერთგულა. მოვიდა და დადგა ყარაბალს და აღისხო ყარაბალი სპითა. და მოინია საზღვარ-სა ქართლისასა, და მიუწერა მეფესა გიორგის წიგნი, და მიუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „მე ვარ მეფე შენი და მოვედ ჩემდა და შემომ-რიგდ, და მოგცემ საბოძვარსა მრავალსა და დიდად პატივ-გცემ; და უკეთუ არა მორჩილ მექმნები, უბრძანებ ლაშქართა ჩემთა და მოვაოწრებ სრულიად ქუეყანასა შენსა“.

და ვითარცა მიინია მოციქული მეფისა გიორგისა წინაშე, და ეს-რეთ უპასუხა მეფემან გიორგი მოციქულსა მას, ვითარმედ: „მე მე-ფისა შენისა უმცირესი არა ვარ, და არცა ძალ-უც მოწირება ქუეყ-ანისა ჩემისა და, ვინათგან უთქუამს, უკეთუ არა აღასრულოს საქმე ეგე, იყოსმცა დიაცი და არა კაცი“.

ნარვიდა მოციქული იგი ლანგ-თემურისა და მიართუა ამბავი ესე და მოაქსენა ქება დიდი მეფისა გიორგისა, სიმწე და სიკეთე მისი და სპისა მისისა. და რა ესმა, სიტყუა ესე ლანგ-თემურს, განძ-კნდა დიდად და აღიყარა და ნარმოვიდა ლაშქრითა ურიცხვთა.

და რა ესმა მეფესა გიორგის, მაშინ თანა ახლდენ იმერნი და ამერნი და მესხნი და ყოველივე საქართველო, – აღიყარა იგიცა და ნარმოვიდა; და ეწყუნენ ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. და იყო ქარი ძლიერი და აყრიდა მტუერსა პირსა ლაშქარსა ლანგ-


 ბეჭი ეჭნატაშვილი

თემურისასა, და განმწნდეს ძლიერად ქართველნი და მიეტევნეს, ვი-თარცა ცეცხლი თივასა, და მოსრნეს და ამოსწყვეტის სპანი მრავალნი ლანგ-თემურისანი ესრეთ, რომე ამისთანა მარცხი და ზიანი არაოდეს შემთხუევია სპათა ლანგ-თემურისათა. და შეაძრნუნეს დიდად ლანგ-თემურ და ლაშქარნი მისნი, არამედ სიმრავლისაგან ლაშქარ-თასა ვერდარა დაიძრნეს, და იდგნენ მუნცე შენუხდა ლანგ-თემურ და გამოიმეტა თავი, აღუძახა ლაშქართა თვსთა. მაშინ განმწნდენ სპანი ლანგ-თემურისანი, და განინირნეს თავნი, და არლარა ძალ-ედვათ ქართველთა, დიდის ომისა და სიმამურალისაგან განდრკეს ქართველნი და ივლტოდეს. და წარვიდეს მთათა და სიმაგრეთა.

ხოლო ლანგ-თემურ მიადგა ციხესა ტფილისისასა. და განამა-გრეს ციხე, რამეთუ იდგნენ რაოდენ[ნ]იმე ქართველნი შინაგან ციხესა. და მოადგნენ გარე, აღიღო ციხე და გალავნები ციხისა და გარემო სიმაგრენი ყოველ[ნ]ივე ქართლისანი, და შეაყენა შიგან სპანი თვსნი და თვსად იძყრა. შეაყენა შიგან კაცნი ხორასნელნი და თვთ აღიყარა, და წარვიდა და დადგა მუხრანს. და რაოდენნიცა ნახ-ეს სპათა მისთა ეკლესიანი, ანუ შენობანი, ყოველნივე მოაწერნეს.

მაშინ რომელნიმე ქართველთაგან[ნ]იცა მოუვიდეს. აღიყარა და მიადგა ადგილსა ჯანიბეგისასა, რომელი იყო მთავარი ქართლისა, ჩადგა და დაუწყო მოოწრება, და ვერდარა დაუდგა ჯანიბეგ და მოუვიდა იგიცა. და დადგა ხანსა რაოდენსამე ლანგ-თემურ, და მოაწერა სრულიად საქართველო, და ენება წელთ-გდება მეფისა გიორგისა და ვერ შეუძლო შეპყრობა მისი.

და რაჟამს მოუვიდა ჯანიბეგ, აღიყარა მუნითგან და წარვიდა; და მივიდა, სადა ჰქენდა ბარგი და სამძიმარი თვსი. მაშინცა არავე დასცხრა მოოწრებისაგან საქართველოსა, წარგზავნა ხოჯა შიხალი და წარატანა თანა სპანი მრავალნი. და ერთსა მწარესა, ჯანიბეგის მამულის კერძო, გაგზავნა ამირჯანმა და გაატანა სპა ურიცხვ და თითო-თითოს მწარესა გააყენნა სარდლები და სპანი ურიცხუნი და უბრძანა, რაოდენნიცა ნახონ ურჩნი და განდგომილნი თვსნი, ყოვე-



ლივე მოსრან და მოაოწონ ადგილიცა მისი. და უბრძანა ესრეთ: „რომელნიცა შეიპყრობთ მეფესა გიორგისა და მოიყვანს ჩემ თანა, მივანიჭებ წყალობასა და საბოძვარსა ურიცხუსა“.

და ნარვიდენ სპასალარნი და სპანი მისნი და მოაოწრეს ყოველი ქუეყანა და ვერ შეიპყრეს მეფე გიორგი. და რომელნიმე შეიპყრნეს ყმანი მეფის გიორგისანი და ჰკითხვიდენ, თუ სადა არს გიორგი მეფე. ხოლო მათ არარა იცოდენ, და ვერა გაიგეს რა მეფის გიორგისა, შემოიქცენ და მოვიდნენ ლანგ-თემურისა თანა და მოაწენეს ვერ-შეიპყრობა მეფისა. დაჭმუნდა ლანგ-თემურ დაჭმუნვებითა დიდითა და აღიყარნეს და ნარმოვიდეს მუნითვან და მოვიდეს ყარაბალად.

მაშინ იყო თ[ა]ირ სულტანი ქუეყანისა ჯალაისა, სჯულითა მაპ-მადიანი. ოდეს მოვიდა ლანგ-თემურ ქუეყანასა მისსა, აღუდგა წინა ესე თ[ა]ირ სულტანი და მრავალი ზიან უყო სპათა ლანგ-თემურისათა; და მერმე ვერლარა დაუდგა, ნარმოვიდა და მოვიდა მეფესა გიორგის თანა. ხოლო მეფემან გიორგი მიუპყრო პატივი დიდი და ჰკითხევდა და უსმენდა თქმულთა მისთა.

და რაჟამს იხილა მეფემან გიორგი მძლავრება ესევითარი ლანგ-თემურისა, განიგულა შერიგება და მორჩილება ლანგ-თემურისა. წარავლინა კაცი და მოუწოდა კაცსა მას, რომელი მოსრულ იყო რჯულითა მაპმადიანი, სახელით ისმაილ, ესე განაგო მოციქულად ლანგ-თემურისა თანა. ხოლო რაჟამს შეიგნა საქმე ესე სულტან[მან] თაირ, ფრიად დაუშალა მისვლა და შერიგება ლანგ-თემურისა თანა. ხოლომეფემან არა უსმინა და ნარგზავნა კაცი იგი და შეს-თუალა სიტყუა მორჩილობისა ესრეთ, ვითარმედ: „მოვალ შენდა და დაეგემონები და მორჩილ ვიქმნები შენი, ვყოთ მშვდლბა და მოგცემ ხარაჯასა“.

და რა მივიდა მოციქული ლანგ-თემურისა თანა და ესმა სიტყუანი ესე, ფრიად განიხარა და სათნო უჩნდა. გააბრუნა მოციქული იგი და შეუთუალა ესრეთ: „უკეთუ მოხვიდე წინაშე ჩემსა და შემომრიგდე, მეცა მიპატივებია დანაშავები შენი“.



ბერი უჭინაფრმეოლი

მაშინ განიზრახა თვესგან და თქუა ესრეთ, ვითარმედ: მატყუებს მეფე გიორგი და არა მოვალსო ჩემ თანაო. და მაშინ წარმოემართა ივანე ათაბაგსა ზედა ამისთვის, რომ მორჩილობდა მეფესა გიორგის მორჩილებითა დიდითა; და რაუამს ეწყო ლანგ-თემურს მეფე გიორგი, მაშინ ივანე ათაბაგი თან ახლდა, და ამისთვის დიდად მტერ იყო მისთვის. და წარემართა ზემო ქართლსა ზედა. ჩადგა და აღაოწრა ქუეყანა და ამოსწყვეტა მრავალი სული. დაარლვენა წმიდანი ეკლესიანი, ხატი და ჯუარნი და, რაოდენნიცა შეიძყრნა კაცნი ქრისტეანენი, დაპატიჟინა სჯული მაჰმადისა და, რომელიცა მორჩილექმნა, თანა წარიყვანა და, რომელიცა არა მორჩილ იქმნეს, მოსრნა პირითა მახვილისათა.

გარდმოვლო მუნით და ჩამოდგა მანგლისს და დადგა თუესა ორსა მუნ. და მოვიდნენ კაცნი სჯულითა მაჰმადიანნი, რომელი ესახლნეს საზღვართა ქართლისათა, რამეთუ, რაუამს მოიცლიდი-ან ქართველნი ლანგ-თემურისაგან, ჩაუდგიან თათართა, რომელი ესახლნეს საზღვარსა ქართლისასა მაჰმადიანნი, და მოაოწრებდი-ან. მათ შემოსჩივლეს: ქართველთაგან“ მრავალ[ნ]ი ჭირ[ნ]ი გამოგ-კვლიან, რომელნა არიან მახლობელად ჩუენსა ქართველნი, მათგან შეგუემთხვევა ჭირი დიდი და აოწრება და ან ამაზედ მოგუექმარე-ით“. და შეეწყალა ლანგ-თემურს და მოიყვანა სარდალი ერთი, რომელსა ეწოდა სახელად ამირ შიხ ნურადინ, და უბრძანა სპითა თვესითა წარსვლა. და რაუამს წარვიდა იგი, შემდგომად ორისა დღი-სა უბრძანა კუალად სხუასა სპასპეტისა წარსვლად და მიშუელებად მისა. და რა მივიდა იგიცა ადგილთა ქართველთასა, რომელი უკ-მობდეს თათართა, და თემთა მათა, და იბრძოდენ დღესა ხუთსა და სძლეს. სიმრავლისაგან ჯართასა სპათა ლანგ-თემურისათა. და აღილეს ადგილი და ციხენი და სიმაგრენი, და ტყუე ვერა მოიკე-ლეს, და სხუანი შენობანი მის ადგილისანი მოაოწრეს ყოველივე და დაწვეს და წარმოვიდეს ლანგ-თემურისა თანა.

და ამას უამსა შინა მოვიდა ელჩი ფრანგისა, რამეთუ შეეპყრათ

შვილი კეისრისა და მოართუეს იგიცა ლანგ-თემურს. ეტრფიალა და შეეწყალა შუენიერება და სიჭაბუჟე მისი და მისცა საბოძვარი და სამეუფო სამოსელი და განუტევა თესა სამეფოსა.

და შემდგომად ორისა თესა აღიყარა მანგლისითგან, და წარვიდა და მივიდა ჯევსა არაგვსასა, შევიდა მას შინა, დაამსხვრია და მოაწერა და აღიღო სიმაგრენი ყოველივე არაგვსა, და კაცი ვერა მოაწერა, დაწვა და წარმოვიდა. და დაიპყრა ქუეყანა სიასი და სხუანი ქუეყანანი მრავალნი. მაშინ არავე დააცხრო გულისწყრომა ქრისტიანეთა ზედა.

ხოლო მეფემან გიორგი კუალად დაიპყრა ქართლი. და რა ესმა კუალად ლანგ-თემურს, განიგულა წარმოვლინება ლაშერისა თვისისა. წარმოავლინა ძე თესი სულტან უსეინ, ფირ მაჰმად ამირ შიხი, აბუბექირ და თავადთა მისთაგანი ჯანშა და თემურ ხაჯა ალბულა, სეიდ ხაჯა, შიხ ალის შვილი, და სხუანი მრავალნი თავადნი და სპანი ურიცხუნი. და წარმოვიდნენ, მოვიდნენ და მოადგნენ ერინჯაგსა, რომელ არს ციხე, არამეთუ მას უამსა ეპყრა იგი მეფესა ქართლისასა. და დადგნენ ხანსა მრავალსა და ხანსა რაოდენსამე შენუხდენ ციხესა შინა მყოფნი, გამოვიდეს და დაანებეს ციხე. მოვიდნენ მრავალნი იგი ციხისანი და შემოეხუნენენ. და წარმოიყვანეს ციხისა თავი და უფროსი მეციხოვნე და მოპეგუარეს ლანგ-თემურს. ხოლო ძენი ლანგ-თემურისანი წარმოემართნეს ქართლად და მივიდნენ მანგლისს.

და რა სცნა ესე მეფემან გიორგი, წარმოუგზავნა მოციქული, შემოუთუალა ხუენნა და მშვდობის ყოფნა და ითხოვა შერიგება და შუამავლობა მამისა მათისაგან. ხოლო ძეთა ლანგ-თემურისათა უსმინეს და შემოუთუალეს ლანგ-თემურს ხუენნა ესე მეფისა გიორგისი, ხოლო ლანგ-თემურ უსმინა და ყო მშვდობა და შემოუთუალა ძეთა მისთა და იქმნა ძენი მისნი. წარმოვიდნენ და მოვიდნენ ლენგ-თემურისა თანა და ჩამოესხნენ ქართლსა.

და კუალად წარვიდნენ ძენი ლანგ-თემურისანი ბალდადსა ზედა.


 ბეჭი ეფნაცაშვილი

მივიდეს და აღიღეს ბალდადი და დაიპყრეს არაპისტანი მრავალი თემი და აღივსნეს საშოვრითა. და ინება ლანგ-თემურ თავრიზის მოდგომა და ნარმოვიდა სანახავად ციხისა მის, რომელი პირველ აღიღეს ალინჯა. და ნარმოემართა სპითა ურიცხვთა და კარვებითა მრავალფერითა, მოვიდა და ნახა ციხე ალინჯა. დაწარვიდა და მივ-იდა ტბასა გელაქუნსა.

და სცნა რა მეფემან გიორგი, ნარმოუგზავნა ძმა თვესი და ძლუენი მრავალი და მოუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „სადაცა გვპრძანებთ, გილაშქრებთ და ვიქმნებით მორჩილნი თქუენნი. და ამიერითგან დააცხრვე გულისწყორმა შენი ჩუენ ზედა“. და შეეწყალა ლანგ-თემურს, აღიღო ძლუენი მისი და მოუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „მიპატივებია დანაშავები შენი და ამიერითგან, რომელ[ნ]იცა არიან მაჰმადიანნი საზღვარსა საქართველოსასა, ნულარა იყადრებთ რბევად და წყინებად მათდა და იყოს მშვდობა ჩუენსა და თქუენს შუა“. და მუნითგან აღიყარნენ და მივიდნენ ბარდასა და დადგა მუნ.

და რა გამოჰქდა წელინადი ერთი, მოივარგა ყოველივე საქმე თვესი ლანგ-თემურ და განიზრახა გულსა შინა თვესსა და თქუა: „შარშან რომ მეფე გიორგი დამპირდა, ვნახოთ აღმისრულებს იმ პირობას თუ არაო. და თუ აღმისრულებს, ვსცნა ახლა“. ნარმოვიდა და დადგა მანგლისს. და იყო თავადი ადგილსა მას, რომელსა ეწოდება მარტიანა, და თავადსა მას ეწოდებოდა სახელად ესაია. და მას პირობა დაედვა ლანგ-თემურისათვე მისვლად მის თანა და არღარა მისულიყო. და რა მივიდა ლანგ-თემურ, შეწუხდა თავადი იგი და არღარა ჰქონდა ღონე მისვლის მეტი. და მოიპოვა ღონე ესე და შეეხუენა ძესა ლანგ-თემურისასა შარუხს და ჩამოუშვა შუამავლად. ნარვიდა და ნარულო ძლუენად ლარნი მრავალნი და მივიდა ძესა თანა ლანგ-თემურისასა, ხოლო მან მიიყვანა თავადი იგი ლანგ-თემურისა თანა. და და ნახა ლანგ-თემურ, უთხრა სიტყუანი წყრომისანი, თუ ვითარ იყადრე შენ ჩემი ურჩობაო. მაშინ მოექმარა ძე მისი და იპატივა და შეანწყალა მამასა თვესსა და უშოვა ხალათი.

ახალი ქაზთლის ცხოვრება



და ჰყვანდა თავადსა მას ასული ერთი და გამოართუა ძემან ლანგ-თემურისმან აბუბექირ და შეირთო ცოლად. და იყვნენ მიერითგან მოყუარენი და მიენდო ლანგ-თემურცა.

მაშინ ათაბაგმან, აღბუღას შვილმან ივანე, აღიღო მანცა ძლუენი ტურფა და მივიდა ლანგ-თემურისა თანა. მაშინ შეიწყალა ლანგ-თემურ და მისცა ხალათი და უყო წყალობა. და მოუვიდეს გარემონი თავადნი სომხითისა, სამცხისა და კარისა[ნი].

და რა სცნა ესე მეფემან გიორგი, ნარმოავლინა ძმა თვისი კოსტანტინე ძლუნითა მრავლითა და მიუმცნო სიტყუა მდაბალი მორჩილებისა. და იამა დიდად ლანგ-თემურს და შეიწყალა. და ნარვიდა მუნითგან მწარესა მას ქურთისტანისა სადა დაიპყრა ქურ- თისტანი.

და მაშინცა არავე დააცხრო ბოროტმან ამან გულისწყრომა თვისი ქართლსა ზედა და სწადოდა ქუეყანა გასათათრებელად, და იგონებდა ძროსა და ბოროტსა ქართლისათვს და უფროსად მეფის გიორგისათვეს, ჯავრისა მისთვს, რომელი უყო მეფემან ბაგრატ. ხოლო ნარმოგზავნა პირველად პატრონი შირვანისა სახელად შიხ ბარაიმ. ესე ნარმოგზავნა, რათა შეიტყოს გამოსავალი საქართველოსი გლეხისა და ბეგარა და სარგო მეფისა გიორგისა. და თოთცა ნარმოვიდა და მოვიდა კარს.

და რა სცნა ესე გიორგი მეფემან, ნარმოუგზავნა კაცი იგი, სახელად ესაია, რომელი იყო თავადი სომხითისა, და მოუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „რომელიცა პირობა მოგკცემია, ყველა აღგვსრულებია და ურჩიობა არა გვემნიარა, და რომელსაცა ამიერითგან გვპრძნებთ, არა ურჩ გექმნებით. და ან ისმინეთ აჯა ჩუენი და შეიწყალეთ ქუეყანა ესე ჩუენი, ნუ მოხვალ და ნუცა ნაახდენთ ქუეყანასა ამას, რამეთუ მოსავლისა პირი არის რა, თუ ახლა თქვენ მოხვალთ, ნაკდება სულად ქუეყანა ესე“. რამეთუ თავადი ესე ესაია იყო ყმა მეფისა გიორგისა, ნარგზავნა ესე და თეშქაშიცა გაატანა მეფემან.

და რა მიართუა ფეშქაში, არა აღიღო ლანგ-თემურ, რამეთუ სწყრებოდა ფრიად, და შეუთუალა ესრეთ, ვითარმედ: „უკეთუ გინ-

ბეჭი ექნატმშილი

და წაუკიდენლობა ქუეყანისა ამის, მოდი ჩემ თანა და გათათოდი, და თუ გათათოდები, არცა გთხოვ ხარკესა და მოგცემ წელშეუაღად ქუეყანისა მაგას და სხუასაცა მრავალსა საბოძვარსა. და უკეთუ არა გათათოდები, დაიდევ ხარკი ჩემი და მოდი ჩემ თანა და მოგცემ ქუეყანისა მაგას. და, როგორც განუტევე შვილი კეისრისა, ეგრეთვე შენცა არას გავნებ და განგიტევებ მშვდობით, რამეთუ იგიცა შენის სჯულისა იყო. და უკეთუ არა მოხვალ, დავასრულებ ჯა[ვ]რსა ჩემ-სა შენ ზედა და ქუეყანისა შენსა ზედა, ანუ დავასრულო ცხოვრება შენი და ქუეყანაცა, და უკეთუ მოხვიდე, მიფიცავს თავსა მაპმადის-ასა, რამეთუ უკეთესი პატივი მოგცე შენ კეისრისაგან და მშვდო-ბით განგიტევო, და უკეთუ არა, მიეცნენ ძენი და ასულნი შენნი ტყ-უეობად“.

და რა წავიდა მოციქული, ლანგ-თემურ განიზრახა თვალისა: „ესე უწყი, ალილებენ მოსავალსა, და განიგულვენ სიმაგრეთა. და არღარა მოვლენ ჩემ თანა“. და ამისთვის არა უსმინა ხუენნა მათი-სა გიორგისი და წარემართა სპითა მრავლითა, რამეთუ სწადოდა მიზეზით შეპყრობა მეფისა გიორგისი.

და რა სცნა საქმე ესე მეფემან გიორგი, დაიხიზნა ყოველივე ქართველი და მოიმკეს მოსავალი და წარილეს თვსთა თანა. წარვი-და ლანგ-თემურ და ჩადგა შიდა ქართლსა და იდგა ხანსა რაოდენ-სამე, და ვეღარა მოაქელეს რა, მისჭირდა. და წარმოვიდა.

და მოადგა ციხესა ბირთვისისასა. და იყო მაშინ ციხისთავად სახელით წაზალ და ოცდაათნი თავადნი ჩინებულნი და სხუანი მრავალი აზნაურნი და მსახურნი ქართლისანი. და მაშინ სპანი ლანგ-თემურისანი ზარობდეს ციხისა მისგან, რამეთუ მრავალ-გზის მრავალი ჭირი ენახათ ქართველთაგან და, ვითარცა კანჯარი ლომთაგან ეგრეთ თრთოდენ ქართველთაან რამეთუ ერთი ქართვე-ლი ათსა მათგანსა წარიქცევდა და იცოდნენ ციხისა მის სიმაგრე და საზრდელთა სიმრავლე.

მაშინ განმზრახთა თვსთა თანა არჩივა ლანგ-თემურ, და

ცდილობდნენ, თუ რამ ეყო ციხისა მისთვეს. ესრეთ ურჩივეს მათ, რამეთუ იციან სულად ყოველმან კაცმან, უკეთუ შემოადგება ლანგ-თემურ ციხესა რომელსამე, არა მოეშების, რომე არა აღიღოს. და დაასკუნეს შემოდგომა ციხისა მის და აღება. მაშინ მიუდგნენ სპანი ლანგ-თემურისანი ციხესა მას და გამოვიდსნენ სპანიცა ციხოსანნი და შემოუტივეს სპათა ლანგ-თემურისათა.

ჰყვანდა ლანგ-თემურს უკან ჯარი დამალული და უკ-მოეცალნენ თათარნი. მაშინ მიეტევნეს ციხოვანნი და მოსწყვტეს და ყვეს მრავალი ზიანი. მაშინ დიდად განძენდა ლანგ-თემურ და ბრძანა ორისავე კუთხის ციხის აგება. და თკო მიადგა კარსა ციხისასა და მუნცა ბრძანა აგება ციხისა. და რა გამოვიდა კვრა ერთი, და შეიგნეს დიდად სიმაგრე ციხისა და ვერა აღება შინაგან ციხისა მის და უშიშრობა ციხოვანთა. და იყო მუნ კლდე ერთი და მუნითგან პოვეს მცირე რამე ალსავალი.

მაშინ იყო სპათა ლანგ-თემურისათა კაცი ერთი, სახელად ბეგი-ჯაგ, მისრელი, და მან მოიწელოვნა და აღვიდა ლამე მალვით შინაგან ციხისად, აღიყვანა თხა ერთი და დაკლა მუნ ამისთვეს, რომე ესე შეეტყო ქართველთა ციხოვანთა, რომე შემოპარულან ციხესა ამას ლაშქარნი ლანგ-თემურისანი. და მაშინ იყვნეს ქართველნი უშიშრად. მაშინ უჩუენა კაცმან მან ალსავალი ციხისა. მაშინ განიხარა ლანგ-თემურ და ბრძანა წელოვანებით დაწნა კიბისა ბანბისა და აბრეშუმისა, და აგზავნეს კაცი იგი პირველადსრული და მან კაცმან მოაბა წუერი ერთი კიბისა ადგილსა მაგარსა მის კლდისასა, და ლამე შევიდა ჯარი ლანგ-თემურისა და აღიღოს ციხე იგი ჯარითა. და მაშინ წარვიდა ზოგი რამე ჯარი და განულო ციხის კარი ლანგ-თემურს და სპათა მისთა.

და რა სცნეს ქართველთა საქმე ესე, მაშინ შეებნენ გულ-მესის-ლედ და ბრძოდეს თავ-გამომეტებით. და იყო ბრძოლა ძლიერი და მოსწყვტეს ჯარი ლანგ-თემურისანი მრავალნი, და ბოლოს დარჩა გამარჯუება ლანგ-თემურს სიმრავლისაგან ლაშქართასა და ალ-



ბეჭი უჭნაფაშვილი

იღო ციხე იგი. და მოართუნეს მრავალნი დიდებულნი აზნაურნი დარჩენილნი ლანგ-თემურს და ნარკუეთნეს ყოველთავე თავნი; და ციხისთავსა მას, რომელსა ერქუა ნაზალ, მასცა ნარკუეთა თავი, და ცოლი მისი მისცა მპყრობელსა შირვანისასა. და ციხისა ამის ამღებსა მისცა წყალობა მრავალი, და შეაყენა ჯარი თვის ციხესა მას შინა, და დაუყენა ციხისა მის თავად სახელად მაამადი დაუყენა მცველნი მრავალნი. და უბრძანა გარეშემოთა წმიდათა ეკლესიათა დარღლუევა და მოოწრება და, რაოდენიცა პოვონ, მოსრვა და სრულიად ამოწყუეტა. და ნარვიდა მიერითგან და არღარა შესძინა ლანგ-თემურ მოსვლად საქართველოსა შინა.

და მოვიდა კუალად მეფე გიორგი და დაიპყრა სამკუდრო თვისი ქართლი და იყო უშიშრად.

და დაასრულა ლანგ-თემურ მოოწრება ქართლისა და ნარვიდა სხვათა ქუეყნისა დაპერობად. და ქმნა მრავალნი საქმენი დიდაღლი ლანგ-თემურ, რომლისა ცხოვრება მისი ვრცელად წერილ არს ცხოვრებასა შინა სპარსთასა, ხოლო ჩუენ აღვნერეთ ყოველივე მოსვლა მისი ქართლად და აოწრება ქართლისა, რომელი არა სადა მოწვნილ არს ქართლსა ზედა ჭირი ესევითარი, რაოდენი ამან მოაწივა.

ხოლო, შემდგომად ნარსვლისა ლანგ-თემურისა, კუალად დაიპყრა ქართლი მეფემან გიორგი. და ამან ლანგ-თემურ დაიპყრა ქურთისტანი, ინდოეთი, სპარსეთი, შირაზის ადრაბაგანი და დაიჭირა ბურსას მჯდომი ხონთქარი, რომელსა სახელად ენიდებოდა ბაიაზით. ესე იყო თესლი ოსმანისა და, შემდგომად მაპმადის გამოჩენისა, გამოჩნდა კაცი ერთი ოსმან სახელითა და სჯულითა სუნი. ამან ინყო მეკობრობა, განიმრავლა მრავალი საქონელი მეკობრობითა და მით შემოიყარა მრავალი კაცი. და დაიპყრა არაბისტანი და ტახტად ჰქონდა ბურსა და დაჯდა მუნ და ვიდრე ბაიაზით ხონთქრადმდე ძეთა მისთა ეპყრათ ბურსა. და ესე ბაიაზით ხონთქარი დაიპყრა ლანგ-თემურ და ჩასუა რეინის ყაფაზაში და რკინის ყაფაზით ატარებდა, და თემი მისი ლანგ-თემურ დაიპყრა.

ახალი ქაზთლის ცხოვრება

და კეისარმანც მოართო ძლუენი და მისცა ხარაჯა ლანგ-თემურს. და დაიპყრა რუსეთი, წარმოვიდა და მოვიდა თურქისტანში და მუნ მოკუდა, და ბოროტი იგი ბოროტად ნარწყმდა.

და მაშინ განუყო ძეთა თესტა თემნი და ქუეყანანი: რომელსამე მისცა ინდოეთი, რომელსამე ხორასანი და რომელსამე ადრაბაგანი. და მიერითგან ვერლარა შესძინეს ძეთა მისთა ქართლად მოსვლა, რამეთუ იყო ურთიერთას შინა შური და წდომა. და დაინყო ქართლ-მან შენობა. და ხანსა რაოდენსამე უკან მოკუდა მეფე გიორგი.

მეფე დავით. ო~

და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით, ქრისტეს აქათ ჩ-ტნე. მას უამსა იჯდა კათალიკოზი ბასილი. და იმეფა კეთილად ამან დავით მეფემან ხანსა რაოდენსამე შინა მშვდობით და მოკუდა.

მეფე ალექსანდრე. ო~ა

და დაჯდა მის წილად ძე მისი ალექსანდრე, ქრისტეს აქათ ჩ-ტნიბ. და ამავე უამსა შინა იჯდა კათალიკოზი ბასილივე. და მოკუდა კა-თალიკოზი ბასილი და დაჯდა დორათეოზ. და იმეფა კეთილად ამან ალექსანდრე მშვდობით და ხანსა რაოდენსამე უკან მოკუდა.

მეფე გიორგი. ო~ზ

და დაჯდა მის წილად ძე მისი გიორგი, ქრისტეს აქათ ჩ-ტუგ. ამა უამსა შინა იჯდა კათალიკოზი გიორგი. და მოკუდა კათალიკოზი გიორგი და დაჯდა კათალიკოზი ელიოზ. და მოკუდა კათალიკოსი

ბეჭი ეჭნაფაშვილი

ელიოზ და დაჯდა მიქაელ. და მოკუდა კათალიკოზი მიქაელ და დაჯდა დავით. და იმეფა ამან გიორგი მეფემან კეთილად და მშვდობით და ხანსა რაოდენსამე შინა მოკუდა.

მეფე ალექსანდრე, ო~ჟ

და დაჯდა მის ნილად ძე მისი ალექსანდრე ქრისტეს აქათ ჩუიბ.

და იყო მას უამსა შინა კათალიკოზი დავით და მოკუდა კათალიკოზი დავით და დაჯდა ელიოზ. მოკუდა ელიოზ კათალიკოზი და დაჯდა თეოდორე. და მოკუდა კათალიკოზი თეოდორე და დაჯდა შიო.

და ამა ალექსანდრე მეფემან მატა სხუათა მეფეთა ქართლისათა სიკეთითა, რამეთუ იყო კაცი მეცნიერი და მოშიში ღმრთისა, და ეს-მოდა გული მოოწერებისათვესნმიდისა კათოლიკე ეკლესიისა, და არა აქონდა ლონე აღშეებისა, ამისთვის რომე ქუეყანა ლანგ-თემურისა-გან მოოწერებული იყო, საუნჯე არღარა ჰქონდა. მოიპოვა ლონე ეს-ევითარი და დასდვა იმერთა და ამერთა, ზემო ქართლსა და კახთა, კომლზედ ექუსი შაური. ყოველსა წელინადსა ამა მალს გამოართმევ-და და ამით ინყო შენებად მცხეთისა და რუის ღმრთაებისა საყდრისა, და დაშურებოდა დიდად და ხანსა რაოდენსამე შინა აღასრულა და შეამკო ყოვლითა სამკაულითა. და შესწირნა სოფელნი და აგარანი იმერთა და ამერთა, ზემო ქართლსა და კახთა. და იმერთა კეთილად და მშვდობით და ხანსა რაოდენსამე შინა გარდაიცვალა ამიერ სოფლით.

მეფე ვახტანგ, ო~დ

და დაჯდა მის ნილად ძე მისი ვახტანგ ქრისტეს აქათ ჩუით. მას უამსა იჯდა კათალიკოზი შიო.

და მოკუდა ვახტანგ მშვდობასა შინა და არა ესუა ძე.

ჭიოტები მეფე, ო~ე

და დაჯდა მის წილად ძმა მისი გიორგი ქრისტეს აქათ ჩუმე. და იჯდა ამას უამსა შინა კათალიკოზი დავით.

და ამას, უამსა შინა განრისხნა ღმერთი ქრისტეანეთა ზედა და დაიპყრა კოსტანტინიპოლ ოსმალთა ქრისტეს აქათ ჩუმე, ხოლო შემდგომად სიკუდილისა ლანგ-თემურისა კუალად დაიპყრეს ხვანთქრის ბაიაზითის ძეთა სამკვდრო მამული თვისი და მიერითგან გაძლიერდენ და იწყეს ბრძოლა კოსტანტინოპოლისა და დაიპყრეს კოსტანტინოპოლი. და ცხოვრება მათი ვრცელად წერილ არს ცხოვრებასა მათსა. და უამსა ამას ოსმალნი ებრძოდეს კოსტანტინოპოლის.

და სპარსთა შინა იყო ურთიერთას შური და წდომა. და იყო საქართველო მშვდობით და მოსუენებით.

და მოკუდა მეფე გიორგი და დაჯდა მის წილად ძე მისი ბაგრატ.

მეფე ბაგრატ

და ამა მეფისა ბაგრატისა უამსა შინა წარმოავლინა ყაენმან უზუნ-ასან სპა თვისი, რამეთუ ესე უზუნ-ასან ყაენი იყო თესლი თურქმანისა. და შემდგომად გარდავლენისა ლანგ-თემურისა ძეთა-სა, ამან დაიპყრა თავრიზი და მრავალნი სხუანი თემნი და მრავალი ოწრება და ჭირი შეამთხვა თემთა სომხითისათა, და ქართლსა ზე-დაცა მოაწიეს სპათა მისთა.

და, თუ რაცა იქმნა უამსა მას, ანუ რა ქმნა მეფემან ბაგრატ, ანუ რაცა იქმნა, ყოველივე ძუელის ქართლის ცხოვრებიდამე აღგვნე-რია, ვიდრე მეფის ალექსანდრესამდე, ქუემორე დაგვნერია. ცხოვრება მეფის ალექსანდრესი და მის უამისა ყოველივე ძუელთა გუჯართა და სპარსთა ცხოვრებიდამე გარდმოგვნერია.



ბეჭი ეტნოგრაფიული

სახელითა დოკუმენტის განვითარების ცენტრის ბაზრიაციის მეფონბისა, ო~ვ

იყო მეფონბასა შინა მეფეთ-მეფისა ბაგრატისასა კათალიკოზი დავით, ქრისტე აქათ ჩუნე. და იყო უამსა ამას შინა დიდი მოს-ვენება ქრისტეანეთა ზედა. და ამისა უამსა შინა იყო ყაენი ასანბეგ მორქმული, ორისავე საყავის მპყრობელი. არაოდეს დარბეულ იყო ქართლ დიდისა თემურის უკანის, შენობა და გამოსუენება [იყო]. ამას უამსა შინა არა იყო ხარავა, არცა მაღი ქართლსა შინა, არამედ განთავისუფლდეს ყოველნი სამყოფნი და არენი ქართლისანი მონებისაგან თურქთასა. ესე მეფე ბაგრატ იყო მორ-ქმული სახელოვანი. ამასა ჰქონდა ქართლი, სომხითი, და ჰქონ-ებდენ პატიახში ლორისა, კახეთისა, შირვანისა და სამცხისა, და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი, მთიულნი კავკასიანნი.

ამას შინა უკუდგნეს დადიანი, გურიელი და უკუიტანნეს ოდიშ-არნი და აფხაზნი, შეიყარნეს ერთად და არღარა. მსახურებდეს ბა-გრატ მეფესა. ინყინა მეფემან და შეიყარა და მივიდა და დადგა ცხ-ენისწყალზედა; იქით ისინი მოდგეს რაზმითა და შეიძნეს. იპრიანა ღმერთმან და გაიქცნენ დადიანი, ოდიშარნი, დაწოცეს და დაატყ-უყვეს და ამოსწყვეტნეს ქართველთა, მიჰყვნეს თანა, ჩაუდგნენ შინა, დაწვეს და დააქცივეს ციხენი, სიმაგრენი. მობრუნდეს გამარ-ჯუდულნი და ნარმოიყვანეს თანა ტყუე, მძევალი ამაზედ არღარა ჰქონდა თავი წელთა მეფესა.

შეიყარა ყაენი უზუნ ასან, მოვიდა სომხითს, და მეფე ლიხთ იქით იყო, ქართველნი თან იახლნენ. მოადგეს ბარათიანთა და ორ-ბეთისა ძირსა. დიდად კარგად დახუდეს ბარათიანი. დამაგრდენ და ვერა უყვეს რა. მოვიდეს ტფილისა და აღილეს. და თვე ყაენი მუხრანს დადგა. აღივსო ქართლი ლაშქრითა, მოაოქრეს სრულიად ქართლისა ადგილი. იქმნა ყაენმან ბარათიანი, მიინდვნა, ნახნა და შეიწყალნა, მოსცნა მრავალნი და აღავსნა პირთამდინ. ამას ზედან

ახალი ქაშთლის ცხოვრისა

ღმერთმან იპრიანა, ინყინა ამოწყუეტა საქრისტიანოსა, შეედვა ყაენსა სენი სასიკუდენე, აიყარა და წარვიდა, და გამოუშუნა ბარათიანი შენყალებული და უბოძნა მრავალი მოსაცემელი.

ამაზედა კოსტანტინე წარვიდა თათრებშიგან, და სხუამან ვერავინ გაბედნა ქართველმან დარბაისელმან წარსვლა თათრებშიგან და ბატონის ხლება, – დიდად ერთგულად და კარგად იყვნენ ბარათას შვილი. იგინივე წარყვნეს თანა და მსახურეს.

იპრიანა ღმერთმან და მოკუდა ყაენი. დააგდეს თათართა ტფილისი და სომხითი, და დაიჭირა მეფემან ბაგრატ. ჩაუკდეს ბარათიანი, დაიფორაქეს ელი და დაწოცეს მრავალი თათარი ყაენისაგან შენყალებული.

მას უკნის დაჯდა ყაენად ასანძეგის შვილი იალუბეგ.

ამას შინა გამოწდა ხანი და სოფელმან თვისი ბეგარა არ დაიკლო და მიიცვალა მეფე ბაგრატ რაჭას, იყო დიდი გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა. ალიღეს და დამარხეს გელათს, მათსა სამარხოსა შიგან.

მეფე ქოსტანტინე. ოზ

ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა ბაგრატისა დაჯდა მის ნილად ძე მისი კოსტანტინე, ქრისტეს აქათ ჩუა. ამას ჟამში იყო კათალიკოზი დავით. და მეფობდა მეფობითა კეთილითა და არღარა იყო წყენა თათართაგან. მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი, აფხაზნი, ესახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა. არა სადა იყო წყენა ქრისტიანეთა: იყო მოსუენება და დაწყნარება.

მერმე, ვითარცა წესი არს და ჩუეულება ეშმაკისა, აღძრნა ეშმაკმან, მოძულემან კეთილისამან, თათარნი ქრისტიანეთა ზედან. და შეკრბა სიმრავლე ურიცხვ თურქმანთა და მომართეს სამცხეს. მოვიდეს და მოადგეს ტაშირზედა. მოუმცნეს მეფესაქართლისასა, რათა ქუემოთ ქართველი შეუკდენ სამცხესა. და აახლო ყაენმანცა


 ბერი ეჭნატაშვილი

ერთი თავადი და მისი ლაშქარი. ჩაუდგეს სამცხეს და იავარ ყვეს ქუეყანა მათი. მოადგეს ციხესა ახალციხესა, ბრძოდეს დიდხანს და ვერლარა დაუდგნა სიმაგრემან, გატეხეს და დაწვეს ქალაქი და დაიპყრეს ჭელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი.

და მერმე აიყარნეს და მოაიგნენ ციხესა და ქალაქსა აწყუერ-ისასა. ეზრანეს ციხოვანთა და უწადეს მშვიდობა და არა დაქცევა საყდრისა და ციხისა, ამას ზედა გამოვიდნენ და მიენდვნენ.

ამას შინა ბრძანა ყაენმან, რათა სომხითი მოარბიონ, ბარა-თაშვილი გაუძახა და მისი უკეთესი ლაშქარი მალვით მივიდეს და დაესხნეს შეუგებრად დმანისს და ქუეშის ჭევსა და ნარმოილეს ტყუე, ალაფი უამრავი, გვარდა ჭმა ბარათიანთა, გარდაუდგეს. წინა ცოტას ლაშქრითა. იპრიანა ღმერთმან და ასრე გაემარჯუათ, რომე ერთისა ქართველისაგან ასი და ორასი მოიკლა. დაწოცეს და ამოსწყვეტეს და დაატყუევეს და ცოტა რამე გარდმოებულენეს ცხენ-კეთილნი. და თავად კარგი კარგად იყო სულხან ბარათასშვილი. ერთი ასეთი დარბაისელი მოკლა, ყაენის კარზედ მისთანა არა იყო, და სხვს დანაწილის ანგარიში არა იქმნებოდა, და რანიცა გარდაიხულენეს, მივიდეს ყაენთანა. ერთობ ეწყინა და დაუმმიდა ლაშქართა ამონყუეტა. ამაზედ აიყარა ყაენი, ნარვიდა და დაატყუევა აწყუერისა ღმრთისიშვილებლი, მოქალაქენი და, რანიცა ციხესა შიგან იყო, დიადი სული წაასხეს. და ნავიდა ყაენი თვესა საყაენოსა.

ამას შიგან გამოწდა ცოტა ხანი, და გამოგზავნა ყაენმან ხალ-იბეგ და დაუწყო შენობა ქაოზიანსა და არჯაყალის ციხესა. ინყინეს ბარათიანთა და არა დაანებეს: დაუწყეს მისარჩელი წყენა და მტერობა. გაგულისდა ყაენი, აშუელა ლაშქარი ხალბეგის შეიყა-რნენ და მოადგნენ ტფილის. ებრძოდეს მრავალ-დღე და ვერარა ავნეს, რამეთუ სიმტკიცესა ზედა ეგნეს. და იყვის ყოველთა დღეთა ომი, და არა იყო ღონე ციხის წალებისა.

მერმე შეიყარნეს ბარათიანი და შემოუთუალეს მეფესა კო-სტანტინეს და ითხოვეს მისგან შენევნა. მეფემან გაგზავნა ცი-

ციშვილი ქაიხოსრო და ჯავახისშვილი ჯავახი ცოტათა აზნაურშვილითა და ლაშქრითა. წაუძლუეს წინა ბარათიანნი, მივიდეს და დაქსხნეს ჭანდართა მდგომთა მონაპირეთა თათართა, გააქციონეს და დაჭოცნეს ასრე, რომე თუ-არ მაცნე წავიდა სადამე, ვერცა ერთი წაუვიდათ. აივსნეს აბჯრითა, ალაფითა და ბარგითა პირთამდის.

ხოლო ვითარცა ესმა ესე ქალაქსა მდგომთა თურქმანთა, უკუეყარნეს ციხესა ტფილისისასა და წავიდეს ჩაღმა. გარდაუდგენ კუმისისა ბოლოსა, შეებნეს წინამავალსა ლაშქარსა, გაექცნეს და დაჭოცნეს ასე, რომე თათრებსა თავსა სჭრიდეს და ვენაჭიცა ლობესა და მარგილზედა ააცვემდეს. მერმე გარისხდა ლმერთი და მოუწდა ზემოთ ბუჟუნი და შუა შეეყარნეს, და, რაც ბარათიანთა ქაიხოსრომ ქნა და ჯავახმა არც წინა გმირთა უქნიათ, ასრე რომე ულუსსა ლაშქარსა ომითა წრმლითა წამოვიდეს, და ცოტა ლაშქარი დაზიანდა, და თუთ მორჩნენ ნებითა და შეწევნითა ლმრთისათა. ამას ზედან თურქმანი ლაშქარი შერცხვენილი ორბეთისა ძირსა დადგნენ, და ეცადნეს თათარნი, და მუდამ ბარათიანთა და ორბეთის-ძირელთა გაემარჯვის.

ამაზედა ადგა ხალიბეგ და სხუანი ყაეის თავადები, მივიდეს და შეებუნენ ყაენსა, რამეთუ გამოწდა ნელინადი ერთი. აშუელა ლაშქარი, მორთომ ძალი და წარმოემართა სომხითსა და ორბეთის-ძირზედა. მომართა ციხესა კოურისასა, მოადგა გარე, დაუწყეს ომი და თოფის სროლა, აწყუდინეს შიგან სოლალაშვილი დიდხან. და იყო ომი დიდხან და შეანუხნა მეტმან თოფის სროლამან, და ცოტა ციხეცა დააქცივეს, და ვეღარ-დაუდგნეს, ამისთვის რამეთუ მეშუელი არღარა ჰყვათ. ერთსა ლამესა თოვლმან უკუყარნა და გამოვიდნენ ციხით, და ციხე დაუდგეს ცარიელი და თუთ მიმართეს მთათა და სიმაგრეთა. ხოლო ვითარცა გათენდა, ნახეს თათარ ციხე უკაცური შევიდეს შიგან და კაცი არა პოვეს. მიჰყვეს ჭელი და დააქცივეს. ვითარცა ესმა მეფესა აღება ციხისა, დაუმძიმდა, რამეთუ შეყრილი ნიჩბისის წყალზედ იდგა.

ბეჭი გუნაცაშვილი

ამას ზედა ადგეს თათარნი და მოადგეს ტფილისის ციხეს. და იყო ყოველთა დღეთა ომი და ესროდეს თოვლა, და არა იყო ღონე წალე-ბისა ციხისა, რამეთუ მეტარი ბარათიანთაგან ჰქონდა. ეუბნებოდა მეფე კახთა და არა უშუელეს იმერელნი უკუდგომილნი იყვნეს და არცარა მესხთ უშუელეს, ამისთვის ომი ვერ გაბედა მეფემან. ადგეს დიდს ხანსა ქალაქსა და შეეწყინა ომი თათართა, ციხეს ვერა უყ-ვეს რა; მერმე ჰქაზმნეს ლაშქარნი და გამოარჩივეს დარბევა ორ-ბეთისა ძირსა. აარჩივეს ათას ხუთასი კაცი და სხუა წურილი კაცი ლაშქრისა მრავალი, და ცისკრისა უამსა შეუგ[ებ]რად ორბეთის-ძირსა დაესხნეს, და აიფორიაქეს და ამოსნყვტეს მთის სოფლები, განძი, ტყუე, ალაფი ურიცხვ.

ამას ზედან ესმა ბარათიანთა, და იგინი იყვნეს ენაგეთს, და მათ თანა იყვნეს ქაიხოსრო თურმანის-ძე და სხუანი მეფის ყმები ცოტაოდენი. დავარდა წმა და მომართეს ასე, ვითა ვეფხთა. და წამოვიდა აქეთ სულხან ბარათაშვილი და მისნი ძმანი, და აქეთ სხუანი ბარათიანნი, მოენივნეს უკანა, შეიბნეს და გააქცივნეს და მისჯარნეს წევსა წირვალასა, ასე წოცა დაუწყეს, ვითა ქათამთა მართუეთა. ხოლო მოსცა ღმერთმან ძლევა ქრისტეანეთა, დაწოცეს ურიცხვ, რამეთუ არა იყო განცდა მკუდრისა, სისხლისა რუ დიოდა. რაცა სიკუდილსა მორჩეს წელთა დაიპყრეს. ერთი ასეთი თავადი დარჩა ბარათაშვილს მერაბს, რომე ყაენის კარზედ მას ვერავინ სჯობდა და მეყვსიც იყო ყაენისა. ასეთი ძლევა მოსცა ღმერთმან ბარათანთა, რომელ ერთი ტყვესა დედაკაცისაგან სამი და ოთხი მუ-სულმანი მოიყვანებოდა ყელ-დოლბანდიანი, რამეთუ პირველსა ომსა ვეღარ მოესწონეს ქაიხოსრო, ჯავახი და ქავთარ სოლალაშ-ვილი და სხუანი დარბაისელნი. მოუწდეს უკანა მდევარნი დარჩეუ-ლნი ჩაღდაულად დიდნი და ლაშქარნი, აქათ არცა ამათ დაუგდეს გზა. შეიბნეს ოცი კაცნი, სამასამდ სპასა თათარსა წმლითა წინა დაუდგა. იპრიანა ღმერთმან და მორჩეს. და ორჯელ და სამჯერ ცხ-ენები დაუჭრეს, ჩამოყრილნი ზედვე შესხდეს. ჩუენი ქართვლთა-

განი, ერთისა თურმანიძის მეტი, არა დაგვაკლდა: იგიცა ჯარმან ფერითა გაიტანა. დიდისა ულუსისა ჯარისაგან ცოტანი ჩაღთაული მაცნედ წარვიდეს, და სხუა ყველა წელთ დარჩა.

რა ესმა ესე ქალაქს მდგომთა, შეშინდეს და ადგეს და უკუ-ეყარნეს ციხესა და თუმცა ბარათიანთა არ გამარჯუებოდა, ძალად ქალაქსაც წაართმევდენ და ქართლსაც შემოეჭრებოდნენ. ამას ზედან იპრიანა ღმერთმან, ნყალობით მოხედნა ბარათიანთა მოჭირვებასა და მას უკანით თათართა ძალი ველარა უკადრებია და არცა რბევა; გატყდეს და შეშინდეს შეწევნითა ღმრთისათა.

ესე მეფე კოსტანტინე იყო ძე ბაგრატისი და იმეფა ამანცა კეთილად, ვითარცა ცხოვრება მისი მოგვთხრობს, და მოკუდა კონსტანტინე მეფე ქრისტეს აქათ ჩუდ.

მეფე ალექსანდრე, ო~

და დაჯდა ძმა მისი ალექსანდრე ქრისტეს აქათ ჩუდ. და მას ჟამსა იყო კათალიკოზი დავით და მოკუდა და დაჯდა ნიკოლოზი. და იმეფა კეთილად, რამეთუ მას ჟამსა თათართა ძალა არა აქუნდათ, და იმეფა მშედობით, და შემდგომად ხანსა რაოდენსამე მოკუდა.

მეფე გოსტანცინე, ო~თ

და დაჯდა მის ნილად ძე მისი კოსტანტინე ქრისტეს აქათ ათას ოთხას ოთხმოცდა თორმეტსა. ამას ჟამსა შინა იჯდა კათალიკოზი აბრამ. ამანცა იმეფა კეთილად, რამეთუ მაშინ ათაბაგი ყუარყუარე იჯდა და არა ემრჩილებია მეფესა კოსტანტინეს.

ხოლო ამა ყუარყუარე ათაბაგისა ვაჭარი მივიდა ქუეყანასა არე-შისასა სყიდვად აბრეშუმისა. და რომელიმე მუნებური ვაჭარი და


 ბეჭი ეფნატაშვილი

ესე ყუარყუარეს ვაჭარი წაიკიდნენ, და სძლო არეშელმან ვაჭარმან და კიდევ გალაქა და აბრეშუმიც წაართუა, და ესრეთ კადნიერებით ეტყოდა: „წარვედ პატრონისა შენისა და აუნყე ჭირი შენიო, და ესე არ მიყოს ბატონმა შენმაო, დუქანი არ დამიქციოსო და ჩემს დუქანზედ ყურით არ მიმაკრასო“. და რა ესე უყვეს ვაჭარსა მას, წარმოვიდა მსნრაფლ და მოვიდა ათაბაგისად და აუნყა ყუარყუარეს ყოველივე საქმე მისი ვაჭარმან მან.

და რა ესმა ესე ყუარყუარეს, წარმოვიდა განრისხებული ხუთა-სითა რჩეულითა სპითა, გარდმოვლონ ფარავახი და ჩამოვლონ დმანისი. უმასპინძლეს ორბელიანთა და წარვიდა, ჩამოვლონ ხუნანი, განვიდა მტკუარსა და მივიდა არეშს. მიიძღუანა ვაჭარი სახლსა მის არეშელისა ვაჭრისა, შეუკდუნნა კაცნი. გამოიყვანეს კაცი იგი და მიიყვანეს თავის დუქანზედა და ყურითა მიაჭედეს და წილიცა უკრა დუქანსა, და ეგრეთვე უყო ყოველივე, როგორც მას ეთქუა. და აბრეშუმიც გამოატანინა ვაჭარსა. მას და წარმოვიდა უშიშრად.

და შემოვლო კახეთი, და შემოიარა ყარაიაზეთა, შევლონ მცხ-ეთაზედა და მივიდა შიდა ქართლსა. ხოლო შიდა-ქართველთა არა ინებეს გზისა დანებება. და მეფემან კოსტანტინე არა უნყოდა საქმე ესე და არცა გამოვლა მისი, და ამისთვის არა ინებეს შიდა-ქართველთა უდასტუროდ განტევება მისი. შეიყარნეს გალმართელნი, და გამოღმართელნი ციციშვილები, და უფროსად ზაზა ციციშვილი თაობდა. მაშინ დახუდნენ ათაბაგსა და აუნყეს ქართველთა გაუშებლობა.

მაშინ რა ესმა ესე ათაბაგსა, მოუგზავნა მოციქული და შემოუთუალა ესრეთ: „მე თქუენს მამულში არა წამიქდენია რაო და თქუენი არა მიმაქუს რაო, ჩეუნსა და თქუენსა მტერობა ხომ არა არის რაო, ძმობისა და მეზობლობის მეტი თქუენთან საქმე არა მაქუს რაო. ჩემს მტერს პასუხი უყავ და ჩემს გზაზედ მივალო, თქუენ რას სამართლით მიდგებით, წინაო“. ხოლო ქართველთა არა უსმინეს და ენყუნეს ურთიერთას. იქმნა ბრძოლა ძლიერი ქრისტეს

აქათ ჩუპდ, თუესა აგვესტოსა იპ, არადეთს, რომელსა გორასა მას მიერ დღითგან ეწოდების სისხლის ჯუარი და ვიდრე დღეინდელად დღედმდე სისხლის ჯუარად სახელ-სდებენ. და იქნა ეგრეთი ომი, რომე ყოველივე საჭურველები და საომარი იარაღები დაამტკრივეს და დაშვრენ იმიერ და ამიერ ომითა და დაიკოცნენ ორგნითვე მრავალნი კაცნი, და სძლო ათაბაგმან, ამისთვის რომ არას ემართლებოდენ და სამართალი იმისი სჯობდა.

მაშინ შალიკაშვილი რომელიმე იჯდა ურასა კუცასა ზედა. იგი შალიკაშვილი და მაჩაბელი მიხვდენ ერთმანერთსა. შემოსცა შუბი შალიკაშვილმან და გაუხეთქა კუბო ფარისა და განავლო მქარსა შიგან და გარდმოაგდო ცხენიდამა; შეუძახა ესრეთ: „აწყუერისა ღრმოსმშობების მადლმა, თუ ურას კუცას არა ვმჯდარიყავ, შიგ გაგაგდებინებდიო“. მაშინ ნარმოიჩოქა მაჩაბელმან, გაიკრა ჭრმალს ჭელი, შემოუკრა ცხენსა, ცხენს თავი გაუგდებინა და ტახტაზედ დასონ და შესძახა მაჩაბელმან: სპარსმა „ნმიდა გიორგიმა! თუ გადმოგდებული არ ვყოფილიყავ, შუა გაგუუთდიო“.

მაშინ სძლია ათაბაგმა და შეიქცნენ ქართველნი და მრავალნი იქითაც ამოსწყდნენ.

მაშინ ნარვიდნენ მესხნი და ჩამოწედა ათაბაგი ერთსა ადგილსა, სიახლოვესა ნაომრისასა მოსასუენად. მაშინ მესხი ამილახორი მოწყენით იჯდა ათაბაგთანა. ჰკითხა ათაბაგმან: „რასათვე მოიწყენიაო, ნუთუ ომში კაცი ვერ იშოვნეო“. მოაწსენა ამილახორმან: მე ერთსა კაცსა ჭრმალი შემოვკარ და სამკლავიანი ჭელი გავაგდებინეო, და თუ გინდა, ნამოდით და გიჩვენებო“. ნარმოვიდნენ და ნახეს, სამკლავიანი ჭელი ძებვში ეგდო. მაშინ დასჯერდა ათაბაგი და ნარვიდა თვსდა ადგილად.

და ვითარცა ესმა მეფესა კოსტანტინესა საქმე ესე, დაუმძიმდა დიდად, მაგრამ ვერლარა გააწყო რა, ხანსა რაოდენსამე შინა იმეფა კეთილად და მოკუდა.

მეფე დავით, პ-

და დაჯდა მის ნაცვლად ქე მისი დავით.

აქა არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არცა თავადნი, ყოველ-ნივე წევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკუდრ ქმნილიყ-ვნენ, და, ვისცა მამულსა მისცემდა, მკუდრად მიეცემოდა. და ყო-ველნივე ძლიერ იყვნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი.

ხოლო ამა ალექსანდრესა და კოსტანტინესა უამში განდენენ იმ-ერელნი, ოდიშარნი და გურიელნი, და არღარა მორჩილებდა ათა-ბაგი, და განდგა კახეთი. რამეთუ თკთ ძულად ნანერი რომელიმე ვპოვეთ კოსტანტინეს ცხოვრება, მაშიგან დაგვნერი, არღარა შეენ-ევნიან მოსლვასა სპარსის ლაშქრისა.

ხოლო ესე ვერა ვსცანით, თუ ბატონი იმერეთისა და კახეთისა რომლისა თესლისაგან არიან, და ანუ ვითარ უპყრიესთ ქუეყანანი იყო.

ხოლო იმერეთისა რომელთამე თქუეს: „ოდეს მამა ალექსან-დრესი ბაგრატ მეფე ჩავიდა იმერეთს, მაშინ თვისნი მისნი დაუ-ტევა და მიერითგან ქენი მისნი არიან. ამა ბაგრატისა შემდგომად რაოდენი მამანი გარდაიცვალნენ არა უწყით ხოლო იმერეთისა მპყრობელისა ბაგრატის ამბავი ქუემორე დავსწერეთ.

ხოლო კახეთისა მებატონეთა მამა იყო დავით. და ამა დავითის მამა, არა უწყით თუ ვინ იყო. ესე დავით დიდოეთადამე ჩამოიყ-ვანეს და კახთა გაიბატონეს.

მოკუდა დავით და დაჯდა ქე მისი ლევან და შემდგომად ლევანი-სა ქე მისი ალექსანდრე.

ამა კახთა ბატონთა მას უამსა ეპყრა: გარდმოღმართი ლევის მთისა ეპყრა თუშეთი, ხოლო დიდონი არა მორჩილობდეს ნებისაე-ბრ მისისა; ზემოთ ფშავი და თიანეთი, სადა შეერთვს ფშავისწყალი არაგუსა; მიერითგან ვიდრე არაგუს გაღმართი წევ-ძმორამდის; წევ-ძმორიდამე გაყოლილი ლილოს სერამდის, რაოდენი სერსა



წყალი გასდის და გაერთვს მარტყოფის წყალსა; გაყოლით ამართულამდე, გაყოლით ვიდრე აჯი-სუმდე, აჯი-სუს ვიდრე მტკურის შესართავამდე, მას ქუემოთი მტკუარს გაღმართი ვიდრე შაქისის საზღვრამდე.

ხოლო ძესა კოსტანტინესასა, მეფესა დავითს, ეპყრა: აჯი-სუს ზეით უდაბნონი, და სამგორს-ქუემოთი. ლილო და ლილოს ქუემოთი, და წევდმორას-ქუემოთი, და არაგუს-აქათი, და ფშავისწყალს-აქათი, გუდამაყარი, და წევხილაყას-აქათი, და კასრისქევს აქათი; და წედისის მთის გადმოლმართი, და კუდარო, და ჭალის მთას გარდმოლმართი, ერწო, და მშვილდაურსა და პერანგას გარდმოლმართი, გორასძირს-აქათი, ლიჩი, ლოდორა, ქეფინისქევი, და ჩხერის ციხე, და მას-ზემოთი ისრე გაყოლით მთის-აქათი; წეობა ვიდრე დვირამდის, კოდიანს გარდმოლმართი, ნინოსქევი რომ ჩამოივლის, – გაღმით სამგორისქენ, ცივწყაროს წევ-წევ გაჟყვება, გახშულიბარშიამის მთა ჩამოივლის ჯანელის ციხე საღამოს თავსა, ბორცვს ზემოთი წაივლის სერ-სერ სათხე ქუნცელის თავსა, გარდავლითა ხენჭურის თავსა, პალაკაციოს მთამდე, რომელსა თურქნი იელ-დოლდის ეძხიან; პალაკაციოდამე სერ-სერი ჩამოვლის, კარის სოფლის აქათი ერევნის საზღვრამდის, ჩამოყოლით ბანბაკი და ლორე, ვიდრე ყაზახის საზღვრამდე, ეპყრა მეფესა ქართლისასა.

ხოლო მპყრობელსა იმერეთისასა: წყდისის მთის-აქათი, დიგორის მთის-აქათი. ლენტეხი და თაკუერი, რომელსა ან რქვან ლეჩხუმი, – ცხენისწყალსა ჩაყოლით გამოლმართი, და საჯავახოს-აქათი, გაყოლით ფერხათის მთას-აქათი, ვიდრე ქართლის საზღვრამდის.

ხოლო დადიანს ეპყრა: ცხენისწყალს ჩაღმართი ლეჩხუმს ქუემოთი, სუანეთი მთის გარდმოლმართი. აფხაზეთის ზემოთი. და აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა. კუალად ეპყრა დადიანს ზღუას შემოლმართი და რიონს გაღმართი.

ხოლო გურიელსა ეპყრა რიონს გაღმართი, საჯავახო, იმას-აქა-



ბეჭი ეჭნაცაშვილი

თი გამოსწურივ ღომისციხეს გარდმოღმართი, ერგე აჭარა, და ჭან-ეთი რკინისპალოს აქათი.

ხოლო ათაბაგს ეპყრა: გურიელის საზღვარს ზეითა, ფერხათის მთის გარდაღმართი, დვირს ზეითი, აქათ, ქართლის საზღვრამდის, იქით კარის საზღვრამდის, აზრუმისაკენ გურჯი-ბოლაზს აქათი.

ხოლო ამას გარდა საქართველონი, რომელნიმე თავისუფალ შექმნილიყვნენ, რომელნიმე სპარსთა მიეტაცნეს, რომელსამე ხონთქარსა და რომელსამე ხაზართა.

ხოლო ამან ძემან ალექსანდრესმან კოსტანტინე შვა ხუთნი ძენი. სახელები მათ ხუთთა ესე არს: უხუცესსა დავით, გიორგი, ბაგრატ, ალექსანდრე და მეხუთესა მონაზონი მელქისედეკ, რომელი იყო კა-თალიკოზი კათოლიკე მცხეთისა. დაქრისტეს აქათ ჩ-ფდ.

დავით მეფე

და დაჯდა ძე მისი დავით მეფედ. ამ უამში ნარმოგზავნა ხონთქარმან სპასპეტი თვისი ლაშქრითა თვისითა უამრავითა საქართველოსა ზედა ქრისტეს აქათ ჩ-ფიდ, და ააოქრეს სამცხე; ჩამოვიდეს იმერეთს და დაწესეს ქუთაისი. და მივიდეს გელათსა და დაწესეს გელათი, და ალიღეს ალაფი მრავალი, და ვერღარა დაუდგა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა. და ნარვიდენ და შეიქცენ თვისდავე ადგილსა. და შემდგომად შექცევისა მათისა ჩამოვიდა ბაგრატ მპყ-რობელი იმერეთისა და დაიპყრა კუალად იმერეთი.

ხოლო ეპყრა კახეთი ალექსანდრესა. და იყო კაცი კეთილი და ესუა ორი ძე. და ძემან მისმან უხუცესმან გიორგი უღალატა მამასა თვისსა ალექსანდრეს ჭალასა შინა საფურცლისასა და მოკლა მამა თვისი, და ძმასა თუალები დასწვა, და ამიერითგან უწოდეს ავ-გიორ-გი, და იქმნა პატრონი კახეთისა.

ხოლო იყო მეფე ქართლისა დავით, და ამის უამში იყო კათა-

ლიკოზი ბასილი. და მოკუდა ბასილი, და დაჯდა კათალიკოზი დორათეოს. და იყო ესე დავით კაცი ლმობიერი, მშვდი და მოშიში ლმრთისა.

და აღდგა ავ-გიორგი დავითზედა და ვერდარა დაუდგა დავით: საზღვრამდის იმერეთისამდე მოარბევდის ქართლსა მრავალდებრძოდა, და ვერ წაუღო ციხე და მიიქცა თესდავე ადგილსა. მაშინ რქუეს ძმათა დავით მეფესა ესრეთ ვითარმედ: „მამათა ჩუენთა კახეთი მიუღეს და ან ქართლისაცა ჰერბავს მიღება, ან ჩუენცა აღვდგეთ მის ზედა და ვბრძოდეთ მათ ხოლო მეფემან დავით არა ინება. მაშინ თქუა ძმამან მისმან უმრნემესმან ბაგრატ: „მომეც მე მუხრანი საუფლისწულოდ ჩემდა და დროშა, დარაჯად ჩემდა იყოს ერისთავი ქსნისა და წეობა არაგვსა, და შევიწიო ძალი ქრისტესი და თემიცა მისი იავარ ვყო“. უსმინა ძმამან მისმან დავით მეფემან და მისცა ყოველი თხოვილი მისი. მოვიდა ბაგრატ და ალაშენა ციხე მტუერისა, რომელ არს ციხისძირის თავსა, და დადგა მუნ.

ხოლო, რაჟამს სცნა პატრონმან კახეთისამან ავ-გიორგი, იქმო სპა თვისი, რაოდენ ძალ ედვა, ძალითა თკულითა წარმოემართა და მიადგა მტუერის ციხესა, ადგა ვიდრე სამ თუემდე. მერმე მიუვლინა კაცი ერთი ავ-გიორგი და გაუგზავნა ღვნო ერთითა საღვნითა და შეუთუალა, ვითარმედ: „ძე ხარ მეფისა, ნუ უკუე უღვნობითა მიგჭირდეს, და სუი ესე“. და ვითარცა მიართუეს ბაგრატს სიტყუა ესე, მას ჰქონდა ორაგული ახალი და ღვნისა ნილ თევზი გამოუგზავნა და შემოუთუალა: „ხანია, რომე დგახარ პირსა ქსნისასა, და ვერ გიშონია ორაგული, და ან ესე იქმიე და წარვედ ქუეყანასა შენსა“. და რაჟამს მოართუეს ავ-გიორგის, მაშინ სცნა სიმრაველე საზრდელისა მათისა. და შესწუხებოდა ჯარი მრავალდელე დგომისაგან, მაშინ წარვიდა თემთა თკსთა.

და ხანსა რაოდენსამე უკანა შეიყარა სპა თვისი ავ-გიორგი და წარმოვიდა დარბევად ზემო ქართლისა, მივიდა, დაარბია ზემო


 ბეჭი ეჭნაცაშვილი

ქართლი და დაბრუნდა გამარჯუებული და წარმოემართა. და რა-
ჟამს. ესმა ბაგრატის, მპყრობელსა მუხრანისასა, შეიყარა სპა თვისი
და დაუმზირდა ქედსა მას შინა, რომელ არს ძალის[ს]ა და ჭაპურს
შუა. და ლაშქარნი ავ-გიორგისანი წინა წარმოვიდენ ნაშოვრისა
მისთვის, რომელი წარმოელოთ. ხოლო ავ-გიორგი მცირითა კაცითა
უკანა მოვიდოდა და მონადირობდა და არავისი ფიქრი ჰქონდა.

და რა-ჟამს დაუახლოვდა, სადა მდგომარე იყო ბაგრატ, მაშინ
შეუტივა გულითა სრულითა და შეიპყრა ავ-გიორგი და სპანიცა,
რომელნი მის თანა იყვნენ. პატიმარ-ყო ავ-გიორგი მტუერის ციხ-
ესა, რომელ არს მუხრანს, ქრისტეს აქათ ჩ-ფიდ.

მაშინ მიუმცნო ძმასა თვესა მეფესა დავითს საქმე ესე. და რა
ესმა საქმე ესე, გნიხარა ფრიდ. და ხანსა მცირედსა მოკუდა ავ-
გიორგი; და რომელნიმე იტყვან დაარჩევესო, და რომელნიმე იტყვან
თავისის დღით მოკუდაო. ალაშენა მცხეთას მცირ ეკლესია მთავარ-
ანგელოზისა ჩრდილოთ კერძო და მუნ დამარხეს. და მიერითვან
იტყვან კახი ბატონნი, რომე მცხეთა სამარხო არისო ჩვენიო.

ხოლო შემდგომად ავ-გიორგის დაჭერისა, დაიპყრო კახეთი
მეფემან დავით. და დარჩა ძე გიორგისა, რომელსა ეწოდა ლევან,
მცირედ. და წარმოიყვანა [...] ყრმა იგი დედითურთ და დამალა პა-
ტივითა სახლსა ჩოლაყაშვილისა გარსევანისასა, რომელი იყო სახ-
ლო-უხუცესი, რამეთუ ყყოდა დედასა მისას. და რა სცნა მეფემან
დავით, წარავლინა ძმა თვესი ბაგრატ და ერისთავი ქსნის და ამი-
ლახორი, რათა დასჩრიკონ კახეთს მსახლობელნი დიდით ვიდრე
მცირემდი, რათა იპოვონ ყრმა იგი. მაშინ წარვიდენ საძებნელად,
დასდვეს შიში და ზარი ყოველთავე კაცთა ზედა და დააფიცეს,
რათა არა უწყოდენ ყრმა იგი თუ სადა არს, და ყოველთავე შეჰვიც-
ეს, რომე არა ვიციოთრაო. შემდგომად მოვიდნენ სახლსა ჩოლაყაშ-
ვილის სახლო-უხუცესისასა გარსევანისასა. და მოეპოვა გარსე-
ვანს საქმე ესე, რამეთუ მოიყვანა ყრმა იგი ლევან მონისა თვესისა
ძია მსგავსად, და მას დღესა მელჭნედ იმსახურებდა ყრმასა მას,

ვითარცა მონასა. და დღესა მეორესა შეფიცა ფიცითა საშინელითა ბაგრატს, ვითარმედ: „რაოდენიცა თქუენ ჩემსა სახლში არ იხილენ-ით და არც თქუენმან თვალმან არა ნახა, იმის მეტი არა მყვანდეს, არა დიდის კაციშვილი და არც ცოტასი“. შეიჯერა ფიცითა ამით.

და ესენი რა წამოვიდნენ, ბაგრატ და ერისთავი და ამილახორი მაშინ ჩოლაყაშვილმან გარსევან ველარა თავს იდვა სახლსა თვესსა დაფარვა ლევანისა და წარმოიყვანა და შეიყვანა ციხესა მას ოჩონ-ისასა, რომელ არს თავსა ივრისასა. შემოეხვივნენ ზემოურნი და გარემონი კახნი და მიერთ[ნენ] ლევანს. წარმოემართა და ჩამოვიდა კახეთად.

და ესმა ესე დავით მეფესა, შეიყარა სპა თვესი და წარემართა კახეთად. და გარდავლო გომბორი, და ჩავიდა კახეთად. და შემო-ყარნენ კაცნი ისრევე მეფესა დავითს, და ველარა აღდგა ლევან ნინა, ივლტოდა და შევიდა ციხესა, რომელ არს თავსა მაღნარისა-სა. ხოლო მოიცვა მეფემან გარემონი ციხისა და დაუწყო ბრძოლა ძლიერად. მას ჟამსა მოვიდა ოსმალუ და მოეოწყებინა სამცხე, და ვერავინ წინააღსდეომოდა სამცხესა და მოვიდენ შიდა ქართლსა; და ვერავინ წინააღსდეგა ქართველი, ამისთვე, რომე კახეთს იყვნენ ლაშქრად.

ხოლო მეფესა დავითს მოართუეს ამბავი ესე კახეთს. და რა ესმა ესე, მას ჟამად დაფარა, რამეთუ ციხესა მყოფნი ლევან და დედა მისი შეჭირვებინა, საქმისა ამისთვეს მუნ დგომა აღარ ეძლო; და წარუვლინა დედასა მისსა მოციქული. ამილახორი და მთავარ-ეპისკოპოსი და სოხოვა ციხე, და რა ესმა დედასა ლევანისასა და მეციხოვნეთა მოსვლა მოციქულისა, ლონე არღარა ჰქონდათ, და შეწუხებულ იყვნენ მიცემისაგან კიდე. მისვლასა მთავარეპისკო-პოზისასა აღდგა დედა ლევანისა შემთხუევად მთავარეპისკოზ-ისა, – იდუმალ რქუა მთავარეპისკოზმან: „მაგრად იყავ, ამაღამე წავალთ“. რა ესმა დედასა ლევანისასა, განიხარა და თვესთა ყოვე-ლივე აუწყა, და ყოველთა თქუეს სიმაგრე და მიუცემლობა. და რა



პეტი ეჭნაცმელი

ესმნეს მოციქულთა ესე, წარმოვიდენ და მოაწსენეს მეფესა დავითს და ესევითიარი ციხეს მაგრობა. და ვეღარა დადგა მეფე და წარმოვიდა.

და მოვიდა ზემო-ქართლად და შეება ოსმალუს ჯარსა. მისცა ძლევა ღმერთმან მეფესა დავითს და ამოსწყვეტა ოსმალუ და გაემარჯუა, და შეიქცა ოსმალუ თვისდავე ადგილად. ხოლო მცირესა უამსა უკან გაილაშქრა კახეთად მეფემან დავით.

რაუამს წამოსულიყო მეფე დავით, გამოსულ იყო ლევან და მისვლოდეს კახნი და ექმნა პატრიონად მათდა. და იყო ლევან მაშინ ნლისა შედისა. და რაუამს მივიდა მეფე დავით საგარეჯოსა, შემოეყარნენ საგარეჯო[ელ]ნი და მას-აქეთინი კახნი და წარვიდა მეფე დავით ქისიყსა, და იყო ლევან მუნ და ახლდა მცირე ჯარი. რა მივიდა მეფე დავით, ენყუნეს ურთიერთას ქისიყსა. დაუმარცხდა მეფე-სა დავითს და წარმოვიდა თვისთა 1 ხოლო ლევან დაიპყრა კახეთი და მიოყვანა ცოლად ასული გურიელისა თინათინ.

ამა თინათინისასა იტყვან, სიყრმესა შინა ნახა ჩუენება ესე: „შეგირთავს მთავარი ვინმე და მისვლასა შენსა ადგილსა ერთსა“ უჩუენა ადგილი ნიშანი და რქუაესრეთ: „და მუნ იქმნება შინდი თეთრი ერთი. და უშენე მონასტერი ერთი დედასა ღმრთისასა“. ხოლო რაუამს მოიყვანეს შუამთიასა და ჩამოაწინეს განსასუენებელად, და რაუამს იხილა თინათინ ადგილი იგი, იყო ყოველივე ნიშნეული ჩუენებისა და შინდი თეთრიცა. რაუამს იქორნინეს, შემდგომად აღ-აშენა ეკლესია შუამთისა და დაადგინა მოძღვართ-მოძღვარი. და შვაორ ძე: ალექსანდრე და ვახტანგ. და მიიცვალა თინათინ და დაემარხა ეკლესიასა თვისსა შენებულსა. ამისთვის არა დაეფლა ქმრისა მისისა თანა, რამეთუ იყო ლევან კაცი მეძავი. და შემდგომად ისუა ლევან სხუა ცოლი, ყარა მუსალის შამხლის ასული, მანცა უშვა ძე სამი: გიორგი, ელიმირზონ და ქაიხოსრო.

ხოლო მეფე ქართლისა დავით იყო თვისთა, ხანსა რაოდენსამე უკანა იქმნა მონოზან და ჰყვანდა სამნი ძენი: ლუარსაბ, დემეტრე

ახალი ქაზთლის ცხოვრება

და რამაზ, მისცა მეფობა თესი ძმასა თესსა უმრნემესსა გიორგის. მეფე დავით ხანსა რაოდენსამე უკანა მიიცვალა ქალაქსა ტფილი-სისასა, ქრისტეს აქათ ჩ ფეხ.

მეფე ფიონჩი, პა

ხანსა რაოდენსამე მეფობდა გიორგი და მას უამსა შინა იყო კა-თალიკოზი მელქისედეკ, ძმა მისი.

ხოლო ამას უამს ნარმოუგზავნა კაცი ხონთქარმან მეფეს გიორ-გის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მპყრობელსა კახ-ეთისასა ლევანს, ვითარმედ: „საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდათანი სჯულისა თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეა-ბილენს, მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მიმიცემიაო“.

ხოლო, რა ესმა მეფესა გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა და კახეთისასა, და ყოველთავე მორჩილთა ბრძანებისა მათისასა, განიხარეს და შეიყარეს სპა და გაემართნენ. და რა მივიდნენ იერუ-სალემსა და ესმა მუნა-მყოფთა მისვლა ამათი, ნარმოუგზავნა კაცი და ესრეთ შემოუთუალა: „უკეთუ სტუმარი ხართ, მაშ მტერობა რა არისო, და სტუმრად ბევრნი ხართო, და უკეთუ ბრძოლად მოსრულხ-ართ, მცირენი ხართო“. ხოლო ამათ მიუმცნეს ბრძოლად მისვლა. რა ესმა მათ საქმე ესე, გამოვიდნენ და ეწყუნენ ურთიერთას და იქნა ბრძოლა ძლიერად. და მოსცა ღმერთმან ძლევა ქართველთა და სა-ფლავმან ქრისტესმან და გაემარჯუათ. და შეოტნი შევიდნენ ქალაქ-სა შინა და გაამაგრეს. ხოლო მიჰყვნეს ქართველნი და აართვეს ციხე და ქალაქი და მოსრნეს მუნა-მყოფნი მრავალნი ყოველნივე და გა-ნათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი. და მიუმცნეს ხვანთქარსა საქმე ესე და ნარმოუგზავნა ხალათი და წყალობა მრავალი: და მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბე-



ბეჭი ეცნატქივილი

თლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერი ყოველწლივე ხონთქარმან მათ სიგლითა მტკიცითა. ხოლო განიხარა მეფემან გიორგი და ბატონმან ბაგრატ და ლევან, და წარმოვიდნენ თვესა ადგილსა და მოვიდნენ მშვდობით გამარჯუებულნი და განიხარეს.

და შემდგომად ამისა ათაბაგი ყუარყუარე მიუდგა ხონთქარსა, და რა სცნა ესე მპყრობელმან იმერეთისამან ბაგრატ, შეიყარა სპა თვესი იმერელნი და მიუვლინა კაცი კახაბერსა გურიელსა, და მოყვა იგიცა ბაგრატს, გარდავლეს მთა და მიუწდენ ყუარყუარე ათაბაგსა მუჯახეთს. და დახუდა ათაბაგიცა და შეიძნეს და ენყუნეს ურთიერთას, და იოტნეს ბანაკნი ათაბაგისინი. და მერიქიფემან კახაბერის გურიელისამან, ისაკ ართუმელაძემან, ჩამოაგდო ათაბაგი ყუარყუარე, დაიჭირა და მიართუა გურიელსა და გურიელმან მოართუა ბაგრატს, მპყრობელსა იმერეთისასა. და დაიყრა ბაგრა საათაბაგო ქრისტეს აქათ ჩ-ფლდ - და გარდაეხუენა ოთარი შალიკაშვილი, და წარიყვანა შეიღო ათაბაგის ყუარყუარესი ქაიხოსრო.

მას ჟამსა გამოჩნდა შაპ-ისმაელი, ძე შიხისა. და რაჟამს გამოჩნდა ლანგ-თემურ და დაატყუევა შამი, მუნით მოვიდა არდაველს, მუნ იყო ერთი ვინმე შიხი, მოქმედი გრძნებისა, რომელსა მაჰმადიან[ნ]ი ესევდენ დიდად, უჩნდათ სასწაულად მოქმედად.

მაშინ თქუეს ქება მის შიხისა ლანგ-თემურთანა, და თკო მივიდა ხილვად მისდა. და ქმნა გრძნებარამენინაშე ლანგ-თემურისა. ხოლო სათონ უჩნდა ლანგ-თემურს საქმე მისი: უბრძანა, რაცა გნებავს მოგცეო. მაშინ ჰყავანდა ლანგ-თემურს შამელნი დედანულნი მრავალნი სულნი და სთხოვა შისმან სიმრავლენი მათნი სიტყვთა ესევითარითა, ვითარმედ: შამელნი, “რომელნი ტყუედ გიყოფიეს, ესენი არიან მუსურმანი; არა არს ბრძანებული მაჰმადისა, ვითარმედ მუსურმანი ტყუე ყოს მაჰმადიანმან. ესენი მომეც, რათა თავისუფალ ვყო”. მაშინ ისმინა ვედრება შიხისა ლანგ-თემურ და მისცა ყოველი დედანული და ტყუენი იგი, და უბოძა არდაველი ქალაქიდა გარემო სანახები არდაველისა ყოველივე მისი.

ახალი ქართლის ცხოვტება

ხოლო შიხმან განათავისუფლნა ტყუენი შამისანი: რომელიმე დადგა თვისთა თანა და რომელიმე წარვიდა ქუეყანასა შამისასა. ხოლო გარდაცვალებასა ლანგ-თემურისასა ქუეყანა ერანისა თვ-თოეულად განიყვნენ, და დაიპყრეს მას ქუეყანისა მთავართა თვ-თოეულად და რომელიმე ამბავი მათი ცხოვრებასა სპარსთასა ვრ-ცელად წერილ არს.

ხოლო ესე შიხი იყო არდაველს და იყო ბრძოლა ყოველსა სპარსეთსა შინა.

ხოლო ამა შიხის შვილისშვილი მპყრობელმან შირვანისამან მოკლა. დარჩა ძე ერთი და მან იპერა არდაველი და იგიცა უკეთურები-სათა თვისითა მოიკლა, რომელი სპარსთა ცხოვრებასა შინა ვრცე-ლად წერილ არს.

დარჩა ძე ყრმა თვისი შვდისა ნლისა შაპ-ისმაელ. და დაუწყეს დევნა სასიკუდინედ მეფემან თავრიზისამან. ხოლო შაპ-მლუ რომე-ლიმე იყვნენ და წარიყვანეს და დამალეს.

და, რაუამს მოინიფა, მოიყვანეს, და დაიპყრო სამეფო თვისი არ-დაველი და მიერითგან დაუწყო ბრძოლა ყოველთავე და ყოველივე სპარსეთი დაიპყრო.

შეფექ ღუაჩისაბ

უამსა ამას მონაზონ იქმნა მეფე ქართლისა გიორგი, და არა დარ-ჩა ძე თვისი, და მისცა მეფობა ძმინულსა თვისსა ლუარსაბს, კაცსა ღმრთის-მოყუარესა, მტერთა ურჯულოთა მომსრულელსა და ნეო-ბათა შინა უშიშსა, ქრისტეს აქათ ჩ ფმბ.

და უამსა ამას მონაზონ იქმნა ბაგრატია, მპყრობელი მუხრანი-სა, და დარჩაოთხი ძე: ვახტანგ, ერეკლე, არჩილ და აშოთან.

და დაიპყრა ქუეყანა ქართლისა ლუარსაბ. მას უამსა იყო კათა-ლიკოზი გერმანე, ტფილელი დომე[ნ]ტი, მროველი გედევან რაუამს


 ბეჭი ეგნატეშვილი

დაიპყრა ქუეყანა სპარსისა შაპ-ისმაელ, ენადა მოსვლა ქუეყანასა ქართლისასა და მოვიდა აღვევალას.

რაჟამს სცნა მოსვლა შაპ-ისმაელისა. შეიყარა სიმრავლე სპისა თვესისა და დადგა ტფილისს, და გამაგრდა ტფილისი. და რაჟამს ესმა შაპ-ისმაელსა წყობად მოსვლა მეფის ლუარსაბისა, ნარმოავლინა სარდალი თვესი ყარაფირი ლაშქრითა მრავლითა, და შემდგომად განიზრახა და მიაშეულა მისკარბაში ელიასბეგ ლაშქართა მრავლითა, და შემდგომად განიზრახა თვესგან, ნუ უკუე დაუმარცხდეს ლაშქართა მისთა, თვეთცა ალიძრა და ნარმოვიდა.

რა სცნა ესე მეფებან ლუარსაბ, გამოვიდა ტფილისით სპითა თვე-სითა და მოვიდა ლელესა თელეთისასა და მუნ განაწყო სპა თვესი. და რაჟამს მოვიდა ყარაფირი, ენყუნენ. ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. ესევითარად ენყუნენ ქართველნი, რომე სიმწენე მათი სპარსთა ცხოვრებასა დიდად წერილ არს. მოისრა ყიზილბაში ჭელ-ითა ქართველისათა ურიცხვ, და სხლიეს ქართველთა და ოოტნეს ყიზილბაში. და ოტებასა მათსა მოვიდა მისკარბაშიცა ელიასბეგ და ოტებულიცა სპა იგი დააბრუნა და თვესითაცა სპითა შეუტივა ქართველთა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი უდიდეს პირველისა და მოსრეს კუალად ქართველთა ყიზილბაში ურიცხვ.

და ოტებასა ყიზილბაშთასა აღმოვიდა შაპ-ისმაილ მთასა თელ-ეთისასა, რომელი არს კერძოთა ტაბაშელეთისათა, გარდმოხედა და იხილა სპა თვესი. მოსრვილი და ოტებული, და განლაღებულნი ქართველნი მათ ზედა ვითარცა ლომნი შენუხნა და უბრძანა სპათა თვესთა ყარა ყოინლუსა, ჩამოვიდეს, და შემოუტივეს ყარა ყოინლუ[ს] ვნენ დიდად ომისაგან და იძლივნეს სპა ქართველთა და უკუნ იქცენ.

და ნარვიდა მეფე ლუარსაბ ზემო-ქართლად და ენება კუალად შემოყრა ლაშქრისა და მოსვლა შაპ-ისმაილზედა. ხოლო ვერლარა შეუძლო, რამეთუ დაფანტულნი იყვნენ ქართველნი და ჯარი ველარ იშოვნა.



მაშინ წარვიდა შაპ-ისმაელი და შემოადგა ციხესა ტფილისისასა და აღუთქუ ნიჭი დიდი ციხისთავსა ტფილისისასა. და მოენდო ციხისთავი და მოსცა ციხე და შევიდა ციხესა შინა, და დაიპყრა ტფილისიცა შაპ-ისმაელ. და მოაორკა და შემუსრნა ხატნი და ჯუარნი ჯელითა თვესითა და აღაშენა ყურესა წიდისასა მეჩითი რჯულისა თვესისა, შეიქცა და წარვიდა თვესა და დაუტევა ციხესა მცველნი. ხოლო უკეთუ არა მიეცა ციხისთავსა ციხე და მცირესა ხანსა გამაგრებულიყო, მოვიდოდა მეფე ლუარსაბ შაპ-ისმაელზედა და, უკეთუ მცა ლმერთსა ენება, შეამთხუევდა ჭირსა დიდსა.

ხოლო შექცევასა შაპ-ისმაელისასა მოვიდა მეფე ლუარსაბ და კუალად დაიპყრო ქართლი.

და ამა უამსა მოკუდა შაპ-ისმაელ და დაჯდა მის წილად შაპ-თამაზ. ხოლო შაპ-ისმაელი იყო კაცი ჭეუიანი და სავსე ხონჯითა. ამან გამოაჩინა სჯული შიასი და დაუწყო სჯულთა ოსმანთასა გინება, და აღამაღლა სახელი აღიასი, და თვეთ თავი თვესი ძედ ალისა თქუა. და მიერითგან ირწმუნეს ყიზილბაშთა ძედ იმამისა, არა ხოლო მეფობისათვეს, არამედ ძეობისა მისთვეს იმამისა სწამთ სალოცავად და პატივ-სცემენ მღლავებრ დღეინდელად დღედმდე.

ხოლო ძეთა მისთა, რაუამს გამეფდა მის წილ ძე მისი შაპ-თამაზ ესე გამდიდრდა ფრიად: უმეტეს დაიპყრა ქუეყანანი, რომელ[ნ]ი დაუშთა შაპ-ისმაელს. და ამა უამში აეღო მეფესა ლუარსაბს ციხე ტფილისისა და გაამაგრა თვესად. და სმენოდა ყარაბაღლს მდგომსა შაპ-თამაზსა საქმე ესე და შეეყარა იდუმალ სპა თვესი რჩეული და წარმოემართა მეფესა ლუარსაბსა ზედა.

ხოლო მას უამსა მოპკუდომოდა მეფესა ლუარსაბს ძე ყრმა მცირე და წარეღო მცხეთას დასამარხავად, და სიყუარულისათვე მეფე და დედოფლი გაპყოლოდა. ხოლო მას ლამესა შემოვიდა შაპ-თამაზ ტფილისად და, უკეთუ მცა არა დაეცვა განგებასა ლმრთისასა მეფე ლუარსაბ და არა. გაპყოლოდა ძესა თვესა, წელთ დარჩებოდა თვეთ დედოფლითურთ.

ბეჭი ეჭნალიშვილი

ხოლო სცნა მეფემან მისვლა შაპ-თამაზისა, წარვიდა სიმაგრესა, და ჯარი ვეღარა შემოიყარა, ამისთვის შაპ-თამაზი იყო ტფილისად, და ყოველი ხიზნად განემზადნეს, ხოლო ქალაქი ტფილისისა. დაიპყრა შაპ-თამაზი, მოსრნა ყოველი დედანულნი.

და რაჟამს იხილა ციხისთავმან ტფილისისამან გულბად, სცნა უგრძნობლად შესვლა შაპ-თამაზისა, შეშინდა მეფისა ლუარსაბის-გან ამისთვის, რომე უგრძნობლად მოსვლისათვის არა იავარ მყოს, გარდმოვიდა ზემო-ციხით და მოუვიდა შაპ-თამაზს. რა სცნეს ციხის მცველთა საქმე და წარვიდა ციხისთავი, მათგანიცა რომელიმე წარვიდა თვე-თვესად, და რომელიმე მივიდეს შაპ-თამაზთანა. და შაპ-თამაზ მისცა ნიჭი დიდი და დაატევებინა სჯული ქრისტიანობისა და დაიპყრა ციხე ტფილისისა და გაამაგრა და თვთ წარვიდა ყარაბალად.

და რა სცნა მეფემან კახეთისამან ლევან, შეურიგდა იგიცა. და წარვიდა შაპ-თამაზ წახჩუანს სომხითისასა და ურჩინი სომხითისანი დაიმორჩილნა.

და მპყრობელი იმერეთისა ბაგრატ იყო მაშინ სამცხესა, მოვიდა მას თანა ამა მიზეზისათვის, რომე ოთარი შალიკაშვილი და ქეყუარყუარესი ქაიხოსრო რომ ხონთქართანა წასულიყვნენ და ამ-ათგან ძალი და ზურგი მოეცათ, ესეცა ბაგრატ ამისთვის მოვიდა შაპ-თამაზთანა, რომე ამისგან ზურგი და ძალი მოეცა.

ხოლო თვთ უცალო იყო შაპ-თამაზ და ჯარი ვერ აშუელა, მისცა ნიჭი დიდი და გაისტუმრა და თვთ წარვდა ქუეით. და რა მივიდა ბა-გრატ სამცხესა, ოთარ შალიკაშვილისა და ყუარყუარეს, შვილისა ქაიხოსროსათვის ხუანთქარს მოეცა ლაშქარი დიდი, სპასპეტად გამოეგზავნა მუსტაფა ფაშა და გამოეტანებინა ზარბაზანი დიდ-როანი და მოვიდნენ ზემო ქართლსა.

და რა სცნა ბაგრატ, შემთუალა გურიელსა, და მოვიდა გურიელი და ენცუნდენ სპასა ხუანთქრისასა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი და იოტნეს ბანაკი ოსმალთანი და მოსრნეს და ივლტოდეს ოსმალნი. და მოკლეს მუსტაფა ფაშა და დარჩათ საგანძური და თოფები მათი.

და შემდგომად ამისა წარვიდნენ ხონთქართანა ოთარი შალი-კაშვილი და ქაიხოსრო ყუარყუარეს შვილი, და დიდად დაუმძიმდა ხუანთქარსა დამარცხება ჯარისა თვისისა და გამოუსია აზრუმისა დადიარბექირის ფაშა და ჯარი ურიცხვ.

და რა ესმა ბაგრატს მპყრობელსა იმერეთისასა დაჰპატიუჟა მეფესა ქართლისასა ლუარსაბს და დადიანსა და გურიელსა.

ხოლო მეფესა ქართლისასა ლუარსაბს დაღაცათუ არავინ ეშ-უელებოდა უსჯულოთა ზედა, არამედ თვთ რაოდენ ძალ-ედვა არა დაზოგის თავი და წარვიდის და მიეშუელის, რამეთუ ეძნებოდა საქართველოსათვეს, ვითარცა მამასა შვილთათვეს, და შეიყარა სპა თვისი და წარვიდა ბაგრატთანა.

მაშინ ბაგრატს არა შემოეყარა დადიანი, და მოსულიყო გურიელი ჯარითა თვისითა და შემოეყარნენ იმერელნი და მესხნი. და ხუანთქრის ჯარიც მოსრულიყო ბასიანს და მივიდნენ ესენიცა.

მაშინ ქართველთ მოინდომეს მეწინავეეთ მისვლა და მესხთა არა თავს-იდვეს საქმე ესე ამისთვეს, რომე პირველადცა ჩუენ ვყოფილ-ვართ და რიგი გუაქუს მეწინავეობისაო, და ანცა მართებულია, რომ ჩუენ ვიყვნეთ.

ხოლო ქართველთა არა უსმინეს და მიეტევნეს, ქრისტეს აქათ ჩ-ფერ. და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოისრა ორგნითვე, და მესხთა, ნინა მისვლისათვეს ქართველთა, ადრიკეს ზურგი და არა მიჰყვნენ ქართველთა. და მოკლეს ეჯ გურიელისა ქაიხოსრო. და შემუსრეს ყოველი საჭურველი და საომარი ქართველთა, და არღარა ჰქონ-დათ საბრძოლველი და დამარცხდა ჯარი საქართველოსი, და ივლ-ტოდენ და წარვიდენ ყოველნივე თვს-თვსად. და წარვიდა ბაგრატ იმერეთს და მეფე ლუარსაბ ქართლისა

. და მაშინ ჩამოდგნენ ურუმნი და, რომელიცა შეიპყრეს, სრვიდენ უწყალოდ. და წარვიდა გურიელი თვსად სამყოფად და ყოველნივე თვს-თვსად წარვიდენ.

ხოლო ურუმნი დადგნენ სამცხეს და დაიპერეს ციხეები სამცხი-

ბეჭი ეცნატაშვილი

სა განზრახვითა ოთარ შალიკაშვილისათა. ესრეთ ეტყოდა ოთარი: „უკეთუ დაიპყრობთ სიმაგრეთა სამცხისათა, ესე ქუეყანა მკვდრად თქუენდა იქმნებისო“.

და უამსა ამას შიგან მესხთა ათაბაგ ყვეს ქაიხოსრო ძე ყუარყუარესი. და დაემძახლა პატრონსა მუხრანისა, და მოიყვანა ცოლად აშოთან მუხრანის ბატონისა ასული და ეწოდა სახელად დედისიმედი. და იყო ქალი ესე გლისპი და შეუპოვარ და ლალი. და რაუამს სცნეს საქმე ესე ათაბაგმან და ოთარ შალიკაშვილმან, რომე დაიპყრეს ოსმალთა სიმაგრენი და ციხეები სამცხისანი და ფრიად მძლავრობდენ და უსამართლობენ ქუეყანასა სამცხისასა, მაშინ განიზრახნეს ათაბაგმან და ოთარ საქმე რამე სარგებელი ქუეყანისა თვესისა: წარავლინეს მოციქული შაპ-თამაზთანა და ესრეთ მიუთხრეს, ვითარმედ: „ძუელითგან ქუეყანა ესე სამცხისა მკვდრად სპარსთა მეფეთა ყოფილ არს, და ან, თუცა გნებავსთ, გაქუს შენევნა და უფლება საქმისა ამის, რათა თქუენდა იყოს. მოგუეც შენევნა და ნურღარა აუფლებ ჩემ ზედა ოსმალთა და თქუენდავე იყოს ქუეყანა ჩენი, და გმორჩილობდეთ შენ, ვითარცა პირველ“.

ხოლო ესმა რა ესე შაპ-თამაზს, განიხარა და წარმოვიდა სამცხედ სიმრავლითა ჯარისათა.

და რაუამს ესმა ესე სულთანს სულეიმანს, წარმოვიდა იგიცა ლაშქრითა მრავლითა და ესრეთ განიზრახა: ვინათგან შემიორგულ-და ოთარიცა და ათაბაგიცა და არღარა ნებავს უფლება ჩემი მათ ზედა, ან მეცა მუნ წარვალ და შევმუსრავ და იავარ-ვყოფ ციხესა მათსა, რომელ არს ქავეთი; და არა მივსცე სპარსთა ქუეყანა იგი.

და ვითარცა სცნა შაპ-თამაზ წარმოსვლა ხონთქრისა, ვერ ძალედვა წინააღდეგომა შაპ-თამაზს სულთან სულეიმანისა, მოიპოვა ღონე ესევითარი და შემოუთუალა ოთარსა, ვითარმედ: „ესე უწყოდე, არას კეთილისათვს და არას საქმითა არას ფერობით მე შენ მოუელავს არ გაგიშუებო“. და, რა ეს წიგნი ოთარს მოუვიდა, ოთარმა სულთანს გაუგზავნა და ესრეთ მიუწერა: „თქუენცა მი-

წყრებითო და უფროსად ყაენი მიწყრებაო: „რა ვქნა ან მეო, მოსა-მართლე ღმერთი იყოს შეა თქუენსა და ჩუენშიაო“. და იპრიანა ღმერთმან. და შეიძრალა სულთანმან და უკუნ-იქცა, და არღარა ნარვიდა სამცხეს და შეიქცა თვალი.

ხოლო მპყრობელი იმერეთისა ბაგრატ რაჭამს შეიქცა საბატონ-ოსა თვალისა, ანკა დადიანი ლევან ჭალასა ხონისასა, უღალატა და შეიპყრა დადიანი ლევან ამის მიზეზისათვეს, რომ მაშინ ურუმზედ დადიანმან არ ულაშქრა. და ესე რა შეიპყრა, გაუგზავნა გურიელსა კაცი და ესრეთ შეუთუალა: დადიანი დავიჭირე და წელთ მყავსო, ნარვიდეთ ოდიშს, ვილაშქროთო, ნახევარი შენი იყოსო და ნახე-ვარი ჩემიო“.

და რა ესმა ესე გურიელს, იფიქრა და თქუა ესრეთ: დადიანი შე-უპყრია და ოდიშს დაიპყრობს და მერმე ჩემს ქუეყანასაც ნამართ-მევსო და სულ გაიერთებსო, – და ეგრეთაცა სწადდა ბაგრატს და აღარ მიუდგა გურიელი.

და მეფემანც ასე გასწიჯა; არამც გურიელი და ოდშარნი გაერთ-დენო და მერმე ჩემზედ ბოროტნი გაიზრახონ, დადიანის თუალების დაწვა სწადოდა, აღარ დასწვა და გელათს სამრეკლოში დაატყუევა.

სცნა რა ესე ათაბაგმან ქაიხოსრო დადიანის ტყუელბა, შემოუყვ-ნა ჩენიდე ხოფილანდრო, გააპარა იქითგან და მიიყვანა ათაბაგთანა. მოიმწრო ათაბაგმან გურიელი და ჩაიყვანა იოდიშს და გააბატონა.

ამას უამსა გურიელი გაუწყრა ხონთქარი ამისთვეს, რომ მაშინ ბასიანს, თუ შენ ბაგრატს არ მოჰყოლოდი, იმდენს ჯარს ვერ ამო-მიწყუეტდაო ბაგრატო. გამოუსია ჯარი და მოვიდნენ ბათომს და დაუწყეს ციხეს შენება კატარლებითა და ნავებითა.

შეიყარა გურიელმან სპა თვალი და ნარვიდა ოსმალთა ზედა. მოუ-მართა ღმერთმან წელი და გაემარჯუა, წმელეთიდამ გააგდო და ზღუაში შევიდნენ ნავებითა, და აღუდგა ღელვა და ჭოროხს გაღმა გავიდნენ. მაშინ იყო წყალდიდობა და ჭოროხს ცხენით ვეღარ გავ-იდნენ და მივიდნენ გონიასა და ციხეს დაუწყეს შენება. დაიწყეს



ბერი ეჭნატაშვილი

სიმაგრე ოსმალთა და ჭანეთი ამოსწყვეტეს, წაართუეს გურიელსა და თკთ დაიჭირეს.

მაშინ ჰპატრონობდა ბაგრატ იმერეთის და ეპურა იმერეთი. მიუვ-ლინა კაცი გურიელმან დადიანს ლეონსა და როსტომს: უკეთუ ამათ მიერ წამაჭდინეს, მას უკან თქუენზედაც მოიწევა ამათ მიერ დიდი ვნება“.

მაშინ დადიანმან შემოიკრიბნა სპანი თკსნი და აფხაზნი, წარ-მოვიდა, რიონის ლიმონში დაისაიგურეს.

სცნა რა ესე ბაგრატ, ვინათგან დადიანმან გურიელს უშუელა, უფროსად გაერთებიანო, გაეგზავნა ძმა თკსი ვახტანგ ხუთასის კაცითა შემნედ გურიელისა, ესრეთ დავედრა, ამას ეცადე, რომ და-დიანი გურიელს [არ] მიეშუელოსო.

და წარვიდა ვახტანგ და მივიდა საჯავასოს და მაშინ შეუთუალა დადიანს, ვითარმედ: „მე ხომ შენი ფიცი ვარო, ესე უწყოდე, რომე ჩემს ძმას ბაგრატს და გურიელს ერთი პირობა აქუსთ, და რაჟამს მოხვალ გურიას, დაგესხმიან თავსა და მოგავლენო“. სცნეს რა ესე მეგრელთა, მოშიშართა არღარა წარმოვიდნენ რიონითგან, და მივ-იდა ვახტანგ გურიელთანა ბათომსა, როსტომ გურიელი და გური-ელნი იქ დახუდენ. ვინათგან დადიანი ველარ მოეშუელა, კატარღა და წავები ველარ იშოვნეს და ვერცალა განვიდენ გაღმა. მაშინ ოს-მალთა სცნეს რა ესე, აღაშენეს ციხენი და დაიპყრეს ჭანეთი.

და შემოიქცა ვახტანგ თკსად სამყოფსა და ამას უამსა შინა მი-იცვალა ბაგრატ. და დამარხეს გელათს. და დაჯდა მის წილად ძე მისი გიორგი.

და ეპურა როსტომს გურია წელსა იპ, და მიიცვალა იგიცა და დაეფლა შემოქმედს. და ესუა როსტომს ძე სამი, და უმრნმესსა ეწოდა გიორგი და დასუეს გურიელად. და ერთი დაა მისი დადიანის შვილს ჰყვანდა ცოლად, და, რა მოკუდა როსტომ გურიელი, მაშინ განუტევა ქალი მისი დადიანის შვილმან და წაართუა ბიძასა თკსა ცოლი და თკთ შეირთო, და განრისხდა ღმერთი.



და გამოქდა ხანი რამე, და კუალად გაერთდენ გიორგი გურიელი და დადიანი. შეირთო ასული დადიანისა გურიელმან, და მცირეთა უამთა შინა განუტევა გურიელმანცა ქალი დადიანისა ამისთვეს, რომე პირველ ამისი და მისმან შეიღმან განუტევა.

სცნა რა ესე გიორგი, მპყრობელმან იმერეთისამან, ვინათგან მტერ ექმნეს ურთიერთას დადიანი და გურიელი, ამ გიორგის ჰყვა ერთი ქურივი რძალი და მისცა გურიელსა თვისი ქალის მაგიერად და ესენიცა ...

მაშინ იწყეს შურობად და ლაშქრობად დადიანისა და ვერ ეძლო წინააღმდეგომა მათი დადიანსა, გარდაიხუენა და ნარვიდა სტამბოლს, მივიდა და შეეხუენა სულთანსა. მაშინ შემწე ეყო სულთანი დადიანსა და მისსა ჯარი აზრუმისა და ტრაპიზონისა. ნარმოვიდნენ და მოინიცნეს სატყეპელას.

ხოლო, სცნა რა საქმე ესე გურიელმან, ვინათგან შემწე ეყო სულთანი და გამოგზავნა დადიანი დიდის ჯარითა, მაშინ მოიპოვა. ღონე რამე და იწყო ხუენნად დადიანისა, და ნარავლინა მოციქული, და მისი სისხლად ფლური ათასი დადიანსა. დაშერიგდენ.

მაშინ გიორგი, მპყრობელი იმერეთისა, ვინათგან ახალი ბატონი იყო, სუსტად ეპყრა საბატონო თვისი. მაშინ მოიქმო გიორგი ჯავახ ჭილაძე. და უღალატა და მოკლა. სცნა ესე გურიელმან გიორგი, დიდად ეწყინა: შერიგდენ დადიანი და გურიელი და დაანებეს, და ნახევარი გურიელმან დაიჭირა და ნახევარი დადიანმან. ხოლო მას უამთა შინა დადიანი მოკუდა ესრეთ, რომე ნადირობაში ჯაიანმან ცხენი შეაძგერა და მოაკუდინა დადიანი. მაშინ დასუეს დადიანად უფროსი ძე მისი გიორგი.

სცნა რა ესე გურიელმან გარდმოიბირა უმცროსი ძმა მისი მამია, მიიყვანა გურიას. და შეირთო და თვისი ცოლად. მაშინ ულაშქრა გურიელმან და ნარვიდა თვთცა და მივიდეს ზუგდიდს. შეიბნეს და გაემარჯუა გურიელსა და გარდააგდეს. დადიანი გიორგი და დასუეს ძმა მისი მამია დადიანად, და თვთ გურიელი ნარვიდა თვსადვე.

ბეჭი ეჭნაცაშვილი

მაშინ დადიანმან გიორგი იშოვა ლაშქარი აფხაზისა, ჯიქისა და ჩერქეზისა. და ათხოვა კუალად გურიელმან ჯარი სიძეს. თვისა მამისა და შეიბნენ. კუალად გაემარჯუა მამისა და გაექცეს გიორგი დადიანი.

მაშინ დაუწმო ლაპარაკი გიორგის, მპყრობელს იმერეთისასა გიორგი დადიანმან და პატრონმან იმერეთისამან პირი მისცა შუელისა. და გიორგი დადიანმან ასე შემოუთუალა: „რათგან ჩერქეზის ქალი ერთი თქუენ გყავსო და ერთი გურიელსაო, მესამე და გაუთხოვარი, თქუენ რომ ზრდით, ეგ მე მომეცითო, თუარამ რით გენდოო“. პატრონმან გიორგი გურიელს ჰკითხა: „მივსცე, თუ ნუო“? გურიელმან ესრეთ უთხრა: „მე იმას ქალი დაუგდე და სისხლი გამომართუაო, იმან მე და დამიგდო და სისხლი მომცესო“. და ეს სიტყუა შეუთუალეს გიორგი დადიანსა. დადიანი დაჰყვა სისხლის მიცემასა, და თეთრი არა ჰქონდა – გარდავარდნილი იყო – და ხოფი, რაც გურიელს სისხლი მიეცა, იმთონის გირაოდ მისცა. და მისცეს მესამე ჩერქეზის ქალი გიორგი დადიანსა, და სამნივე ქვსლნი შეიქმნენ და დამოყურდენ, და მამა დადიანმანც ნება დართო: რათგან უფროსი ძმა არის, მისი წესია დადიანობა და მანცა დაანება. მამია დადიანს ლომკაცი ჭილაძისეული და რევაზისეული დაანებეს და შეირიგეს, და იქმნა მიერითგან მშვდობა სამსა საბატონოსა შუა.

სცნა რა ესე დათულიამ, ბიძამან დადიანისამან, შეიყარა საჯავახოელნი და წარმოვიდა საღალატოდ გიორგი დადიანისა. აგრძნა საქმე დადიანმან და ვეღარ უღალატა და წარვიდა თვისად საჯავახოდ დათულია. მაშინ დადიანმან გიორგი და ძმამან მისმან მამია და ბატონმან გიორგი შეუთუალეს გიორგი გურიელსა, მიუწერეს ესრეთ: „რადგან დათულიას ღალატი შეაჩნდაო, ან შენ მაგას უღალატე და მოკალო და საჯავახო შენ დაისყარო“.

მაშინ გიორგი გურიელმან ყო ეგრეთ: დაიჭირა დათულია და დაატყუევეს ოზურგეთს, და საჯავახო თვთონ დაიპყრა. კუალად

შეუთუალეს გურიელსა, რომე მოკალო, და გურიელმან არა მოკლა.
და მას უკან ამათ გაგზავნეს კაცი და მოაშთუეს დათულია.

უამსა ამასა შინა მიიცვალა გიორგი დადიანი, და დაიპყრა კუალ-
ად დადიანმან მამია ოდიშს და გადადიანდა. მაშინ დაშთა დადიანს
ესეთი შეილი ვაჟი და ეწოდა ლევან. და განარისხა ღმერთი გურიელ-
მან გიორგი, და წაართუა დედასა მისსა და წარმოიყვანა ყრმა იგი და
შხეფის ციხეში დაატყუევა. და ვეღარ გასძლო ყრმამან მან ტყუეობა
და გალავნიდან გარდმოვარდა და მოკუდა. და იყო იმერეთისა მპყ-
რობელსა და დადიანსა და გურიელს შუა მშვდლობა და ერთობა.

და რაუამს შეიქცა სულთანი სულეიმან, მაშინ შაპ-თამაზ ქუეით
იყო, უწყეს ქართველთ მეფემან კახმან ბატონმან და ათაბაგმან
რბევა ადრაბაგანსა და ოქრება.

მაშინ განუდგა შაპ-თამაზს მპყრობელი შაქისა, ძე ასან-ბეგისა.
სახელით დავრიშ მაჰმად. და რაუამს გაბრუნდა სულთან სულეიმან,
შემოიყარა ჯარი ყარაბალს შაპ-თამაზ. რამეთუ მორჩილებდა ასან-
ბეგ შაპ-თამაზს. ხოლო ძემან მისმან დავრიშ მაჰმად არლარა მორ-
ჩილ ექმნა და უკუდგა. ამისთვე შემოიმარა ჯარი შაპ-თამაზ ყარაბალს
და მოუგზავნა კაცი კახ-ბატონს ლევანს და ითხოვა მისგან შენევნა.

წარმოვიდა და მოვიდა ლევან, და დაემორჩილა შაპ-თამაზს,
რამეთუ ოდეს მორჩილობდა ასან-ბეგ დევრიშ მაჰმადის მამა შაპ-
ისმაილს, მაშინ ეს ლევან მიუჟდა ასან-ბეგს შაქის და მოკლა ასან-
ბეგ, და მოარბია შაქი, შემდგომად ამისა მოიყვანეს შაქელთა ძე
მისი დევრიშ მაჰმად და დასუეს ბატონად. და მიერ უამითგან მტერ
იყვნენ ბატონი ლევან და დევრიშ მაჰმად. და რა შეიყარენ ესენი,
მაშინ წარავლინა შაპ-თამაზ ლაშქარი თვისი შირვანს.

რა სცნა დევრიშ მაჰმად, დაესსა თავსა და მოსრა ლაშქარი მრავ-
ალი. ხოლო, სცნა რა ეს შაპ-თამაზ დევრიშ მაჰმადისაგან საქმე
ესე, ქრისტეს აქათ ჩ-ფერი, შეიყარა და წარვიდა შირვანს. რა სცნეს
შაქელთა მისვლა შაპ-თამაზისა, შეშინდეს ფრიად. მაშინ მისწერა
შაპ-თამაზ წიგნი დევრიშ მაჰმადს, ვითარმედ: „მოდი ჩემ თანა და


 ბეჭი ეჭნაცაშვილი

მიპატივებია დანაშაული შენი“. და მან არა ისმინა, და გაამაგრნა ციხენი და სიმაგრენი თვისი და დადგა მტკიცედ.

და ესმა შაპ-თამაზს საქმე მისი, წარავლინა ბატონი ლევან და სხუა ხანი, ორი თვისი სარდალი და სპა. და, რა მივიდნენ შაქის, მოაოქრეს შენი და უშენი, და მოადგნენ ციხესა მას, რომელსა შინა იყო დევრიშ მაჰმად. ვერლარა ეძლო ხანსა რაოდენსამე გამაგრება ციხისა მის და განვიდა ლამე და ენება იდუმალ განრინება. და რაუამს განვიდა დევრიშ მაჰმად, სცნა ბატონმან ლევან, წარვიდა და მიერია, შეიბნენ და გაემარჯუა ბატონს ლევანს: და მოკლეს ლაშქართა ლევანისათა დევრიშ მაჰმადი. და მოართუა თავი მისი ლევან შაპ-თამაზს და მის-ცა მრავალი წყალობა ბატონს ლევანს შაპ-თამაზ და წარავლინა ბატონი ლევან თვისა ალაგსა და თვით წარვიდა ყარაბაღს.

და რაუამს მივიდა ყარაბაღად, არა დაცხრა მტერობად მეფისა ლუარსაბისა და მოიქცა კუალად ტფილისად და ააოქრა ტფილისი და გარემონი ტფილისისანი, და აღიღო ციხე ტფილისისა, და შეაყ-ენნა მცველნი თვისი.

ხოლო ლუარსაბს ვერარა უყო, და ენება მტერობა ქართლისა ამისთვეს, რამეთუ მეფემან ლუარსაბ უამსა თვისა არცა ჰმონა ყაენ-სა და არცა ხონთქარსა ამისთვეს, რომე თუცა დამორჩილებოდა, სხუანი ყოველნი მონობდენ და, თუმცა ესეცა დამორჩილებოდა ქუეყანა გათათოდებოდა და სახარკოდ შეიქნებოდა; ამისთვეს მრავ-ალჯერ ამოსწყვეტა ხუანთქრისა და ყაენის ჯარი მეფემან ლუარსაბ.

ხოლო ამას უამსა შინა მოიპოვა ლონე ესე შაპ-თამაზ: ეზრახა ათაბაგს ქაიხოსროს და სთხოვა ცოლად ტომისაგან თვისისა. ხოლო ათაბაგს თვისი არა ჰყვანდა რა, და ენათესავებოდა ოთარი შალიკაშ-ვილი ათაბაგსა, ამისთვეს ნებამყოფლობით გამოართუა ქალი და ნათესავად თვისად გაუგზავნა ყაენს და ყაენმან შეირთო ცოლად.

და რაუამს შეირთო, ესე იყო საყუარელ ყაენისა, შეიქმნა წყობა შაპ-თამაზსა და ათაბაგს შუა. რა სცნა ლუარსაბ მეფემან ათაბაგის შაპ-თამაზის დამორჩილება, ეზრახა ლუარსაბ იჯუსა და შერმა-

ახალი ქართლის ცხოვტება



ზენს, შეიყარა ესენი და მიუკდა ათაბაგს ქაიხოსროს, და წაუღო თემი მრავალი და აუკრა. ხოლო ქაიხოსრომ მიუწერა შაპ-თამაზს, ვითა: „მოვიდა მეფე ლუარსაბ და ააოჭრა ქუეყანა ჩემი, და ისკანდარ ფაშა აზრუმისაც მომავალი არის“.

რა სცნა ესე შაპ-თამაზ, შაქისი რომ დაიპყრა, ჯარი ისევ ჰყვანდა მოუშლელად, წარმოემართა. და მოეგება ათაბაგი ქაიხოსრო წინა წარუძლება და მიიყვანა სამცხედ. ხოლო შაპ-თამაზ ძე მისი მირზა-ისმაილ გაგზავნა კარსა. და მივიდა მირზა-ისმაილ და დაიპყრნა სიმ-აგრენი და ამოსნებუთა კარი და, რაოდენი ოსმალი იყვნენ, განსდევნა. და შევიდა სამცხეს შაპ-თამაზ და დაიპყრა ციხენი და განასხნა ოსმალი. და რომელნიმე განდგომილნი ათაბაგისნი ციხესა შინა იყვნენ, აღილო ციხე და ტყუე ყვნა, და ეკლესია, რომელი იყო მას შინა, ააოჭრა, ხატნი და ჯუარნი დაამტკრივნა. და რაფამს სცნეს ომან და შერმაზან, შემინდენ და მივიდნენ შაპ-თამაზისა თანა, ივჯუზაცა მივიდა. და შეაბეზლეს ივჯუშ და შერმაზან შაპ-თამაზს, ვითარშედ ესენი არიან უარისმყოფელნი თქუენნი. მოაკულევინა შაპ-თამაზ ივჯუშ და შერმაზ. ან და მამული მათი მისცა ათაბაგს ქაიხოსროს.

და რაფამს განაგო ყოველი საქმე ზემო ქართლისა. წარმოემართა მეფესა ლუარსაბზედა, ჩამოვლო თრიალეთი და მოაოჭრა და წარ-მოვიდა საბარათაშვილოზედა და იგიცა ააოჭრა, მივიდა და მოადგა ციხესა ბირთვისისასა. და დადგა ხანსა მცირესა და, რა სცნა სიმა-გრე ციხისა, ეზრახა ციხეს მყოფთა ბარათიანთა და ალუთქუა ნიჭი და გამოინდო ისინი. ხოლო არღარა დაინდო: რომელნიმე ტყუე ყო და რომელნიმე დაადგინდა თვესა მამულსა ზედა.

ხოლო მეფისა ლუარსაბისა ჩუეულება ესრეთ იყვის: უკეთუ ჰყვანდის ჯარი, პირდაპირ არ დარიდის, რაგინდ რომ დიდი ჯარი იყვის, და, უკეთუ ჯარი არა ჰყვანდის, დააცალოს და უყურებდის და, სადაც რომ დააჭელის თარეში, ანუ მცირე რამე ჯარი, შემართის და ეწყვს, და ბრძოდა ძლიერად და ამოსნებუტდა მცირითა კაცითა ფრიადსა ჯარსა თათართასა.


 ბერი ეჭნატეშეილი

მაშინ გარდავიდა შაპ-თამაზ და ჩავიდა გორსა და აღიღო ციხე გორისა, და ციხე ვერისა და გარემონი ციხენი ყოველივე, და მიადგა ციხესა ატენისასა, რომელ არს თავსა საცივისასა, რამეთუ მას შინა დედა ლუარსაბისა და მრავალნი თავადთა ჯალაბნი და თავადნი იყვნენ, და ამისთვის იწყო ბრძოლა ძლიერად. და ხანსა რაოდენსამე შინა აღიღო და ტყვე-ყო დედა ლუარსაბისა, ქრისტეს აქათ ჩ-ფნვ, და მრავალნი თავადთა ჯალაბნი და მრავალნი სხუა ტყუენი ყოველივე ტყვე ყვნა და ნარვიდა.

ხოლო, რა სცნა მეფემან ლუარსაბ ტყუეობა დედისა მისისა და თავადთა მისთა, განუდგა კუალსა მისსა, დაეწია უკანა ჯარსა და მოსრნა მრავალნი ყიზილბაშნი და ნარულო მრავალნი ბარგნი, ხოლო დედა თვისი ვერლარა იქელთა.

და რა მივიდა ერევანს შაპ-თამაზ, მასინ სცნა დედამან ლუარსა-ბისამან გაუპატიავება თავისა თვისისა; და შესუა წამალი სასიკუდინე, და მოიკლა თავი თვისი, და არა შეიმთხვა უპატიობა თავსა თვისისა.

მაშინ მოიქცა მეფე ლუარსაბ მწუხარედ დატყუეებისა დედისა თვისისათვეს და ქუეყნის აოჭრებისათვეს.

ხოლო შაპ-თამაზუცა წარვიდა ადგილსა თვისსა და ციხესა ტფილი-სისა ეპყრა შაპ-თამაზს. და მაშინ დასუა ყაზახის ადგილსა და შამ-შადილუსა ხანი თვისი, ხოლო პირველად ენოდა რანი ქუეყანასა ამას. და დასუა სულთანი განძას, ბარგუშათს და შაქისს, და უთავა სულთანი განძისა. და ამცნო მათ: „უკეთუ ემტეროს ლუარსაბ ციხე-ესა ტფილისისასა, რათა ესენი მწე ექმნებოდეს ტფილისის ციხესა შინა მყოფთა თათართა“.

და შემდგომად ამისა ეძნდბოდა ლუარსაბს პყრობა ციხისა თათართა მიერ და გარემოს ქუეყნებისა, შეიყარა სპა და წარმოე-მართა მას ზედა, რაოდენიცა ეპყრათ თათართა კერძონი საბარა-თაშვილოსანი, ქუეყანა და ციხე, ყოველივე წაართუა და თვით დაისყრა თვინიერ ტფილისის ციხისა.

და რა ესმა ესე სულთანს შავერდის განძისასა, შეიყარა სპა ყა-

რაბალისა და, რომელიცა ჩინებულ იყო შაჰ-თამაზისა მიერ, ყოველგვე შემოიყარა და ნარმოემართა მეფესა ლუარსაბსა ზედა. და რა დაახლოვდენ პირისპირ, მეფემან ლუარსაბ პირისპირ მინდვრად ომი არა იწება და მივიდა გარის[ს].

ხოლო ესხნეს მეფესა ლუარსაბს სამ ძე: სკმონ დავით და ვახტანგ.

და გაუდგნენ ყიზილბაში კუალსა მისსა. მაშინ ლუარსაბ მოუძლურებულ იყო დღითა, და ძე თვისი სკმონ თან მოიყენა. მაშინ აახლნა სპანი თვესი სკმეონს და თვეთ უკანა დადგა, და იახლნენ თან ეპისკოპოზნი და მოხუცებულნი ერისგანნი. მოვიდნე ყიზილბაში და რა იხილა ბატონიშვილმან სკმონ და ქართველთა, შემოუტივა ვითარცა ლომმან ჯოგთა კანჯრისათა. მიეტევნენ და ბრძოდენ ფიცხლად ქართველნი, და მოსარეს ყიზილბაში ურიცხვ, და იოტეს ბანაკი მათი. და ივლტოდა სულთანი შავერდი და სხუანი სპანი ყიზილბაშისანი და დაიფანტნენ ტყეთა შინა. ხოლო მაჰმად სულთან დაიარებოდა შეშინებული ტყეთა შინა, მაშინ იხილა მეფე ლუარსაბ მცირედითა კაცითა მდგომარე; და ულონო იქმნა სულთან მაჰმად, ხოლო არლარა ჰქონდა გზა ნარსვლისა, შემოუტივა მეფესა ლუარსაბს. მაშინ განმტკიცენ ეპისკოპოზნი და მწცოვანნი იგი ერის-კაცნი, რომელნიცა ახლდეს მეფესა, და ვითარცა იქმნენ ნილისა ოცდაათისა, და მიეტევნენ ყიზილბაშთა, და შეიქმნა ომი ძლიერი. და იოტნეს ბანაკი მაჰმად სულთნისა და მოსრნეს მრავალნი მათგანი.

და იხილა მეფემან ლუარსაბ მაჰმად სულთანი. მაშინ შუბი გატეხილი ჰქონდა მეფესა ლუარსაბს. და ყოველი საბრძოლო იარაღი დაემტვრია, შეუტია ცხენითა და შეაძგერა ცხენი მაჰმად სულთნისა ცხენსა და ქუე დაახეთქა ცხენ-კაცითურთ. შემდგომად ამისა სხუასა შეუტივა და გზასა ზედა შეხუდა თხრილი რამე და ჩავარდა ცხენის ფეხი დანახეთქსა მინისასა და ნაექცა ცხენი მეფესა ლუარსაბს. მოუჭდა ყიზილბაში ერთი, რომელსა ერქუა ზაქირ, და სცა მახკლი და სწელა სასიკუდინოდ მეფე ლუარსაბ, და შეჯდა თვეთ მეფის ლუ-



ბეჭი ეჭნაცაშვილი

არსაბის ცხენსა და ივლტოდა. მაშინ დევნა დაუწყეს ქართველთა და მიენივნენ; და მოკლეს იგიცა და სულთან მაჰმადცა და, რაოდენიცა იხილეს ყიზილბაშნი, მოსრნეს პირითა მახვლისათა.

მაშინ სკმონ სდევდა ყიზილბაშთა და სრვიდა. და მიართუეს ამ-ბავი ბატონიშვილი და მოვიდა მამისა თვესისა თანა, ხოლო ყიზილბაშნი წარვიდნენ განძას.

ხოლო ლუარსაბ იცოცხლა დღენი რაოდენნიმე და მიიცვალა მეფე ლუარსაბ მონამე, მსგავსი ვახტანგ გორგასალისა. უკე-თუმცა მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არა ექმნა, ახალამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და, რაოდენნიცა დღეს. სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ჭრმლისა მისისაგან არიან: რამეთუ ესე ლუარსაბ იყო კაცი ბრძენი და გონიერი მო-შიში ღმრთისა და მორჩმუნე სჯულიერად, ლუანლ-მრავალი და ბრძოლასა შინა მწერ და ახოვანი და მბრძოლი, ლომებრ ძლიერი და სარდალი კეთილი. და აღიღო პატიოსანი გუამი მისი და დაფლეს სამარხოსა მისსა მცხეთას ღვთივ-აღმართებულსა სუეტსა ცხოვ-ელსა. და იქმნა გლოვა დიდი და მწუხარება ქართველთა მიერ. მი-იცვალა მეფე ლუარსაბ ქრისტეს აქათ ჩ-ფიზ.

მეფე სვიმონ

და დაჯდა მეფედ მამისა მისისა წილად მეფე სკმონ და ეკურთხა მუნევე მცხეთას. და ამას ფამსა შინა იყო კათალიკოზი წიკოლოზ. და მოკუდა კათალიკოზი წიკოლოზ და დაჯდა დომენტი.

და მაშინდა დაემძახლა მეფე სკმონ კახს ბატონსა ლევანსა. და მოსცა ბატონმან ლევან ქალი თვესი, ნაშობი შამხლის ქალისაგან, და ყვეს ქორნილი სახელოვანი. და იყვნენ წელსა ხუთსა განსუენებით. და დაიპყრა საქართველო და პატრონობდა კეთილად.

ამისა შემდგომად იწყო ამანცა მტერობა. შემოიყარა სპა თვესი

და ჩამოვიდა ციხედიდს. და მიუმცნო ცოლის ძმასა თვესსა კახ-ბატონიშვილს გიორგის, ითხოვა მისგან შეწევნა. და მოვიდა გიორგი, ცოლის ძმა მისი, და შემოეყარა ციხედიდს.

მაშინ სცნეს სპარსთა და წარმოვიდეს მსწრაფლ იდუმალ რამეთუ მაშინ ხუნანი, [ლვინჭრობი] და ვაშლოვანი, და თელეთები აოჭ-რებული იყო, მოვიდნენ და დადგნენ იაღლუჯას. მუნითგან წარმოვიდნენ იდუმალ. რამეთუ მაშინ ტფილისის ციხე თათართა ეპყრა და მათ არა განთქუეს, და ღამე წარმოვიდენ. და ვერა აგრძნა მეფე-მან სკმონ ამისთვეს, რომე ფარეშად გერმანოზის-შვილი ყარაულად იდგა მუხათგუერდს, და ის ღამე აღდგომის ღამე იყო. და ასულიყო სოფელსა მუხათგუერდისასა ამისთვეს, რომ აღდგომის სასწაულსა და წირვას გარდინდიდა და მერმე წარმოვიდოდა და გზის მცველად დადგებოდა. ამაშიგან შემვლოთ ყიზილბაშთა, და ვერა ეგრძნა ფარეშადს, და დაესხნეს მეფესა სკმონს.

მაშინ იქმნა ბრძოლა ძლიერი, ქრისტეს აქათ ჩ-ფო, რამეთუ იბრძოდეს ქართველნი მწნედ და მეფე სკმონ, და მაშინ მოიკლა ძე ბატონის ლევანისა გიორგი, და მოსწყდა თავადნი და აზნაურნი და მრავალნი მსახურნი, და მოსწყდა ყიზილბაშნი ორი ნილი. მავრამ ბოლოს იძლიერეს ქართველნი, და ივლტოდა მეფე სკმონ და სპანი მისნი, ხოლო ყიზილბაშნი შეიქცენ გამარჯუებულნი, და წარვი-დენ თვესად. და იქმნა გლოვა დიდი ძისათვეს ბატონის ლევანისა; და წარიღეს და დამარხეს სამარხოსა თვესსა ალავერდს. და რა იხილა ძმამან მეფის სკმონისამან დავით საქმე ესე (და ესე დავით იყო კაცი ულმრთო, მოყუარე სოფლისა, მეძავი და მემრუშე, რომლისა გულსა არარა იყო ზრუნვა სულისა და ქუეყნისა ამის, თქმულ არს, ვითარმედ მამის სიკუდილშიაც ერივაო, მეფის ლუარსაბისაშიაო) – და ამან განცა ძმა და ქუეყნა თვესი და წარვიდა ყაენთან, და მივ-იდა შაპ-თამაზთანა ყაზმინს, და გაპყვნეს რომელნიმე თავადნი აზნაურნი და მსახურნი, გათათოდა და უნიდეს დაუთხან. და მუნ დიდად პატივ-სცა შაპ-თამაზ, და უნოდა ძმად თვესად, და ასწავ-

ბეჭი უფრატმეოლი

ლა სჯული მაპმადისა. და გაგზავნა ტფილისსა და რაოდენი ადგილი ეპყრა საქართველოსანი. და მოუმცნო სულთანსა განძისა-სა შემწეობა მისი. და მოვიდა დაუთხან ტფილისსა, და დაიპყრა ტფილისი.

ეძნებოდა მეფესა სკმონს და ყოველსა საქართველოსა საქმე ესე შეიყარა ჯარი მეფემან სკმონ და წარვიდა დაუთხანზედა, ქრისტეს აქათ ჩ-ფრც. და მოვიდა მეფე სკმონ დილვამს; და რა სცნა დაუთხან, მოიცა ძალი ყანისაგან და, რაოდენი ჯარი ჰყვანდა ტფილისსა და გარეშემო საქართველოსნი, შემოიყარა და წარმოვიდა და მოეგება წინა მეფესა სკმონს დილვამს. და ენცუნენ ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოისრა დაუთხანის სპისაგან მრავალი. და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა სკმონს, და ივლტოდა დაუთხან და შევიდა ციხესა ტფილისისასა, და მოადგა მეფე სკმონ გარე, და დაიპყრა ყოველნივე გარემონი, და დადგა მრავალხან. და შეანუხეს, და ადგნენ ხანსა რაოდენსამე.

და რა შეწუხდა დაუთხან, გაგზავნა კაცი სარდალს უსეინ ბეგ-თანა ყარამანლუსა, და აუწყა შეწუხება თვესი და ითხოვა მისგან შეწევნა. და რაუამს ესმა უსეინ ბეგს, მსნრაფლ წარვიდა. და ვერა სცნა მეფემან სკმონ მოსვლა მისი, და შემოვიდა ციხესა ტფილისისასა, დაუდვა იმედი დაუთხანს, განიხარა.

და რა სცნა სკმონი, უკუ-ეცალა, და ავიდა ტაბაჯმელასა. და რა სცნა დაუთხან საქმე ესე, განლაღდა და განვიდა ბრძოლად. და ენცუნეს ურთიერთას ტაბაჯმელას. შეიქმნა ბრძოლა ძლიერი. და გალომდა მეფე სკმონ და ქართველნი, და მოსრეს სპა დაუთხანისა ურიცხვ და იოტეს ბანაკი მისი. და შემოადგა ციხესა მეფე სკმონ და შეანუხა დაუთხან, და უზრახა სკმონ მეფესა, რომელნი მას თანა ჰყვნეს ქართველნი, ხოლო მათ არა ინებეს მოსვლა მის თანა. და სცნა მეფემან სკმონ სიმაგრე ციხისა და უკუ-ეცალა.

და მიუმცნო დაუთხან შაპ-თმაზს საქმე ესე. მაშინ მოუწერა შაპ-თამაზ ჩერქეზსშამხალს სულთანსა შაქისასა, რათა წარვიდეს

ლაშქრითა შაქელითა და ყარაბაღელისათა. და წარმოემართა შამხალ-სულთანი სპითა მრავლითა და მოვიდა ქართლად.

რა სცნა სკმონ მეფემან, შეიყარა სპა თვისი და მოვიდა ანუფისს, და ისინი მოვიდეს ფარცხისს. ხოლო წარვიდა კახაბერი ყორლანაშვილი და მიეგება განჯას და მიერითგან მოუძლოდა იგი და ეტიკობდა. და ეძნებოდა ყიზილბაშთა მოსვლა ქართლად, და ამან ყორლანაშვილმან გაუადვილა და ესრეთ უთხრა: „სისხლი თქუენი ჩემსა ქედსაო, უკეთუ გვენოსთო რამეო“. და მან წარმოიყვანა.

და რა სცნა მეფემან სკმონ მოსვლა მათი ფარცხისს, ჩავიდა და ენყო მუნ. და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოსწყდეს ორგნითვე მრავალი. შეუტივა მეფემან სკმონ ყიზილბაშთა ერთსა და სცა ოროლი და მოკლა იგი. და შეუტივა სხუათა და განშორდა სპასა თვისსა. მაშინ უთხრა კახაბერ ყორლანაშვილმან ყიზილბაშთა, ვითარმედ მეფე სკმონ განშორდა სპასა თვისსა, და აცნობა. და რა სცნეს ყიზილბაშთა, შემოეხვევნეს მეფესა სკმონს და შეიძყრეს მეფე სკმონ და ივლტოდეს სპანი ქართველთან.

და წარიყვანეს მეფე სკმონ შაჳ-თამაზთანა და რა მივიდა შაჳ-თამაზ დიდად პატივ-სცა მეფესა სკმონსა და მიანიჭა ნიჭი მრავალი და ხანსა მრავალსა აიძულა დატეობა სჯულისა. ხოლო მეფემან სკმონ არა დაუტევა სჯული ქრისტესი და ეგო სიმტკიცესა ზედა, ამისთვის შეიძყრა და ტყუე-ყო ციხესა ალამუთისასა.

ხოლო ჟამსა ამას შინა მიიცვალა ბატონი ლევან, მპურობელი კახეთისა, წელსა ქრისტეს აქათ ჩ ფოვ. და დაჯდა მის წილად კახეთს ძე მისი პირმშო ალექსანდრე. ხოლო ნაშობნი შამხლის ქალისანი, ელიმირზონ ძე ლევანისა და ხოსრო-მირზა, უნინ სკმონ მეფის მოყურობით გათამამებულნი იყვნენ და განძლიერებულნი. არა უმდაბლეს ალექსანდრესა. და მიერთნენ რომელნიმე კახნი და – რამეთუ ჩუეულებაცა არს კახთა, – და მივიდეს თორლას ელიმირზონ და ხოსრო-მირზა.

და რა სცნა ბატონმან ალექსანდრე, შეიყარა მანცა სპა თვისი და

ბეჭი უცნატეშეიღვი

ნარვიდა მათ ზედა. მივიდა და ენცუნენ ურთიერთას. და ქმნა ბრძოლა ძლიერი და მოისრა ორგნითვე სპანი მრავალნი და მოიკლნეს ელიმირზონ და ხოსრო-მირზა ორნივე ძმანი.

და დაჯდა ბატონი ალექსანდრე. და ჰყვა ნაშობი დედისა თვესისა გურიელის ქალთან ძმა ერთი, და მოკუდა სენითა თვესითა იგიცა. და დარჩა ბატონი ალექსანდრე მარტოდ.

ხოლო დაიპყრა დაუთხან საბარათიანო და დაჯდა დმანის-წევსა ციხესა ქუეშე.

და ცოლი მეფისა სკმონისა დედოფალი ნესტან-დარეჯან, ასული კახის ბატონისა, იყო კავთისქევს და ჰყვა ძე მისი მცირე გიორგი. და რა ნახეს ქსნის ერისთავმან და ამილახორმან, ნესტან-დარეჯან დედოფლის ქმარი ალამუტის ციხეში დაატყუევეს, და ძმანი მისნი მოსრნა ალექსანდრე. და ალექსანდრეც არ იყო კარგი იმისთვის, ამისთვის რომე არ იყო ნაშობი დედისა თვესისა, ამაზედ დრო იცეს ამილახორმან და ქსნის ერისთავმან, და შეესივნეს დედოფალს ნესტან-დარეჯანს და აიფორაქეს და წარიღეს საქონელი ყოველივე, რაცა ჰქონდა რამე. თუ დაუთხანსა არ ენალულებოდა. და მიერითგან ითქუა: „ვაი ბატონის სკმონის საქონელიო“, რომელსა ანცა იტყვან ქართველნი.

ხოლო საჩინო ბარათაშვილი იყო სპასპეტი, კაცი ყოვლის კეთილით შემკული და არა მორჩილი დაუთხანისა და არცა ყიზილბაშთა, სიყუარულისათვის სკმონისა. ხოლო დღესა ერთსა მოვიდოდა კოჯრისაკენ და, რა მოვიდა წევის თავსა გელიყარისასა, მუნ კახაბერი ყორლანაშვილი შემოყარა წინა, რომელმან უწინამძლურა ყიზილბაშთა და დააჭერინა მეფე სკმონ. და რა იცნა საჩინომ კახაბერი ყორლანაშვილი, შეიპყრა და გარდააგდო კლდესა მას გელიყარისასა. და რა მიგორევდა ჩაღმა, იტყოდა თვოვე ლექსა ამას:

ყორლან-ოღლი “ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“

ხოლო კახსა ბატონსა ალექსანდრეს ესუა ცოლად ასული ამილახორისა. და ესხნეს ხუთ ძე: დავით, ერეკლე, გიორგი, კოსტან-



ტინე, როსტომ, ასული ერთი ნესტან-დარეჯან. ხოლო ესე ნესტან-დარეჯან მიათხოვა დადიანსა მანუჩარს, ძესა მამიასასა, ზითკთა დიდითა. ხოლო ძე მისი ერეკლე გაუარშივდა ალექსანდრეს და ნარვიდა სტამბოლს.

და რა ესმა შაპ-თამაზს წარსვლა მისი სტამბოლს, განრისხდა შაპ-თამაზ და ჰერინგბდა ბატონის ალექსანდრესაგან საქმესა ამას. და წარემართა შაპ-თამაზ სპითა ურიცხვთა ალექსანდრესა ზედა და მოვიდა შაპ-თამაზ ყარაბაღს.

შენუხდა ბატონი ალექსანდრე. ხოლო იყო სახლო-უხუცესი ჩოლაყაშვილი და მან უთხრა კახთა და ბატონს ალექსანდრეს, რომე „რაც ამაზედ ცოდვა იქნას ყველასი იყოსო და მე მოვარჩენ კახეთისაო ამონცვეტისაგან“. და მაშინ მისცეს წელით-წერილი ყოველთავე მკედრთა კახეთისათა, რაც მაშიგ ცოდვა იქმნას, ჩუენი იყოსო.

მაშინ განიზრახა ესრეთ: ქაიხოსრო ათაბაგი მომკუდარიყო და ძე მისი მანუჩარ მცირე დარჩომილიყო, არა ეძლო პყრობა ზემო ქართლისა მანუჩარს და დედისიმედი პატრონობდა. ესე არჩია კაბატონის სახლო-უხუცესმა ჩოლოყაშვილმა, რომ დედისიმედი უღ(ვ) თო ქალი არისო და გლისპიო, და მიუმცნოთ ესრეთ:

ვარაზას“ შაპ-თამაზ ყაენი მანდ მოყვაესო, ნებაეს ამონცუეტა სამცხისაო და ძისა შენისაო მანუჩარის სიკუდილიო, და მრავალ-გზის მოგაყივნა ქუეყანასა ზედაო და თკოონ უნდა ეგ ქუეყანა დაიჭიროსო. და მანდ გაბატონდესო. და დაიჭირე ვარაზა, მოჰკალ და მერმე შაპ-თამაზ ყაენი ველარ მოვა და გაბრუნდება და წავა და მორჩება ქუეყანაო“.

და რა ესმა დედისიმედსა, დაიჯერა ამისთვეს, რომ იყო უჭეულ და უმეცარი, გლისპი და ღმრთის უშიშარი ქალი იყო, და შეიძყრა ვარაზა შალიკაშვილი ღალატითა და მოკლა. ესე ვარაზა იყო შვილი ოთარ შალიკაშვილისა და ცოლის-ძმა შაპ-თამაზ ყაენისა.

და რა ესმა შაპ-თამაზს სიკუდილი მისი, განწერა შაპ-თამაზ



ბეჭი ეფნატაშვილი

და წარვიდა სამცხეს და დაუტევა კახეთი. და შევიდა სამცხეს, და მოაოქრა და ამოსნყვეტა სამცხე და მრავალი ბოროტი შეამთხვა სამცხესა, და შემდგომად ამისა შემოიქცა და წარმოვიდა.

მაშინ გაუგზავნა კაცი სულტანსა ოსმალისასა და მიუწერა ესრეთ: „ვყოთ მშვდობა ურთიერთას, რამეთუ სჯულითა ვართ მოსავნი მაჰმადისანი“, რამეთუ მაშინ ბრძოლა იყო მათ შორის. უსმინა სულტანმან და შერიგდენ. მაშინ განყვეს ქუეყანანი და დარჩა სულტანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა, და კარი საზღვრამდე აბოცისა და ერვნისა, სომხითი, რომელსა ან ქურთისტანად სახელსდებენ, ვიდრე ბალდად-ამდე. ხოლო შაპ-თამაზს დაუგდო ქართლი კახეთი, ერვანი და ქურთისტანს აქათი. და მშვდობა ჰყვეს ურთიერთას და მიერითვან იყო შაპ-თამაზ მოსუენებით, ალარავინ უძლო მტერობად მისად, და იყო ხანსა რაოდენსამეგანსუენებით.

ხოლო ბატონმან ალექსანდრე გაუგზავნა ქე მისი კოსტანტინე და მრავალი ძლუენი და თავის-მართლება შეუთუალა, რომე ქე ჩემი ერეკლე ჩემად უნებურად წავიდა სტამბოლსო, და შეეხუენა და წავიდა. ისმინა ვედრება ბატონის ალექსანდრესი, შესჯერდა და წარვიდა ადგილსა თვესა.

და ხანსა რაოდენსამე შინა მოკუდა შაპ-თამაზ და დაჯდა მის წილ ქე მისისისმაილ-მირზა. ამან გამოიყვანა მეფე სკუმონ ალამუტის ციხიდამე და მოიყვანა მის თანა. და ესე ისმილ-მირზა იყო კაცი მესისხსელე და მრავალი კაცი დაქოცნა. და შეიძულეს ყიზილბაშთა და რჯულით სუნობასაც ენამებოდენ, და ექს თუეს იბატონეს და მოკლეს. და დასუეს მის წილად ძმა მისი შახუდაბანდა. და ესე იყო შახუდაბანდა კაცი ულონო და თუალითა ბრმა, და ვერა იპყრა მეფობა ყიზილბაშთა წესისაებრ.

ამას უამსა შინა გამოვიდა ხონთქარის ჯარი, და თავრეზი, ერევანი, განჯა და ყარაბაღი და ვიდრე სულთანიამდე დაიპყრეს ყოველივე ადგილი ადარბაგანისა. და ხანსა რაოდენსამე უკანა გამ-

ოვიდა ლალა ფაშა, რომელი იყო გამზრდელი ხონთქრისა, ქრისტეს აქათ ჩ-ფოთ. მაშინ დახუდა მანუჩარ ათაბაგი, ძე ქაიხოსროსი და დედისიმედისა, – და ამას ესუა ცოლად და სკმონ მეფისა, – და დახუდა ესე მანუჩარ ათაბაგი და დაეხსა რომელსამე თარეშსა და ნაწყუედსა ჯარისასა, და მოსრა რაოდენიმე, და მერე ვეღარა დაუდგა და გარდმოკარდა ქართლს თავის სიდედრთანა.

ხოლო ლალა ფაშამ ამოსწყვტა ყოველი სამცხე და დაიპყრა ციხე და სიმაგრენი.

ხოლო მიესმა შაჰ-ხუდაბანდას საქმე ესე და შაჰ-ხუიაბანდას დე-დამ მოიყვანა, ოთარ შალიკაშვილის ქალმან, მეფე სკმონ, ვითარცა წესი არის, ქართველთა დედანი ლეჩაქს მოიხუვევნ, – და იგიცა ქართველი იყო, – მანცა ეგრეთვე ყო და ნარმოუგზავნა ლეჩაქი თვესი და მოუმცნო: „მეფე სკმონ, გნადდეს ლეჩაქი ესე აიღეო და გნადდეს წრმალიო, ჩუენც მოგუექმარე და შენს საბატონოსაცა“. და მისცა ნიჭი მრავალი და სამოსელი სამეფო და ნარმოგზავნა თვესა ქართლად და ნარმოვიდა.

რა სცნა დავით, უღონო იქმნა, რამეთუ ყიზილბაშთ იგი გაუშუეს და მეფეს სკმონს მოეკიდნენ, და ქართველნიც არა ჰყუარობდნენ და თვით მეფესი სკმონისა ერჩივნათ. და ვეღარც დადგებოდა ქართლსა და ვეღარც ენდობოდა ყიზილბაშთა. და მიუგზავნა კაცი ლალა ფაშას, და მისცა რაოდენი ციხენი იყვნენ ქართლსა შინა; და შეაყენნა მცველნ მათნი, და თვთან ნარვიდა სტამბოლს ხონთქარსა თანა.

ხოლო სკმონ მოვიდა ქართლსა, ერისტეს აქათ ჩ-ფოთ, და აიღო ციხე გორისა და დაიჭირა ქართლი და სომხითი, საბარათაშვილო და ლორე და ყოველნი სიმაგრენი, თვენიერ ციხეს გარდა.

და შეუშინდა ქსნის ერისთავი და ამილახორი დედოფლის ური-გოს კადრებისათვეს. ხოლო დაუწყეს ხუენნა, და ქსნის ერისთავმან მიართუა საუპატიოდ მეჯუდისხევი და ახალგორი, და ამილახორს გამოართუეს კარბი და კასპი. ხოლო ყორლანაშვილის კახაბერის ცოლი და შვილი და სახლეულნი დაიპყრნეს და გარდაყარეს კლდე-


 ბერი გერბატეტეილი

სა გელიყარისასა და იტყოდენ პირველსავე მას ლექსსა. ხოლო სხუ-
ანი ნათესავნი მისნი ივლტოდნენ და წარვიდეს რომელნიმე ყიზილ-
ბაშად და რომელნიმე ზემო ქართლად.

ხოლო დარჩა დაუთხანს მეუღლესა მისსა თანა ძე ერთი,
სახელით ბავრატ.

შემდგომად ამისსა ჰქონდა შური კახს ბატონს ალექსანდრეს,
ცოლის ძმები რომ დაუწოდა სკმონ მეფესა, — და ალექსანდრე და-
ვითის ცოლის ნათესავიც იყო, — ამ ორის საქმისათვს ემტერებოდა
მეფეს სკმონს. და რაუამს იდგა მეფე სკმონ დიღვამს დედოფლითა
ხუბათა, მოუწდა კახი ბატონი ალექსანდრე, დაესხა თავსა და თვთ
მეფე სკმონ თავკაცად ძლივ გარდაესხრა; საქონელი და თუ რამე
ჰქონდა ყოველივე აუფორაქა. და საფარველი ცოლისა, რომელ არს
სამოსელი ნესისა, შუბის ნევრზედ მოახვა და ესრეთ წარილი.

და მეფე სკმონ წარვიდა ლტოლვილი და შემოიყარა სპა ქართლი-
სა. და ალექსანდრეს დაებანაკებინა მარტყოფს ზეით, ადგილსა
ჭოტორსა. და რაუამს შეყრილი წარმოვიდა მეფე სკმონ, მიუგზავნა
ალექსანდრეს მოციქული და ესრეთ შეუთუალა: „შენ რომ შეუტყ-
ობრად, ქურდულად მოხველ და თავს დამესხი, მე ხომ მაგას არა
ვიქ და თუ კაცი ხარ, დამხუდი, ამა და ამ დღეს მოვალო.

და მივიდა იმავ თქმულსა სიტყუასა ზედა მეფე სკმონ, ქრისტეს
აქათ ჩ-ფპბ, შეიბნეს და იქმნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯუა
მეფესა სკმონს და ივლტოდა ალექსანდრე და კახნი თავადნი სულ
ერთპირად წელად დარჩა მეფესა სკმონს. და წარმოვიდა გამარ-
ჯუებული მეფე სკმონ და მოვიდა მცხეთას. და მუნ დააფიცნა კახნი
დარბაისელნი ესრეთ, ვითარმედ: „ღმერთმან კახს კაცს მის დღეში
ქართველს კაცზედ ნუ გაუმარჯოსო“. და მისცა ხალათებს და გაის-
ტუმრა.

შემდგომად ამისა გამოვიდა სარდალი ხვანიქრისა მაჲმად ფა-
შა, და ჩამოვლო ზემო ქართლი, და აიღო გორის ციხე, და შეაყენნა
მცველნი შინა; თვთ წარმოვიდა და მოვიდა მუხრანს. დახუდა მუნ

ხალი ქართლის ცხოვნება

მეფე სკმონ შეყრილი სპითა თვისითა. ეწყუნენ ურთიერთას. და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ღ(ვ)თით გაემარჯუა მეფესა სკმონს, და ფაშა ლტოლვილი ნარვიდა და შეეხუენა ქალაქს ციხეში, ქრისტეს აქათ ჩ-ფპბ.

ჩამოვიდა მეფე სკმონ დილვამს და დადგა მუნ, შეჰყარნა თავადნი თვისნი ჯალაბობრივ და ნარვიდა თვით დედოფალით და დარბაისელნი და დარბაისლის ცოლნიც თან ნარიყვანნა, ნარვიდა, დადგა ტბასა ლილოსასა, თავსა, რომელი არს გორა მაღალი, და თან ახლდა ჯარი და სპა თვისი. და რაუამს გამოვიდა ქალაქის ციხიდამე მრონეული ურუმთა, გაუსია მეფემან სკმონ მცირე ჯარი და დაატაცებინა მრონეულნი, და რა იხილნეს მემრონლეთა, ივლტოდენ და ამცნეს ციხესა მყოფთა ურუმთა, და გამოვიდა სიმრავლე ჯარი ურუმთა. და რა იხილა ესე მეფემან სკმონ, თვითცა შემოუტივა სპითა თვისითა და ეწყუნენ ურთიერთას. და მაშინ უყურებდენ დედოფალი და დარბაისლის ცოლები, და ამოსნყვეტა მეფემან სკმონ ურუმნი და დაწოცნეს მრავალნი და ციხის კარამდი მიჰყოცდენ, ამოსნყვეტეს, და ციხე ვერა აიღეს.

მაშინ გამობრძანდა მეფე სკმონ გამარჯუებული და განისუენა და იხარებდა მცირეთა უამთა. და მაშინ კუალად შეჰყარა სპა თვისი და ნარემართა ლორესა ზედა. რა მივიდა, გამოვიდა ფაშა მუნებური და ეწყუნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ღ(ვ)თით გაემარჯუა მეფესა სკმონს, და მოსნყდა ურუმი მრავალი, კაცი ოთხას სამეოცდაცამეტი, ქრისტეს აქათ ჩ-ფპვ. და აღილო ქუაბები ლორისა, დაიპყრა ლორე, და ციხე მათვე ურუმთ ეჭირა.

და გამოვიდა ხანი, მცირედთა უამთა შეისუენა და კუალად შეიყარა და ნარმოვიდა და მოადგა ციხესა ლორისასა, დაუნყო ბრძოლა და აღილო ციხე ლორისა აპრილსა ერთსა, და დაიპყრა ლორე და გამობრუნდა მუნითგან, დადგა სახლად თვალად.

და ხანსა რაოდენსამე უკანა გამოვიდა და დადგა ტაბაჯმელასა. და რა სცნა ასან ფაშამან, რომელი იყო ქალაქის ციხეშიგან, შეიყა-


 ბეტი ეპნაცაშვილი

რა და გამოვიდა, სწადდა თავს-დასხმა მეფისა სკმონისა. შეიძნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ღვთით გაემარჯუა მეფესა სკმონს, და შეუტივა ერთსა კაცსა მეფემან სკმონ და გაიქცა კაცი იგი ძლიერად, გამოუდგა მეფე სკმონ და იგი გაქცეული კაცი გარდავარდა ჭევსა მას ტაბაქმელისასა. და ეგრეთ თქმულ არს, ვითარმედ არა მოკუდა კაცი იგი ცხენ-კაციანად გარდავარდნილი. და მოისრა მუნ ურუმნი ვითარ ხუთასნი.

მაშინ ნარმოვიდა მეფე სკმონ და მოადგა ციხესა ტფილისისასა და აღილო ციხე ტფილისისა და ქალაქი დაიპყრა თვთან და მოსრა ყოველივე, რაოდენიცა იყვნეს ციხესა ტფილისისასა ურუმნი.

და რა ესმა ესე ხონთქარსა, ნარმოგზვნა ლაშქარი და სარდალი ერთი. ნარმოემართა და მოვიდა ლორეს და აღილო ციხე ლორისა და დაიპყრა. მოვიდა და დადგა ხატის-სოფელის ბოლოს.

რა სცნა ესე მეფემან სკმონ, შეიყარა სპა თვსი, მივიდა და დადგა ხრამის გამოღმა. მაშინ მოიწელოვნა და მოირთო ელჩად მეფე სკმონ და მივიდა ფაშასთანა. სკმონ მეფის მაგიერად ნარმოუთხრნა სიტყუანი ესრეთ, ვითარმედ: სკმონ „მეფემან მოგაქსენათ: მეყოფა ამდენის ჭრმლის ქნევა და ომი ყაენის გულისათვსო; თუ გინდათ თქუენ იყავით ჩემი ბატონი, თუ ენდა ისი. ან თქუენთვსაც სჯობს და ჩუენთვსა, შევრიგდეთ და მოვისუენოთ ამდონის ლაშქრობისა-გან“.

მაშინ, რა ესეა ფაშას სიტყუანი ესე, განიხარა და შემოუთუალა ესრეთ, რომე კარგად შემოგითულია და სჯობს, რომ შევრიგდეთო. და ნარმოგზავნა მეფე სკმონ და მოვიდა თვსასა ჯარში. მაშინ მეფე-მან სკმონ გასჩერიკა ყოველივე ძალი და დგომა და საქმე მათი, და მოუარა ხატის-სოფლის გორებიდამე ლამე; და დაესსა თავსა ურუმ-თა, ამოსნყვეტა და გაემარჯუა მეფესა სკმონს და რომელიმე დაწოც-ეს, რომელიმე შეიპყრეს და რომელიმე ლტოლვილი ნარვიდეს.

მოვიდა მეფე სკმონ გამარჯუებული ტფილის, და შეიყარა სპა თვსი, და მიადგა დმანისს. რამეთუ მაშინ დმანისი ეპყრათ ურუმთა.

და მოსრნა ყოველნივე დმანისს მყოფნი ურუმნი, და დაიპურნა ყოველნივეგარემონი. დაგანასხნა ყოველნივე ურუმნი საქართველოს-აგან და თვით დაიპურა, თვინიერ ერთი გორისა და ლორის მეტი.

და წარვიდა მანუჩარ ათაბაგიცა თვესა ადგილსა და დაიჭირა ზემო ქართლი და საათაბაგო და ვეღარ შესძინეს ურუმთა მოსვლად.

რამეთუ მას უამსა ყიზილბაშთ შაპ-ხუდაბანდა ყაენი გარდაეგდოთ თავის ქულმნიფობიდამე თავის ყმათა, და მის ნილად დაესუათ ძე მისი შაბაზ. და ამან შაბაზ დაიპურა თავრიზი და, რაოდენი ადრაბაგანი იყო, ყოველივე დაიპურა, თვინიერ ერევნისა და ბალდადისა.

და უამსა ამას შინა გადიდდა მეფე სკმონ და მოირჭმო ძლიერად. ყაენი აძლევდა მრავალსა, და სხუაცა მრავალი ეშვონა ომითა, და თავისის ქუეყნებიდამ შესდიოდა მრავალი, და [მტერი] არღარა სადა ჰყვანდა, რამეთუ კახ-ბატონს მოესწრა ძე თვისი და ამასაც მოესწრა შვილები. ამისი შვილები და კახის ბატონის შვილი თვით ეყოდენ ერთმანერთს და ნათესავნი იყვნენ ერთმანერთისა და, რათგან ორისავე ძენი ერთმანერთს არას ეცილებოდენ და იყვნენ სიყუარულითა, მამებმაც მშვდობა ყვეს და იყვნეს მოსუენებით და თავის მამულის მჭირველნი მშვდობით.

და უამსა ამას შინა მტერი აღარავინ ჰყვანდა მეფესა სკმონს, განძლიერდა და იწადა დაპურობა იმერეთისა, შეიყარა სპა და გაემართა იმერეთსა ზედა.

ამას უამსა მომკუდარიყო პატრონი იმერეთისა გიორგი და ძე მისი კოსტანტინე გაბატონებულ იყო. იგიცა მომკუდარიყო და ძმა მისი ლეონ გაბატონებულიყო. დადიანს მანუჩარსა და იმას შეუა მტერობა იყო. და ამა მანუჩარს ჰყვანდა კახი-ბატონის ალექსანდრეს ქალი ნესტან-დარეჯან, რომელი მიათხოვა დიდის მზითვთა და დიდებითა. ჰყვანდა მასთან ძე ერთი, რომელსა სახელად ეწოდა ლეონ. შემდგომად შობისა ყრმისა ამის მომკუდარიყო ქალი იგი და


 ბეჭი გურიაშვილი

შეერთო ათაბაგის ქალი ქურივი, ცოლ-ყოფილი ვახტანგ გური-ელისა, დედა ქაიხოსროსი, რომელი შემდგომად გურიელ იქმნა, და ოდიშს იგი ბატონობდა. და გურიას გიორგი გურიელი მკუდარიყო და ვახტანგ, ძე მისი დამჯდარიყო გურიელად.

ხოლო არცა ერთი, ემნენ მეფესა სკმონზედა იმერეთის ბატონ-სა ლევანს. შეპყარა რაოდენნი ჰყვანდა, და დადგა გოფანთოს. და მეფე სკმონც[ა] წარვიდა მის ზედა, შემოიყარა ზემოური იმერლები და მივიდა გოფანთოს. შეიბნეს მუნ გოფანთოსა და იქმნა ბრძო-ლა ძლიერი. გაემარჯუა მეფესა სკმონს, ქრისტეს აქათ ჩ-ფუბ, და გაიქცა ლევან, მპყრობელი იმერეთისა, და ივლტოდა ხოლო სკმონ მეფემან დაპყრა იმერეთი, რომელთამე. მძევალი გამოართუა. რომელიმე ვერა ჩაიგდო წელში. და ქართლისაც ფიქრი ჰქონდა, გო-რის ციხეში რომ ურუმნი იდგნენ მისგან, და წარმოვიდა მეფე სკმონ ქართლსავე. გარდმოვლო მთა ლიხისა და ჯარიც შემოეცალა, დას-ტური მისცა.

და რა გარდმოვიდა მეფე სკმონ ქართლად, კუალად ჩამოვიდა პატრონი იმერეთისა ლევან და დაიპყრა იმერეთი მაშინ ლევან და დადიანი მდურობდენ ამისთვის, რომე. მეფე სკმონ რომ შეება ლე-ვანს, დადიანი არ მოჰქმარებოდა, და უნინდელი სამდურავიც იყო. დაუწყო სამდურავი და მტერობა ჩამოვარდა ორთავეს შინა ესრეთ ვითარი, რომე აქეთ ეს შეიყარა და იქით ისი, და შეიბნენ. და გაე-მარჯუა დადიანსა, და ბატონი ლევან წელთ დარჩა, წარიყვანა და პატიმრობაში მოკუდა ამავე ქრონიკნაში ჩ-ფუბ.

რა სცნა მეფემან სკმონ, კუალად შეიყარა სპა თვესი და გარდავ-ლო იმერეთი, ქრისტეს აქათ ჩ-ფუბ, ჩავიდა ქუთაისს, და ძმისნულ-სა იმერლის ბატონისასა, ბაგრატს, გაემაგრებინა ციხე. და მიადგა ციხესა და წაართუა ციხე და გამოიყვანა თვთცა, დამძევლა იმ-ერეთი და დაიპყრა თვთ და წარმოვიდა.

ხოლო ლევან, იმერელი ბატონი, უძეო დარჩა და ძმისა მისისა ძე, კოსტანტინესი, როსტომ დარჩომილიყო და სხუა ალარავინ იყ-

ვნენ. და დაუწყო როსტომ მანუჩარ, დადიანს ლაპარაკი შეწევნისა და შერიგებისა. და უსმინა დადიანმან და მოვიდა, დააპყრობინა იმერეთი. და მოადგენ ციხესა ქუთაისისასა იმერელნი. შემდგომად ამისა აღიღეს იგიცა.

და რა ესმა მეფესა სკმონს საქმე ესე, შეიყარა სპა, გარდავიდა და აიღო ციხე კუარისა, კაცხისა და სკანდა, და მოვიდა ქუთაისს და აღიღო ციხე. ხოლო როსტომ ვერა ნინააღუდგა და ივლტოდა, და ნარვიდა დადიან მანუჩართანა. და ნარვიდა მეფე სკმონ ოდიშზედა, ჩავიდა და დადგა ოფიშკეტს დიდებითა დიდითა და ძალითა მრავ-ლითა.

ხოლო მანუჩარ დადიანმან მოუგზავნა კაცი და შემოუთვალა „შეარიგე როსტომ და და მეც შენ ყმად ვიქმნები, ამას იმერეთი დაანება და დაგვმონე და დაგრჩება ქუეყანა“. რა მოუსმინა მო-ციქულობა მეფემან სკმონ, გაჯავრდა და ასე შემოუთვალა: „მოვალ და დამხუდიო“. და რა ესმა დარღიანს მანუჩარს საქმე ესე, შემოყა-რა მანცა ჯარი თვისი და, რომელნიმე იმერელნი გარდაპყოლოდნენ როსტომს თანა, იგინიცა თანა ნარმოიყვანა, მოვიდა, დაესხა თავსა გარიურაჟედ მეფეს სკმონსა. შეჯდა მეფე სკმონ და სპა თვისი.

ხოლო მეფესა სკმონს ჰყება ორი რჩიული ცხენი: ერთსა ერქუა ფალავანი და მეორესა შურდანი. უკეთუ შეჯდის ფალავანსა, გაე-მარჯუებოდა: იცოდა და იყო ომში გამოცდილი, და მრავალი ომი ენახა და გარდახდოდა, და შეატყობდა და, თუ გაემარჯუებოდა, ფალავანზედ შეჯდებოდა. და, უკეთუ შეატყვეს ომსა და გამარჯუე-ბა მისკენ არ იყვის, მაშინ შეჯდებოდა შურდანსა და ნამოვიდოდა.

ხოლო ესე ყოველივე ზნე და საქციელი. ძისი უწყოდა ერთმან ვინმე თურქისტანისშვილმან, რომელი იყო შეზრდილი მეფისა სკ-მონისი, და ესე მან უნყოდა. და რაჟამს გაჭირდა ომი და შეატყო მეფემან, რომე გამარჯუება დადიანს დარჩებოდა, მაშინ მოითხოვა მარქაფა შურდანი მომგუარეთო.

მას უამსა მოაწენა თურქისტანიშვილმან: „მეფევ, ნასვლის დრო



ბეჭი ეჭნაციშვილი

თუ არ არისო, რასთვის მოითხოვე შურდანიო“. ნარდგა თურქისტანისშვილი და თქუა: „აქედამ შუბმოუქნეველი არ წავალო. შეუტივა და ჩამოაგდო კაცი და იყო გულსრულად დამარცხებულს ომში თურქისტანიშვილი.

ხოლო მეფე სკმონ ნარმოვიდა მარტო. მაშინ მეფემან სკმონ რომ გარდმოვლო კოლბეურის მთა, მივიდა ერთი დედაკაცი კოლბეურელი და მოაქსენა მეფესა სკმონს და შეეხუენა, რომე ჩემი შვილი იახელითო. ხოლო მეფემან ასე უბრძანა: „დედაკაცო, მე კაცითა მთვრალი ვარო. კაცი არ მეჭირებაო“. და ოდეს დაუმარცხდა მეფესა სკმონს და ნარმოვიდა მარტო, რომ ერთი კაცი აღარ ახლდა, მაშინ დედაკაცი იგი სთოვნიდა ახოსა. და განგებით მოჰყდა, რომე მეფე სკმონ იმავ დედაკაცსა შეეყარა. და იცნა დედაკაცმან და სცნა, რომ დამარცხებიაო. მაშინ მოაქსენა: „მეფეო, ვეჭობ, მაშინ რომ კაცით მთვრალი იყავ, გამოგნელებიაო“ და რა ესმა ესე მეფესა, მისცა მაღლობა ღმერთსა და ნარმოვიდა მსნრაფლ და გარდმოვლო. მთა და მიინია ქართლად.

ხოლო შეიბა თურქისტანისშვილი და ნარმოვიდა იგიცა. და მეფე მოვიდა კავთისქევს და მიადგა ერთისა კაცისა სახლსა, რომელი იყო მდაბალი გლეხი, რამეთუ მეფე დამაშურალ იყო და ითხოვა მისგან განსუენება. და გამოვიდა ქალი ერთი და ვერა იცნა, შეუძლუა და დააყენა კარგად, რამეთუ ქმარი მის ქალისა ლაშქარში იყო. და რა-ჟამს მოუმზადა სერი და მოართუა და იქმია მეფემან, შეატყო არლა-რა ნდომა საჭმლისა. მაშინ ჰყითხა ამბავი მეფისა და სპისა მისისა, თუ მეფე რა იქმნაო. ხოლო სკმონ მეფემან ესრეთ თქუა: „არა უწყი მეფისა, თუ რა იქმნა“. და რაჟამს ესმა დედაკაცსა მას სიტყუა ესე, დიდად იწყინა და იმნუხარა და იტირა. და შემდგომად ამისა ჰყითხა ქმრისა მისისა, ნიშნეულად ანიშნა, რომე ამგუარი და ამისთანა კაცი იყო, და ის რა იქმნაო. მეფემან მისიცა უთხრა, არა უწყიო. მაშინ დედაკაცმან უთხრა, რომე, თუ ღმერთმან იპრიანა და მეფე მორჩაო და ის მშვდლობით არისო, ჩემი ქმარიც იმისი ჭირის სანაცვ-

ლო იყოსო, და სხუანი, რომელნიცა მყვანანო, იგინიცაო. მაშინ დიდად იამა მეფესა სკმონს სიტყუა ესე ერთგულობისა დედაკაცისა მისგან, და შემდგომად ხანსა რაოდენსამე დაუწყო წყალობა მეფემან სკმონ დედაკაცსა მას და ქმარიცა მოუვიდა და განააზნაურიშვილა. და არიან ახლაც გაკეთებული კაცნი იგი, რომელი არიან ქულივიძენი.

და რაუამს სმენოდა ლორეს მყოფთა ურუმთა დამარცხება მეფისა, მას უამსა გამოსულიყვნენ ურუმნი ციხიდამე და მოერბიათ კერძონი რამე ქართლისანი და დამდგარიყვნენ ტაშირზედა და იხარებდენ. მაშინ მეფემან სკმონ შემოიყარა ჯარი მცირე, სპა თვესი, რომელიცა დარჩომილიყვნენ ქართლსა შიგან. წარვიდა მეფე და მიუჭდა ლორეს ურუმთა და გაემართა, და ამოსწყვეტა. და ალიღო ციხე იგი და გამარჯუებული წარმოვიდა. კუალად დაიპყრა ციხე ლორისა, შემოიქცა და მოვიდა თვესად სახლად.

ხანსა რაოდენსამე უკანა წარვიდა ზემო ქართლად და რა მიიწია გორისჯუარს,

-- და მას უამსა ეჭირა გორის ციხე ურუმთა, -- მაშინ დაჯდა სკმონ მეფე გორიჯუარსა და დაუწყო ღვნოს სმა, რამეთუ, რაუამს და-ეტყუევებინა ყაენსა სკმონ მეფე ციხესა ალამუტისასა, მაშინ გასწყობოდა თრიაქის ჭამასა და ღვნის სმასა და მიერითგან ეწეობოდა თრიაქისა. და მაშინცა, გორისჯუარს რომ მივიდა, ჭამა თრიაქი და გამხიარულდა. გახედა გორისაკენ და ნახა, რომე ახალი მწუანილი ამოსულიყო და გაზაფხულის პირიც იყო. ოდეს გამხიარულდა, მოუნდა აფიონი, ვითარცა წესია აფიონისმჭამელთაგან მონთომება საჭმლისა რისამე.

მაშინ ქართველნიცა თანა ახლდენ და თქუა მეფემან: „ესე როგორ გეკადრებათ ქართველთა, რომე მემწვანილი მინდა და თქუენ გორიდამ მწუანილს არ მომიტანთო“. მაშინ გავიდნენ ქართველნი და ჩავიდენ გორის ბოსტნებში და დაგლიჯეს მწუანილი. და დაუშინეს ციხიდამ ურუმთა და ისროლეს მრავალი და ამოსწყვეტეს ქართველ-


 ბეჭი გუნაფაშვილი

ნი მრავალნი, დიდნი და მცირენი, და მაშინ მოკლეს ბატონიშვილი გოჩა, რომელი იყო პაპის ძმისწელის შვილი მეფისა სკეონისა, და სხუანიცა მრავალნი თავადნი ამოსნყვტეს. და მაშინ დაგმეს მეფე სკმონ უჭურობაზედ, რომ მნუანილისათვს ამდენი კარგი კაცი ამოსნყვტეს, და ამას ურუმნიცა და ყიზილბაშნიცა დელუ-სკმონს ეძახდენ, რომელი ითარგმანების ხელი სკმონ წელმწიფე.

ხოლო რა ნახა სკმონ მეფემან საქმე ესე ურუმთაგან, ენყინა და შეიყარა სპა და მცირეცა ხანსა შემოადგა გორსა და აიღო ციხე და მოსრა ყოველი ოსმალი, რომელი იყო ციხესა გორისასა.

და ესმა რა საქმე ესე ხგანთქარს, ინყინა და ნარმოავლინა სარ-დალი ჯაფარ ფაშა და სხუა სპა მრავალი. და მოვიდნენ და დადგნენ ნაწილურის მინდოოშია და დაიბანაკეს. მუნ შეიყარა მეფემან სკმონ-ცა სპა თვისი და მივიდა, დადგა თავსა სალირაშნისასა. და მცირეთა ხანთა შინა ნარვიდა თუთ მარტო დასახედავად ჯარისა ათი-ოდენის ცხენოსნითა და ნარიყვანა თანა ერთი მექანარე. და მივიდა და გარ-დადგა თავსა ნაწილურისასა; რომელ არს მცირე ეკლესია, მუნით-გამო უჭურეტდა და სჩხრეკდა ჯარსა ოსმალთასა, რომელსა იდგა ურუმნი, რათა დასხმოდა თავსა. და, რა დახედა, რქუა მექანარესა დაძახება ქანარისა, რათა შეეტყო მეფესა, თუ ვითარ, უშიშრად არ-იან. და რა ესმა წმა ქანარისა ურუმთა, უთუოდ მეფე სკმონ მოვი-დაო, დაიწყეს კაზმა და შესხდენ ცხენებსა.

ხოლო რაუმას იხილა მეფემან სკმონ, ნარმოვიდა თვისისა ჯარი-საკენ. ოსმალნიცა მის ქანარის წმისაკენ გამოუდგნენ უკანა. და მოვიდა ფარცხისსა, და მომავალსა დახუდა ლია და დაეფლა ცხენი ლიაშიგან. და ვირემ ცხენსა შეჯდებიდა და ანუ გაარჩევდა საქმესა მისსა, ამაზედან ოსმალნიცა მიესწრენ. და გაიცნეს რა მეფედ, შე-მოესვივნეს გარე. და მეფე, ვითა სიკეთესა მისსა პფერობდა, ეგრე იყო, მაგრამ მარტოობით ველარა გაანყო რა და შეიძყრეს მეფე, ქრისტეს აქათ ჩ-ქ. ხოლო ქე მეფისა სკმონისა, გიორგი ლაშქარ-თა შინა იყო და მიერითგან ალიყარნეს და ნარვიდენ, და მეფ-

ეცა თანა წარიყვანეს და წარვიდეს მსწრაფლ, რამეთუ ეშინოდათ ქართველთაგან და ძისა მისისა გიორგისგან, რომე ამას არ გაგუა-ტანებენო უსიკუდილოდ.

ხოლო სცნეს რა ესე ქართველთა და გიორგი, გამოუდგნენ უკან-ით და სდიეს მოჭირვებით და ვერლარა მიენივნენ. ხოლო ურუმნი მივიდეს ლორეს და ალიღეს ციხე ლორისა და შეაყენეს შიგან ჯარი თვესი, და წარვიდეს და წარიყვანეს მეფე სკმონ და მიიყვანეს სტამ-ბოლს.

მეფე ფიორზი

ხოლო ძე მისი გიორგი პატრონობდა ქართლსა ზედან და წარგ-ზავნა კაცი სტამბოლს და შეუკუეთა საქსარი მამისა თვესისა. და ეს-ეცა თქმულ არს, რომე ხონთქარმან მრავალი წყალობა და დიდება აძლია მეფესა სკმონს რომე ქართლს ბეგარა დასდეო და მეყმეო, მაგრამ არა ქმნა მეფემან. ქართლს ყაენის ბეგარა სკმონ მეფემ დასდევა კუამლის თავს მარჩილი გლეხსა, და იმ თეთრითა იყიდდა შედე ტყუესა და გაუგზავნიდა ყაენსა, – მიერითგან დადებულ არს ტყუე ქართველთა ზედა, – და არა დასდევა ხვანთქრისა. და საქ-სარი შეუკუეთა და გამოგზავნა ძესა თვესა თანა გიორგისსა კაცი და რაოდენი მათთვეს საქსარი ეთქუა, იგი თეთრი სთხოვა. და მაშინ გაუგზავნა გიორგი საქონელი, რაოდენიცა ან მამისა დარჩომოდა, და ან თვესი ჰქონდა გიორგის, და ან რაოდენიცა ქართველთა დარ-ბაისელთა ჰქონდათ. ანუ საყდრისა და მონასტრისა იყო საქონელი, ყოველივე გაუგზავნეს. და სანამდის საქონელი ესე მივიდოდა, მან-ამდი მეფე სკმონ მომკუდარიყო პატიმრობაში და საქონელიც იქ დარჩა.

ხოლო მეფე გიორგი მოადგა ციხესა ლორისასა და ალიღო ციხე და დაიპყრა ლორე.


 ბეჭი ეგნატემიშვილი

შემდგომად ამისა მოკუდა მპყრობელი იმერეთისა როსტომ, ქრისტეს აქათჩ-ქიდ, და არა დარჩა ძე. ხოლო მწევლისა ნაშობი ჰყვა ძე ერითი გიორგი და დასუეს მის ნილად პატრონად იმერეთისა.

ხოლო მოკუდა დადიანიცა მანუჩარ და ჰყვა მას ძე ერთი სახელად ლევან, ნაშობი კახის ბატონის ქალის ნესტან-დარეჯანისაგან. და ესე ლევან ნარმოეყვანა კახეთს კახს ბატონს ალექსანდრეს, პაპასა მისესა, და გაეზარდა. და რაუამს მოკუდა მანუჩარ დადიანი, გამოგზავნეს ოდიშართა კაცი და სთხოვეს იგი და ნარიყვანეს, მიიყვანეს და მუნ დადიანად დასუეს და გაძალიანდა.

ხოლო კახეთს იჯდა ალექსანდრე. მაშინ მოვიდა ყაენი შააბაზ აღებად ერევნისა და იქმო მან მეფე გიორგი და პატრონი კახეთისა ალექსანდრე შუელად და აღებად ერევნისა. და ნარვიდენ ორნივე ესენი სპითა თვისითა. და სამს კუთხეს თვთან თავისის ჯარით ადგა და ერთს კუთხეს ესენი დააყენა. და, რაუამს ბრძანა ყაენმან იერიში, მაშინ უმეტესად ყოველთა ქართველთა მონქირვეს და გარდავიდენ გალავნებში და იომეს დიდად და, სანამდი ყიზილბაშნი შევიდოდეს, ქართველთა აიღეს სიმაგრენი, უჩუენეს ძალი და მოჭირვება ყაენსა და ალიღეს ციხე.

მაშინ დაიპყრა ერევანი, და მერმე დაუწყო ყაენმან მეფეს გიორგის ლაპარაკი: „რადგან ხვანთქარი ჩემი მტერიც იყო და შენიცაო და ახლა რადგან მე გავრჯილვარ და აქ მოველო, ლორე ჩემი იყოსო“. მაშინ მეფემან გიორგი ჯერეთ შორს დაიჭირა და, რადგან მოჭირვებით სთხოვა, სხუა ლონე ალარა ჰქონდა და დაანება. მაშინ დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ და შეაყენა ჯარი თვისი ციხესა მას შინა. შეიქცა და ნარვიდა თვისსა სამეფოსა. და ესე უყო შააბაზ მეფესა გიორგის მამისა მისისა სამსახურისა და თვისისა სამსახურისა მაგიერად, რამეთუ ესე შააბაზ [იყო] კაცი მცბიერი და მოყუარე მზაკუარებისა, მცოლებელი კაცთა და მატყუარი.

და ვითარცა მოვიდენ მეფე გიორგი და კახი ბატონი ალექსანდრე სამყოფსა თვისსა, მაშინ ინებეს ხილვა და სტუმრობა მეფის

გიორგისა ბატონის ალექსანდრეს ძეთა, დავით და გიორგი, რამეთუ მეფის გიორგის ბიძაშვილნი იყვნენ დედით. და, რა მიინივნენ, მიეგება მეფე ავლაბარში და შემოუძლება და დააყენნა. დიდად იამათ შეყრა ერთმანერთისა და იღხინნეს დღესა როდენსამე. და მერმე კუალად უწმო შიგან თვესა სერსა ზედა და ნარვიდა დავით. ხოლო გიორგი მიზეზ ყო ღვნის უსმელობა და წყენა ღვნისაგან და არა ნარვიდა, და ნარვიდენ იგინი. მაშინ გიორგი მოუწოდა მის თანა მყოფთა კაცთა იდუმალ, რამეთუ წინათვე განეგულვა აღრჩევით საქმე ბოროტი, შურითა ბერლზებულთათა სიკუდილი ძმისა თვესისა უხუცესისა დავითისი. რამეთუ ესე დავით იყო კაცი მრისხანე და ამაყი, ხოლო გიორგი იყო კაცი შეენიერი ხილვითა და კეკლუცი, და ყმათათვეს კეთილი და უხუ. და ამისთვეს უმეტეს მისდა მიივლოდენ, ვიდრე დავითისა.

და ჰეგონებდა გიორგი, ვითარმედ მთვრალ იქმნების ღვნითა იგიცა და მისთანანი კახნიცა და მაშინ აღასრულებს ხენეშთა გულისნებასა თვესა. და აუწყა ყოველივე მუნ მყოფთა და შემოიფიცნა კახნი და იმარჯუებდა უამსა მარჯუესა და უთხრობდა ყმათა: „მომყევით და მოველავ ძმასა ჩემსა და დავიპყრობ კახეთა“.

და რა შეფიცნა ყმანი თვესი, მაშინ იყო ვინმე ჩოლაყაშვილი, კაცი ღმრთის მოშიში, სახელით ბარამ. ესე წარვიდა მსწრაფლ და აუწყა ყოველივე დავითს და მოაქსენა საიდუმლოდ, რაცა განეგო მისთვეს გიორგის ძმასა მისსა. და, რა ესმა საქმე ესე დავითს, მყის წარმოდგა სერისაგან და წარმოვიდა და გამოჰყვნენ ყოველივე კახნი; და ვითარცა მოინია ძმისა კარავსა შინა, მაშინ იხილა გიორგი, რამეთუ იჭურვოდა საჭურველით მაშინ რქეა: „ძმაო, რას საქმეზედ იჭურვებიო“ და ვერარა სიტყუა უგო. მაშინ შეიპყრა ძმა თვეი გიორგი და რაოდენიცა იყვნენ კახნი შეფიცულნი მის თანა. და ვეღარც მეფემან გიორგი უსაყუდურა საქმე ესე დავითს ამისთვეს, რომ უმართლე იყო. და წარმოიყვანა ძმა თვესი და თორლას ციხეში პატიმარ ყო, და თორმეტინი ყმანი, მისნი შეფიცულნი, ჭოეთის ციხიდამე


 ბერი გეგნაცემები

გარდმოყარნა და დაწოცნა, სხუანი შეფიცულნი მისნი პატიმარ ყვნა. და თვთ ბატონობა მისი მიუღო მამასა თვსსა და თვთ გაბატონდა. და თუესა ექუსსა იბატონა და მოევლინა რისხვა ღმრთისა მამისა უსამართლობითა და მოკუდა.

და კუალად დაიპყრა მეფობა მამამან მისმან ალექსანდრე და გამოიყვანა ძე მისი გიორგი ციხიდამე, რამეთუ არღარა ჰყვანდა ძე მის მეტი, და ამყოფა თვსთა თანა.

ხოლო ამა დავითს ჰყვანდა ცოლად ასული აშოთან მუხრანის ბატონისა ქეთევან, და დედისიმედისა, რომელი შემდგომად მონამე იქმნა, და. ესე ქეთევან იყო გონიერი; და მაშინ სცნა, ოდეს მოკუდა ქმარი მისი დავით, დარჩა კახეთი გიორგის. და ამას ქეთევანს ჰყვანდა ძე ერთი დავითთან, თეიმურაზ, და შეეშინა ქეთევანს ახსოვდა, ოდეს დაიჭირა დავით ძმა მისი გიორგი და დაატყუევა ციხესა შიგან, ეშინოდა ქეთევანს ძმისა მისა მისთვეს, და წარგზავნა ყრმა თვისი ყაენთან შიშისათვეს გიორგისა. რამეთუ ეშინოდა გიორგისგან, მაზლისა თვსისა, და მისთვეს გამოგზავნა ყაენთანა და თანაგამოატანა შერმაზან ჩოლაყაშვილი. და მივიღნენ შააბაზთან, და შააბაზ ვითარცა ძე ეგრეთ შეიტკბო.

ხოლო ამას შააბასს სწადოდა დაპყრობა საქართველოსა, და მრავალი ღონე და წერვი იქმარა და ცდილობდა, რათამცა დაეპყრა საქართველო, და ვერ შეუძლო. მოიპოვა ღონე ესვეითარი: რომელი მიეცა კახ-ბატონს ალექსანდრეს ძე თვისი კოსტანტინე ესე გაეზარდა შააბაზს და გაენუართა სჯულსა ზედა მაპმადისასა. და ამა კოსტანტინეს წელით გაუგზავნა ხალათი მამასა მისსა ალექსანდრეს, და გაატანა თანა ჯარი და შირვანელი, და ესრეთ დააბარა კოსტანტინეს: დავით “ხომ მომუდარა და სხუა აღარავინ დარჩომილა მამის შენის მეტი, ნადი და მოკალ მამა-შენი და ძმა-შენი, და კახეთიც შენ დაიჭირე”.

და წარვიდა და წარიტანა ჯარიცა თანა და რა მიახლოვდა გაუგზავნა კაცი მამასა თვსსა და ესრე შეუთუალა, ვითარმედ: „ყაენ-

მან ხალათი გამოგზავნა და მეც დასტური მომცა და გამომგზავნა შენად სანახავად“ და რა მოუვიდა მახარობელი, ესრეთ განიხარა დიდად, რამეთუ მაშინ იდგა გრემს, წარმოვიდა და მოეგება ბაზარს ძესა თვესა და შეიყარნენ მუნა. და მუნ ჩაცვა ალექსანდრე ხალათი და დიდად განიხარა შეყრა და ნახვა ძისა თვესით. და დღესა რაოდენსამე იყვნენ ლხინითა და მოსუენებითა.

დღესა ერთსა ანკა თვესა კარავსა მამაცა და ძმაცა თვესი და უთხრა ესრეთ, ვითარმედ: „ყაენის საქმე მაქუს“, და დაითხოვნა კაცნი და წარვიდენ კარვად თვესად, და დარჩა მას თანა რუსთველი და ძმა მისი. და რაუამს ესრეთ დააჭილა, მაშინ დაპირებული ჰყვან-და ყიზილბაშის ჯარი და შემოცვივდენ კარავშია და უღალატა და დაკოცეს. მაშინ მოკლა მამა და ძმაცა თვესი და რუსთველი, ყორჩი-ბასიცა ძმა მისი, ქრისტეს აქათ ჩ ქიე.

ხოლო რაუამს აღასრულა ესვეითარი უკეთურება და კუალად შესძინა უკეთურება უკეთურებასა ზედა: და მაშინ მოუგზავნა რძალსა თვესა ქეთევანს კაცი, რომელი იყო ცოლი დავითისა და დედა თეიმურაზისა, და შეუთუალა, ვითარმედ: „შეგირთავ ცოლად და შენცა მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს ნესი და ჩუეულება სჯულად მაჰმადისა“.

და რა ესმა საქმე ესე ქეთევანს, და შეწუხნა დიდად და მოუწოდა რაოდენთამე კახთა და უთხრა საქმე და შეეხუენა მოდგომასა საქმესა ამას ზედა. მაშინ მისცეს კახთაცა პირობა და შეპფიცეს, რომე შენს მეტი ბატონი ჩუენ არ გვინდაო. და შეიყარნენ და წარვიდენ და შეებნენ. და მისცა ღმერთმან ძლევა ქეთევანს და განემარჯუა კოსტანტინესა ზედა: და მოკლეს კოსტანტინე კახთა და გამოაქცივეს ჯარი ყიზილბაშთა.

და რა გამოაქცივეს ჯარი ყიზილბაშისა, მოართუეს ამბავი ესე შააბაზს. და რა ესმა საქმე ესე, მაშინ მოიქმო შააბაზ თეიმურაზ, ძე კახის ბატონისა, რომელი წარეგზავნა დედასა მისა ქეთევანს ყრმა მცირე, და აგინა დიდად კოსტანტინეს, დაგმო და უთხრა თე-


 ბეჭი ეკნაცაშეოლა

იმურაზს: კოსტანტინეს“ დაუწოდია მამა და ძმა თვესი და ან იგიცა მოუკლავთ, ახლა შენთვის მომიცემია კახეთი და ნაღი ჩაფრად და დაიჭირე კახეთი“. რამეთუ ამისთვის ქმნა საქმე ესე შააბაზ, რომე დიდად ეშინოდა ქართველის მეფისაგან, ნუუკუე კახეთი მან დაიპყრასო, და ამისთვის გამოგზავნა თეიმურაზ ჩაფრად.

მაშინ ნარმოვიდა თეიმურაზ ჩაფრად და მოვიდა კახეთს. და მივიდა დედისა თვესისა თანა. და იქმნა სიხარული დიდი და მხიარულ იქმნენ კახნი ფრიად. და გაბატონდა თეიმურაზ, და მაშინ იყო ნლისა ცამეტისა.

მეტე ლუაჩისაბ

და მას უამსა მოკუდა მეფე გიორგი და დაჯდა მის ნილად ძე მისი ლუარსაბ პატარა. და ამას უამსა შინა იყო ქართლი ფრიად გლახ-აკი და საქმართაგან უღონო: ლაშქრობისა და ოქრებისაგან პირველად იავარ ქმნილიყო ურუმთაგან, და უფროსად, სკმონ მეფე რომ ურუმთ ტყუედ ჰყვეს, მაშინ გამოილეს საქსარი მრავალი და არღარა დაზოგეს რა ქართველთა თავისის ბატონის გამოწინისათვეს. და ამაში მეტად გლახაკ და უპოვარ იყო ქართლი, ხოლო კახეთი იყო ფრიად მორქმული და მდიდარი.

ოდეს მოკუდა გიორგი მეფე, დარჩა ორი ასული შუენიერი და სატრფიიალო: სახელი ერთსა ხორაშან და მეორესა თინათინ. და რა-უამს გამეფდა პატარა ლუარსაბ, მაშინ სთხოვა ყაენმან შააბაზ და თვესი ცოლად. და მისცა და თვესი თინათინ და ესუა ცოლად შააბაზს.

და მაშინ კეთილად პატრონობდა ბატონი თეიმურაზ კახეთსა. და რა იქმა ნლისა ათხუთმეტისა, მაშინ ითხოვა ქალი გურიელისა და ქმნა ქორნილი პატიოსანი დიდად გამოჩუენებით. და ხანსა რაოდენსამე უკანა მიეცა ძე ორი: სახელი ერთისა მის ალექსანდრე,

მეორისა ლევან. და ამისა შემდგომად მიიცვალა ცოლი ბატონის თეიმურაზისა, ასული გურიელისა. და ყო მწუხარება და გლოვა დიდი ბატონმან თეიმურაზ და სრულიად კახთა, და იყვნენ დიდსა ურვასა შინა.

მაშინ მიესმა საქმე ესე შააბაზს, გლოვა და მწუხარება კახის ბატონისა, ნარმოგზავნა კაცი და შემოუთუალა, ვითარმედ: „მესმა შენი მაგ[გ]უარი მწუხარება და შეჭირვება, და ნარმოვედ ჩემდა, და მნახე და განიხარე, და მოგცემ წყალობასა და საბოძვარსა მრავალსა“

ნარვიდა თეიმურაზ და მივიდა ყაენთანა და დახუდა ყაენი დიდად კარგად და მისცა მრავალი და გამოიყვანა გლოვისაგან. დიდად ლხინობდენ და შეექცეოდენ. და შემდგომად ხანსა რაოდენსამე მიწებო ბატონი თეიმურაზ საიდუმლოდ და უთხრა ყაენმან ესრეთ, ვითარმედ: „მეფესა ლუარსაბს სთხოვე და მისი ხორაშან და შეირთე ცოლად, რამეთუ იქმნები ქუისლი ჩემი და მოყუარე ლუარსაბისა და არღარა იქმნება თქუენსა და იმას შუა მტერობა და შური“. ხოლო მეფემან თეიმურაზ უთხრა უარი, რამეთუ ეყოდენ და ნათესავნი იყვნენ, პაპიდაშვილი იყო, და ამისთვის უთხრა დიდი უარი. მაშინ არა უსმინა შააბაზ და უნყინა და, რადგან დაუუინა, ნება დართო თეიმურაზ და მორჩილ ექმნა და ჩამოჰყვა შერთვასა ხორაშანისასა. და ნარმოგზავნა თვეს[ს]ა ადგილსა და მოვიდა თეიმურაზ კახეთსა. ხოლო ყაენმანც მოსწერა ლუარსაბს მოყურობა თეიმურაზისა. და სთხოვა ქალი თეიმურაზ, და ყაენის სიტყუას ვერცა ლუარსაბ გარდავიდა და მისცა და თვესი ხორაშან. და ნარიყვანა ქალი და ქმნა ქორნილი პატიოსანი თეიმურაზ.

ხოლო ამა უამსა შინა ხონთქარი სულთან მურად ბალდადს მინენულიყო და ყირიმის ჯარი თან ახლდენ. და რაუამს ხვანთქარს სულთან მურადს ბალდადის საქმე გაერიგებინათ, მაშინ ყირიმის ჯარისათვეს დასტური მიეცა. მაშინ ერთსა ვისმე თათარხანთათვეს ერჩია, რომე, რადგან ნავალთ, ქართლის გზა დიალ კარგი არის და ჩუენზედაც მარჯუე არის, და იმაზედ გავიაროთ და საშოვარიც


ბეჭი ეჭნატქვილი

მრავალი ვიშოვნოთ და წარვიდეთ უზიანოთ. და წარმოქმართნენ ქართლზედ ვითარ სამოცი ათასი კაცი. და მას უამსა მეფე ლუარსაბ იდგა ქრცხინვალს. და ამ უამში გამდიდრებულ იყო ქართლს მოურავი სააკაძე გიორგი, რომელი იყო მოურავი ტფილისისა, და ესრეთ გამდიდრებულიყო, რომე შემდგომად მეფისა იგი იყო. და ამას უთხრეს ქუეყნის არევის მოყუარეთა და მეჩეუბართა კაცთა, ვითარმედ: „მეფე სიკუდილს გიპირებს, რამეთუ სძაგს სიმდიდრე და მორქმა შენი“. ხოლო მოურავს რა ესმა საქმე ესე, დაინყო რჩევა და ლაპარაკი. მაშინ მიუგზავნა მეფემან კაცი და შეუთუალა, ვითარმედ: „რა გნებავს. ყოფად, რომე დღითი-დღე არა დასცხრები ლაპარაკისაგან და ჩურჩულისაგან“. ხოლო მოურავმან მიუგზავნა მროველი ავალიშვილი დომეტი და შეუთუალა ესრეთ, ვითარმედ: „სიკუდილსა და ლალატს მიპირებო და რას მემართლები, დანა-შაული რა მაქუსო, რომ მინყრებიო და გნებავს სიკუდილი ჩემიო“. ხოლო მეფემან უარყო და ფიცით შეიჯერა, ვითარმედ: „არა მნადს სიკუდილი შენიო“.

და ამა უამსა შინა მოუვიდათ ამბავი, რომე თათარხანი თრიალეთზედ მოვიდაო. მაშინ გუნება ვერ დაასერეს მართლა და გაგზავნეს იარალი, რომე წადი და მართალი შეიტყევო, და გზები შეკარო, და ადრე გვაცნობეო ამბავი, თუ მოსულანო. რამეთუ მაშინ მეფე იყო სუბათ და არავინ ახლდენ დარბაისელნი ქართველნი, რამეთუ იყვნენ თავისა, და წარმოვიდა და დადგა მეფე ცხირეთს.

მაშინ წარვიდა იარალი და დახერგა გზები და ერთსა მოსავალსა ალაგსა დადგნენ თვთან. და თვთ უგრძნობლად თავს წამოადგენ თათარნი და მძინარენი ამოსწყვეტეს და დაწოცეს, და ერთიცა მათ-განი არავინ განერა.

და წარმოვიდნენ თათარნი და მოვიდეს და დაწვეს მანგლისი და კუელთა. და მუნ კუელთას შეიძყრეს მღდელი ერთი, სახელით თევ-დორე, პატიოსანი და მოშიში ღმრთისა და ერთგული მეფისა თვსისა. და რა მოვიდენ გოსტიბის თავსა, დაუწყეს მღდელს თევდორეს

ლახტითა ცემა და ეტყოდენ, ვითარმედ: „მიგვიძელ მეფეზედა“, და სწადდათ სიკუდილი მეფისა. და მღდელმან გულში ასე თქჲა: „ჩემის ორის დღის სიცოცხლისათვს ამას რატომ ვიქ, ან მიუძღუ და მეფე მოვაკულევინ და ქართლიც გააოწრონ, მე რაღა მეშუელებაო და ან ჩემს სულსაო“. მაშინ მღდელი წამოუძღუა და ქუენადრისის გზაზედ ჩამოუძღუა, ერთანმიდასა და ცხირეთზედ დიალ შორს დარჩნენ; და მაშინ სცნეს ყირიმთა, რომ მეფეზედ შორს იყვნენ, და გააგდებინეს თავი მღდელს თევდორეს. და შეირაცხა წმიდათა მონა ამეთა თანა.

და რა მოიცეს ერთანმიდა, ახალქალაქი, მაშინ წამოხედეს ცხირეთიდამ მეფემან და სპათა მისთა, რამეთუ ქრცხინვალიდამ წამოსულიყო მეფე და ცხირეთს მოსულიყო, და ნახეს ჯარისა სიმრავლე. მაშინ თანა-ახლდა მოურავი გიორგი და ციციშვილი ზაზა. მაშინ მოაწსენა მოურავმან მეფესა ვითარმედ: „ნუ ასჩქარდებითო და ვნახოთ ლერთმან რა მოახდინოს“. რამეთუ იყო ესე მოურავი კაცი გულსრული და კარგი სარდალი, ჭუუანი და გონიერი. და წარვიდა მოურავი, და რომელიმე იყვნენ გარემონი ჯარნი, მოვიდა და შემოეყარა მეფესა, და სხუანიცა ბარათიანნი და რომელიცა იყვნენ მის-კერძონი ქართველნი; შეიყარა ჯარი თვისი, რაოდენიცა ჰყვანდა, და ზაზაცა თანა-ახლდა. და წარვიდა მოურავი ყირიმის ჯარზედ და ჩავიდა ნიაბთ ბოლოსა სხერტის ჭალაზედა და მუნ დახუდენ ყირიმინი. მაშინ შეუტივეს მოურავმან და დაწოცა ჯარი მრავალი და ყვეს მრავალი მარცხი და ზიანი. ხოლო ზაზა ციციშვილმან მოკლა ერთი დიდი ფაშა და ჩამოქდა, თავსა სქრიდა. ამაზედან წამოადგნენ მრავალნი ყირიმინი და, რა სცნა, ზაზამან მოჭრილი თავი წუერით ქბილში დაიჭირა და მოახტა ცხენსა და წარმოვიდა. და სხუანიცა მრავალნი სახელნი ქმნეს იმ დღესა. მოვიდენ და მოართუეს მეფესა მრავალნი თავნი და წატყულენავი.

შემდგომად ამისა აიყარნენ თათარხანნი და წავიდენ საციციანოსაკენ. ხოლო მისწერეს მეფემან ნიგნი ერისთავებსა და მუხრანის


 ბეჭი უცნაცაშვილი

ბატონისა და შიდა ქართლელთა ყოველთავე, რათა შეიყარონ ჯარი თვესი და სურამის ბოლოს დახუდენ. ხოლო ყირიმი წარვიდენ, მივიდენ დოეს[ს]. და, რა მივიდოდენ, მაშინ ერთი ტერტერა გორელი გორიდამ მოვიდოდა თავლსთვს უგრძნობელად. და მიმოიხედვიდა იმიერ და ამიერ ტერტერა იგი და იხილა დოესი და ველნი იგი დოესისანი აღვებულნი ჯარითა. და მაშინ სცნა ტერტერამან, რომე არა იყვნენ ქართველთაგან[ნ]ი, და სცნა, რომე უსჯულოთაგანი არიან ვინმე და მარბეველნი ქუეყნისანი. და მსნრაფლ უკუნიქცა ტერტერა იგი, და მიივლტოდა გორის-კერძო; განვლონ ჭიდი მტკურისა, და გარდაყარა ფიცრები ჭიდისა სრულიად, და ჩაყარა წყალსა შიგან, და აშალა ჭიდი; და მივიდენ ყირიმინცა ზედა-მინევნით, და დახუდა ჭიდი აყრილი და შეუძნდათ ფრიად და ვეღარა გაიარეს ჭიდზედა.

მაშინ დაჭმუნებულნი მიიქცენ და წავიდენ გზასა საციფიანოსასა და შევლეს საციფიანოსა ზედა, დაწვეს და დადაგეს საციფიანო. და წარვიდეს და მივიდეს ბრძონას და დაიბანაკეს მუნ. მაშინ დააქციეს სახლები, გადვეს ჭიდი და გავიდენ მტკუარსა, მივიდენ და დადგნენ ტაშისკარის ბოლოს ნახვეტაში.

ხოლო მეუე ლუარსაბ და მოურავი წარმოვიდენ და მოვიდენ ახ-ალდაბას. მაშინ იყო მტკუარი დიდი, რამეთუ თუე იყო ივნისი, და არა იყო ფონი. მას ღამესა ათივეს ღამე ვედრებითა და ლოცვითა მწერვალითა, და მიანდვეს საქმე ღმერთსა და დაასკვნეს. შესვლა მტკუარშია ფონად, და ეგრეთ განვლად მიერ წიაღად. და ვითარცა გათენდა, შევიდეს წყალსა მას შინა. და იყო მაშინ მტკუარი სავსე და არა ეტეოდა კალაპოტში. და იყო ღმრთისა საფარველი მათ ზედა და განვიდეს უვნებელად ესრეთ, რომე არაფერისთანა არა წამ-ჭდარა რა, არცა კაცი და არც ბარგი, და ეგრეთ განვიდეს, ვითარცა ძენი ისრაელისანი ზღუასა მას მეწამულსა, და ჩამოვლეს იდუმალ მათ, და უგრძნობელად მტკურის პირ-პირ ასე ჩამოვლეს, რომე მათ ყირიმთა ვერა უგრძნეს რა, გამოიარეს და მოვიდენ და შემოიყარეს ქართველი, რომელი იდგეს სურამის ბოლოს.

მაშინ არჩივა მოურავმან: „თხრილის პირს გარეშემო მეთოვე[] ბი შემოვახვიოთო და ცხენოსანი მინდვრად მივიღეთო“. და დაუჯერეს მოურავსა და მივიღენ ეგრეთ, როგორადაც არჩივა. მაშინ იქმნა ომი დიდი იქით და აქეთ, და დიდად მოჭირვებით და გულსრულად შეიძნენ, ძუელთა გმირთაგა ცა ძნელად შესაძლებელად საგონებელ იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდენ. და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა ლუარსაბს, ვითარცა პირველ აბრაჟამს და გედეონს. და აღსრულდა წინასწარმეტეულისა მოსეს მიერ თქმული ლევიტელთათვს ბრძანება უფლისა, ვითარმედ: „ხუთმან თქუენგანმანო წარიქციოს ასი და ასმან თქუენგანმან ბევრეულ“, და მოციქულისა პავლეს მიერ თქმული: „ძმანო, ღმრთის-მოყარეთა ზოველივე განუმარჯვოს კეთილად“. ეგრეთვე ამათ სასოებითა ღმრთისათა მიეცა ძლევა დიდი და ესრეთ განემარჯუა ურჯულოთა ზედა და მოსრეს სრულიად, ბანაკი მათი იავარ ყვეს: „რაცა ოდენ ქართლიდამ ეშოვნათ, ტყუე თუ საქონელი იგიცა ყოველივე წამოიღეს და მათიცა მრავალი წაართუეს. და რაც ოდენ შეიპყრეს ყირიმნი მოსრნეს პირითა მახვლისათა.

ენინდა მცირედი რამე ნეშტი განერნენ. იქმიეს სივლტოლა და წარვიდნენ მოსაკიდელზედა შეშინებული და დანქრეულნი. შევიდენ ტყესა და სიმაგრესა მოსაკიდლისასა, არა აქუნდათ ღონე გზის განგებისა. და მაშინ ჰპოვებდენ დედანი მოსაკიდლის სოფლისანი ტყეთა შინა დამალულთა ყირიმთა კაცთა, შეიძყრობდენ, მოპყდიდნენ დოლბანდსა და, თუ რამე ჰქონდათ, წაართმევდენ და კაცთა შეიწყალებდენ და განუტევებდნენ. ესეთი გამარჯუება მოსცა ღმერთმან ქართველთა. და შემოიქცენ გამარჯუებული და აღსავსენი საქონლითა და ჰქონდათ ლხინება და სიხარული.

მაშინ არჩივეს, რაოდენცა კაცნი დაეკოცათ ყირიმთაგანი, დასჭრეს თავები და წარმოუგზავნეს ყაენსა და მიულოცეს გამარჯუება. და გაუძღუანეს წინა გარასპი ფავლენისშვილი და, რა მივიდა

ბეჭი გუნაცაშვილი

და მიართუეს ყაენსა თავები, იამა დიდად და დაუმადლა მეფესა. გამოუგზავნა მრავალი წყალობა და მოულოცა მანცა გამარჯუება.

და ამას შინა უფროსად გამდიდრდა მოურავი: მოიპოვა ღონე ესე, რამეთუ ცოლი არა ესუა მეფესა ლუარსაბს, ყმაწვილიცა იყო, არჩივა მოურავმან, დაპატიუა მეფესა და დახუდა კეთილად. და გამოჩინებით. და სმაშიგან გამხიარულდა დიდად მეფე ლუარსაბ. მაშინ ჰყვანდა მოურავსა და ერთი მეტად შუენიერი და კელუცი და დააყენა მეღვნედ თავს მეფესა. და მოენონა მეტად დიდად და ეტრფიალა.

მაშინ მოურავს წინათვე განეგულა გულსა შინა, რამეთუ წინათ რომ მოურავმან ღალატი დასწამა მეფეს, ჰერნებდა არ დამინდობსო, ესრეთ განიზრახა, ვითარმედ მოენონება და ჩემი მეფესა და ეტრფი-ალება და მაშინ მოინდომებს დასა ჩემსა და მიცეცემ ცოლად, და, უკეთუ არა ინდომებს ცოლად, მაშინ ვინცა-ვინ ჩემნი მოკიდებულნი კაცნი არიან, უფროსად ყოველნივე მე მომიღებიან, და მეფეს შეუორგულ-დებიან და ამით წავაძენო, და თუ ცოლად შეირთავს, მტერნი ჩემნი გაუორგულდებიან და მეფეს ჩემის მეტი ღონე არ ექნება, და რა წელთ ჩამივარდება, რასაც მინდა ვიქო. დაასკუნა რჩევა ესე.

და იყვნენ ლხინზედა დიდად მხიარულნი და მოენონა მეფესა ქალი იგი. დღესა მეორესა მიუგზავნა კაცი მეფემან. და სთხოვა ცოლად და ათვის მოურავსა.

მაშინ მოურავმან მოაქსენა წერწით: „მეფეო, მე ვარ ერთი მდაბა-ლი ყმა შენი, დაღაცათუ უამსა ამის წყალობითა და თქუენის მრავ-ლი კეთილის ბოძებითა განმდიდრებულ ვარ და დიდად არს სახელი ჩემი, არამედ მტერნი ჩემნი დასა ჩემსა დედოფლად არავინ მიიჩ-ნევს და არცავინ განდომებს თავსა ჩემსა, დაგიწყებენ ბეზღობასა და გამიწყრომობენ თქუენს თავსა“.

და ამისი რა მოციქული გაუგზავნა, მაშინლა კუალად აცნობა მოურავმან დედასაცა მეფისასა, კუალად წერწით, და შეეხუენა, რომე თქუენი შვილი, მეფე ლუარსაბ, ჩემს დას მთხოვსო ცოლად,

და მე ჩემის ნებით არ ვაძლეო და მაზედ მომეწმარენით, რომე კაის საქმით მომარჩინოთ“.

მაშინ სცნა რე ეს საქმე მეფემან, არა უსმინა და შეირთო დად მოურავისა.

ვ ხოლო დედა მეფისა იყო ქალი ლიპარტიანისა, სახელითა მარიამ. მაშინ, რა სცნა ქორწილი, დაუმძიმდა დიდად, მაგრამ ვეღარა გააწყო რა. და მოიყვანა ქალი ტურფად შუენიერი და ჰყვანდა თუე-სა როდენსამე.

მაშინ თავადთა და დიდებულთა ქართლისათა და რომელიცა არა იყო მოურავის მოყუარე იწყინეს და დაუწყეს ბეზღლობა მოურავსა. და ეტყოდეს მეფესა მტერნი მოურავისანი, ვითარმედ: „მოურ-ავი კაცი დიდად კარგი არისო, მაგრამ ჩუენზედ დიდადუმცირესი არისო და [უ]მრნმესი გუარითაო. ჩუენ იმათ ცოლნი და შვილნი და თავნი ყმად რად მივსცეთო, და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად დაუწყო ბეზღლობა მოურავსა.

დაღაცათუ არა ენება მეფესა მოურავის გამომეტება, არამედ დიდად იძულეს სიტყვთა და უამ ყოველ განზრახებდეს მეფესა განტევებასა ს[ჯ]ულიერისა მის წმიდასა ქორნინებისაგან, და დი-დად უარის ყოფასა და არა რნმუნებასა წმიდისა სახარებისასა, ვი-თარმედ: „რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებენ“, და ამისთვის დიდად უბრალო იყო მეფე და სწადოდა განტევება ღმ-რთისაგან მოცემულისა მეუღლისა დიდად მიაჭირვეს სიტყვთა, და დაჰყვა მეფე რჩევასა მათსა და ებრძანა განტევება.

და რა ამაზედ დაიყოლიეს მეფე, კუალად იკადრეს სრულიად ამოწყუეტა და გათავება მოურავისა. და შეატყუეს მეფესა, რომ ყრმა არისო, და რასაც მოვაწისენბთ, ვერ ურჩ გუექმნებაო. კუალად შეს-ძინეს ბოროტი ბოროტსა ზედა და მოაწისენს: „ვინაოგან დაუტეობდა დაუგდებ მოურავსა დასა, ესე უწყით, რომე ამას მოურავი არ დასთ-მობს, დიდად სახელოვანი კაცი არის, გაგიორგულდება და ბევრი ავი მოპჰდებაო“. მაშინ ურჩიეს ღალატი და სიკუდილი მოურავისა.

ბერი ეჭნატეშვილი

და იდგა მეფე ლუარსაბ მას უამსა წავეისის თავსა. და მაშინ იქ-
მეს მოურავი და აწევს, ვითარმედ ყარაიას ვინადირებთო, მოდით
და შევექცეთო. მაშინდა მსწრაფლ მოვიდა მოურავი უზაროდ და
არა უწყოდა საქმე გაგებული მას ზედა. და სწადდა მეფესა ხვალისა
დღე სიკუდილი მოურავისა ღალატითა.

დაასკუნეს რა საქმე ესე. არა დაფარა ღმერთმან საქმე ესე, არ-
ამედ იქსნა მეფე ლუარსაბ უბრალოს კაცის სიკუდილისაგან და სის-
ხლისაგან; და მოვიდა მოურავთანა ფარეშთუხუცესი, ხერხეულიძე
ბააკა და გაამჟღავნა მეფე.

ხოლო სცნა რა ესე მეფემან ფარეშთუხუცესისაგან რომელ არა-
ოდეს უყოფიეს კაცსა გონიერსა განთქმა საიდუმლო მეფისა თვ-
სისა, შეიპყრა ფარეშთუხუცესი და დააჭრეს ცხვირ-პირი. და, რაც
ოდენ ამას ქუემოთ ნერილ არს, მოთხარა სახლისა მეფისა და აოქ-
რება საქართველოსი, ყოველივე სიტყვთა ბააკასითა იქმნა.

ხოლო სცნა რა მოურავმან საქმე ესე, გარდიხუენა შიშუელა სახ-
ურავიანის ცხენითა და განვლო გზა გელიყარისა და მივიდა ნოს-
ტევს, აჰყარა ცოლშვილი თვესი და მივიდა დიდგორის მთასა. გაჰყ-
ვნენ ყმანი თვესი.

ხოლო გამოუსია მეფემან სპა და მოვიდენ ნოსტევს და მოიცვეს
ნოსტევი და შეკრეს გზები ყოველგნით. მაშინ მოურავი შეჯდა და
წარმოვიდა ცოლშვილიანად მთა-მთა, ჩამოვლო უგზოდ მთები,
უგრძნობელად ყოველთა მდევართაგან, და ჩამოვიდა მცხეთას.
და დახუდა საბაჟოს გზა შეკრული და წილიცა. და მაშინდა განვლო
უგრძნობელად მცველთა, და განვიდა არაგუს ზეით ღამით ადიდე-
ბულსა მტკუარსა ცხენის ცურვითა ცოლშვილიანად უზიანოდ,
რომე არარა წაქდენია წყლითა.

მაშინ განსრულმან თაყუანის-ცა მწურვალად სუეტსა ცხოვ-
ელსა ღ(ვ)თივ-ალმართებულსა და წარვიდა არაგვს ერისთვის ნუგ-
ზარისასა.

ხოლო ესე ნუგზარ არაგვს ერისთვის მამა-პაპათა ამოსწყვტეს

ახალი ქაშთლის ცხოვრება

პატრონი წევისა თექთურმანისძე და დაიჭირეს წევი, და მიერით-გან მისცა მეფემან რომელთამე წადა, რომელთამე მთიულეთი და რომელთამე დუშეთი და ანანური. და იქმნეს წევისა მის ერისთავად.

და ამა ნუგზარ ერისთვისა ქალი ედგა მოურავსა. და რა სცნა ნუ-ზარ საქმე მოურავისა და მოსლვა მისი სახლად მისა, მიეგება წინა მისაქციელსა, სოფელსა მუხრანისასა, და წარუძღუა წინა და წარი-ყვანა სახლსა თვისსა დუშეთს.

და ესე მოურავი იყო კაცი მცდელი და ილათიანი, და ურჩია ნუგ-ზარს გაყოლა თვისთა თანა მრავლითა რჩევითა, საქმისა ჩუენებითა. და დაუჯერა ნუგზარ ერისთავმანცა და დაასკუნეს წარსვლა ყაენ-თანა, და მუნ მეფისა გამაგრება არა შეეძლოთ, და გაჰყვა ნუგ-ზარცა. და წარვიდენ მუნით და განვიდენ ლილოსა, და მუნით გაჰყვდეს ყურყუთას მტკუარს ფონად, და განვიდენ და მივიდენ ალ-ჯაყალასა.

და რა ნახეს მისვლა მათი ალჯაყალას მყოფთა თათართა, განიხ-არეს და მიაპყრეს. პატივი დიდი. ხანსა რაოდენსამე მუნ იყვნენ და მოურავმან (კოლშვილი იქ დააგდო, და თვით წარვიდა შააბაზ ყაენ-თანა. და რა ნახა შააბაზ, განიხარა დიდად, მრავალი ნიჭი და საბ-ოძვარი უბოძა.

მას უამსა წარვიდა შააბაზ ალებად ყანდაარისა. მუნ იახლენ, ბრძოლასა და ციხის ალებაში დიდად კარგად და სახელოვნად იყ-ვნენ. და მუნით დაბრუნდა შააბაზ და წარვიდა ბალდადს, მუნცა თანა ახლდენ, კარგად, მწნედ და მამაცად იყვნენ და გულოვნად. და რა გაარიგა შააბაზ მუნებური საქმე, წარმოვიდა და მოვიდა ის-პაანს.

მაშინ მოურავი დაპირდა ქართლის დაჭერასა და კახეთისასა, და თვთანც უნდოდა შააბაზს, და დართო წება შააბაზ წამოსვლისა.

და ხანსა რაოდენსამე უკან მოვიდა განჯას, უგრძნობლად და უცნაურად მეფისა და კახის ბატონისა. და, რა მოვიდა განჯას, მოუგზავნა კაცი კას-ბატონს თეიმურაზს და შემოუთუალა, ვი-

ბერი ეჭნაცაშვილი

თარმედ: „შენი შვილი მომეცო“. და რა სცნა საქმე ესე თეიმურაზ, იცოდა, რომ შააბაზ კაცი ხვანჯიანი და დაუნდობარი და ილა-თიანი იყო. და ესეცა უწყოდა, რომ არც მე დამინდობსო, იმასთან გაზრდილი კაცი ვარო, და არა უნდოდა გაგზავნა შვილისა, რამეთუ უწყოდა, რომ არც შვილს დაინდობდა, არცა მას. მაგრამ დაუშინეს კახთა და არა დაექსნენ, რომ მეტად ძალა უყვეს, მაშინ გაუგზავნა ძე თვისი აღექსანდრე, ნაშიბი გურიელის ქალისაგან, და დედაცა თვისი ქეთევან თან გაატანა ამისთვის, რომე უფრო პატივს დამდებს და არას ანენს შვილსა ჩემსაო, და შეეხუენა გაუწყორომლობასა.

და რა მივიდა დედოფალი ქეთევან, სცნა პატივი დიდი. და რა ნახა შვილშვილი მისი აღექსანდრე, უთხრა „ძიძა ხომ არა ვარო – ყაენჩან – რომ ასეთი პატარა ყმანვილი გამოუგზავნიაო, რასთვის უფროსი შვილი არ გამომიგზავნაო. თუ ჩემი შერიგება უნდაო, უფროსი შვილი გამომიგზავნოსო“. და გამოუგზავნა კაცი და სთხოვა უფროსი შვილი.

არ უნდოდა კახ-ბატონს თეიმურაზს გაგზავნა უფროსისა შვილისა, და დედოფალსაც ქეთევანს შემოერთუალა, ნუ გამოუგზავნიო. და არა სწადდა გაგზავნა თეიმურაზს, მაგრამ არა დაესწენეს კახნი და ეტყოდეს: „არც შენც იქ იყაო, რა დაგიმარცხდაო, ქუეყანასა რასთვის ნაახდენინებო?“ რადგან არ დაექსნენ კახნი, მასინ გაუგზავნა უფროსიცა შვილი ლევან. და რა მიუვიდა ესეცა, მასინდა გაუგზავნა კიდევ კაცი შააბაზ თეიმურაზს: „რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარო, შენცა მოდი და მნახეო და მრავალს წყალობას გიზამო“. და რა მოუვიდა ამბავი ესე, მაშინ ბატონმან თეიმურაზცა დააჯერა გული და კახთაც შეიტყუეს, რომ უნდოდა ამოსავარდნელად.

მაშინ ეზრახნენ მეფესა ქართლისასა ლუარსაბს, რომე „რადგან მოყუარენიცა ვართ და სჯობს ქუეყანისათვის, ამ საქმეზე დავერთდეთ, რამეთუ შენცა უწყი შააბაზ ყაენი საქართველოსათვის ავი არის, და მოურავიც ხომ მტერი არს შენი, და იმას მოჰყავს ყაენი და უნდათ ქუეყანის ნაწყდენა, გავერთდეთ“. და მასინ გაერთდენ

და მისცეს ფიცი მტკიცე ერთმანერთსა. და შემოიყარა თეიმურაზ კახნი და დადგა მავრა.

და რა სცნა საქმე ესე შააბაზ, წარმოვიდა თვთ და მოვიდა კახეთს. და შეიყარა თეიმურაზცა ჯარი და შააბაზ ყაენმანც წარგზავნა სპა თვსი წინა და გარდაუყენა უალეთს, და თვთ შააბაზ მივიდა ბატონს თეიმურაზზედა. და ვერღარა დაუდგა თეიმურაზ და წარმოვიდა. და მოუკედა წინა გარდაყენებულთა უალეთს მდგომთა ყიზილბაშთა შემოება მწნედ. მისცა ღმერთმან ძლევა, გაემარჯუა ბატონს თეიმურაზს: ამოსწყვეტა და მოსრა პირითა მახვლისათა ყოველნივე. წარმოვიდა და მოვიდა მუხრანს და შემოეყარა მეფესა ლუარსაბს.

პირველ თურმე ერჩივა მოურავს შააბაზ ყაენისათვს ესრეთ, ვითარმედ: „ქართლში“ ზამთარ მიდიო, ხიზანი მთაში ვერ შევაო და, რასც გინდა იქ, და თუმცა მთაში შევიდენო თოვლი და სიცივე ამოსწყვეტსო. და ესმინა შააბაზს სიტყუა მოურავისა და მოვიდა თუესა იანვარსა ხუთსა, ქრისტეს აქათ ჩ-ქედ, და აღილო ციხე თორლისა შააბაზ და გამოიღო ყოველივე საგანძური კახეთისა. და შემუსრა ჭელითა თესითა წმიდა გიორგი აღავერდისა, და შემუსრნა პატიოსანნი ხატნი და ჯუარნი, და შემოსარცუნა პატიოსანნი თუალნი და მარგალიტი, მისცა მეძავთა, ცოლსა და ხარჭათა მისთა, და ყო სამკაულად მათდა. და შეაგინნა წმიდანი ეკლესიანი კახეთისანი, და წარმოემართა ქართლსა ზედა.

მაშინ ინებს ქართველთა ომი, მაგრამ ვეღარა გააწყუეს რა და ვერცა დაუდგენ სიმრავლისაგან ჯართასა.

მაშინ წარვიდა მეფე ლუარსაბ და კახ-ბატონი თეიმურაზს იმ-ერეთს. და მოეგება მპყრობელი იმერეთისა გიორგი, ითვსა კეთილად და მიუჩინა ალაგები და დააყენა.

ხოლო შააბაზ მოვიდა გორსა და დადგა მუნ. და წარუგზავნა მპყრობელსა იმერეთისასა კაცი შააბაზ და შეუთუალა ესრეთ, ვითარმედ: „მომეც ეგევე ორნივე მეფენიდა აღგავსებ მრავლითა ნიჭითა და საბოძვრითა“. ხოლო მპყრობელსა იმერეთისასა რა ესმა


 ბეჭი ეგნატეშვილი

საქმე ესე, გაუგზავნა კათალიკოზი აფხაზეთისა მაღაქია და აბაშიძე ლევან მოციქულად და გამოუგზავნა ფეშქაშიცა მრავალი და შემოუთუალა ესრეთ, ვითარმედ: „ამათი მოცემა ჩემგან არ იქნების და წელმნიფემან ამდენი წყალობა გვყოს და დაგვდვას პატივი, რომე ესენი ისევ შეირიგოს და თვთონ წაბ[რ]ძანდეს და დაანებოს ამათ ამათი მამული და საბატონო“.

და რა მოვიდა კათალიკოზი მაღაქია და აბაშიძე ლევან, – და თანა ახლდათ ყაენის გაგზავნილი კაცი, – და რა მივიდა, დიდად პატივ-სცა ყაენმან და დახუდა კარგად.

და რა სცნა მოუცემლობა მეფისა და თეიმურაზისა იმერეთის ბატონის გიორგისაგან, ველარა გააწყო რა შააბაზ, და მაშინდა მოიპოვა წელოვნება და ორნე ილათისა, რათამცა წერწით მოაგუაროს. და მოიქმო კათალიკოზი მაღაქია და აბაშაძე ლევან და შეუთუალა ესრეთ მპყრობელსა იმერეთისასა გიორგის: „რადგან შუა ჩამოსულხარო, მე მეფე ლუარსაბათანა არცა რა საქმე მაქუსო და არცა რას ვემდურვიონ და არცა მაგის წასაჭდენდ მოვსულვარო ბატონი თეიმურაზ ჩემი მტერი არისო მაგას არც შევირიგებ და არც მინდა. მეფეს ლუარსაბს კიდეც შევირიგებ და, თუ მოვა და შემომრიგდება, წყალობასაც უზამ“.

და, რა მათ ესე სიტყუა დააბარა და გაისტუმრა, მოიქმო შადი-მან სუფრაჯი რომელი იყო გამზრდელი ლუარსაბისა, და დაიწყო ტირილი შააბაზ ყაენმან და თქუა: „მე მეფეს ლუარსაბს როგორ წავაწდენო, მეფის სიმონის შვილის შვილსა და მეფის გიორგის შვილსა მე ავსა და ურიგოს როდის ვკადრებო, მაგრამ ეს თეიმურაზ მიცდინაო და მომიტყუაო. ესე იცოდე, თუ მეფე ლუარსაბ მოვა და შემომრიგდებაო, დიდს წყალობას უზამონ და გავამდიდრებო. და მისცა ფიცი საშინელი და საფიცარი და იტირა ბევრი,

და რა ნახა შადიმან ესევითარი ტირილი. და საფიცარი შააბასისა, მაშინ დააჯერა გული, რომ მეფეს ლუარსაბს ყაენი დიდს წყალობას უზამსო და კიდეც შეირიგებსო, ამაზედ დიდად დააჯერა გული.

ხოლო ამას ყოველსავე წერტითა და იღათითა იქმოდა შააბაზ. მაშინ გაუგზავნა შადიმან სუფრაჯი და გაატანა ერთი გულის სანდო ერთგული ხოჯა ყაენმან და მისნერა წიგნი და საფიცარი და გაუგზავნა მურასა წრმალი.

მაშინდა ჰყვანდა შააბაზს ცოლად და მეფისა ლუარსაბისა და მასცა მიაწერინა წიგნი და იქმო მეფე ლუარსაბ, რამეთუ დაატყუა დაცა მეფისა. და მისცა მრავალი საბოძვარი და საჩუქარი კათალიკოზს მაღაქიას და აბაშიძეს ლევანს და აღავსო პირთამდი.

რა მივიდნენ ესენი მეფესა ლუარსაბსა თანა და გიორგის იმერეთის მპყრობელი თანა, მოაწესენს ამბავი ესე, ყაენისაგან დანაბარები, და აუწყეს ყოველივე. და შადიმანც საფიცარი აჩუქნა, და ხოჯამან წრმალი მიართუა, და მიართუეს. დისა მისისაგან მიწერილი წიგნი. მაშინდა დააჯერა გული მეფემან ლუარსაბ და აემზადა ნამოსასვლელად.

და პატრონმან იმერეთისამან გიორგი შეატყობინა დადიანს ლევანს და გურიელს მამიას, რომელი იყო ესე გურიელი მამია ძე ვახტანგ გურიელისა. მაშინ მოვიდენ ისინიცა და შეიყარნენ ერთად. ურჩდეს ბატონმან თეიმურაზცა და სრულიად იმერელთა, რომე ყიზილბაშთ მრავალი ტყუილი იციანო და დაუნდობარნი კაცნიც არიანო, არც შენ დაგინდობენო, ნუ წახვალო. ხოლო მან არა უსმინა და წარმოვიდა. გამოყენენ გზასა რაოდენსამე თანა და გამოესალმნენ და დაბრუნდენ, ისინი იქით წავიდენ და მეფე ლუარსაბ წარმოვიდა და მოვიდა შააბაზ ყაენთანა გორს.

და ყაენმან არც იჩემა წინამიგებება, არამედ სანადიროდ ცხენს შეჯდა და წინ შემოეყარა პატივი-სცა ლუარსაბს და მოიყვანა თვესთა თანა და დიდად განიხარა ყაენმან შააბაზ და სცა დიდი პატივი. ხოლო ხანსა რაოდენსამე იყენენ შექცევაშიგან. ხოლო შემდგომად ამისა თქუა გულსა მინა ყაენმან შააბაზ და ეშინოდა, ნუ უკუე ქართველთა არავინ გამოუცვალოს გულიო და არა აღადგინოს შფოთიო. ხანსა რაოდენსამე უკანა შააბაზ ინება წარსვლად ტფილისად, და უთხრა

ბეჭი ეგნატაშვილი

მეფესა ლუარსაბს: „ნარვიდეთ ტფილის[ს]აო და ვილხინოთ მუნცაო და შევექცეთო, შენ მუნ დაგაგდებ და მე წავალო“.

და რა ჩავიდენ ივლისს, მუნ რქუა: „ნარვიდეთ ყარაიაზედ და ვინა-დიროთ შევიქცეთ ნადირობითა და ლხინითა, შენ დაგაბრუნებ და მე წავალო“. რა მივიდენ ყარაიაში, შემოავლეს ჯელგა დიდი და არამიცა თანა ახლდენ. მაშინ არმისათვს კარავი და შუაში შემოავლეს თეთრი, და თვთ შააბაზ და ლუარსაბ დაკარდენ და მოემზადნენ სასროლად.

რამეთუ ესე მეფე ლუარსაბ იყო კაცი შუენიერი და კეპლუცი და სანახავად სატრფიალო, და არსად გამოსულა ამისთანა შუენიერი და შემწობილი კაცი, ყოვლისა სამღო-საკაცობოთ ზნეობით გა-თავებული და უკლები.

მაშინ მოინადირეს ყარაია. და მოკლა მეფემან ლუარსაბ კარზე-და ცხრამეტი. და რა ნახა ესე შააბაზ, უფროსად ალეგზნა გულსა მისსა შური მისი და გაუმტერდა, დალაცათუ პირისპირ დიდს ქებას ეუბნებოდა და ეფერებოდა არამედ გულში დიდად ემტერებოდა და არჩევდა ამისთვს ბოროტსა.

მაშინ დამან მეფისამანცა გაუგზავნა საიდუმლოდ წიგნი და ას-წავა: „ამას ასე გამოჩეუნებით, სიკეთით და შუენიერებით ნუ ეჩ-უენებით, მე ვიცი ამისი ამბავი, რომ შურიანი და ხვანჯიანი კაცი არისო, და ეწყინებაო შენი სიკეთე გულშიაო. პირად კი ვერას გეტ-ყვსო, მაგრამ ერიდე და ფრთხილად იყაო“. მაშინ მეფემან ლუარსაბ უთხრა: „ან რა ვქნა, რაგინდ რომ ავად ვაჩუენო და წელი შეუწყო, ეს ხომ ვიცი, ალარგამიშუებსო და, რადგან კი ალარ გამიშუებსო, ისევ-ისევე კარგად ვეჩუენებიო, ისი სჯობსო“.

და ჰქონდა შური დიდი მისთვს იდუმალ. მაშინ უთხრა შააბაზ: „რადგან ამისთანა მონადირე კაცი ხარო და უებრო მშენებლოსანიო, ყარაბალი დიალ კარგი სანადირო და შესაქცეველი ადგილი არისო და წარვიდეთ იქაცაო და შევიქცეთო, მოვინადიროთ და ვილხი-ნოთო. და წარიყვანა მუნცა“.

და ხანსა რაოდენსამე უკანა კუალად უთხრა: გილან-მაზანდარა“

და მისი გარემონი ქუეყნებიცა კარგი სანადირო არისო, წარვიდეთ მუნცაო და შევექცეთო.

და რა მიიყვანა აშრაფს, მაშინ დაპეატიუა სჯული. ხოლო მან არა უსმინა და არცა უარ-ყო სჯული თვესი. მაშინ განრისხნა შააბაზ და იგონებდა ბოროტსა მეფის ლუარსაბისათვს: და აღუთქმიდა მრავალსა ნიჭსა და სიტყვთა ლიქნისათა ზაკკო ჰეგნებდა ცოუნებად და მიქცევად სჯულსა მისსა ზედა, რეცათუ დაარწმუნოს ვერაგობითა თვესითა, და ვერ მძლე ექმნა, არამედ ამაო იქმნა სიცბილი მისი, და ვერ ეწიფა ნებასა გულისა თვესისასა. უმეტესად ალივსო შურითა, ვითარცა იტყვს დავით: „უმზირინ ცოდვილი მართალსა და იღრძინის მის ზედა კბილი მისნი, ხოლო უფალი ეცინინ მას, რამეთუ ნინასნარ ხედავს მას“, და შემდგომნი ამისნი.

მაშინ ესმნეს სიტყუანი ესე მძლავრსა მიერ მეფესა ლუარსაბს, არად შერაცხა რისხვა მძლავრისა, არამედ ეგო ვითარცა ანდამატი, და შეუძრელ ვითარცა კლდე, და უშიშრ იყო ვითარცა ლომი საყიფელსა თვესა. და არა იგონებდა წარმავალსა ქუეყნიერსა ზეუნვასა, არამედ ზეცად მიმართ აღაფრენდა გულსა და გონებასა თვესა. ვითარცა ორბი ზეაღმფრინვალე ეთერისა მიმართ, ეგრეთ განახლებად ისნრაფდა და შემოსად სულლერისა სამოსლისასა და განგდებად. თმისა ამის მოკუდავისა და შემოსად უკუდავისა მის, რომელი მოსიეს წმიდასა მწერთა მონამეთა, და წარმომთქმელი სიტყვსა მოციქულისა, ვითარმედ: გული მითქუამსო განსვლად და ყოფად ქრისტეს თანა“. განიცდიდა სიმწნესა და ღუანლსა წმიდათა მონამეთასა გვრგვნსა და მოსაგებელსა მათსა, და უფროსად მოპაპავ და საღვთოდ მოშურნე ქმნილიყო მეფეთა შორის წარჩინებულისა და მონამისა მეფისა არჩილისა და ვახტანგისა და იტყვოდა მიციქულისა მიერ თქმულსა მას: „უკეთუ მოვკუდე ქრისტესთვს, მრნამს, რამეთუ რამეთუ მის თანაცა ვსცხონდეთ და, უკეთუ მან სახიერმან სიკუდილითა თვესითა გდესნა ჯოჯოხეთისაგან ქუესკნელისა, ჩუენცა თანა-გუაც; რათამცა დავსთხივნეთ სისხლი


 ბეჭი ეჭნაუმშილი

მისთვის და არა ვრიდოთ თავთა ჩუენთა მისთვის. ნეტარ თუმცა ღირს მყოს სახიერამნ მან, რათამცა არა ერთგზის და ორგზის მიგსცე თავი ჩემი სიკუდილსა, არმედ მრავალგზის, რომელმან მიპრძანა წმითა მით საუფლოთა: „ნუ გემინინ, რომელთა მოგნეკვდნენ წორცნი, ხოლო სულისა ვერ წელ-ენიფების მოწყუედად“, და კუალად, „რომელმან ალმიაროს მე ნინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი ნინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“. ვინათგან იგი ესრეთ აღმითქუამს გვრგვნისა მას დაუჭნობელსა და მოსაგებელსა, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა, ხოლო გულსა კაცისასა არა მოუჭდა; და ესეცა უწყი, ვითარმედ სიკუდილისა თანამდებ ვარო და უვნებელად თანა-მაც განსვლა სულისა და განშორება წორცთაგან, მეგულვების გარდაცვალება თიქოანთა ამათ თბეთა და დაწესნად ნასხამთა ამათ და ანაქუსთა ჩემთა; ნამდევილ კეთილ არს ჩემდა, რათა მოსწრაფედ კრბიოდე ასპარეზსა მას ზედა ძლევისასა და მოვაკუდინო ასონი ქუეყანისანი და შეიმოსო უკუდავი, ვინათგან უჭუელად ესე ყოფად არს. რაღა ყენება არს ჩემდა და არა ვისწრაფი შესვლად ქორწილსა სიძისა მის შეუნიერისასა და უკუდავისასა? და მზა არს. ჩემდა მოცემად წმლითა თვისითა გვრგვნსა მას უხრწნელებისასა. აპა ჟამი შეწყნარებული და დღე სათონ უფლისა“.

და უნყოდა ნინასწარვე არა შეწყალება და ულმობელობა მძლავრისა მის შააბაზისა, მაშინ ევედრებოდა გულითა მწურვალითა და ცრემლითა ნაკადულითა და ზედასაზედა მიწევნითა გარდაიხდიდა დღეთა მარხვითა.

კუალად აიძულა შააბაზ დატევება სჯულისა და არა ისმინა. მაშინლა განაჩინა ტყუებობა ციხესა მას, რომელსა ჰქვან გულაბყალა. და მუნ განეგულა აღსასრული ძისი.

მაშინ აუწყა მეფემან ლუარსაბ ქართველთა, რომელნიცა ჰყვეს თანა, და წარმუთხრა ყოველივე ანდერძი თვისი და უბრძანა ესრეთ: „ესერა დაუტეობ საწუთოსა ამას სოფელსა და განგეშორები თქუენგან და წარვალ მეუფესა ჩემისა ღ(ვ)თისა ნინაშე, რომლი-

სათვაცა მსუროდა, გარნა წუ დამივიწყებთ და ესე-მებრ სიტყუა გეწსენედ და აღზრდილნი და რომელნიმე ხართ გამზრდელნი ჩემნი, და წუ უგულებელს ჰყოფთ ტკბილად პატრონს ყმურებრ მეგობრობასა და სიყუარულსა. ჩემსა, რამეთუ მნებავს თქუენ მიერ, რათა წესისაებრ საქართველოსა აღუტეოთ ზარი და წმა დაფლვისა ჩემისა და ეგრეთ სტიროდეთ ჩემ ზედა, რამეთუ ამირითგან არლარა მეგულების სმენა წმისა თქუენისა არამედ მეგულვების სმენა წმისა მის ანგელოზებრივისა სიხარულისა და ზატიკობისა“.

მაშინ აღუტევეს ქართველთა წმა რა მათ გოდებისა და ტირილისა, ვითარცა რაქაელ სტიროდა შვილთა თვესთა და არა წუგეშინის-ცემის, და ტიროდენ ზარითა წესსა ზედა საქართველოსასა. და თვე მნოლარე იყო მეფე ლუარსაბ და მიუტირებდენ ქართველნ წმითა საზარელითა. და ტირილითა უნუგეშისცემოთა, და ეგრეთვე მეფე ლუარსაბ მიუგებდა და მეტყუელება სიტყუასა მნარესა განშორებისა მათისათვეს. და ესრეთ აღასრულეს წესი ცხედრისა, და იყო წმა ტირილისა და გლოვისა.

მაშინ მოუნოდა ეპისკოპოზსა, რომელი ჰყვეს თანა, მლდლითა და დიაკუანთა და უბრძანა მოღება წმიდათა ქრისტეს საიდუმლოთა წორცასა და სისხლსა ცხოველს-მყოფელსა. მაშინ ალიპყრნა წელნი თვესნი ზეცად მიმართ და შემჭვალნა თუალნი გონებისა მისისანი მსგავსად მნურნებითა წეკტარობდა და მცნებლობდა თუალთაგან ნაკადულსა ცრემლთასა, და ნილოსისაებრ რწყვდა ორნატთა ჯეჯილთა სულისა თვესისათა და მეტყუელებდა ფსალმუნსა ამას: „შენთვა მოვწყდები ქრისტე ღმერთო ჩემო, ვითარცა ცხოვარი კლვადი, და ან ღირს მყავ ზიარებად წმიდათა შენთა საიდუმლოთა“, და მაშინდა ეზიარა შიშითა და კრძალულებითა.

და ოდეს ეზიარა, მაშინ მადლობდა ღმერთსა და იტყოდა: „შენ უნყი, უფალო ჩემო იესო ქრისტე, ვითარ არცა ანგარებითა, არცა სიმდიდრის მოყუარებითა დაუტევე მამული და საყოფელი ჩემი და ვერცავინ შემძლებელ იყო შეპყრობად ჩემდა. და ვერცა გამოყ-


 ბეჭი ეჭნაცაშვილი

ვანებად სიმაგრეთა მათგან, რომელსა მე ვიყოფოდი, არამედ მან-ქანებითა და წელოვნებითა მძღავრისა ამის ბოროტისათა და ზაკუ-თა ეშმაკისა, მოყუარეთა და მსახურთა მისთა, ბოროტითა კაცთათა, წარმოვედ და მოვედ მძღავრისა ამის. და უფროსად მნუხარე ვიყავ და მელმოდა გულსა იავარ-ყოფა საქართველოსი, შერევა წმიდათა ხატთა და ჯუართა და დარღუევა წმიდათა ეკლესიათა. და უკეთუმ-ცა ხოლო მე განვერე წელთაგან მათთა, მაშინდა განრყუნილ იყო წელთაგან მათთა და მოოქრებული, ვითარცა იერუსალიმი ნაბუქო-დონისორის მიერ, ეგრეთვე სურიდა საქართველოსათვესცა მძღა-ვრსა მას და სწადოდა სრულიად იავარ-ყოფა, არამედ აღძრულმან და ბრძანებისა შენისა მსმენელმან ვყავ წინააღმრჩევით საქმე ესე, რომელმან ბრძანე წმიდასა შინა სახარებასა, ვითარმედ: „მწყემს-მან კეთილმან დადგის სული თვისი ცხოვართა თვესთათვეს“. და არა ვიქმენ სასყიდლით დადგინებულ, რათამცა დაუტევე ცხოვარი ჩემი და ვივლტოდი, და მწეცთა განსარყუნელად და შესაჭმელ იყო სინ-მიდენი და ალაგნი ქართლისანი, არამედ მინდობილმან ბრძანებისა შენისამან დავსდევ თავი ჩემი ქუეყანისათვეს და განერა თემი ჩემი მოოქრებისაგან. ესე ყოველივე შენ უწყი, რამეთუ მეცნიერ ხარ გულის-სიტყუასა და გონებათა. არა მეწყალვის მეფობა და შარა-ვანდედობა ჩემი, არცა შუენიერობა, ჰაეროვნება და და ახოვნება სიჭაბუებისა ჩემისა, არცა უებრობა და ყუავილი სიორძილისა ჩემი-სა, არცა კისკასად მორბედობა ასპარეზობისა და ქუელ-ყოფილობა ჰასაკებისა ჩემისა, არცა ბრძოლასა შინა მწენება და სიმაგრე მკ-ლავისა, და არცა თეატრონსა შინა მორბენადობა ცხენითა და მსნრაფლმაღვობა და მარჯვედ სრვა მწეცთა, დაუშრომლობა მკ-ლავთა და ყოველთა მოსავთა ჩემთა უზემთაეს ყოფა, არცა დიდება, ჰატივი და სანოვაგენი მრავალფერი ტაბლანი და გამოჩუენებითი ლხინნი და მხიარულითა პირითა მეტყუელებანი, ზმანი და მღე-რანი და მეფობრივი ცხედარი და ტახტ-გვრგვნოსნებანი. ესე ყო-ველივე დამიტევებიან სიყუარულისა შენისათვეს, და ან გევედრები

მეუფეო, სული, გული და გონება ჩემი შენდა მომართ აღამაღლო, რამეთუ საშუალენი და გემონი სოფლისანი არარად შემირაცხიეს, ქუესენელად შტამპდელი და ამაონი, რამეთუ შენდა შუენის დიდება, პატივი და თაყუანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ“.

და ვითარცა დაასრულნა სიტყვანი ესე, მაშინ მიავლინა მტარვალნი თვენი მძლავრმან შაპაბაზ და ნარგზავნეს იგი ტყუედ ციხესა მას გულაბყალისასა და მუნ ტყუედ ყვეს. და შემდგომად მცირედისა უამისა კუალად ნარავლინა კაცი და მიუმცნო ხანსა მუნ მყოფსა, რომელსაცა ჰყვა ჰყრობილად მეფე ლუარსაბ, რათამცა მოაშთოს.

და ვითარცა ესმა ხანსა მას სიკუდილი მეფისა ლუარსაბისა, დიდად მწუხარე იქმნა, რამეთუ ეწყალოდა სიჭაბუკე და ახოვანება მისი. და მაშინდა შევიდეს მტარვალნი და აუნყეს სიტყუანი მძლავრისა შაპაზიანისანი მეფესა ლუარსაბს. და რა ესმა, იტყოდა ფსალმუნსა ამას: „იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე“, და ევედრებოდა მრავალ-მონყალესა ღმერთსა. შემდგომად ამისა რქუა წმიდამან ლუარსაბ მტარვალთა მათ: „აღასრულეთ ბრძანებული თქუენი“. და მოიღეს საბელი მშკლდისა, მოაბეს ყელსა და მით მოაშთუეს. და ესრეთ სრულ ყო ნამება თვესი და შეირაცხა წმიდათა მონამეთა კრებულთა თანა, და ან იხარებს სიხარულსა მას მოუკლებელსა და გამოუთქმელსა. და ან სხენან წმიდანი ნანილნი მის მეფისა და მონამის ლუარსაბისანი მუნ ციხესა გულაბყალისასა.

ხოლო დედა ბატონის თეიმურაზისა, ქეთევან, და ორნი ქენი თეიმურაზისანი ალექსანდრე და ლევან, გაგზავნა შირაზს და მუნ ტყუედ ყვეს.

ხოლო რაჟამს მოიქცა შაპაზ, ვერცავინ დასუა ქართლსა ბატონი და ვერცა კახეთსა, რამეთუ ამას ლუარსაბს არცა ჰყვანდა შვილი და არცა ძმა. და მიაბარა შაპაზ კახეთი ნოდარ ჯორჯაძესა და დავით ასლანის-შვილსა, და ქართლი იყო უბატონოდ, რამეთუ

ბერი ექნაციებილი

თავადნი თვეს-თვესად მწარესა მთავრობდენ და ბატონობდენ ურთიერთას იგინი.

ხოლო ნოდარ და დავით ქნეს ერთგულობა და ჩამოიყვანეს ბატონი თეიმურაზ იმერეთიდამე და გააბატონეს კახეთშია. და თანა მოჰყვნენ ბატონს თეიმურაზს არაგვს პირამდი გიორგი, იმერეთის მპყრობელი, დადიანი და გურიელი. და რა ჩავიდა ბატონი თეიმურაზ კახეთშია, ესენი გამობრუნდენ და ნარვიდენ იმერეთს, თვესა სამყოფსა შინა. და დაჯდა ბატონი თეიმურაზ კახეთს და ბატონობდა.

და, რა ესმა შააბაზს მოსვლა თეიმურაზისა, განრისხდა, ვითარცა ვეშაპი განძვნებული, და ალიყულიხან ნარმოგზავნა მრავლითა ჯარითა და ესე დავედრა, რათა შეუკრას გზები ყოველგნით და არა ნარუვიდეს. და თვეთა ნარმოებრთა, რამეთუ სწადოდა თვე მისვლა იმაზედა. და ნარვიდა ალიყულისან და გაპერა არაგუზედა გზები.

და რა ესმა ბატონს თეიმურაზს საქმე ესე, შეიყარა სპა, მივიდა და დაესხა თავსა წინამურს ზეით, დაესხა უამსა შუადღისასა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯუა ბატონს თეიმურაზს დიდად. და მისცა ღმერთმან ძლევა და შუადღითგან მოკიდებული წოცეს თათარნი ვიდრე ბინდამდე, გაემარჯუა ბატონს თეიმურაზს და კახთა და გააქცივეს.

და ესმა ამბავი ესე შააბაზს და უმეტეს განძვნდა და ნარმოებართა თვე. და მოვიდა შააბაზ, და ვერდარა დაუდგა თეიმურაზ და ნარვიდა იმერეთს. და რომელნიმე კახნი აიყარნენ და გაჰყვნენ ცოლშვილიანად თეიმურაზს.

მეტე ბატონი

ხოლო შემოვლო კახეთი შააბაზ და მოვიდა ქართლად და დასუა მუნ ქართლში ბატონად ძმისნული მეფის სკმონისა ბაგრატ, მაშინ ქრისტეს აქათ ჩექით, ნაშობი კახის ბატონის გუარის ქალისაგან.



მაშინ ეზრახა შააბაზ ლეკთა და გაუგზავნა კაცი და შეუთუალა ესრეთ, ვითარმედ: მნებავს წარმოტყუუნვა და ივარ-ყოფა სრული-ად სანახებისა ამის, კახეთს მე ავყრი და, რაც მანდ ხიზანი კაცი და ქალი შემოვიდეს, დაატყუე[ვე]თო. და წარვიდა და ჩავლო კახ-ეთი და ამოსნუყრტა. და წავიდა და მოაოქრა, და სხუანი აჰყარნა და თანა წაასხნა. და რომელნიმე ლეკთა ამოსნუყრტეს და დაატყუევეს და რომელნიმე მორჩეს თუშეთს, ფშავს და ჭევსურეთს, და სხუანი ააოქრეს და ამოსნუყრტეს, და რაც-ოდენი შეიძყრეს, ცოლშეიღ-ინად აჰყარეს და წაასხეს რომელნიმე ფერიასა, რომელნიმე ახ-ლანან თანა ანცა ნინამძღოლ-მეთოფედ და არიან დღეინდელად დღედმდე მეთოფედ, ნინა უძლუებიან ყაენსა. მაშინ შემუსრა და დაამტვრია, რაოდენი დაუშთა პირველ, ხატნი და ჯუარნი და წარ-მოიღო წაცარცვი და წატყუენავი მისი.

და დასუა მუნ პატრონად ფეიქარხან და მოუყენა რომელიმე ჯარი და ელი, და თუთ წარვიდა განრისხებული და მივიდა ისპაანს.

მაშინ გაუგზავნა კაცი შირაზის ხანსა და იქმო ბატონის თეიმუ-რაზის შვილი ალექსანდრე და ლევან და, რა მოიყვანა, გამოასაჭურ-ისნა ორნივე და ამყოფა თვესთა თანა. და ერთი ძმა შეიშალა, ლევან, და ისრე იარებოდა შეშლილი, და მეორე, ალექსანდრე, მოკუდა. ხოლო ქეთევანისთვის გაგზავნა კაცი და შეუთუალა იმამყულიხანს, ვითარმედ: „ქეთევან“ დედოფალი თუ გათათოდეს, ნურას ანყენო და, თუ არ გათათოდეს, ანამე და სასჯელით მოჰკალო“. ხოლო იმ-ამყულიხანს რა ესმა ესე, გამოუბრუნა მოციქული და მოაქსენა ეს-რეთ, ვითარმედ: „ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გათათოდე-ბისო, და რას აქნევთ ამის გათათოებასაო, დაექსენითო, თქუენთვის სირცხვლი არისო ამისი სიკუდილი“. ხოლო შააბაზ ინყინა და გაუგ-ზავნა კაცი, ვითარმედ არ იქნებისო.

მაშინ იმამყულიხან დაუწყო ლაპარაკი ქეთევანს და აუნყა ყაენს შემოთვლილი და უთხრა გათათოდიო. ხოლო ქეთევან არა უსმინა. მაშინ შეიძყრეს და დაუჭირეს მხლებლები და ნინა გაუთათოეს. და



ბეჭი ეგნატეშვილი

ახლდა თან მღდელი ვინმე იმერელი და იგიცა გაუთათრეს. ხოლო გაუბეს წელ-ფეტი და გააშიშულეს წმიდა ქეთევან დედოფალი და გა განკურვებულის გაზეპით დაგლიჯეს ძუძუები და განკურვებული საჯეპი ნაგლეჯს წორცზედან შემოაწყუეს და დაგლიჯეს. გააწყურვეს ლურსმები და დაუყარეს ქუეშე და ზედ გაატარეს. დააწვინეს და შიშულაზედ ზედ შემოაყარეს ლურსმანი განკურვებული. კუალად განკურვებული შამფურები გაავლეს მუცელსა და ძუძუ-მეერდშიგან, განკურვებული ქუაბი დაარქუეს თავსა ზედან. კუალად განკურვებულს ქუაბსა შიგან შიგ ჩასუეს და თავსაც დახურეს და შემოაწყუეს განკურვებული ბარები შუბლსა ზედა და ახეთქა თავის კეფა და ყვეს მრავალი სატანჯველი, და ესრეთ შევედრია წმიდა სული თვესი უფალსა და შეირაცხა წმიდათა ქალწულთა მონამეთა კრებულთა თანა. და მოვიდა სამხილებელად ყოველთა და დაადგა ნათელი ხოლო მუნ დაესწრენ ფრანგნი და ალიღეს წმიდანი ნაწილნი წმიდისა ქეთევანისნი ფრანგთა და ნარიღეს თვეთა თანა ნაწილად, ხოლო წელი და მკლავი ბატონს თეიმურაზს გამოუგზავნეს.

და ესრეთ სრულ-ყო წამება მისი და ლუანლი წმიდამან ქეთევან, რომლისა ცხოვრება მისი არცელად წერილ არს მეტაფრასსა მის-სა. და რომელსა მინასა ზედან ანამეს, ადგილსა მას არღარა მოვა მწუანე და ჩანს ადგილი იგი ესრეთ, ვითარმედ უნახველნი სცნობენ აქა ქმნილა რამეო.

ხოლო დაჯდა ქართლსა ბაგრატ, რომელი გარდაქცეულიყო სჯულსა მაჰმადისასა, და არცა იყო ღირსი მეფობისა, და ზურგად განჯის ხანი და მისი შემდგომნი ჰყვეს და მაშინ ამან ბაგრატ ვერ დაუჭირა თავი ქართველსა და ვერცა უუფლა ქალაქს ზეით ზემო ქართლსა და არცა ჰყუარობდენ ქართველნი და არცარად აქსენებდენ თათრობისათვს და ეძახდენ საბარათაშვილოს ბატონსა და იყოფებოდა ეგრეთ.

ხოლო რაჟამს იყო ბატონი თეიმურაზ იმერეთს მას უამსა შეიქმნა

სიყმილი დიდი იმერეთს. და მაშინ გაუგზავნა ბატონმან თეიმურაზ ხონთქარსა კაცი, შეეხუენა და სთხოვა სარჩო. ხოლო ხონთქარმან სხუა ვეღარა გააწყო რა და მისცა გონიასა და ახალციხესა და გარე-შემო მისასა მამული სარჩოდ. და სანამდისინ ხვანთქრის კაცი მოუ-ვიდოდა ბატონს თეიმურაზს, ვეღარ გასძლო იმერეთს, ნარვიდა და მივიდა მამია გურიელთან. მაშინ მოვიდა ხონთქრიდამ კაცი და ნარვიდა, მივიდა ხონთქრიდამ მოცემულს მამულში.

მაშინ იჯდა ათაბაგად ძე მანუჩარ ათაბაგისა, სახელით მანუჩარ, რომელი იყო დისწული სკმონ მეფისა. და დააყენა ოლთის[ს] ბატონმან თეიმურაზ ცოლშვილი მუნ და მოუყენა გუერდასა კახი სა[ხ] ლთუხცესი ნოდარ, და თვით ნარვიდა ხონთქართანა შედასის კაცითა. და რა ესენი ნარვიდენ. მაშინ შეეტყო ყაენს ბატონის თეიმურაზისა ხვანთქართან ნასვლა და მისის ცოლისა და შვილის საათაბაგოს დაგდება. მაშინ შემოუთუალა ერვენის ხანს, ამირგუნა-ხანს, და მოსწერა წიგნი ესრეთ: „ბატონი თეიმურაზ ხონთქართან ნასულა და მისი ცოლი და შვილი საათაბაგოში დაუგდია, შიყარე ჯარი, ნადი, დაესხი თავსა, აიფორაქე მისი ცოლშვილი და საქონელი, და ცოლშვილი აქ გამომიგზავნე“.

მაშინ ნარვიდა ამირგუნა-ხან, – ზამთარი იყო და დიდი თოვლი მთაზედ, – გადასთხარა მთა და ნარვიდა. ხოლო მას ღამესა სიზ-მარი ენახა ბატონის თეიმურაზის. ცოლს ხორაშანს, ვითამ სიზ-მარში ყიზილბაშნი თავს დასხმოდენ და აეფორაქათ მისი ხიზანი და საქონელი. და რა გამოლიძებოდა ბატონს ხორაშანს, ღამესა მასვე აყრილიყო და შესულიყო ოლთისის ქალაქიდამ ციხეში, რაც რამ ჰყვანდა და ჰქონდა, იგიცა ყველა ციხეში შეხიზნა, რამეთუ უნინ ციხეს დაბლა იდგნენ. და ნარვიდა ამირგუნა-ხან ღამესა მას, მივიდა, სადაც ბატონის თეიმურაზის ცოლი და შვილი იდგნენ, იმ სოფელს თავს დაესხნენ. და მოარბია სოფელი იგი და იავარ-ყო და სხუა ვერა მოაწელა-რა, გაბრუნდა და ნარვიდა. მაშინ სცნა ნოდარ სახლუხუცესმან, შემოიყარა ცოტა რამ საათაბაგოს კაცნი და, რაც

 ბეჭი ეჭნაციშვილი

თვთან ჰყვანდა, იგიცა, და გამოუდგა უკანა, მიეწია ამირგუნა-ხანს, მრავალი კაცი ამოუწყვტა, თვთ გამოაქცივა და იშოვნა მრავალი საშოვარი, გამობრუნდა და მოვიდა გამარჯუებულ ბატონის თე-იმურაზის ცოლშვილთანა.

ხოლო რაჟამს მივიდა ბატონი თეიმურაზ სტამბოლს, მაშინ იჯდა ხონთქარი სულთან-იბრაჰიმ. და სცა დიდი პატივი ბატონს თეიმუ-რაზს შეეხუენა ბატონი თეიმურაზ. სთხოვა ჯარი. ხოლო მაშინ ყიზილბაშთა და ურუმთა შუა საფიცარი იყო და შერიგებულიყვნენ. როდეს გაეყოთ ქუეყნები, პირობა დაედვათ რომე არღარა იყოს ბრძოლა ერთმანერთშია, და ამისთვის არ აჰყვა ხონთქარი და მოსცა სარჩიდ სანჯახები, და მრავალი წყალობა უყო და გამოისტუმრა და წარმოვიდა ბატონი თეიმურაზ. მას უამსა იყვნენ ხონთქრის მამ-ულში მრავალნი ჯალალნი. განდგომილნი ხონთქრისანი, დახუდენ ბატონს თეიმურაზს წინა. და ამას ახლდა შვდასი კაცი, და იგინი იყვნენ ურიცხუნი, და მრავალნი შემოებნენ ბატონს თეიმურაზს. მისცა ღმერთმან გამარჯუება და ბატონს თეიმურაზს გაემარჯუა. და ამოსნებული მრავალი ჯალალი.

ერთსა დღესა შვდჯერ შეებნენ და შვდჯერვე ამას გაემარჯუა: ასე მოუმართა ღმერთმან ჭელი, რომე შვდასი კაცი ახლდა, არც ერთი არ დაჰკლებია, და მათი მრავალი ამოსნებული. და მოვიდა გამარჯუებული ცოლსა და შვილშია. და მცირესა ხანსა უკანა წარვიდა გონიას და მუნ იყოფებოდა.

და ამა უამსა შინა მოკუდა ბატონი საბარათიანოსი ბაგრატ, ძე და-ვითისი, ქრისტეს აქეთ [...] და მიესმა შააბაზს სიკუდილი მისი, რამ-ეთუ არა ჰქონდა იმედი ფეიქარხან, რომელი იჯდა კახეთს, რათამცა მას კეთილად გაერიგებინა საქმე კახეთისა და საქართველოსი.

მაშინ მოურავი დიდს ხანს ახლდა შააბაზს გუერდსა და მრავალი ემსახურებინა მოურავსა. და დაანდო გული და წყალობაც მრავალი ექნა, იცოდა, რომ მოურავმან ჩემს იქით არა იცის რაო. და უბრძანა მოურავს: „მნებავს წარსვლა შენი საქართველოში და თანა წარგა-

ტან ყარჩიხა-ხანს სპითა მრავლითა და ძესა ბაგრატისასა, პატარა სკოლა-ხანს, წარვედ და მივედ პირველად და მოაწერე სრულიად კახეთი და იავარ-ყავთ და მოსარ პირითა მახვლისათა ქართლი, აჭყარე და ჩამომისხი აქა“ აღუთქუა ნიჭი დიდი და საბოძვარი მრავალი.

ამას შინა გამოყდა ხანი მრავალი და იყო მოურავი მუნვე. მას უამსა იყო ვინმე ისპაანს, ხოსრო-მირზა სახელით, და ესე ხოსრო-მირზა იყო ხარჭისაგან ნაშობი დავით მეფისა, ძმისა დიდის სკოლა მეფისა.

ოდეს წარსულ იყო ესე დავით შააბაზ ყაენთანა, მაშინ წარიყვანა წავკისიდამე ქალი ერთი და ეპყრა ხარჭად. და ვითარცა მიდგომილ იქმნა დედაკაცი იგი დავითის მიერ, შვა ძე და უნოდა სახელად ხოსრო-მირზა. ხოლო ოდეს წარმოგზავნა ყაენმან დაუთხან საქართველოში, მუნ დაშთა ყრმა იგი მცირე ხოსრო-მირზა და დედა მისი. და იყო ობლად ესე ხოსრო-მირზა და არავინ იყო მწედ მისა, თვინიერ დედისა მისისა. და შექმნილიყვნენ ორნივე დედა-შვილნი სჯულითა მაჰმადიანნი და იყოფებოდენ დიდად გლახაკად და ულონოდ ყოვლისაგვე საქმარისაგან.

მაშინ მოვიდა ესე ხოსრო-მირზა მოურავთანა და მცირედი რამე მოართუა მოურავსა. ხოლო მოურავმან რა იხილა ხოსრო-მირზა, წარმოუდგა ფერწედედ, დაუცალა ადგილი თვესი, მიიყვანა და დასუა იგი და პატივ-სცა დიდად. ხოლო იყო მოურავი მაშინ ყაენისაგან დიდად პატივცემული და მორჩილებდენ სულად ყიზილბაშნი და გუერდს ახლდენ მრავალნი იხილეს რა ყიზილბაშთა ესევითარი პატივისცემა ხოსრო-მირზასი, ჰკითხეს მოურავსა: „ვინ არს კაცი ესე, რომელსა ესრე დიდად პატივ-ეცო“. ხოლო მოურავმან აუწყა მათ, ვითარმედ: „ესე არსო ძე დაუთხანისა, პატრონისა ჩემისაო“. მაშინ სცნეს ყიზილბაშთა ესე და უპყრობდენ დიდსა პატივსა ხოსრო-მირზას. მაშინ დიდად კეთილსა უყოფდა ყაენი ხოსრო-მირზას და მისცა მოურაობა ისპაანისა და ჰყვანდათ ესე მეტოქად ქართლის ბატონისა.

მეტე სვიმონ

და აემზადა მოურავი, წარმოვიდა და გამოატანეს მეფე სუმონ პატარა თანა. და მოვიდენ ქართლსა ლაშქრითა მრავლითა და იღუნიდა მოურავი საქმესა მას რომელ ჰქონდა უწყებული ყაენისაგან. და ოდეს გამოგზავნა მეფე სუმონ ყაენმან, მაშინ მისცა ყაენმან ასული ყორჩიბაშისა ცოლად და წარმოატანა თანა. და იყო ქალი ყორჩიბაშისა, შვილისშვილი ყაენისა, სახელით ჯანბანუმ. და ოდეს მოვიდეს საქართველოშია, და შემოეყარნენ ქართველნი, და რა ნახეს ქართველთა ჯარისა სიმრავლე, მაშინ იფიქრეს და თქუეს: „ესე საქმე მიზეზი რამე არის ამდენის ურიცხვს ჯარისა გამოგზავნა“. ხოლო მოურავმან დაუფარა და შეიჯერა ფიცითა დიდითა, ვითარმედ: „ამა ჯარისა სიმრავლე საქართველოსათვის არ არის საზიანო, ნურცარა ფიქრი გაქუსთ, თქუენი საქმე მე დამადევითო. მაშინ დააჯერეს გული ქართველთა, წარვიდენ და დადგნენ მუხრანს.

ხოლო გაგზავნეს კაცნი და იქმნეს კახნი. და შემოეყარნენ კახნი ლართისკარზედა. ქმნა მოურავმან ბოროტი დიდი: გამოავლო ყარჩიხან თეჯირი კარავსა თვესა და დაპეპატიუა, ვითარმედ: „მოვიდენ კახნი და ხალათებს მივსცემო“ და მიადგნენ კარსა კახნი, შეიყვანდენ კახთა და მოსჭრიდენ თავსა, ხოლო გარეთ-მდგომთა კახთა ეგონათ ხალათის ძლევა და მუნ დასხდომა მათი. მრავალთა მოსრუისა შემდგომად სცნეს კახთა საქმე ესე და გაიკრეს ჭრმალს ჭელი, და თათარნი კი დაერიდნენ. და გამოიქცენ კახნი და კნინდა და მცირედნი განერნენ.

ხოლო შემდგომად ამისსა იყვნენ ხანსა რასმე მუხრანსა და იყვნენ მზადებაშია, რამეთუ სწადდათ აყრა ქართლისა. ჰქონდა მოურავს ჩუეულება, წარვიდოდა და მოუტევდა ქორსა. დღესა ერთსა კუალად განვიდა ქორის მოსატევად ჭევსა ლოჭინისასა და ნახა, რომე ერთი შათირი მოვიდოდა, და იცნა ყაენის შათირობაზედ. უწმო მოურავმან შათირსა მას მისვლად მის თანა, ხოლო შათირმან

არ უსმინა, და, ვინათგან არამორჩილ ექმნა შათირი იგი, მიეწია ცხენითა და შეიძყრა იძულებით გაჩხრიკა და უნახა წიგნი. წაიკითხა და ესრეთ ეწერა ყარჩიხახანთანა ყაენისაგან, ვითარმედ: „რაუამს მოსრათ კახნი, აპყარეთ ქართლი და წამოასხით, ხოლო მოურავს უღალატე, მოსჭერ თავი და გამომიგზავნე“. და რა წარიკითხა მურავმან ესე, მაშინ შათირი იგი მოკლა. აღუჯდა სიცრუე მისი თხემსა მისსა ზედა. შეწუხდა დიდად და ეძიებდა ონეჟსა რასმე. მას უამსა იყო ნუგზარ ერისთავი მოყუარე და მოყუასი მოურავისა. და ეპყრა ძესა მისსა ზურაბს ერისთობა, და ცოლი ზურაბ ერისთავსა ისპაანს დარჩომოდა და შვილი პაატა მოურავსა მუნ ისპაანს დარჩომოდა. მაშინ მოურავმან უთხრა რჩევით ზურაბს, რომე „მოდი ქართლს ნუ ამოვსწყუეტო, თორემ სულიც დაგუეკარგვისო და არც ჩუენ დაგნენდობენ; მრავლის ლიქნითა და სიტყვეს რჩევითა და მრავლის ცდილობით დასთმო ზურაბ ცოლი თვესი და მოურავმან შვილი თვესი პაატა დასთმო.

მაშინ, ოდეს შეიჯერა ზურაბ მოურავმან, ურჩია მოურავმან ყარჩიხა-ხანს, ვითარმედ: „გავგზავნოთ ანდუყაფარ ამილახორი და ზურაბ ერისთავი და დავიბაროთ სრულიად ქართველნი, დავიძყრათ და გაუგზავნოთ ყაენსა“. მაშინ დაპყვა ყარჩიხა-ხან და გაგზავნეს ანდუყაფარ ამილახორი და ზურაბ ერისთავი და სხუანი ქართველნი და დაიბარეს ქართველნი და იქმნეს მუნ. ხოლო არავინ უწყოდა, თვენიერ მოურავისა და ზურაბ ერისთავის მეტ-მან. და წარმოვიდა ზურაბ ერისთავი და ამილახორი ანდუყაფარ, დააყენა თვეთა თანა მოურავმან პაატა ხერხეულის-ძე და ძე მისი ავთანდილ, ელია დიასამიძე და პაპუნა ვაშაყის შვილი, ხოლო ზურაბ და ანდუყაფარ მოვიდნენ და დადგნენ პირსა არაგვსასა. მაშინ გაგზავნეს კაცნი და იქმნეს სრულიად ქართველნი მუნ, და ვითარცა მოვიდნენ ქართველნი, მაშინ ზურაბ ერისთავმან იდუმალ მოვწმო ქართველნი და უთხრა რა ესრეთ, ვითარმედ: „ჩუენ შააბაზ ყაენისაგან ასრე გუაქუს დაბარებულობა, რომე კახნი ხომ დავჭირეთ



ბერი ეტნოგრაფიული

და ქართველნი ვინცავინ ხართ, აგყაროთ და ყაენს გაუგზავნოთ. და ან ჩუენ ამას ვარჩევთ, რომ ქუეყნის გაოწერება სწადიანთ ყიზილბაშთა და მოდა შევიტიცნეთ, მივიდეთ და ამოგსნუკტოთ ყიზილბაშნი და ნუ წავაკდენთ საქართველოსა“ ხოლო ანდუყაფარს არ ენდობოდნენ, რამეთუ ცოლად ჰყვანდა და სკმონ მეფის ცოლისა და ნათესავი ყაენისა, და თვთცა მაპმადიანის სჯულზედ მისულიყო და დიდად იჭირვოდა ყიზილბაშთათვს და დიდად ერთგული იყო. და რა ესმა ქართველთა, განცუფრდენ დიდად და შეწუხდენ და მისცეს ზურაბ ერისთავსა პირობა და შეჰვიცეს საშინელად, რომ „რასაც თქუენ გვპბრძანებთ, იმას ვიქთო“ და რა შეიფიცნენ, რადგან არ ენდობოდნენ ამილახორს დაიჭირეს და ცოლშვილით არშის ციხეში გაგზავნეს და მუნ დაატყუუვეს.

და მაშინ შეიყარნენ ქრთველნი და ზურაბ ერისთავი, აცნობეს დიდს მოურავსა და მივიღნენ გათენების ხანსა. დაესხნენ ყიზილბაშთა. ხოლო მოურავი დიდად სახელოვნად იყო მას ღამესა: მივიდა მოურავი და მოკლა თვთ შუბითა ყორჩიხა-ხან, და შეილმან მისმან ავთანდილ მოკლა ყორჩიხაშის შვილი. და დაუშინეს, ამოსწყვეტეს ქართველთა სრულიად ყიზილბაშნი. ესრეთ მისცა ძლევა ღმერთმან ქართველთა და გაემარჯუათ: ამოსწყვეტეს, გააქცივეს და იქმნა გამარჯუება დიდი. და რა გაიქცნენ ისინი, მაშინ გამარჯუებულნი ქართველნი წარვიდენ ფეიქარხანზედ, რომელი იჯდა კახეთს, რამეთუ ამას ფეიქარ-ხანს ჰყვანდა ცოლად ბატონიშვილილელა. და უნდოდათ დასხმოდენ თავსა ფეიქარ-ხანს და ის მოეკლათ, და ბატონიშვილი ლელა გამოერთმიათ და ზურაბ ერისთავისათვს მიეცათ. და რა წარვიდენ, მაშინ იგრძნა ფეიქარ-ხან და წარვიდა გაქცეული გამოუდგნენ და სდივეს ბარდამდი და ვერლარა მოენივნენ. მაშინ მოარბივეს ქართველთა ბარდა და განძა, და იავარ-ყვეს და იშოვეს მრავალი, და წარმოვიდნენ და წარმოილეს. და გაუგზავნეს ბატონს თეიმურაზს კაცი გონიას და იწმეს თეიმურაზ. მოიყვანეს და კახეთს გააბატონეს.

ხოლო მაშინ განმგედ ქართლისა დაადგინეს დავით მეფის ძის შვილისშვილი ქაიხოსრო, მუხრანის ბატონი, და არც განმგეობითა ემორჩილებოდენ მათ, არამედ თვე-თვესად უფლობდენ ქართლის თავადნი.

და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორჩილობდენ, რამეთუ თვთ ზურაბ ერისთავი და ვინცავინ დიდი კაცნი იყვნენ ქართლისანი, დიდს მოურავს ქეშიკში უნვებოდნენ და ყმურად მონებდენ მას.

და ამის უამსა შინა დაემძახა ზურაბ ერისთავი ბატონს თეიმურაზს. და მისცა ასული თვესი დარეჯან ზურაბ ერისთავსა ცოლად. რამეთუ ესე ზურაბ ერისთავი გაეზარდა მოურავსა პატარა ყმანვილი და იყვნენ ერთმანერთისათვეს დიდად ერთგულნი და უწყობდენ, უკეთუ ესენი ერთმანერთს გაეყრებოდენ, მაშინ წაწებოდა საქმე ამათი და ამისთვის მორჩილობდენ ერთმანერთსა.

და რა მიესმა საქმე ესე შააბაზს, დაჭერა ამილახორისა ან-დუყაფარისა და ცოლისა მისისა და ციხეში შეგზავნა, განრისხდა ფრიად და წარმოავლინა ისახან ყორჩიბაში დიდითა მძლავრობითა წარმოვიდენ, მოვიდენ და დაიბანაკეს ალგეთზედა. მაშინ შეიყარნენ ქართველნიცა და კახი ბატონი თეიმურაზ შეყრილი კახითა და მოვიდნენ და დადგენ კოუორზედა და წარვიდენ ქართველნი.

და მას უამსა შინა ხვანთქარი გასწყრომოდა მანუჩარ ათაბაგსა და ველარ დაუდგა ურუმსა. მაშინ წარდმოვიდა ახალდაბას სამასის კაცითა. და რა სცნა საქმე ესე მანუჩარ ათაბაგმან, მაშინ წარმოვიდა სამასისა რჩეულისა კაცითა და შემოყარა. და განიხარეს ქართველთა და კახთა სიხარულითა დიდითა, წარვიდნენ და მივიდნენ, განთიადს დაესხნენ ყორჩიბაშსა. და შეეტყო მათცა და წინათ თოფხანა გამოეყენებინა და, რა მივიდნენ ქართველნი, დაუშინეს თოფი და ასეთი კუამლი დადგა, რომ იმათი ჯარი ველარ დაინახეს. რა გარდიყარა კუამლი, შეუტივეს ქართველთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი. და მოისრა ყიზილბაშნი თოთხმეტი ათასი, ქართველნი და

ბეჭი გენაციელი

კახნი ცხრა ათასი და მოუკუდა ზურაბ ერისთავს ცხრაასი. თავთა-გან მოკუდა მაშინ აღათანგი ხერხეულიძე და მისი სახლისკაცნი შედნი და ბაადურ ციციშვილი, და კახი დავით ჩოლაყაშვილი შვდი მოკუდა და ცხრა მაჩაბელი და სხუა აზნაურშვილი და მსახური და გლეხი მრავალი ამოსნყდა. და გაემარჯუა ქართველთა და გაიქც-ნენ ყიზილბაშნი, და სდიეს ვიდრე გატეხილ-წიდამდე, დაწოცეს ურიცხვ. ხოლო მაშინ ზურაბ ერისთავი შუბლზედ დაკოდილი იყო, თოფსა გარდაეკრა, და უსუსტდებოდა გული მეფემან და მოურავ-მან და სხუათა თავადთა ნახეს იგი და მოუცადეს.

მაშინ შაბადა-ხან თავისის ჯარითა წინწყაროს მდგარიყო და წარ-მოსრულიყო და მოვიდა ნაომარზედა, დახედა და ნახა, რომე ესე მცირედი კაცი ერთს ადგილს. შეყრილიყვნენ და იდგნენ ქართველთ-აგანი, და იცნა შაბადა-ხან. მაშინ შემოუტია და შეექნათ ბრძოლა ძლიერი, უმეტესი პირველისა, და ბრძოლენ ქართველნი ფიცხად. და მას დღესა ბატონმან თეიმურაზ დაამტურია ყოველი საბრძოლო იარალი და აღარა შერჩმოდა რა და ბეჭდებიცა დაემტურია კაცზე-და, და იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა. და ძლიერად შეიბნენ მან აღათანგ ხერხეულიძე და კახი ასლანისშვილი დავით და ორნივე დაიწოცნენ მუნ. და შემდგომად ამისა ძლიერად შეიბა მუხრანის ბატონი თეიმურაზ, ძმა ქაიხოსროსი, და მოკლეს იგიცა მუნ და რა მოკლეს თეიმურაზ მუხრანის ბატონი, დაიძახეს თეიმურაზ მოკლესო. და მაშინ რა ესმა ესე ქართველთა, ეგონათ თუ ბატონი თეიმურაზზ მოკლესო, და მაშინდა დამაშვრალ-ნი ქართველნი ივლტოდენ და გაიქცენ.

ხოლო ათაბაგი და ყმანი მისნი დიდად მწნედ და ძლიერად ომობ-დენ. და ნახა ათაბაგმან ამირგუნა-ხან ერევნის ხანი, გამზრდელი თვისი, შეუტირა და დაჰკურა თავსა თავიანსა ჭრმალი, თავი გაუპო. თავსა დიდი შეჰკურეთა და ჩამოაგდო. შემოსხა ამირგუნ[ა]-ხან: „ნამაქაფარმო, რასთვეს მომკლაო, ხომ მე გამიზრდიხარო“. მაშინ,

რა ესმა ათაბაგსა, გაუშვა, წარვიდა და იყლტოდა. და რა ეს ნახეს ყიზილბაშთა, მაშინდა გამოპრუნდენ და თვით ყორჩიბაშიცა გამობრუნდა და მოვიდა პირველსავე მას ნაომარსა.

ხოლო ბატონი თეიმურაზ და ქართველი შეიქცეს თვე-თვესად, და რა მივიდა მოურავი ნოსტეეს. მაშინ შემოიყარა, რაღაც გარდაორჩომოდა, ჯარი თვისი. და მას უამსა გამოსულიყვნენ ქალაქის ციხიდამე მარბელელი თარეში თათარნი და ლისი მოერბიათ. მაშინ წარვიდა მოურავი, რამეთუ ლისი იმისი იყო, ბატონის ნყალობა, მივიდა მოურავიცა სამოცის კაცითა და შეება გულ-მესისხლედ, და ამოსწყვტა. ღმერთმან გამარჯუება მისცა და მოსრა კაცი შედასი, გააქცია და ამოსწყვტა და ცოლშვილს კაცი უჩინა და სამცხეს გაგზავნა. თვით განვიდა, ნინამურის გზები ჩახერგა და ღართის კარიცა შეუერა თვით და მუნ მომავალი ყიზილბაშნი დაწყოცა და ამოსწყვტნა და ამის ცდაში იყვნენ ყიზილბაშნი, რათა, ანდუფაფარ ამილახორის ცოლი რომ არშას ციხეში იყო, ის ქალი ყაენის შვილისშვილი იყო, სკონ მეფის ცოლის დად იყო, და იმისი გამოყვანა უნდოდათ და დაუწყეს ზურაბს ლაპარაკი, რომ ის ქალი მოგუეცო; რამეთუ მაშინ ის ქალი არშას ციხეში ჰყვანდათ, რომელ არს ციხე წევისა, და დაუწყო ყორჩიბაშმან ზურაბ ერისთავს ლაპარაკი: „გზა მომეცო, ჯარს გავგზავნი და იმ ქალს გამოვიყვან და წავალ ჩემთვნაო“. მაშინ საფიცარი მისცა ზურაბ ერისთავმან, რომ გზას დაგანებებ და არას დაგიმარცხებო, შევლით ჩემს მამულზედ შეიარეთო და ჩამოვლით ქსანზედ წამოდითო, რომ ჩემს მამულს დიად ძალი დაემართებათ.

მაშინ ყორჩიბაშმან უთავა ჯარს ხოსრო-მირზა, რომელი პირველ ვაქსენეთ წარვიდენ, შევლეს. და გამოიყვანეს და გარდმოვლეს ლომისა და ენება ქსანზედ ჩამოვლა.

მაშინ პირობა მისცეს ზურაბ ერისთავმან, იესე ერისთავმან და მოურავმან გიორგ და ერისთავის ძმამან, და შეკრეს ქსანზე გზები, დაუხუდენ და მოსწყვტეს ასე, რომე იმისთანა გამარჯუება



ბერი გუნატაშვილი

არა თქმულ არს. მოსრეს ესრეთ, რომე ქსანი შეიღება სისხლითა და სისხლის ფერად დიოდა. და მაშინ კარგად იყო ხოსრო-მირზა: ხოლო ქალი ვერ წაართუეს, სხუანი ჯარი და სპანი ამოსწყვეტნეს და სძლად წაართუეს სალარო და ბარგი. მოვიდა ხოსრო-მირზა და მოიყვანა ქალი ყორჩიბაშთანა.

მაშინ მოურავი წავიდა სამცხეს, ცოლსა და შვილს მიეპატრონა.

წარმოვიდა ყიზილბაშის ჯარი და მოიცვეს საბარათაშვილო და სომხითი, მოითარეშეს და იყვნენ.

ხანსა რაოდენსაეე უკანა გაგზავნა ყორჩიბაშმან ჯარი მოურავის თავს დასასხმელად. მაშინ მოურავი მთაზედ იყო სანადიროდ და გარდმოხედა და ნახა ყიზილბაშის ჯარი, რამეთუ ასპინძა ავსილიყო ჯარითა. მაშინ შემოუტივა მოურავმან და მისცა ძლევა ღმერთმან და ამოსწყვეტა თათრის ჯარი, მრავალი იმათიც დააყრევინა, თვარემ ამათი ვერა წაიღეს რა და წავიდნენ გაქცეულნი.

მაშინ ხერთვისის ციხე და სხუანი რაოდენნიმე სამცხის ციხენი ყიზილბაშთა ეჭირა, მივიდა მოურავი და აღიღო ციხე ხერთვისისა და სხუანი ციხეები და შინამყოფნი ყოველნივე ამოსწყვეტა, და მაშინ გაგზავნა ქავთარის შვილი გიორგი ხვანთქართანა და შეუთუალა, ვითარმედ: ესე ციხეები ყიზილბაშ ეჭირაო და ან მე წამირთმევიაო, გამოგზავნეთ ჯარი თქვენი და დააყენეთ ციხეებსა ამას შინაო. ხოლო ხონთქარმან დიდად დაუმაღლა და მრავალი წყალობა გამოუგზავნა და გამოგზავნა ენგიჩრები და დააყენა ციხეებსა მას შინა.

ხოლო ყორჩიბაშმან გაამაგრა ციხე ტფილისისა და და[ა]გდო მენ სკმონ მეფე, ქრისტეს აქათ ჩ-ქუც, და თკთ ყორჩიბაში გაბრუნდა, წარვიდა და წარიყვანა ქალი თანა. და ვითარცა წარვიდა ყორჩიბაში, სკმონ მეფე ვერ გამოვიდოდა ციხიდამე და ვერცა პატრონობდა ქართლსა.

მაშინ კუალად მოვიდა მოურავი და ზურაბ ერისთავმან კუალად დაიპყრეს ქართლი და დასუეს კუალად მუხრანის ბატონი ქაიხ-

ოსრო უფროსად, და იგინივე პატრონობდენ და და უფროსობდენ ქართლსა.

და ამა უამში მოკუდა შააბაზ. მაშინ ხოსრო-მირზა, ქართლში რომ კარგად ყოფილიყო და ბევრს გარვეილიყო, მისად მაგიერად მიეცათ ყულარალასობა და იყო ყულარალასი, ხოლო, და შააბაზ მოკუდა მაშინ აირივნენ ყიზილბაში და კარის ბეგლარებს სწა-დოდათ ერანის აშლა. ხოლო ამა ხოსრო ყულარალასმან გაამაგრა კარი და გამოიყვანა შვილი შააბაზისა შაჰ-სეფი დადასუა ყაენად, და მოუდგა თვთ და გაუმაგრა კარი და დარჩა დიდად ერთგულად ყაენზედა. და იყო ყაენი მწყალობელი მისი.

ხოლო განდიდნა ზურაბ ერისთავი და არლარა უდებდა მოურ-ავსა თავსა და სიძეცა იყო ბატონის თეიმურაზისა, ამისთვის დიდობდა. ინყინა მოურავმანმისი თავს-დაუდებლობა და ამანაც ალარა აქსენა. და ამაში შეექნათ შური დიდი და მტერობა: ზურაბ ბატონს თეიმურაზს მიუდგა, და მოურავი ქახოსროს, გამგებელსა ქართლისასა, და ქართლი სულად შემოუყარა ქახოსროს მოურავ-მან. და არა მორჩილ ექმნეს ესე ორნი ერისთავი ზურაბ და ამი-ლახორი იოთამ, და იყო განდგომილება ურთიერთას შორის. ხოლო ნარგზავნა მოურავმან კაცი და ითხოვა შენეენა იმერეთის მპუ-რობელის გიორგისაგან. შემნე ექმნა და ნარმოსცა გიორგი სპანი თვესნი.

მაშინ საათაბაგოს საფარ-ფაშა იჯდა, რამეთუ მანუჩარ ათა-ბაგი ოდეს ქართლად იყო, მაშინ ნარვიდა ხონქართანა. და შეე-წყალებინა ხონთქარსა და მიეცა საათაბაგო თავისის სულითა, და ოდეს გაბრუნებულიყო, მაშინ წინ დახდომოდა საფარ-ფაშა მა-ნუჩარ ათაბაგსა, და იყო ნათესავიცა მანუჩარისა. ხოლო მალვით მოეწამლა და მოეკლა ათაბაგი და თვთ ნარსულიყო საფარ-ფაშა და გათათრებულიყო. და მოეცა საათაბაგო საფარ-ფაშისათვეს. ნარმოვიდა და მოვიდა საათაბაგოში. რომელნიმე მაშინ თავადნი გათათრებულიყვნენ ათაბაგისანი, და, რა ესე საფარ-ფაშა მოვი-



ბერი ეჭნაცაშვილი

და, სრულიად გაათათრა, რანიცა თავადნი იყვნენ ქრისტიანენი. მიერითგან იყვეს თათრობა და ამას. საფარ-ფაშას სთხოვა მოურ-ავმან ჯარი და ათხოვა.

მაშინ ბატონი თემურაზ და ზურაბ ერისთავი ერთად იყვნენ დუშეთს სახლსა ზურაბ ერისთავისასა. და შემოიყარა მოურავმან ჯარი, მივიდა დუშეთს ბატონს თემურაზზედ, რამეთუ იყვნენ კახ-ნი სრულიად მუნ და ზურაბ ერისთვის ლაშქარი და საამილახორო. და შეიძნენ ბაზალეთს ფიცხელად ასრე, რომე არა დარჩა კაცი, რომ არ დაიჭრა, და მრავალნი თავადნი დაიწოცნენ და თვთ ბატონი თე-იმურაზიცა დაიჭრა მას დღესა. და დაუმარცხდა მას დღესა მოურ-ავსა და თვთ მოურავიც დაიჭრა, წარმოვიდა ცოლი ქაიხოსროს გამგებელისა, ძმისა მისისა თემურაზისა, და ძე მათნი იმერეთს გავიდენ. ცოლი მოურავისა და ძენი მისნი სამცხეს გარდავიდნენ და თვთ მოურავი და ქაიხოსრო, გამგებელი ხონთქართან წარვიდენ.

და უყო მოურავს ხონთქარმან წყალობა და მისცა სანჯახები. და დააყენა მოურავმან ცოლი და შვილი მისი ოორამ მუნ სანჯახშია. ხოლო მოურავმან გმო სჯული თვისი და იქმნა მაპმადიან და სთხოვა ჯარი ხონთქარსა და დაპირა, რომ წავალ და დავიჭერ ქართლსაო და სულ გავათათრებო და დაგამონებ ყმათაო, ხონთქარი მაშინ ყაენის გარიგებული იყო და უთხრა ხონთქარმან: „ერთი ქუეყანა მაქუსო დამდგარიო და იმაზედ გაგაყენებო და, თუ იმაზედ გაგე-მარჯუება და დაიჭერო, მას უკან მაგასაც გაგირიგებო“. გაგზავნა და გაატანა აზამ ვეზირი თანა დიდის ჯარითა. რა მივიდნენ, მუნცა დიალ კარგად იყო მოურავი: შეება და გაიმარჯუა.

აზამ ვეზირს ხონთქრის დაა ჰყვანდა ცოლად, და, რა ესე ამბავი მოუვიდა ხონთქარსა, იამა დიდად და დიდი სახელი და წმა დაუ-ვარდა მოურავს. მაშინ იწყინა ხონთქრის დამან, რომელი ედგა ვეზირსა, და მისნირა წიგნი: „როგორი საქმე არის და ან როგორ გეკადრებაო, სულ მოურავის სახელი მოდის და შენი არაო“. მაშინ უდალატა ვეზირმან: დაპპატიუა და ლალატით მოკლა მოურავიცა

და შვილებიცა და გამგებელი ქაიხოსრო და, რაცა ჰყვანდა, ყოველივე ამოუწყეტა. ერთი შვილი ახლდა თანა ავთანდილ, მოუკლეს იგიცა მაშინ თან ახლდა გორგასალ და შვილი მისი ბეჟან, და ნააყენეს ბეჟან სასიკუდილოდ. მაშინ შეეხუენა და ქრთამი მისცა იასაულს, რომ მაგ ჩემს შვილს კი ნუ მოყლავ და მე მომკალო, ჩემი თავი ანგარიშში გაგეთულებაო და მაგას ნუ მომიკლავო. მაშინ ის-მინა მტარვალმან და არღარა მოუკლა შვილი, თვით გორგასალ მოკლა: თავი მოსჭრა, მიიტანა და ანგარიშში გააროინა. ბეჟან მორჩა და ნარმოვიდა.

ხოლო ცოლი მოურავისა და შვილი მისი იორამ დარჩა აზრუმს ქუეყანსა, ხოლო ძენი მუხრანის ბატონის თეიმურაზისანი და ქაიხოსროსანი ნარმოვიდნენ იმერეთიდამე და მოვიდნენ. მუხრანს რა სცნა ბატონმან თეიმურაზ ამათი მოსვლა მუხრანს დაუწყო მტერობა და არა დაანებეს მშურანი, და იყვნენ ერთს გლახაეის კაცისა ლარიბად და გლახაკობითა. ამა უამსა შინა უფრო განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა დაუდვა ბატონს თეიმურაზს თავი და ამას შინა დაუწყო საქმობა სკმონ მეფეს პატარასა და იყო სკ-მონ მეფე ციხესა შინა ტფილისისასა. და მისცა ზურაბ ერისთავ-მან საფიცარი დიდი და გამოიყანა ციხიდამე და მოუდგა ზურაბ ერისთავი და გააპატონა და მოუყენა ქართლი. და ნამოიყვანა ზემო ქართლს და მუნ იყოფებოდა. მაშინ სკმონ მეფე მამასა ეძახდა ზურაბს და იყო მისი მორჩილი და არას იქმოდა მის გარდაუალსა.

და რა ნახა ბატონმან თეიმურაზ საქმე და განდგომილება ერისთვის ზურაბისა, მოკლებულ იქმნა ძალისაგან და არა სადა ჰქონდა მისალტოლებელი. მაშინ წინა. ალრჩევით განიგულა ნარსვლა ყაენთანა, განემზადა და ნარვიდა, და შთავიდა უფადარს, მუნით-გან აღნერა ქარტასა ზედა ნარმომთქმელმან ესრეთ: „არა ჯერ არს განწირვა სიძისა მიერ სიმამრისა, ვინათვან შვილი ხართ და სიძე ჩემი. და ან მე ნარესრულვარ ყაენთან, ამიერითვან ვიხილო ერთობა თქუენი და მეფის სკმონისა“.


 პეტრი ეჭნაცაშვილი

და ვითარცა ესმა ზურაბ ერისთავსა სიტყუა ესე და წარსელა ბატონის თეიმურაზისა ყაენთანა, განიზრახა თვესაგან, რამეთუ ესრეთ იყო წადილი ზურაბ ერისთვისა, რათამცა ბატონი თეიმურაზ კახეთსა ზედან უფლებდეს, და სკმონ მეფე ქართლსა ზედა; და თვოონ ორთავე ზედა კადრებდეს და ვერარას მოქმედებდენ თვითი მისა, და მოსწრავე იყო წარმართებასა საქმისა თვისისასა, და, უკეთუ რომელიმე არა იყოს ნებისმყოფელი მისდა, იგი მეორე მეტოქად ეპყრას, და, რომელიცა არს მორჩილ მისდა, იგიცა იყოს უფალ მისა და არს საქმე ესე წინააღმდეგომი ბრძანებისა ღმრთისა, ვითაცა იტყვს: „ვერ წელ ენიფების ორთა უფალთა მონებად“.

და ვითარცა სარწმუნო იქმნა წარსელასა ბატონის თეიმურაზისასა, მაშინ იზრახა ზრახვა ბოროტი, წარსაწყმედელი თავისა თვისისა, შურითა ეშმაქისათა, და აღდგა მევლელდ მეფისა სკმონისა: და მძინარე სარეცელსა ზედა ღალატად მოკლა იგი, წარკუეთა თავი და წარსუა ბატონს თეიმურაზს, და აქა დასრულდა თესლი დიდის მეფის ლუარსაბისა. ხოლო ზურაბ ერისთავმან, რა წარგზავნა თავი მისი, და მიიყვანა ბატონი თეიმურაზ და უფალ-ყო ქართლსა და კახეთსა ზედა.

და ვითარცა გამოჰვედა, მცირედი ხანი რამე, მაშინ მოიქსენა ძვრი იგი წახეთისა სულთნისა ბატონმან თეიმურაზ, რამეთუ მას უამსა ოდეს შააბაზ ყაენი მოინია იავარყოფად კახეთისა და მოაოწრა სრულიად კახეთი, მაშინ თანა-მწე ეყო სულთანი იგი წახეთისა და ქმნა მრავალი ბოროტი მან კახეთსა ზედა. ამისთვის იდუმალ მოუნოდა სპათა ქართლისა და კახეთისათა ბატონმან თეიმურაზ, განილაშქრა და წარემართა წახეთსა ზედა, და, ვითარცა მიინია ალონსა შინა, უბრკმამჯდომარე იყო ბატონი თეიმურაზ, და იქმნა მომტეხ-ელ წელისა და თვთ ვერღარა ეძლო და უთავა ზურაბ ერისთავი და გაატანნა სპათი თანა. და წარვიდეს და მიინივნეს უგრძნობელად და დაესხნეს თავსა სულთანსა წახეთისასა, და მოსრეს პირითა მახკლისათა ყოველნი მუნ მყოფნი, მოაოწრეს და იავარ-ყვეს ყოველივე

სანახები და თემნი სულტანისანი და თვთ იგიცა სულტანი შეიპყრეს და მოკლეს და წარმოილეს. მრავალი ნატყუენავი და იავარი მათი, შემოიქცეს გამარჯუებული და მოვიდეს ბატონს თეიმურაზსა თანა. და იამა ბატონს თეიმურაზს და დიდად მხიარულ იქმნა.

და ამას შინა გამოჰქვდა უამი რამე და მოიქცნა პირველი ძვრი ზურაბ ერისთვისა და ჰქონდა შურია მისთვეს ფრიად და იმარჯუებია უამსა, რათამცა ბოროტი რამე შაჩუენა და განიგულა სიკუდილი მისი, და არა რიდა სიყუარულსა სიძისასა და არც ქურიობასა ასულისა თვისისასა დარეჯანისსა. მაშინ ბატონი თეიმურაზ [იყო] მუხრანსა და მუნ ლამიბდა ლალატსა ზურაბ ერისთვისასა; მაშინ მოუწოდა ბატონმან თეიმურაზ სარნენუნოთა მონათა თვისთა და განუცხადა საიდუმლო გულისა თვისისა, წარმომთქმელმან ესრეთ: „ვინათგან ესრეთ განდიდნა ერისთავი ზურაბ და არავისი ნებავს უფლება ქართლსა და კახეთსა ზედა და, რომელი უნებს, დააყენებს და, რომლისაცა არა უნებს, რომელსამე მკვლელ ექმნების და რომელსამე განაძებს, და ან მნებავს სიკუდილი მისი და თქუენ დაიდუმეთ საიდუმლო ესე და, რომელსა მე უამსა გამცნ სიკუდილი მისი თქუენ ნუ ურჩ მექმნებითო“.

და ესრეთ განამტკიცნა მონანი თვისნი და წარავლინა კაცი და უქმი ზურაბ ერისთავსა. და მოვიდა იგი, იშუებდენ და ლხინობდენ, და ვერა აგრძნა ერისთავმან. და დღესა ერთსა მსხდომარე იყვნენ მონანი მისნი, მაშინ წამ-უყვნა ბატონმან თეიმურაზ. ხოლო მათ ალილეს მახველები უგრძნობელად ერისთვისა და ინაჯით მჯდომარესა უდალატეს და მოკლეს. და ალსრულდა ბრძანება უფლისა მის ზედა, ვითარმედ: „რიმელმან ალილს მახველი, მახვლითაცა წარწყმდეს“ და იძია შური ბატონმან თეიმურაზ, წარვიდა დუშეთს და წარმოიყვანა ასული თვისი დარეჯან, მოვიდა და დადგა მუხრანს.

მაშინ განიზრახა მზახობა იმერეთის მპყრობელსა გიორგის ძის ალექსანდრესათვს, რამეთუ გიორგის, იმერეთის მპყრობელს. ეს-სნეს სამნი ძენი: ალექსანდრე, მამუკა, და უმრნამესი იყო ბერი.

ბეჭი ეცნატეტვილი

და მისცა ასული თვისი დარეჯან, ცოლყოფილი ზურაბ ერისთვისა, ალექსანდრეს, იმერეთის მპყრობელის ძესა. იქმო იმერეთიდამე და მოიყვანა მუხრანს, სოფელსა ქინძარასა, და უკურთხა გვრგვი მცირესა ეკლესიასა ქინძარისასა და გარდაიხადა ქორნილი. რამ-ეთუ ამა ალექსანდრესა პირველად ედგა გურიელის ასული ცო-ლად, მაშინ დაენამა ცილი რამე ქალსა მას გურიელისა და მისთვის იგი განუტევა ალექსანდრე და ესე დარეჯან ისუა ცოლად მისცა და ნარიყვანა იმერეთს.

ხოლო უამსა ამას მპყრობელი იმერეთისა გიორგი და დადიანი შურად ედგნენ ერთმანერთსა და იყო წდომა და შური ურთიერთას, აოწერდენ ქუეყანასა ურთიერთას.

მაშინ ბატონმან თეიმურაზას შემოიყარნა სპანი თვისნი, წარვიდა და მიუკდა ულიკოსორს ლეკსა, რამეთუ იგინი უწდებოდენ კახეთს ავაზაკობდენ და სრვიდენ კაცთა და ტყუე-ჰყოფდენ და ჰყიდდენ, და ამისთვის შური იძია ბატონმან თეიმურაზ, მიუკდა და გაემარჯუა და მოსრა პირითა მახვლისათა ყოველივე მუნ მკედრნი. და წარმოვ-იდნენ მუნითგან ეძლეველი მტერთანი, შემოიქცეს კახეთს:

და ვინათგან არღარავინ ჰყვათ ქართველთა მკედრი არცა მეფე არცა ძენი მეფისანი, მცირედ ოდენ მორჩილ იყვნენ კახის ბატონის თეიმურაზისა და ჭმუნვიდენ უმკედროებისათვს მეფისა საქართველოსათა. ამისთვის არა მსასობელი მკედრობისა, არ-ამედ უამადმდე მგებელი საქმისა, ერჩიდეს ლაშქარ-ნადირობასა შინა და არარას მზრუნველი მკედრობისა მისისათვს, თვინიერ მისა მეტყუელნი: „დღეს არს და ხვალე არაო“. და მას უამად დაე-ჰყრა ქართლიცა კახს ბატონს თეიმურაზს და ამისთვის ლაშქრობ-და, ვინათგან ჰყვა სპათა სიმრავლე მით მძლავრობდა ყოველთა ნინაალმდგომთა ოვსთა და იძია შური პირველი მტერთაგან მისთა.

მაშინ კუალად მრუნოდა ქართველთა და კახთა, შემოეყარნეს ყოველნივე და წარვიდა წარტყუენვად და მოოწრებად ყარაბალისა და, უგრძნობელად თავსა დამსხმელთა, იავარ-ყვეს და მოაოწრეს

სრულიად ყარაბაღი, წარმოსტყუენებეს და წარმოილეს მრავალი ნატყუენავი და შემოიქცეს ძლევა-მემოსილნი, მოვიდეს კახეთს.

ხოლო უამსა ამას იყო გუარულად უნდილნე სახელი[თ] დაუ-თხან, და ესე უფლებდა განვჯას, თვით აღზრდილი ყიზილბაშსა შინა. და იყვნენ მმანი და სახლეულნი მისნი მრავალგუარად ნამსახურნი და ცონბილნი შააბაზ ყაენისა მიერ და იყვნენ თანამდგომნი და ერთგულნი ყაენისა. და უყოფდა მრავალსა კეთილსა შააბაზ ყაენი მათ, არამედ კუალად სძლია ჩუეულებამან მიუნდობელობისა მა-თისამან და სიბოროტისამან, ვითარცა თქმულ არს: „ჩუეულება სჯულსა უმტკიცე არსო“, და არ[ს]ცა ჭეშმარიტად ჩუეულება მათი სჯულსა მათსა უმტკიცე. ამან შა-სეფიმ შეიძყრა ძმა დაუთხანისა და წარკუეთა თავი და შვილსა მისსა დასთხარა თუალები და ექუსი ძმისწული მოუკლა.

და რა ესმა დაუთხანს საქმე, წარმოვიდა განვიდამე და მოვიდა ბატონს თემურაზთანა კახეთს და თან ჰყვა ჯარი ყაჯრისა ცო-ლიან-შეილიანად და დაასახლა იორზედა. და რა ესმა ესე შა-სეფი ყაენისა, ძესა შააბაზისასა, საქმე ესე, ენყინა დიდად.

ჩოსტომ მეფე

მაშინ იყო ვინმე სააკაძე როსტომ, რომელი აღზრდილიყო ყაენის კარზედა. და იყო ესე სააკაძე როსტომ კაცი გამოჩენილი და დიდად პატივცემული ყიზილბაშთაგან. და მისცა მას სპასალარ-ობა და გამოაყენა ქართლსა ზედა და წარმოატანა თანა ბატონად ქართლისა ხოსრო-მირზა, ძე დაუთხანისა, რომელი პირველ ვაწ-სენეთ, რამეთუ ამა ხოსრო-მირზას მისცა ყაენმან ქართლი და უნო-და როსტომ-ხან და წარმოგზავნეს ორნივე ზოგად როსტომ-ხან და როსტომ სპასალარი სააკაძე.

ხოლო კახეთი მისცა სალიმ-ხანს და იგიცა თანა წარმოატანა.



ნარმოემართნეს და მოვიდეს ხუნანს და დაიპანაკეს მუნ ხუნანს, რომელ არს გატეხილი-წილი. მაშინ ბატონმან თეიმურაზ, სცნა რა საქმე ესე, შემოიყარა სპანი თვესნი, მოვიდა და დადგა საფურცლეს და მოუნოდა ბარათიანთა ცოლშვილიანად და მოასხა მუხრანს და იყვნენ მუნ. და რა სცნეს ბარათიანთა მოსვლა როსტომ მეფისა ხუნანს, დაუტევეს ცოლშვილი და ნარვიდენ როსტომ მეფეს თანა. და რა სცნა ბატონმან თეიმურაზ ნასვლა ბარათიანთი, განრისხნა ფრიად და ინება ცხვირ-პირის დაჭრა ბარათიანთ ცოლშვილისა, ხოლო ხორეშან დედოფალმან აღარ დაანება. და ვეღარა დადგა ბატონი თეიმურაზ მუხრანსა და არცაღა ძალ-ედვა წინააღდგომა როსტომ მეფისა. მაშინ ნარვიდა ცოლშვილით იმერეთს და თან წარვენენ რომელნიმე კახნი.

და, რა ესენი წარვიდენ, მაშინ ეპყრა მუხრანი ვახტანგს, ძესა თეიმურაზისასა, წარვიდა ესე ვახტანგ და მივიდა როსტომ მეფეს თანა. და რა სცნეს ყიზილბაშთა ნასვლა ბატონის თეიმურაზისა, გამოუყენეს უკანა თარეში. ბატონმან თეიმურაზ და რომელთამე კახთა გარდაასწრეს იმერეთს, ხოლო რომელთამე მოენივნეს პერანგაზედა, რომელიმე მოსრეზ, რომელიმე შეიპყრეს და ტყუე-ყვეს ხიზანი, წარმოვიდნენ და მოვიდნენ როსტომ სპასალართანა.

ხოლო იყვნენ მრავალნი და ურიცხუნი ყიზილბაშნი, როსტომ მეფე ქართლში და შემოეხვივნენ ქართველნი, ხოლო სალიმ-ხან ჩაიყვანეს. და დასუეს კახეთშია. მაშინ აღაშენეს ციხე გორისა და შეაყენენ მცველნი, და კუალად შეაყენეს მცველნი სურამის ციხეშიაცა.

მაშინ როსტომ მეფეს მოსცეს მაშუელებლად ლორის ხანი, ყაზახის ხანი და შამშადილოს ხანი, ხოლო სალიმ-ხანს უჩინნეს მაშუელებლად განჯის ჯარი და ყაჯარისა.

და იყო მეფე როსტომ დიდად მორქმული და საქონლით სავსე ამისთვეს, რომ ყაენი აძლევდა მრავალსა და. იყო ყულარაღასი და ტარულა ისპაანისა. და იყო დიდად მწყალობელი ყაენი როსტომ მეფისა და უგზავნიდა მრავალსა.

ხოლო როსტომ მეფე აძლევდა ქართველთა ლეიინის ხალათებსა და მცირესა მისაცემსა, რამეთუ მაშინ ქართველთა არ იცოდნენ კაპა და არცა ჰყუარობდნენ მორთუასა. და ამა მცირედითა მისაცემითა დაიერთვულნა და შემოიყარნა ქართველი, რამეთუ მაშინ იყვნენ ქართველი გულწრფელი და გამოუცდელი ყიზილბაშის წერტისა და ტყუილისაგან, და ესე როსტომ მეფე იყო კაცი წერტიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა. და მას უამსა ვინცავინ ქართველი იყვნენ ყიზილბაში და ტყუილებულ[ნ]ი და გათათორებული, ყოველნივე წარმოიყვანა ქართლში და სწადოდათ გათათორება ქართლისა. და იყო წესსა ზედა ყიზილბაშისასა და გაარიგა რიგი სახლისა თვისისა ყიზილბაშურად და განანესა მოწელენი და გამრიგენი თათარნი, და არცა მოშალა ქართველი მოწელე, და იქცეოდა დიდებულად.

და მაშინ მეფეთა ქართლისათა სასახლე იყო ციხესა შიგან, წმიდისა ნიკოლოზისა, და ამან როსტომ დაუტევა და მუნ დასუა მიმბაში ყიზილბაშისა, თვით გამოვიდა და დასახლდა პირსა მტკურისასა ანჩის საყდარსა და სიონსშუა. მუნ ციხეშიაც აღაშენა მეჩიტი აბანოს პირდაპირ და წევს გამოლმა და თვისა სასახლეშიაც აღაშენა მეჩიტი, და კუალად აღაშენა ბალი სიშიტურტუქს ქუმორე და მუნცა აღაშენა მეჩიტი.

და ამა უამსა შინა იჯდა ერისთავად დათუნა ერისთავი არაგვა და არა უდებდა თავსა როსტომ მეფესა, და ესაქმებოდა ბატონს თეიმურაზს და როსტომ მეფესაც ემსახურებოდა. შეუტყო წერტი ესე როსტომ მეფემან, შემოიყარა ჯარი და მივიდა მუხრანს, შეუთუალა დათუნა ერისთავსა: „პირობა მომეც, რომ ყაენთან ნახვიდე, მოგიმართავ წელსა და გაგვზავნი, თუ არა და, შემოგიჩდები და შენს ქუეყანას ავაოჭრებო“. და არა ძალ-ედვა წინააღმდეგომა მეფის როსტომისა და წარმოვიდა მეფეს თანა და მოვიდა. უღალატა მეფემან როსტომ და მოსჭრა თავი და გაუგზავნა ყაენსა, შეუთუალა, რომ ეს მჩხუბევდა ბატონს თეიმურაზთანა, და თვით საერის-თოს შეუქდა.

ბეჭი ეჭნაციაშვილი

მაშინ იყო ძმა დათუნა ერისთვისა ზაალ შემოიყარა ამან ზაალ ჯარი თვისიდა დაუხუდა წინა, გაემარჯუა და გამოაბრუნა, მაშინ გაუგზავნა ზაალ კაცი ბატონს თემურაზს და შეუთუალა ფიცი საშინელი და გაუგზავნა მძევალი და საფიცარი: „მოდი და გაგაბატონებო“. რა მიუვიდა ბატონს თემურაზს კაცი, მაშინ ვერ ძალედვა ქართლზედ მოსვლ და წარვიდა იმერეთიდან დვალეთზედ, გარდმოიარა და მოვიდა ანანურს და მუნ დადგა.

მაშინ შემოუჩინეს კაცები და ემტერებოდენ როსტომს მეფესა, მაგრამ ვერსად მოაწელეს: ფრთხილობდა და იყო ქალაქის ციხეშია. მაშინდა ერთგულად მოუდგნენ რომელნიმე წვრილნი კაცნი ქართველნი, ციხეში იჯდა და ვერას უმტერებდენ.

სალიმ-ხან, რომელი იჯდა ქუეყანასა კახეთისასა, მოსაბრუნს, და მუნ აშენებდა სახლსა, და რა ნახეს ესე რომე როსტომ მეფეს ვეღარა უმტერეს, მაშინ მიუწდენ სალიმ-ხანს, დაესხნეს თავსა. და თვით სალიმ-ხან გარდაუსწრა, ვერ დაიჭირეს და სხუანი, რომელნიც ყმანი მისნი თათარნი მოაწელნეს, დაკოცეს და ზოგი დაიჭირეს.

და წარმოვიდა ბატონი თემურაზ და დაიჭირა კახეთი. მაშინ კახეთი დამცრობილი იყო და ვერ დადგა როსტომ მეფის შიშით, მივიდა და დადგა ანანურთან და მუნითვან ქართლსაცა ცდილობდა, ამა უამსა შინა ინება როსტომ მეფემან და დადიანმან ერთმანერთის მოყურობა. მაშინ დადიანი ლევან და იმერეთის მპყრობელი ერთმანერთს უწდებოდენ და იყო შური დიდი ერთმანერთშია. და ამისთვის მოინდომა დადიანმან როსტომ მეფის მოყურობა და როსტომ მეფემანც ამისთვის მოინდომა დადიანის მოყურობა, რომე ბატონი, თემურაზ ამისი მტერი იყო და იმერეთში მაგრობდა და დადიანს იმისთვის უმტერებინა.

მაშინ არა ჰყვანდათ რა, რომ ერთმანერთისათვის მიეცათ. დადიანს ჰყვანდა დად, სახელით მარიამ, ესე ესუა ცოლად სკმონს გურიელს. ესე მარიამ იყო ნაშობი ათაბაგის ქალისა. მაშინ სკმონ გურიელმან გმო ღმერთი, შურითა ეშმაკისათა აღბორგებულმან, მოკლა

მამა თვისი მამია გურიელი: სარეცელსა ზედა მწოლარეს უღალატა. და ვითარცა სცნა ლევან დადიანმან, მიზეზ-ყო საქმე ესე, შეუთუ-ალა სკმონ გურიელსა: „ვინათვან ჰყავ საქმე ეგე ბოროტი, მე ჩემს დას შენ ალარ მოგცემო“. შეიყარა დადიანმან ლევან ჯარი და მიუკ-და ლანჩჩუტს. შეიყარა იქიდამ სკმონ გურიელმან ჯარი. ესე სკმონ გურიელი იყო კაცი მწენე და გულოვანი და მივიდა ესეც ლანჩჩუტს, შეიძნენ, და გაემარჯუა ლევან დადიანსა, შეიპყრა სკმონ გურიელი და დასწვა თუალები და გამოართუა და თვისი მარიამ. და დასუა გურიელად ქაიხოსრო, გურიელის სახლისკაცი. და ესე ქაიხოსრო გურიელი იყო მარიამ დედოფლის დედით ძმა.

და ნარმოუგზავნა როსტომ მეფეს კაცი და აღუთქუეს ქალის მიცემა. იამა როსტომ მეფესა და აეზზადა ნარმოსაყვანელად ქალი-სა. შემოიყარნა ქართველნი და ნარმოემართა.

მაშინ იყო დადიანი ლევან დიდად მდიდარი საქონლითა და სპი-თა. აქედამ როსტომ მეფე ნარვიდა სპითა მრავლითა და იქიდამ და-დიანი ნარმოვიდა შეყრილი და თანა ნარმოიყვანა და თვისი მარიამ, რამეთუ მაშინ ეშინოდათ იმერეთის მპყრობელისა გიორგისაგან და ნარმოვიდა სამიქელაძეოზედა, გამოიარა ფოკე, გამოწდა რიონს და ამოვლო საჩხეიძო და მოვიდა კაკას-წიდსა დადიანი. და ნარმოვიდა როსტომ მეფეც სამცხეზედ და შეიყარნენ როსტომ მეფე და და-დიანი კაკას-წიდსა დადადგნენ პირდაპირ სიახლოესა. მაშინ იმ-ერეთის მპყრობელი გიორგი შეიყარა სპითა მისითა და ნარვიდა იგ-იცა მათ ზედა, რამეთუ გაუბედა ჭრმალი და არა უტევებდა, მივიდა იგიცა სიახლოვესა მათსა და დადგა. არჩია გიორგიმ და განიზრახა თვეგან, ნარვალ სუბად და დაეხედავ ჯარსა მათსა, და ნარვიდა. ურჩიეს იმერელთ, მარტო ნუ ნახვალო, და არა დაიშალა, და ნარვ-იდა ათის კაცითა და დახედა მალლიდამე ჯარსა მათსა. და შეუტყო საქმე ესე დადიანმან ლევან, ნარმოგზავნა სპანი თვისნი. და ნახეს გიორგი რომ სუბად იყო, შეუტივეს და შეიპყრეს და მ[ი]ყვანეს და-დიანთანა. ამა უამს იყო ქრისტეს აქათ ჩ-ქლბ. ხოლო დადიანს იამა


ბეჭი უფნაცაშვილი

და გამხიარულდა დიდად და ტყუე-ყო, ხოლო მოსცა ქალი როსტომ მეფესა და ნარმოვიდა როსტომ მეფე და ნარმოვენა.

მაშინ გაპრუნდა დადიანი და ნარიყვანა გიორგი თანა და დაატყუევა ციხეშია და ჰყვანდა ტყუეთა. ხოლო ძემან გიორგისმან ალექსანდრე დაიპყრა მამისა წილ თვისისა.

და ნარმოვიდა როსტომ მეფე მასვე გზაზე, რომელსაცა მისულიყო. მას ჟამსა თათრად იყო ათაბაგი და არღარა სახელსდებდენ ათაბაგად, არამედ ოსმალის ენითა ფაშად სახელსდებდენ. და მაშინ იჯდა ფაშად საფარ-ფაშის ძე უსუფ-ფაშა. ამან დაანება გზა როსტომ მეფესა, გარდმოვლო ოცხე და ჩამოვიდა ქართლსა და ქნა ქორნილი ქელმწიფური და სახელოვანი. მაშინ სთხოვა ალექსანდრე, ძემან გიორგისამან, დადიანს მამათვისი და შეუკუეთა საქართვი. ხოლო დადიანმან სთხოვა ჩიხორსა და ჩხარს სომხები საქსრად. აჰყარა და მისცა, რაც შემოუკუეთა, და გამოიწინა მამა თვისი და მოიყვანა იმერეთს. და იცოცხლა გიორგი ხანსა რაოდენსამე შინა და მოკუდა. და დაჯდა მის წილად ძე მისი ალექსანდრე.

ამიერითგან მძლავრობდა დიდად დადიანი იმერეთზედა: ესრეთ გაუჭირა საქმე ალექსანდრეს, რომე ქუთაისს გალავანი შემოვლო და იჯდა მას შინა და ვერა წინააღმდებოდა დადიანს. ხოლო დადიანი მოუკედებოდა ყოველს საუფლოს დღეს, შობასა, ახალწელინადსა, ნათლისლებასა და აღდგომასა და აოწრება ქუეყანასა იმერეთისასა: რომელსამე წოცდა და რომელსამე ტყუე-ჰყოფდა და ჰყიდდა და დაირჩენდა და თავს დააწინევინებდა. და ამას ჟამსა შემოილო ლევან დადიანმან ტყვეს სყიდვა და თავის დაწინა, რამეთუ არა იყო მანამდი სყიდვა ტყვესა. და იყო დადიანი მდიდარ ფრიად და ემორჩილებოდენ სრულად აფხაზი და შარვაშიძენი ყმობდენ და ულაშერებდენ დადიანსა.

ხოლო როსტომ მეფე განდიდნა ფრიად და ვერღარა დააკლეს რა მტრებმან.

ამას შინა გარდა წელიწადნი სამნი. მაშინ უკუდგნენ არაგვს

ერისთავი ზაალ და ქსნის ერისთავი ბატონის თეიმურაზს. და აბატონებდენ კახეთსა შინა და ესენი ეკერძებოდენ მას. და იყო მას უამსა კახეთი გაოწერბული, და ჩავიდნენ ლტოლვილნი კაცნიცა და რაც მუნ იყვნენ, მცირედ ოდენ იწყო შენობად და მოსახლეობად. მაშინ ზოგჯერ გაუგზავნის ყაენს ფეშქაში და შეურიგდებოდის ბატონი თეიმურაზ და ხან აეშლებოდა, იყო კახეთშია და ესრეთ ბატონობდა.

მაშინ ბატონმა თეიმურაზ იზრახა და განიგულა დაპყრობა დიდოეთისა და სწადდა იქიდამე რუსეთის გზის შოვნა და ზურგის მობმა რუსეთის ჭელმწიფისაგან და მუნითგან რუსის ჯარის მოსვლა, რამეთუ ეს იყო ნადილი მისი. შეიყარა ჯარი და ნარვიდა დიდოეთზედა, ენება მოქცევა დიდოეთისა და მიუწდა დიდოეთსა და აღილო რომელიმე კოშკები და ალაგები.

ხოლო დიდოთა ითხოვეს შეწევნა ლეკთაგან, რამეთუ მაშინ დიდად ემტერებოდენ ლეკი კახთა, რამეთუ ბატონი თეიმურაზ მიწდომოდა და მრავალი ბოროტი შეემთხვია ლეკთათვს, და პირველითგანაც მტერ იყვნენ, ამისთვის მტერობდენ ლეკი კახთა. მოეშუელნენ ლეკი დიდოთა და შემწე ეყვნენ. და დახუდენ სიმაგრეშია ბატონს თეიმურაზს, დაუშინეს საგორავები, ქვა და ისარი, და ამოსწყვეტეს მრავალი. და გამოაქცივეს ბატონი თეიმურაზ, და, რომელნიცა ჰყვანდა გამოჩენილი ეპისკოპოზნი, დარბაისელნი, ყოველივე მუნ ამოსწყვტეს. და ჩამოვიდა კახეთს და იტირა: „ვაი ეპისკოპოზ – დარბაისელ – ამონყუეტილს“.

ამაში გამოვდა ხანი რამე, შეკრეს პირობა [ზაალ] ერისთავმან, იოთამ ამილახორმან, ნოდარ ციცაშვილმან, კათალიკოზმან დიასამიძემან ევდემოზ, გოჩაშვილმანგიორგი და ზოგმან რომელმანმე ქართველმანცა, ამათ ინებეს განდგომა როსტომ მეფისა. და უფროსლა ცდილობდა კათალიკოზი ევდემოზ ამისთვს, რომე ამისი ძმის ასული დათუნა[ს], ბატონი თეიმურაზის შვილს, ცოლად ესუა. ამათ გაუგზავნეს ბატონს თეიმურაზს კაცი და მისცეს საფიცრები

ბეჭი ეფნაცაშვილი

და პირობა დიდი და იქმეს: „კუალად მოდი ქართლში და გაგაბატონებთო“ . ამაში ნოდარ შემოიყარა ჯარი და წარვიდა.

რა სცნა საქმე ესე როსტომ მეფემან, შემოიყარა ჯარი და წარმოემართა იგიცა ნოდარზედა, მოვიდა და დადგა საჯავახიანოს. ვითარცა ესმა ნოდარსა წარმოსვლა როსტომ მეფისა, გაიქცა და წავიდა, დევნა უყო როსტომ მეფემან უკანა. მაშინ ახლდანოდარს ორნი ძმანი ჩეეიძენი გარდმოვარდნილნი და იყვნენ ნოდართანა. რა მიენივა როსტომ მეფე ნოდარს, გამოუბრუნდენ ორნივ ძმანი ჩეეიძენი, შემოებნენ, იმეს და დაჭირენს იგინიცა. ხოლო ნოდარ ივლტოდა და შევიდა ციხესა ატენისასა. მივიდა როსტომ მეფე და შემოადგა გარს და ვერცალა მუნ გამაგრდა ნოდარ და წარვიდა ზემო ქართლად, რომელ არს საათაბაგო.

ხოლო როსტომ მეფემან აღიღო ციხე, დაამტკვრია და წარმოვიდა მუნითგან, და დადგა ცხირეთს, და მუნ იქმო დედოფალი მარიამ და იყვიფოდენ მუნ. ხოლო კათალიკოზი ევდემოზ იყო მუნვე როსტომ მეფეს თანა. კუალად შეუთვალა ბატონს თეიმურაზს კათალიკოზმან, ვითარმედ: ნოდარ“ რომ წასულიყოს, მაგისტრებს საქმეს რატომ წააწენ და ან რატომ გაბრუნდი?“ მაშინ ბატონს თეიმურაზს შეეყარა ზაალ ერისთავი, მოვიდენ და დადგნენ მუხრანს. კუალად გაუგზავნა კათალიკოზმან კაცი ნულარ ჰყოვნითო, მოდითო, და რაც გინდა გაქნევინებო“.

მაშინ, სცნა რა საქმე ესე მუხრანის ბატონმან ვახტანგ, წარმოავლინა კაცი მსწრაფლ და ამცნო საქმე ესე როსტომ მეფესა. მაშინ დედოფალი წარავლინა გორის ციხეშია და თვთცა უკან ჩამოუდგა და მივიდნენ გორის ციხეშია და მუნ გამაგრდენ.

ხოლო ბატონი თეიმურაზ მივიდა უფლისციხესა და ვერდარა გააწყო რა, გამობრუნდა და წარმოვიდა. და დახუდა წინა ვახტანგ მუხრანის ბატონი და უყო მრავალი ზიანი. და წარვიდა კახეთის.

ხოლო შეიპყრა კათალიკოზი ევდემოზ როსტომ მეფემან და წარავლინა ქალაქის ციხეშია და ტყუე-ყო და, ხანსა რაოდენსამე უკანა,

მუნკე ციხეში მოაშთობინა. ხოლო გოჩაშვილი გიორგი შეიპყრა და დასთხარა თუალები, და სხუანი, რომელნიცა იყვნენ როსტომ მეფის ორგულნი, რომელნიმე გაახეიბრა და რომელიმე მამულით გააღარიბა და განაძო თვისისა ქუეყნიდამე, თვინერ ზაალ ერისთვისა და იოთამ ამილახორისა. ხოლო იოთამ ამილახორი ხან მოუდგებოდა როსტომ მეფესა და ხან ბატონ თეიმურაზს და, სიტკენაც დრო დააწელის, იქიოკენ იყვის.

და ამისგან რა მოიცალა როსტომ მეფემან, შემოყარა ჯარი ქართველთა და, რომელნიცა ყიზილბაში იყვნენ მჩქნილნი ყაენისაგან, იგინიცა შემოყარა, და ნარვიდა კახეთს ბატონს თეიმურაზედა, რამეთუ მაშინ ბატონი თეიმურაზ მაღაროს იდგა სუბათა და კახნი თავ-თავისითვს იყვნენ. მიუწდა როსტომ მეფე, და დაუწყო სროლა ვიწროებში ბატონმან თეიმურაზ და, რაც ოდენ შეეძლო, იომა ბატონმან თეიმურაზ. და ვერდარა დაუდგა როსტომ მეფე, გაიქცა და ნარვიდა ტფილისს. და ალარა დევნა უყო ბატონმან თეიმურაზ, იშოვა მრავალი ბარგი მისი, აიკლო და ნამოილო და ნამოვიდა და მოვიდა თვისსა სახლსა.

და რა ნახა ეს ზაალ ერისთავმან და იოთამ ამილახორმან, რომ ვეღარცა რა ამ დამარცხებით დააკლეს რა, დაუწყეს როსტომ მეფეს ლაპარაკი და ხუენნა: „შეგვრიგე და გვმსახურეო“. ხოლო როსტომ მეფემან ეს უპასუხა ზაალ ერისთავსა: „უკეთუ ნარხვალ ყაენთან, შეგირიგებ და, უკეთუ არა ნახვალ, ჩემთან წელი არა გაქუს“. მაშინ დაჟყვა ზაალ ერისთავი: მოიყვანა და შეირიგა. და გაგზავნა ყაენთანა და მისწერა ყაენთანა კაი წიგნები.

და რა მივიდა ზაალ ერისთავი ყაენთანა, სცა პატივი დიდი და კეთილად მიიჩნივა სიტყვა როსტომ მეფისათა და უყო წყალობა მრავალი: გაუჩინა წელინადში სამასი თუმანი ჯამაგირი, გაათათრა და გამოისტუმრა ქართლი. და მოვიდა როსტომ მეფესთანა და მიერითგან იყო ერთგული როსტომ მეფისა.

და მას უამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება,

ბეტი ეჭნატეშვილი

და ყოველთავე შეიყუარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყუარება, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან, და განმრავლდა ტანთ-ცმა ყიზილბაშურად, და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან განმდიდრდებოდენ და რაყმით იშოვნიდენ მამულებსა.

და თუთ როსტომ მეფის ნადილი და ნება ესე იყო, რომ უყაენოდ არავის რამისცემოდა, და, თუ ვინმე გასაკეთებლად უნდოდა, ყაენს შეეკითხვოდა. და იყო მეფე როსტომ მორჩილი ყაენისა და მოყუარე სჯულისა მაჰმადისასა.

ამან აღაშენა სახლი ყიზილბაშური, კეკლუცად და ტურფად ნაგები [შემოილ] მოფენილობა, სმა-ჭამა, გამოჩუენება და კეკე-ლაბობა. და მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა, და გან-მრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არა-წყინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა.

კუალად ინება სიმაგრე ციხისა და თავისუფლობა ციხესა შინა მყოფთა თათართა: განძლიერდენ თათარნი და კადნიერებდენ ქართველთა ზედა. და რომელნიცა იყვნენ ქართველნი, მოყუარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილნების მოქმედნი, დიდად პატივსცემ-და მეფე როსტომ და ჰკითხევდა და უსმენდა მათსა, და, რომელნი-ცა იყვნენ სიმართლის-მოქმედნი და ნრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალ[ნ]ი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდენ და შეუძლებელსა.

და იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდენ: მოიყვანა მეჩანგენი და მუტრიბ-ნი, და აქებდენ ქართველნი დარბაისელნი, და მათცა ეგრეთვე იყო-ლიეს მუტრიბნი და მრავალნი მცევალნი და არღარა იყო სირცხვი-ლი სიძვისა და მეძაობისა. და ქართველთაცა ისწავეს სმა და ჭამა ყიზილბაშური და დიდად სირცხვილ უჩნდათ სერსა ზედა უფლაობა და არა-კეკელაობა. და, რომელსაცა არა შეეძლო ამ წესისა ქმნა და ულონო იყვნენ მონაგებთაგან, განყიდეს მამაპაპათაგან დაგდებუ-

ლი მამული და აგარაკები და იცვემდენ ტანთა და სჭამდენ და სმი-
დენ და არარას ზრუნვიდენ შვილისათვეს.

და ამიერითგან შემოვიდა ზოგ-ზოგან ტყვეს სყიდვა თავადებისა-
გან და, რომელნიცა იყვნენ ობოლნი და ქურივნი, გამოიყვანებდენ
და გაჰყიდდენ, და განმრავლდა ცოდვა.

ხოლო სამღდელონი ეპისკოპოზნი ამითი დაიერთგულნა, რომე
ყოველთავე ჯამაგირი განუწესა, თავდაბლად და ტებილად ექცეო-
და. ამისთვის არღარას ზრუნვიდენ სამღდელონი კრებულნი. ხოლო
აღაშენა წმიდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხუანიცა
რომელნიმე მოწერებულნი ეკლსიანი აღაშენნა.

და კუალად აღაშენა გატეხილი-წიდი.

და იყო სმისა და ჭამისა მოყუარე და გასცემდა [არა-]მცირედსა
საბოძვარსა სმასა ზედა. და ამისა უამსა შინა არა იყო ზრუნვა სულ-
იერი ერისკაცთა შორის, არამედ, იყვნეს ფუფუნეულ და წორცო-
მოყუარე, რამეთუ თვთ სამღდელონიცა და მღდელომთავარნიცა
მიდრეკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა, გოდებისაებრ
იერემიასა, რამეთუ იყვნეს მოყუარე ღვნისა და სმისა და შუებისა
და განცხრომისა, უძლერდენ ურთიერთას სიძვა-მრუშობასა და
მეძაობასა. ამას შინა მოუძლურდა სჯული და განირყუნა წესი ეკ-
ლესისა, რამეთუ არღარა ეძიებდენ სულიერსა საქმესა, არამედ
წორცოთათვის ზრუნვიდენ ყოველნივე.

ხოლო რაჟამს მოკლა კათალიკოზი დიასამიძე ევდემოზ, მაშინ
მისცა როსტომ მეფემან წინასწარ აღრჩევითა თვისითა და მონ-
ამებითა ყოველთავე საქართველოსა მღდელო-მთავართა და სამ-
ღდელოთა დასთა მიერ გამორჩევითა მისცეს კათალიკოზობა ურ-
დუბეგაშვილს ქრისტეფორეს.

ესე ქრისტეფორე კათალიკოზი იყო კაცი მოყუარე სიმართლისა,
მშედი, მდაბალი, გულ-ტებილი, ყოველთათვს მოწყალე, სიწმიდის
მოყუარე, სახითა შუენიერ და ღირს ხარისხ-მშეყრობელობისა თვ-
სისა, კუალად აღზრდილი და გამოცდილი საეროსა სამამაცოსა

ბეჭი ეტატეტეილი

ლაშქარ-ნადირობასა შინა. და არა ჰქონდა გამოცდილობა წერილთა, მცირედ ოდენ წურთილ იყო. ხოლო განაგებდა კეთილად წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა.

და ამან როსტომ მატა ყოველსა ფეშქაშსა და მეტადრე სიტყვსასა. რაუამს დაიდვა სკმონ მეფემან, ამ წესით იქმოდა: ანუ ძესა ურიისასა, ანუ ნასყიდსა და ანუ ოსთასა გაგზავნიდა, ხოლო ამან გამოიყანა ქართველთა გლეხთა, აზნაურთა, დიდებულთა ასულნი და ძენი და მას გაუგზავნიდა, ამიერითგან დაიდვა ესე და ყოველნი მეფენ საქართველოსანი ესრეთ ჰყოფდენ, ვიდრე მოდლეინდელად დღედმდე.

მაშინ დაიმორჩილა როსტომ მეფემან სრულიად ქართველნი და იყვნენ დიდად ერთგულნი, შემოიყარნა სპანი თვესი, მივიდა და დადგა აფურცლეს და მუნითგან მოუწოდა ყიზილბაშის ხანებსა, რომელი იყო ყაენისაგან მის [ს] ზედა ჩენილი. მოვიდეს და შემოეყარნეს იგინიცა და ნარვიდა ბატონს თეიმურაზედა-რამეთუ მაშინ ბატონი თეიმურაზ იდგა თიანეთს.

და ურჩია ბიძინა სუფრაჯმან ბატონს თეიმურაზს, ვითარმედ: „ნარგზავნე ძე შენი დავით და მე თანა ვიახლები და რომელნიმე კახნიცა გამოგუატანე, ნარვალთ ქისიყსა და ვემტერებით როსტომ მეფეს იქიდამე და უსმინა ბატონმან თეიმურაზ და ნარგზავნა ძე თვისი დავით. ხოლო რა ესმა როსტომ მეფესა, მანცა ნარგზავნა ყიზილბაშის ჯარი იმათზედა, და თკთ ნარვიდა ბატონს თეიმურაზზედა. და უთავა სარდლად ვახტანგ მუხრანის ბატონი და ზაალ ერისთავი და გაატანა სპანი ქართველთანი. მივიდნენ ესენი უღლისს, იქიდამ ბატონი თეიმურაზ მოვიდა და შეიქმნა ომი და თოფის სროლა ძლიერი.

მაშინ ჰკრეს თოფი რევაზ სახლთუხუცესსა ჩოლაყაშვილსა, რომელი იყო კაცი კეთილი და რჩეული სარდალი. ესე იყო ბატონის თეიმურაზის მონინავე ამას ჰკრეს თოფი და დაკოდეს სასიკუდინედ. და რა სცნა სიკუდილი თვისი, არა აშალა ჯარი და მუნცა დაუტევა ძენი

თვესნი, და თვეთ გაბრუნდა სახლთუხუცესი და მივიღა ბატონის თეიმურაზთანა. მაშინ დალოცა ბატონი თეიმურაზ ესრეთ, ვითარმედ: „მე მომკუდარვარ შენის სამსახურისა და ერთგულობისათვს, ჩემი თავი თქუენის ჭირის სანაცვლო იყოს“. გამოესალმა და აკოცა ლელა და იტირეს ორთავე მრავალი. წარვიდა და მივიღა სახლთუხუცესი მუნეე ადგილს, სადაც დავიდოდა, და მუნ მოკუდა.

და რა ნახეს სიკუდილი მისი კახთა მოეშალა თავი, შეშინდენ და უკუნ იქცენ და წარვიდნენ, უკუნ იქცა ბატონი თეიმურაზცა და წარვიდა.

ხოლო მუნცა შებმულ იყვნენ ყიზილბაში და დავით, ძე ბატონის თეიმურაზისა, გამარჯუებოდა ყიზილბაშთა და მოეკლათ დავით და ჯარიცა მისი ამოენცვტათ. მაშინ ბატონი თეიმურაზ შენუხდა დიდად: არას გზით ღონე აღარა ჰქონდა დადგომისა და შემაგრებისა. წარმოგზავნა ხორაშან დედოფლალი, რომელი იყო მამის ძმის შეილისშვილი როსტომ მეფისა. ესე მოვიდა როსტომ მეფესთანა და შემოეხუენა. ხოლო როსტომ მეფემანი რა სცნა მოსვლა მისი, სცა პატივი დიდი და აღუსრულა სათხოვარი: დაანება გზა, გაუმძლუანა კათალიკოზი ქრისტიეფორე წინა და ბარგიცა ამან გარდაუტანა იმერეთსა. ბატონმან თეიმურაზ გაუშუა კახეთი და ჩავიდა იმერეთს. მოეგება სიძე მისი ალექსანდრე, მპყრობელი იმერეთისა, ჩაუძლუა და დააყენა და ისტუმრა კეთილად. მაშინ განუმუდავნეს ბატონის თეიმურაზს ძე მისი დავით და იქმნა მათ შორის ტირილი და გლოვა დიდი.

ხოლო როსტომ მეფემან დაიპყრა სრულიად კახეთი და პატრონობდა ქართლსა და კახეთსა, გაურზავნა თავი დათუნასი ყაენსა და მიულოცა გამარჯუება და არღარა ჰქონდა ფიქრი როსტომ მეფესა, იშუებდა, ლხინობდა.

ხოლო ამა უამსა შინა მომკუდარიყო სამცხეს უსუფ-ფაშა და იჯდა მის წილად ძე მისი როსტომ-ფაშა, წაშობი მწევლისა, მაშინ იქმნა რისხვა ღმრთისა საათაბაგოსა ზედა, სიმრავლისათვს ცოდვათა მათთა: გამოგზავნა კაცი ხონთქარმან და დაპატიჟეს სჯული


 ბეჭი ეჭნაფაშვილი

მაჰმადისა ცოლსა როსტომ ფაშისასა. ხოლო ქალსა მას რა ესმა, შეძრუნდა ფრიად და ზარი დაეცა და განიგულა სიკუდილი თავისა თვისისა და არა დატევება სჯულისა, და ენება გარდავარდნა თავისა თვისისა კლდესა შინა, და არავინ უტევა. კუალად განიზრახა მოშთობა თავსა, და ვერცა იგი აღასრულა, რამეთუ ჰყვანდათ შეპყრობილი და სულს იქით ღონე აღარა ჰქონდა. და რა მისჭირდა ქალსა მას, მაშინ უთხრა: „უკეთუ ყოველსავე საათაბაგოში შინა-მყოფსა ქალსა და კაცსა, ყუელაკას გაათათრებ, მეცა გავთათრდებიო, და უკეთუ არა, თავს მოვიკლავო და არა ვიქი. მაშინ დაათათრეს ყოველივე და იგიცა გათათრდა: და ყოველთავე მუნ მყოფთა დაუტევეს სჯული ქრისტიანობისა და იქმნეს მაჰმადიან.

მიერითგან იქმნა რისხვა ღმრთისა საათაბაგოსა ზედა: განირყუნა წმიდანი ეკლესიანი, შეირია და იავარ-ყვეს ყოველივე უსჯულოთა თათართა, დაიპყრეს და ყვესწმინდანი მონასტერი სამრონედ და ცხოვართა სადგურად და დაუტევეს მნეთა ეკლესიისათა და სამდდელოთა კრებულთა, ეპისკოპოზთა და მონქესეთა კაცთა, საყოფელი თვისი, წარიღეს თანა წმიდანი ხატნი და ჯუარნი და ნანილნი, და წარმოვიდეს რომელნიმე საქართველოსა შინა და რომელიმე გურიას და იმერეთს, და დაემკვდრნენ იგინი სანახებთა ქართლისათა და იმერეთისათა. და რომელნიცა დაშთეს მუნ ნეშტნი ქრისტიანენი, იგინიცა მძლავრებით და იძულებით მიიზიდნეს თვისათ და მცირედ-მცირედ ვიდრე აქამიმდე მიდრეეს ქრისტიანობისაგან, და ან სრულიად არღარა იპოებიან მუნ მორნემუნეთაგანი, თვინიერ კლარჯეთისა მსხემთა, რომელ არს ჯავახეთი.

ხოლო როსტომ მეფესა არა ესუა ძე. ფრიად მზრუნველმან უძეობისამან, წინააღმრჩევითა რომელთამე განმზრახთა თვისთათა, წარავლინეს კაცი ისპაანს და მოიყვანესსპარსეთით ძისა ვატანგისა თეიმურაზის ლუარსაბ, რომელი დაშთა სპარსთა შინა. ესე იყო სჯულითა მაჰმადიანი და ესე ისუა ძედ თვისად მეფემან როსტომ. ხოლო იყო სულელ და ხელ და აღტაცებულ გონებითა, რომელი არა

შუენის ძეთა მეფისა საქართველოსათა, და ზრდიდენ და სწურთნი-დენ კეთილად, და საყუარელ იყო მეფისა მიერ.

ხოლო ბატონი თეიმურაზ იყოფოდა სანახებსა იმერეთისასა. მას უამსა იყო დადიანი ლევან მდიდარი საუნჯითა აურაცხითა და სპითა მრავლითა დიდად მძლავრობდა მპყრობელსა იმერეთისასა ალექსან-დრე: ესრეთ იყოფებოდა ქუთათის [ს] აღმშენებელი ზღუდისა, და მჯ-დომარე იყო მას შინა თვთ და ძმანი მისინ და თავადნი ჩინებულნი იმერთანი დედანულითურთ, ყოველნივე თანა ჰყვეს გარე-შეზღუდ-ვილსა მას შინა შიშისათვს დადიანისა, რამეთუ ფრიად მძლავრობდა შურით მცდომი და იავარ-მყოფელი სანახებსა იმერთასა ზემოთა და ქუემოთა; არასადა დაშთა დაბასი და შენობანი და სიმაგრენი. რომელ არა მიემძლავრა. და არარას უამსა მოქმედებდა, თვინერ დღესას-ნაულსა მას საუფლოსა შობა-ნათლისლებასა, ახალწელიწადსა.

ამათ შინა არა დასცხრებოდა მოოქრებად ქუეყანისა, სრვიდა და ტყუე-ჰყოფდა მრავალთა და ჰყიდენ ნაშოვართა ტყუეთა და დარ-ჩენილთა კაცთა.

ეპა, რისხვა ღმრთისა ულხინებელი მოქმედთა ამის ბოროტი-სათა, რამეთუ მან განაწესა ბოროტისა მის მტერისა მიერ წარ-მოთხეული გესლი იგი იუდაებრივი, რომელმან განყიდა ვეცხლად შემოქმედი და მოძლუარითესი. მიერითგან განეთესა განსყიდვა უს-ჯულოთა-ზედა ტყუეთა ქრისტეს-ნათლისლებისათა და წინააღმ-დგომთა ღმრთისათა კაცთა მყოფთა სანახებთა იმერთა, ოდიშ-ართა და გურიელთასა, რომელი ნუ ყოს ღმერთმან საქმე ქართლსა ზედა ბოროტი იგი. ხოლო მან უფროსად და უმეტესად განმრავლდა და გარდაემატა ცოდვა იგი ვიდრე დღეისამდე. ში ჩემდა, რამეთუ თვთ მუნ-მყოფნი მღდელთ-მთავარნიცა და სამღდელოთაგანნი შეირინეს ბოროტითა მით სენითა, რამეთუ არა იყო პირველ ლე-ვან დადიანისა და ალექსანდრესა, ამათთა უამთა შინა შემოვიდა წარსანყმედელად სულთა მათთა, რამეთუ ესე ესრეთ იქმნა და ან მივიღტოდეთ პირველსავე სიტყუასა ზედა.

ბერი ეჭვაფუაშვილი

ხოლო მიიმძლავრა დადიანმან ლევან სრულიად იმერეთი და ვერ ეძლო წინააღდგომა და შემთხუევა ალექსანდრეს, მპყრობელსა იმ-ერეთისასა, და ვერცა გამოვიდოდა ზღუდისა მისგან.

ხოლო მამუკა, უმრნამესიძმა მისი, იყო ყრმა ჰასაკად მიწევნული, შუენიერი და ახოვანი, მსგავსი მამისა თვისისა, განთქმული რაინდობასა შინა, კისკასად და უებროდ მორბედი, რამეთუ კნინლა და უამსა მას არასადა აღზრდილ არს ესევითარი მოასაკეთაგანი ზნე-სრული და გულოვანი გოლიათებრივი. ესე მამუკა მცირედითა სპითა თვისითა გამოვიდოდა ზღუდისა მისგან, განმსტრობელმან თარეშთამან სპათა მათ დადიანისათა შეემთხვევის მზირად მცირედითა სპითა და მრავალი მოსრის და მრავალი დარჩენით შეიპყრის და ტყუე-ყვის და შემოიცის გამარჯუებული, და მსაგასად მათსა ჟყიდდენ დარჩენილთა კაცთა თათართა ზედა. და ვითარცა კუალად მოუწდა დადიანი და მოაოწრა ქუეყანა, დღესა ერთსა ჩუეულებრივ გაუწდა მცირითა სპითა თარეშსა დადიანისასა, მიეტევა მწერე, და მაშინ წარმოექცა ცხენი სისწრაფისაგან და დაეცა ქუე. მაშინ შეუტივეს ოდიშართა და შეიპყრეს და წარიყვანეს და მიჰეუარეს დადიანს, და დადიანი მსიარულ იქმნა შეპყრობისა მისისათვს, წარიყვანეს და ტყუე-ყვეს ოდიშს ციხესა შინა.

ხოლო რა ესმა ესე ალექსანდრეს, მპყრობელსა იმერეთისასა, დაუმძიმდა ფრიად, მოიპოვა ღონე ესევითარი და აწვა ბატონი თე-იმურაზ წარსვლად ოდიშად დადიანსა თანა. ხოლო მორჩილ ექმნა ბატონი თეიმურაზ სიძესა თვისა ალექსანდრეს და წარვიდა. და, ვი-თარცა მივიდა, მიეგება დადიანი ლევან წინა, ისტუმრა კეთილად, დაუმზადა სერი დიდი და წელმნიფური და მხიარულ იქმნეს ურთიერთას ხილვითა, რამეთუ მეყვსნიცა იყვნეს ესრეთ: ძე იყო ლევან თეიმურაზის მამის დისა. დღეცა რაოდენსამე უკანა წარმოუხარა მიზეზნი მისვლისა მისისა და მოქენე იყო გამოქსნისათვის. მამუკასა და განტევებად მისა, და არღარა შურობდა და წდომად ურთიერთას.

ხოლო იყო მუნ წულუკიძე პაატა წუნკი, მკელობელი, მეყვსი და

ახალი ქანონის ცხოვტუბა

თანა-განმზრახი დადიანის ლევანისა. და ესე, პირველვე განძე-ბული მეფის ალექსანდრესაგან სამყოფთაგან თვესთა, ლტოლვილი ნარვიდა ოდიშსა და მიერთ დადიანსა ლევანსა და დიდად მტერ იყო იმერეთის მპყრობელისა ალექსანდრესი: რამეთუ ენება დადიანს პატივის დადება ბატონის თეიმურაზისადა განტევება მამუკასი, ხოლო იგი სავსე შურითა არა უტევებდა, რამეთუ ესრეთ იყო დამორჩილებულ დადიანი, რამეთუ არარას მოქმედებდა, თენიერ მისსა. მაშინ მოიმტკიცა დადიანი პაატა წუნკმან ენითა მზაკუარითა და უარყო დადიანმანცა არა განტევება მამუკასი აუწყეს ბატონს თეიმურაზისა მეტყუელთა ესრეთ: „ვერ ეგბის ჩუენგან განტევება მისი“. და იყო ხანსა რაოდენსამე მუნ ბატონი თეიმურაზ და არც ბატონმან თეიმურაზ დაუუძინა და წარმოვიდა, მოვიდა იმერეთს სიძესა თვესსა თანა.

მაშინ არავე დასხრა ბოროტისაგან საქმისა და არცა შეიშინა რისხვისაგან ღმრთისა კუალად შესძინა შურსა თანა სიკუდილი მართლისა მის, ნარავლინა კაცი და დასწვა თუალები მამუკას ციხესა შინა და მოკუდა. ხოლო უამსა მას მოკუდა და იქმნა დიდად სალმობიერ სენითა სასიკუდინეთა გიორგი შვილისშვილი თეიმურაზისა, რომელსა ზრდიდა ალექსანდრე, მოკუდა და მიიცვალა იგიცა და ყვეს გლოვა დიდი და მწუხარება და აღასრულეს წესი გლოვისა. და იყო მუნ ბატონი თეიმურაზ, ვიდრე შვდ წლამდე.

ხოლო როსტომ მეფე მეფებდა მშედობით, არარას მზრუნველი, თენიერ ლხინისა და შუებისა და მოსუენებისა, და გარდაიჯდიდა დღეთა თვესთა სიხარულით, ნადირობდა და შეექცეოდა. და მას უამსა მოვლო რომელნიმე სანადირონი და იყვნენ ხუნანს, რომელ არს გატეხილი-ჭიდი, და თანა ჰყვა ძედ მისა წოდებული ლუარსაბ. მაშინ დაეთხოვა როსტომ მეფესა ყარაიის სანადიროდ ხოლო მეფემან დართო ნება და ნარვიდა. და გაჰყვნენ თანა ყრმანი, მსგავნი მისნი, ახლ-მოასაკენივითარცა მიიწივნეს მუნ, მოირკეს ტყე და მოვიდა ჯოგი ირემთა და შეექნათ სროლა ძლიერი. და აღირივნეს ურთიერთას და ისროდენ ურთიერთას ყოველნივე დიდნი და მცირენი,



ბეჭი ეჭნაცაშვილი

განირყუნეს სანადირონიცა. და სროლასა მას შინა მოხუდა თოფუ ღლუარსაბს. და მოკუდა მუნ. ვითარცა ესმა როსტომ მეფესა, მწუწარე იქმნა და იყო გლოვა და ტირილი წესისებრ.

მაშინ ბატონი თეიმურაზ იყო მუნვე იმერეთს დიდად გლახაკად, ულონოდ საჭურჭლითა და საზრდელითა, მოუძლურებული წლისა სამოცდაათისა და ვერლარა ძალედვა წინააღდგომად როსტომ მეფისა ფრიადისა უძლურებისაგან. და დიდად მოკლებულ იქმნა საზრდელთა და საჭიროთა საქმართაგან.

მაშინ წარგზავნა შვილისშვილი თუსი ერეკლე რუსეთის ჭელ-ნიფესთანა და შეემთხვევინეს წინა ავაზაკნი და მათ მოსრეს პირი-თა მახულისათა ყმანი ერეკლესნი და კნინღლა თვთ განერა, რამეთუ ერეკლე ყრმა იყო, მათგან მოუწყულელად, და დასტაცეს მწევალნი და ბარგნი. და წარიყვანეს თვთ რუსეთს, და მივიდა ჭელმნიფეს თანა. ამაში გამოჰვედა ხანი რამე და თვთ ბატონი თეიმურაზცა წარვიდა რუსეთს რამეთუ წლისა იყო სამოცდა თორმეტისა, მივიდა და დიდად პატივ-სცა რუსეთის ჭელმნიფემან. სთხოვა შენევნა და ჯარი ქართლზედა, და უთხრა ჭელმნიფემან მიზეზი: „ჯერეთ მოც-ლა არა გუაქუსო“. და რა სცნა ბატონმან თეიმურაზ, რომ შემწე არა ეყო, ხანსა რაოდენსამე უკანა დაეთხოვა და წარმოვიდა. და აჩუქა მრავალი ჭელმნიფემან. ამა უამსა შინა დიდად მოუძლურებულიყო ბატონი თეიმურაზ, წარმოემართა და მოვიდა ასტარხანს.

ხოლო ამა უამსა მომეუდარიყო იმერეთს შვილისშვილი მისი ღლუარსაბ, ყრმა კეთილ-მოასაკე, შუენიერი და მჭურეტელთათვის სატრფიალო. მოვიდა კაცი ასტარხანს, და გაუმძღვნეს მუნ, და ყო გლოვა მუნ დიდი და მწუხარება. ხოლო ერეკლე დაუტევა რუსეთის ჭელმნიფესთანა.

და ამა უამსა შინა მომეუდარიყო დადიანი ლევან ხოლო შემოიყა-რა ალექსანდრე, მპყრობელმან იმერეთისამან, ჯარი, ჩავიდა ოდიშ-სა. და ვერა წინააღუდგენ, და დაიპყრა ოდიში და მრავალი ბოროტი მოაწივა ოდიშსა და იძია შური პირველი, რომელი ყო დადიანმან

მათ ზედა, ვითარცა ბრძანებს წმიდა სახარება: „რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოსო თქუენ“, და ზედა დაგერთოსო. აიკლო საქონელი დადიანისა და საუნჯენი მისნი ყოველი მისნი ყოველი ნივე თვთ დაიპყრა და ტყუედ ყო მრავალნი ოდიშარნი. მრავალნი იყვნეს სრულიად ოდიშიდამ იმერელთა. და გამოართვა დიდებულთა ოდიშართა შვილები მძევლად და თვთ დიდებულნიცა შეიძყრნა, დააწსნევინა თავი, ხოლო ძენი მათნი მძევლად ნამოასხა და დასუა მუნ დადიანად ვამიყ, ძმისწული ლევან დადიანისა და ნარმოვიდა ალექსანდრე ნაშოვნითა მრავლითა და მოვიდა იმერეთს.

ხოლო განუყო ქუეყანა დადიანს: დაიპყრა უნაგირას აქეთი ალექსანდრე და უნაგირას ჩაღმართი დადიანს მისცა.

ხოლო ესე ვამიყ დადიანი იყო კაცი შეუფერებელი სიდიდისა და შეუგვანი. კუალად იყვნენ დადიანის ძმისწულები მამუკა და ლიპარიტ, ესენი არა უდებდენ თავსა დადიანსა და არცა მორჩილებდენ. რამეთუ არა თავს იდვეს დადიანობა მისი, ნარვიდენ და შეეხუებნენ ათაბაგს როსტომს ფაშასა და კუალად როსტომ მეფესაცა დაუწყეს ლაპარაკი და შემწედ იქმიეს, რამეთუ მარიამ დედოფალი ახლოს ნათესავი იყო ამათი, და სთხოვეს ჯარი.

ხოლო როსტომ მეფემან გაატანა ავალიშვილი და ციციშვილები და სხუანი ჯარი მრავალნი და როსტომ ფაშამანც გაატანა საათაბაგოს ჯარი. ნარმოვიდნენ და ჩავიდნენ გურიას, და ნაჰყვა გურიელი ქაიხოსრო თანა ჯარითა და მივიდნენ ოდიშსა და შემოყარნეს ოდიშარნიცა.

და ვითარცა სცნა საქმე ესე იმერეთის მპყრობელმან ალექსანდრე, შემოიყარა სპანი თვსნი, ნარვიდა და განვიდა ცხენისწყალსა. ხოლო მიქელაძე და ჭილაძე უნინაც ლევანს დადიანს ახლდენ და ნარვიდნენ და მივიდნენ მამუკასა და ლიპარიტისა თანა, და მოვიდნენ იგინიცა. და შეიყარნენ ბანძას და შეიბნენ მენ და იქმნა ომი ძლიერი. და გაემარჯუა მპყრობელსა იმერეთისასა. ალექსანდრეს და დაწოცნა მრავალნი ოდიშარნი თავადნი. და მაშინ დანირჩინეს

ბერი გრიგორიშვილი

ქართლის თავადები და აზნაურ[ებ]ი და მესხნი და ყოველთავე და[ა] ქსნევინა თავები, და, რომელიც იყვნენ ოდიშარნი განდგომილნი, ყოველივე დაიმორჩილა და შემოირიგა. და კუალად მტკიცედ დაიპყრა ოდიში და დასუა მუნევე ვამიყ დადიანად. და მიადგა ქაიხოსრო გურიელსა და ველარ დაუდგა ქაიხოსრო გურიელი, მოვიდა და შემოეხუნდა იგიცა ალექსანდრეს. და შეირიგა გურიელიცა და მისცა შვილისშვილი ბატონის თეიმურაზის, ქეთევან, ცოლად გურიელს ქაიხოსროს და მოიმოყურა.

ესე ქაიხოსრო გურიელი იყო კაცი მწენე და ახოვანი და ბრძოლასა შინა გამოცდილი.

ამას შიგან მოვიდა ბატონი თეიმურაზსა, და მას უამსა მიცვლილიყო ბატონი დედოფალი ხორაშან და არლარა ჰყვანდა რა, რამეთუ ერეკლე რუსეთს გაეშუა.

და ამა უამსა მოკუდა მეფე როსტომცა.

და ამა როსტომ მეფესა, ლუარსაბის შვილი რომ მოუკუდა, მას უქან მუხრანის ბატონის ვახტანგისათვს მოეკიდნა ჭელი და ეშვილებინა, და უყუარდა როსტომ მეფეს დიდად. და იყო საქმის ჭელგამომავალი, მწენე და ახოვანი და გამარჯუებული. მას. უამსა მოუძლურდა როსტომ მეფეცა და არლარა ეძლო შემოვლა ქართლისა და მაშინ გაგზავნა ვახტანგ მუხრანის ბატონი ყაენთანა და მისწერა წიგნი ყაენს. და უჯერებდა ყაენი დიდად როსტომ მეფესა და უშვნა ჯანიშინობა ქართლისა.

და რა ჩავიდა ყაენთანა ვახტანგ, სცა დიდი პატივი და დიდად მიიჩნივეს. და შეუკუეთეს სჯული მაჰმადისა. და უთხრა პირველად ბევრი უარი, და არლარა ღონე ჰქონდა, მაშინ მორჩილ ექმნა. გაათათრეს და ნარმოგზაენეს ჯანიშინად ქართლისა და მოვიდა ქართლისა.

მაშინ მოუძლურებულ იყო როსტომ მეფე და არლარა ეძლო და სრულიად სარეცელზედ მწოლარე იყო, ლხინობდა და განისუენებდა, ქართლს ესე არიგებდა.

ესე ვახტანგ იყო თესლი კოსტანტინე მეფისა: თკთ კოსტანტინე-

ახალი ქაშთლის ცხოვტება
 

დამ თავიმეოთხე, რამეთუ კოსტანტინემ შვა დავით მეფე, გიორგი, მეფე ალექსანდრე, ბაგრატ და მელქისედე კათალიკოზი. ამან მეფემან დავით მისცა მუხრანი ძმასა თვესა ბაგრატს. და ამან ბაგრატ შეიპყრა ავ-გიორგი, და ამან ბაგრატ შვა ვახტანგ, აშოთან, მამა მონამის ქეთევან დედოფლის და დედისიმედისა, რომელი იყო ცოლი ათაბაგისა, არჩილ და ერეკლე. ხოლო სამნი ესე ძმანი უძეო ესწენ, და ვახტანგ შვა თეიმურაზ და ქაიხოსრო, გამგებელი ქართლისა, ხოლო თეიმურაზ შვა ვახტანგ, რომელსა სპარსთა უნოდეს შანავაზ, და კოსტანტინე.

ხოლო როსტომ მეფემან განვლო სოფელი ესე დიდითა შუებითა და განცხრომითა, და მამინ მოუძღურდა სიბერითა და სალმობიერი იქმნა. ხოლო ვახტანგ ჯანიშინმან წარავლინა კაცი და ამცნო ყაენ-სა სალმობიერება და მოუძღურება მეფისა როსტომისა.

ხოლო მას უამსა მომკუდარიყო შა-სეფი ყაენი და დაჯდა მის ნილად დე მისი შააბაზ. ამან შააბაზ წარმოავლინა კაცი და მოვიდა ტფილის[ს] და ნახა როსტომ მეფე მოუძღურებული და სალმობიერი.

და ამა უამსა შინა მოკუდა როსტომ მეფე, წაიღეს და დამარხეს ყუმსა.

ხოლო დედოფალი მარიამ შეიყვანეს ტფილისის ციხეში ქრისტეს აქათ[...] ყაენის ბრძანებითა.

მაშინ მოვიდა ზაალ ერისთავი შეყრილი და დადგა ავლაპარში.

მას უამსა ეპყრა კახეთი მურთუზალ ყულიხანს და ზაალ ერისთავსა. და მურთუზალ ყულიხან იმისის ზურგით იდგა: ზაალ ერისთავის შეუკითხავი არა იქნებოდა რა კახეთში, რამეთუ როსტომ მეფეს დაედგინა იგი კახეთის გამგებელად და ეპყრა ზაალ ერისთავსა ერწო-თიანეთი.

ხოლო ქართლსა განაგებდა ვახტანგ, შანავაზ წოდებული, და ესე არიგებდა საქართველოსა.

ხოლო თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იყვნენ შიგა და სხუაცა მრავალი ადგილი კახეთისა დაეპყრათ, ბახტრი-



ბერი გტნაცნაშვილი

ანი ციხედ ჰქონდათ. და მრავალი ელი ცოლშვილით ჩამოსახლდენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდენ მკვდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათ სრულიად კახეთი გასათათრებლად და ელის დასახლება. და ყარაღაჯში მურთუზული-ხან იჯდა.

და მას უამსა იდგა ზაალ ერისთავი შეყრილი ავლაბარში, რამ-ეთუ ესე ვახტანგ მოყუარე იყო ზაალ ერისთვისა. ამა ვახტანგის ასული ზაალ ერისთვის ძის ზურაბისათვეს თხოვილი იყო, არამედ ვერცა მოყურობით მოიყნა და დიდად შურობდა და მტერ იყო საქართველოს გამგებლისა ვახტანგისა ზაალ ერისთავი.

ხოლო რაჟამს მიიცვალა როსტომ მეფე, გაგზავნა კაცი ვახტანგ, განმგებელმან საქართველოსმან, ყაენთანა და სთხოვა საქართველოს ბატონობა, მაშინ ზაალ ერისთავმანცა – ძნად შურობდა მისა, – ნარგზავნა მანცა კაცი და ითხოვა თავისუფალ-ყოფა თვესი ყაენისაგან, რამეთუ უამსა მას ფრიად მიემძლავრა საქართველო ყაენსა და ვერვის ძალ-ედვა თვთფლობით პყრობა საქართველოსი, თვინიერ ყაენისა.

ხოლო მოსცა ყაენმან ვახტანგს მეფობა საქართველოსი. ამას უამსა იყო ზაალ ერისთავი ფრიად განმდიდრებული და მორჭმული საუნჯითა. ამას შინა მოუვიდა ყაენისაგან რაყამი და ბატონობა ქართლისა შანავაზს. ხოლო რა ესმა საქმე ესე, ნარვიდანევსა არაგვსასა, განუდგა და არა მორჩილ ექმნა მეფესა შანავაზს.

შანაობა მეფე

ხოლო ამა შანავაზ მეფესა ესუა ცოლად ასული ყაფლანისა, სახელით როდამ, ქალი ფრიად პატიოსანი და შემკული ყოვლითავე საქმითა კეთილითა, სრული სწავლითა სამღოთოთა და საეროთა, შუენიერი და პირის-წყალი დედათა. ხოლო ოდეს უბოძა ყაენმან ქართლი მეფეს შანავაზს, მაშინ მოსწერა შერთვა მარიამ დედოფ-

ლისა და ვერდარა ურჩ ექმნა ყაენსა და არღარა ლონე ჰქონდა:
შეირთო მარიამ დედოფალი. და ქმნეს ქორწილი სახელოვანი და
ესუა ორივე ცოლად. რამეთუ ესხნეს როდამთანა ძენი და ასულნი.

და გაბატონდა შანავაზ. თვთ ესე შანავაზ მეფე იყო კაცი საკურველი, ძლიერი საქმითა და გამარჯვებული. და ამას სჭირდა ოთხნი ესე საქმენი: ბრძენ იყო უპოველი, ბედნიერ იყო საკურველი, სარდალი და მამაცი უამხანაგო, პირად შეუბედავი და გულით მოწყალე უცხოდ.

და მისცნა ღმერთმან ძენი და ასული მსგავსი მისნი: არჩილ იყო უხუცესი. ესე იყო კისკას, შუენიერ, მობურთალი, მოისარი. ყოველის კაცის ისარზედ ერთი წელის დადება ისარი უგრძე ჰქონდა. და არა იყო მსგავსი მისი. მეორე შვილი გიორგი ძლიერი გოლიათებრ, სამწედროთა საქმეთა სრული და წელგამომავალი. და ასეთი სიტყუა ჰქონდა, მტერნი მოყურად შეცვალის.

და ალექსანდრე გაეზარდა ყაენსა. ესეთი იყო, რომ ყოველი ყმანი ყაენისანი. ვითარცა ყაენსა, ეგრეთ პატივს სცემდენ.

ლევან იყო ბრძენი და მეცნიერი, შორდამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიეროთა წიგნითა. ლუარსაბ იყო მწედრობის რიგის მცოდნე და სულეიმან კაცი პატიოსანი. მაგრამ ძმათა სიკეთე ჰფარევდა ასულთაგან: ანუკა ყაენმან ცოლად წაიყვანა და სულ ერანში მისი სიკეთე ასე განაფენილიყო, რაც ქალი კარგს იქმოდა რასმე, იტყოდენ, ანუკა ბატონის შვილისაგან უსწავლიაო. და შუენიერი დიდად თამარი იყო მსგავსი დედისა, მოლუანე, მართალი, ღმრთისა და კაცთა მოსაწონი, მაკეთებელი სამლოოსა და ეკლესიათა.

მაშინ, ვითარცა ესმა შანავაზ მეფის განძლიერება და წყალობა ყაენისაგან ზაალ ერისთავსა ეწყინა ფრიად და ყაენისაგანაც გულელებულ იქმნა და შანაოზ მეფესაც შეუორგულდა, უკუდუდგა. და იყოფებოდა დუშეთსა, ეპყრა მტკიცედ საერისთო და განაგებდა კახეთსასა. და გული უთქმიდა მხოლოდ თვთპყრობად კახეთისა,


 ბერი ეგზატექილი

არა მრნმუნებელი მეფობასა შანავაზისასა. ხოლო უამსა ამას შინა მიცვალა მპყრობელი ალექსანდრე და მოიყვანეს ძე მისი ბაგრატ, ნაშობი გურიელის ასულისა მიერ, რომელი ცილ-წამებულიქმნა მემრუშედ. ესე ბაგრატ იყო ოდიშს, მოიყვანეს იმერელთა და გაა-ბატონეს.

ხოლო ბატონი თეიმურაზ დაშთა სკანდას ციხეში [...] ალექსან-დრესი და დედის ნაცვალი ბაგრატისა. ამან დარეჯან მოიყვანა ძმი-ნული მისი ქეთევან, მამიდამან მისმან, და მისცა ბაგრატს, გერსა თვესა, და ისიძა. ამას უამსა შინა ქაიხოსრო გურიელი მოეკლა ყმასა მისსა მაჭუტაძესა, და გააბატონა განაყოფი მისი დიმიტრი გური-ელი. და ძე ქაიხოსრო გურიელისა გიორგი ლტოლვილი წარვიდა ახ-ალციხის ფაშას თანა და მუნ შეინახა ფაშამან და მისცა ბაგრატსა გერსა თვესა და იყვნენ მშვდობით.

ხანსა რაოდენსამე უკანა მაშინ იმერლებმა დასჩეუბეს დარე-ჯან და გერი თვესი ბაგრატ, და ჩამოუგდეს შური დიდი ურთიერთას. და რომელ[წ]იმე იმერელი მიერჩდეს დარეჯანს და რომელიმე ბაგრატს, რამეთუ პირველად იმერელი იყვნენ გულწრფელი და ბატონისა თვესისა ერთგული. და რაჟამს ჩავიდნენ კახნი იმერეთს, და იყოფოდეს მრავალუამ მუნ. ხოლო კახნი ჩუეულებისაებრ იყ-ვნენ ერთმანერთისა მეშურნენი და მტერნი და მრავლის ზაკვსა და ჩხუბის მოქმედი, ლაღნი და ამპარტავანნი, ტანთ-ჩაცმისა და სი-ლამაზის გამომკიდენი და მოყუარენი, რამეთუ ესრეთცა იყო პირ-ველითგან ჩუეულება მათი. და წაბაძეს მათ იმერელთაცა, ისწავეს კახთა წესი და კადეც გარდაამატეს. მიერითგან დამკუდრდა იმ-ერეთს ჩხუბი და დაუნდობობა.

და ესრეთ დასჩეუბეს დარეჯან და გერი მისი ბაგრატ იმერელებ-მა, გმო ღმერთი დარეჯან. მოიპოვა უამი რამე, ულალატა გერსა და სიძესა თვესა ბარგრატს: შეიპყრა და დასწვა თუალები. მოიყ-ვანა შორეული ტომი ბატონის ალექსანდრესი ვახტანგ, რომელსა უწოდდენ ჭუჭუნასშვილად, და იგი შეირთო ქმრად.

ხოლო მას უამსა მოკუდა როსტომ ფაშა და დაჯდა ძე მისი ას-ლან ფაშა, რამეთუ ხონთქარი მით ჰკითხევდა და მათის შეკითხულობით იპყრობდა იმერეთს. და იგინი განაგებდენ და არიგებდენ. მაშინ წარმოემართა ასლან ფაშა ლაშქრითა და ჩამოვიდა იმერეთს. ვერვინ წინააღმდეგა, წარმოყვანა თანა ჭუჭუნაშვილი, ქეთევან და დარეჯან, მამიდა და ძმისწული. ესენი წარიყვანა ასლან ფაშამან და დაყენა ოლთის[ს] პატივითა დიდითა. ხოლო ბაგრატ თუალდამნ-ვარი გააბატონა მუნვე იმერეთს.

და გამოჰქვდა ხანი რამე, მაშინ იმერლებმა დაუწყეს მეფეს შანავაზს ლაპარაკი და დადიანმანც, რამეთუ არა მორჩილ ექმნეს ბაგრატს, იქიდამ დადიანი მოუკუდა და დაიპყრა იმერეთი. ხოლო მეფე შანავაზ წარვიდა და მივიდა ფცისწყალზედა.

და მას უამსა ზაალ ერისთავი არა მორჩილებდა მეფესა შანავასს და იყო განდგომილ, ამისთვის ვერლარა წარვიდა იმერეთს. ხოლო ძენი არაგვს ერისთვის გიორგისა ოთარი ედიშერ და იასონ ახლდენ მეფეს შანავაზს თანა. ხოლო გიორგი, მამა ამ ოთარისა, ძმა იყო ზურაბ ერისთვისა. ესე გიორგი იყო კაცი ამაყი და უარშიონ და არა მორჩილებდა ძმასა თვესსა ხოლო შეიპყრა ზურაბ ერისთავმან და ბატონმან თეიმურაზ და დაკლებულ-ყო ორთავე თუალთაგან. ხოლო ამა გიორგის ესუა ცოლად და შანავაზ მეფის და ამა ქალისა-გან ჰყვანდა გიორგის ძენი: ოთარი, ედიშერ, იასონ, პაპუა და და-თუნა. ამათ მოაქსენეს მეფეს შანავაზს: „ვინაოგან ბიძა ჩუენი ეს-რეთ თქუენი ორგული დაურჩი არის და ჩუენთვესაც მრავლის ავის მქნელი არის, დაგუჩაგრა და ჩუენის სამკვდროს მამულის პური არ გუაჭამაო, გვბოძე დასტური, წავალთ და მოკველავთო. ხოლო მეფე-მან შანავაზ მისცა დასტური და მივიდნენ დუშეთს.“

მაშინ უსჯულოთა აგარიანთა მიიმდლავრეს სრულიად კახეთი და მრავალსა ბოროტსა უყოფდენ მკვდრთა კახეთისათა, მოაოჭრეს და განრყუნეს წმიდანი ეკლესიანი. მაშინ მგზავრი ვინმე ერთი კახი ხუცესი მარტო მივიდოდა გზასა თვესსა კახეთში, ხოლო დამთხ-

 ბეჭი ეფნატაშვილი

უევით შეემთხვევა გზაზედა მღლელსა მას თათარნი რაოდენიმე. და შეიპყრეს უსჯულოთა მათ ხუცესი იგი მტერთა მათ და მოშურნეთა ქრისტეს სჯულისათა. შეკრეს ხუცესი იგი მძლავრებითა და შეამთხვეს საქმე სიბილნისა, რომელ არს ცოდვა სოდომურ და განუტევეს. ხოლო წარვიდა ხუცესი იგი და მივიდა დუშეთს. ზოგად ისხდენ ზაალ ერისთავი და ცოლი მისი, დაუჩოქა ხუცესმან და შესჩივლა:

„შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახეთის გამგებელიო, გააოწირეს სრულიად კახეთი უსჯულოთა აგარიანთა და მე გზაზედ შემიპყრეს და შემამთხვევს საქმე უშუერი და წელშეკრულ განმხრნეს და ყვეს ჩემ ზედა საქმე სათქმელადაც უშუერი. და ან ამისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინათგან უძნდა რწმუნებულ არს კახეთი.“

ხოლო, რა ესმა საქმე ესე ზაალ ერისთავსა, დიდად მწუხარე იქმნა, და იყომას უამად ზაალ ერისთავი ყაენის მომდურავი. მაშინ შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელიზბარ და კახი სუფრაჯი ბიძინა ჩილაყაშვილი. და შემოიფიცეს მთის კაცნი თუშნი, რამეთუ შალვა ქსნის ერისთავი სიძე იყო მისი. ამათ გაატანა თანა ზურაბ, ძე თესი, და წარვიდენ ღამესა ერთსა. დაესსნენ თავსა სულტანსა ბახტრიანს და ამოსნყვეტეს, და მოსრნეს ბახტრიანის ციხეში მდგომნი ელნი, და რაც იყვნენ, მიჰყვნენ იქიდამე წოცითა, ჩავიდნენ ალავერდს და, რომელნიცა მუნ იყვნენ, თათარნი და ელი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვლისათა. და ამოსნყვეტეს დედანულითურთ და, აკუანში რომელნიც ყრმანი იწვნენ, იგინიცა დაწოცნეს. სადაც კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსნყვეტეს და არა სადა დაშთა, რომ ყოველივე არ მოკლეს. და რომელნიმე ივლტოდეს. წარვიდეს და განაძეს. კახეთში თათარნი ალარსად იპოებოდენ, თვინიერ ყარალაჯისა. მაშინ ყარალაჯს იჯდა მურთუზალი-ხან, და გაემარჯუათ და იშოვეს მრავალი საშოვარი. და განათავისუფლე კახეთი თათართაგან და არა სარა იპოვებოდა

თათარი. წარმოვიდნენ და მოვიდნენ გამარჯუებულნი ზაალ ერის-თავთანა.

ხოლო ესმა რა ესე ამბავი შააბაზს ყაენსა, იწყინა დიდად. მაშინ ყაენმანცა მოსწერა წაკდენა და სიკუდილი ერისთვისა ზაალისა და, რომელნიცა ერივნეს თათართა სისხლსა შინა, იგინიცა დაწოცეთო.

მაშინ ოთარი და მისი ძმები იმარჯუებდენ საქმესა და ცდილობდენ ღალატსა ზაალ ერისთვისასა. დღესა ერთსა იყო ზაალ ერისთავი დუშეთს, სუბად ფანჩატურში იჯდა, არავინ ახლდა. მოიპოვეს დრო და მივიდნენ. ერისთავი ნარდს შეექცეოდა. მაშინ უღალატეს ოთარმან და ძმებმან მისმან და მოკლეს ზაალ ერისთავი, ხოლო ძენი მისნი ივლტოდეს და წარვიდენ სამცხეს. ხოლო მეფემან შანავაზ გაუყენა უკანა კაცები. მოენიგებს ტბისყურზედა, კაცები დაუწოცეს და ორნი ძმანი, ზურაბ და ნაბერალი, შეიპყრეს და მოჰვარეს მეფესა, და მან გაუგზავნა ყაენსა.

ხოლო შალვა ერისთავი და ელისბარ, ძე მისი, და სუფრაჯი ბიძინა ჩოლაყაშვილი არა მივიდეს მეფესა შანავაზთანა, არამედ წარვიდეს ყარალაჯში მურთუზალყულიხანთანა. მან შეიპყრა და ყაენს გაუგზავნა.

ხოლო ზურაბ ძემან ზაალ ერისთავისამან დაჲყო რამე მცირედი ხანი ისპაანს და მოკუდა. უმცროსი ძმა მისი გაათათრა ყაენმან და ამყოფა თვესთა თანა.

მაშინ ჩოლაყაშვილი ბიძინა, სუფრაჯი შალვა და ელისბარ ეს-ენი მისცეს მეუდრის პატრონთა, ვითარცა წესი და ჩუეულება არს თათართა, რამეთუ მკულელს ჭელში მისცემენ მოსისხარსა, და ყვეს სამართალი ჩუეულებისაებრ მათისა. ხოლო დაჲპატიუეს სჯული მაჲმადისა ბიძინა სუფრაჯს ჩოლაყაშვილსა და შალვასა და ელისბარს. მაშინ დიდად მწნედ გამოჩნდეს სამნივე ესე მონამენი და უმეტესად ბიძინა ჩოლაყაშვილი სუფრაჯი ნადიერად იღუნიდა წამებისათვეს: განბასრეს მათ და გინებულ ჰყვეს სჯული მაჲმადისა. მაშინ ბიძინა ჩოლაყაშვილი განამწნობდა შალვასა და ელისბარს,

ბეჭი ეგნატეშვილი

და ეტყოდა: „ნუ მოვმედგრდებით და ნუ შეუშინდებით, არამედ მიცსცეთ თავი ჩუენი ქრისტესთვს სიკუდილსა, რამეთუ სიკუდილი უნდებელად თანაგუაც და ვერვინ წინააღმდების სიკუდილსა. აპა, უამი ესე არს შესვლად სასუფეველსა შინა“ ერთჯმობით სამთავე აღიარეს ქრისტეს სარწმუნოება და უარჲყვეს სჯული მაპმადისა, ხოლო მათ მახვლებითა დაჭრეს იგინი ასოეულად და დაწურიტეს რომელიმე თოფითა და რომელიმე მახვლებითა დაჭრნეს. და აღ-სასრული სარბიელი წამებისა მიიღეს და იქმნეს, ვითარცა სხუანი პირველი მონამენი, გვრგვნოსან და ან იხარებენ ზეცისა სასურ-ველსა შინა.

ხოლო რაჟამს მოკლეს ზაალ ერისთავი, მაშინ მისცა ერისთობა ოთარსა მეფემან შანავაზ და მსაჯულობა საქართველოსი მისცა ედიშერს, ხოლო ქსნის ერისთობა მისცეს იესეს. და დაიპყრა მეფე-მან შანავაზ მტკიცედ საქართველო და იყვნენ დიდად ერთგული ოთარ ერისთავი, ედიშერ ქართლის მსაჯული, ქსნის ერისთავი იესე და სრულიად ქართლის დიდებულნი, და დაიერთგულნა სრულიად ქართველნი და მრავალსა კეთილსა უყოფდა მათ.

და ამათ უამთა შინა შერიგდენ მეფე შანავაზ და ვამიყ დადიანი: ამათ განიყვეს იმერეთი და დაანება ბუჯას გაღმართი დადიანს ვამიყს, და ბუჯას გამოღმართი თკო მეფემან დაიპყრა. და მეფობდა მეფე შანავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთ-სა ზედა, ესრეთ განდიდნა და აღემატა მეფობა და სიმდიდრე მისი საქართველოსა შინა.

და განამდიდრნა ყოველნივე მკედრნი სამეფოთა თკსთანი: უკეთუ ვინმე იყო გლახაკი და უპოვარი მონაგებთაგან, აღივსნეს უხუად ნყალობითა და საქმართა ბოძებითა მისითა, და უკეთუ იყო ვინმე ნაკლულოვან აგარაკთაგან, ანუ მონათაგან, ანუ საჭურჭლე-თაგან, ყოველნივე განმდიდრდეს, და გარდაემატათ სიმდიდრე და მორქმულობა მკედრთა საქართველოსათა.

და სადაცა იყო იატაკი მთათა შინა, ანუ ბართა უქმად მყოფი, ყოვე-

ახალი ქაშტალის ცხოვტება

ლივე საქმარად კაცთა შერაცხილ იქმნა: უშენენი აღშენდეს და მრავალნი დაბანი და დიდ-დიდი თემნი შესძინნა სამეფოსა საქართველოსასა. და სადაცა იყვნენ თანამდებნი, მევახშეთაგან განათავისუფლნა.

და წმიდანი ეკლესიანი ზეშთა აღმატებულ-ყო შესანირავითა აგარაკთა და ყოველთასამკაულთა მიერ განაშენა, გლახაკთა და ულონოთათვეს ფრიად მოწყალე და ქველის-მოქმედი იყო: ტყუენი გამოწვნილ იქმნეს.

ქურივთა და ობოლთა მოწყალე, მართლ-მსაჯულ და ძელის-ამპურობელ, და იყო ყოველთათვეს მოსამართლე და მოწყალე, მსჯავრსა შინა პირ-უთნებელ, უქრთამო და სწორის სამართლის მოქმედ, უხვი, უშურველ-უტყუარ, ერთგულთათვეს უხუად წყალობის მიმნიჭებელ, ურჩითა და ორგულთა ძლიერად შემრისხველ, დიდებისა და სახელის მეძიებელ, მტერთა მიმართ უძლეველ და ახოვნად წინაგანმწყობ, წინააღმდეგომთა თვთა უშიშრად შემმართველ, რაზმთა და წყობათა შინა კეთილად განმზრახი სარდალი, რაინდობათა შინა უებროდ მორბედი და ყოველსავე სამამაცოსა ზნეობასა შინა უსწორო. და ესრუთ კეთილად მართებდა სამთავე სამკუდროთა სამეფოთა თვსთა და თვთ სუე-სრულობით მეფობდა და განაგებდა განსაგებელთა თვსთა.

ვ და ამა უამსა შინა მიიცვალა კათალიკოზი ქრისტეფორე და დასუა მის წილად ბიძაშვილი თვსი დომე[ნ]ტი, კაცი სრული საქმითა, რამეთუ ამან მატა სჯულსა და წესასა ეკლესი[ი]სასა.

ხოლო ეხსნეს ფრიად პატიოსნისა სჯულიერის მეუღლისა თვსისა როდამისაგან ძენი ექუსნი და ასულნი ორნი. სახლი ასულთა მათ: ანუკა და თამარი, ხოლო ძეთა მათ სახელები: პირმშო და საყუარელი არჩილ, გიორგი, ლუარსაბ, ალექსანდრე, ლევან და სულეიმან.

აღზარდნა მეფემან ესენი დიდად სახელოვანნი და პატიოსანნი ძენი და ასულნი თვსნი მრავლითა ფუფუნებითა და საქელმნიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა. პირველად განსწავლნა სამღლოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა


 ბეჭი ეგნატეშვილი

მიერ, ხოლო უმეტესად საეროთა და სავაუკაცოთა მქედრობითა გამოცდილობითა ყოვლითურთ, სამამაკაცო ზნეობითა ესრედ სახედ, რომე არაოდეს არა აღზრდილ არს საქართველოსა შინა მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი.

რამეთუ უამთა შინა მეფისა როსტომისათა ფრიად მიდრეკა ქუეყანა ქართლისა სნავლისაგან სამღოთოთა წერილთასა, რამეთუ კნინდა და თვთ სამღდელონიცა კრებულნი და დასნი არღარა მზრუნველ და მეძიებელ იქმნეს სამღოთოთა სნავლათათვეს, არამედ უფროსღა და უმეტეს აღმრჩეველთა საქმეთა მსოფლიოთა და წორციელებრთა მიერ უწევარ და უდებ ყვეს სრულიად ღ(ვ)თივ-სულიერნი და სამღოთონი სნავლანი, რომელ ესე ფრიად უმეტეს ჯერ-იყო შეწყნარებად და აპა დატევებად, რამეთუ ამათ უამთა შინა კუალად იწყეს მოქცევად ბოროტისაგან და ქუეყნად კეთილისა: სნავლად და გულს-მოდგინედ წურთად ღ(ვ)თივ-სულიერთა საქმეთა მოქმედებად. და განშუენდეს წმიდანი ეკლესიანი და მონასტერნი და ყოველნივე წესნი ეკლესიათანი განმრავლდეს საქართველოსა შინა მიზეზითა ძეთა მეფისათა შანავასისათა ვითარმედ ესე სიტყუანი ძუელითგან თქმულ არს: „უამნი მეფენი არიანო“. და დედოფუალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჯუარითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თუალითა. და ედვა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველთა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ [...]

[თა]მაზ სარდალი და სხუანიცა მივიდეს და დაეგნეს ნაზარალისანს. ხოლო უამსა ამას დიდად მძლავრობდეს ლეკნი კახეთს და მტერობდეს ური[ცხვთა] ავაზაკობითა და პარვითა, ამისთვისცა განილაშქრეს მათ ზედა კახთა. და მისცა ქალბალისანცა ნება და შეკრა სრულიად მკუდრნი კახეთისანი და შეუწევდეს ჭარსა, ხოლო ლეკნიცა განეწყუნეს სიმაგრეთა შინა და დიდად იზღვივნეს კაცნი ლეკთა მიერ: მოისრნეს მრავალნი თავადნი, აზნაურნი და უფროსად გლეხნი,

მოსწყუდნეს] პირითა მახვლისათა და ოოტნეს იგინი და იავარ-ყვეს ხვასტაგნი და ქონებანი მათნი, და ესრეთ ოტებულნი წარმოვიდეს.

მაშინ ნაზარალიხან განაზრახა ქალბალიხანს და წარგზავნეს წინაშე ყაენისა მუხრანის ბატონი პაპუა, ქსნის ერისთავი დავით და სარდალი თამაზ ძისა თვესისა მამუკათურთ. ხოლო ოდეს შთავიდეს ისპაანს პაპუა მუხრანის ბატონი და თამაზ სარდალი დაქ-სნის ერისთავი, პყრობილნი წარგზავნეს ქირმანს, ხოლო ქაიხოსროს, ძმისნულსა მეფისასა, არა კეთილად შემწყნარებელმან ნაზარალიხან მიუღო დაბანი და მამულნი, რომელნიც ეპყრა მას, და ამისთვის აღარ დაიმდაბლა თავი და წარვიდა წინაშე ყაენისა, რამეთუ თანაშემწედ აქუნდა ქალბალიხან, და მემანდრითა და პატივითა წარგზავნა იგი. და ვითარცა შთავიდა ისპაანს ქაიხოსრო, განიხარა ყაენმან და პატივ-სცა მამასაცა მისსა და თვთ მასცა, ხოლო ერევნის ხანი და ქალბალიხან მოშურნე იყვნეს ურთიერთას და ამისთვის განიზრახა ერევნის ხანმან და მოსწერა წიგნი მეფესა გიორგის, რათა პირობითა და თავდებობითა მისითა დაეგოს იგი ყაენსა, რამეთუ ეტეოდა, ვითარმედ: „არარა ბოროტი გიქმნიესო სპათა მისთა ყიზილბაშთა ზედა, ამისთვესცა მე ვიყო თავსმდები შენი, რათა არა გეყოს შენა ზღუევა, არამედ უფროსად სარგებელი და წყალობა და მრავალნილად კეთილის ყოფა ყაენის მიერ“. კუალ-ად ამასვე პირობასა აღუთქმიდა და დიდად წადიერებით ეზრახებოდა მეფესა ქალბალიხან და იღუნიდა პირითა მისითა დაგებასა ყაენისასა, არამედ არა ინება მეფემან მის მიერ, არამედ მიერჩდა ერევნის ხანსა და იქმნა მეგობარ მისსა. ხოლო ერევნის ხანმან აუნყა ესე ყაენსა და განიხარა სიხარულითა დიდითა შაჰსულთან უსეინ ყაენმან დაგებად მეფისა გიორგისა და მისცა ერევნის ხანსა წყალობად თოფანჩგიაბალასობა, რომელ არს ყოვლის მეთოვის ბატონობა და უფროსობა, და წაიყვანეს კარსა ზედა ყაენისასა მაშინ მეფემან გიორგი წარავლინა ზურაბ ზურაბიშვილი ყაენთანა და მივიდა თოფანგჩიალასთანა. და ვითარცა შთავიდა ისპაანს,


 ბეჭი გენაცაშვილი

განიხარეს თვთ მან ყაენმან და ყოველთავე დიდებულთა მისთა შთასლვა მეფის გიორგისა და მსნაფლ ალუსრულეს ყოველივე სათხოველი მეფესა: და მოსწერეს რაყმები და წყალობა და წარმოგზავნეს მალემსრბოლი. და მოვიდა იმერეთს სახლსა შინა წერელისასა საჩხერეს და ერევნის ნაიბი და სხუანიცა დიდებული ყაენის ბრძანებითა წარმოგზავნეს, რათა მრავლითა დიდებითა და პატივითა წელმნიფურად წელისა წარმართებითა მსახურ ექმნენ მეფესა და მიართვიდენ შემსგავსებულსა ულუ[ფ]თა და სანოვაგეთა განწესებითა. და განემზადა წარსლვად.

მაშინ იყო ვინმე იმერელ ბატონის ბაგრატის ნაბიჭვარი და მას მიერთნეს რომელიმე თავადნი იმერელთანი და აუნცეს ხვანთქრის ვეზირ-აზამსა და ქრთამითა მოიმადლეს იგი. და მისცეს ბატონობა და შეამოიყვანეს იგი და გააბატონეს, რამეთუ იყო ესე კაცი შეუგვარი და უღირს ბატონობისა, ხოლო არჩილ მეფე გარდააგდეს. და მისცა აბაშიძემან გიორგი ცოლად ასული თვისი, ცოლყოფილი ალექსანდრესი. და წარვიდა არჩილ მეფე ზრამა[გ]ას. ამას ზედა მოუვიდა მეფესა გიორგის მემანდარი ყაენისა და გარდავლო მთა და მივიდა ალს. მაშინ დაუტევა ქართლს სულაიმან ძმა თვისი ცოლშვილითა და კათალიკოზი ნიკოლოზ, რამეთუ უამსა ამას შინა გარდაცვალებულიყო ამილახორი გივი, კაცი პატიოსანი ყოვლითურთ, იმერეთს, და ძე მისი ანდუყაფარ და ესენი ყაენის ბრძანებითია დააყენეს ქართლს, და წარიყვანა თანა ისპაანს არაგვს ერისთავი გიორგი და წარვიდა მეფე და მოართუეს ყიზილ-ბაშთა არმალანი მრავალი და დიდისა დიდებითა შთავიდა ისპაანს.

მუნიციპალიტეტი





დაჯდა მეფე ადარნასე, და განაგებდა სამეფოსა ქართლისასა მას უამსა უკუე მოკუდა ქსანთა ერისთავი ვირშელი, და დაშთა ძე მისი შალვა სამისა წლისა, და აღზარდა იგი მეფემან პატივითა მამათათა.

და ამისა შემდგომად მოკუდა მეფე ადარნასე, დაშთა ძე მისი ვახტანგ ექუსისა წლისა, და დაჯდა მეფედ დავით ძმა ადარნასესი, და განაგებდა სამეფოსა ქართლისასა. მაშინ მამის ძმამან მისმან დავით მეფემან არა რა მისცა ძმისწულსა თვესა ვახტანგს. მაშინ შალვა, გაზრდილი მამისა მისის, არა განეშორა, არამედ ზრდიდა ყრმასა მას. მაშინ დავით მრავლითა სიტებოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა შალვას. ხოლო მან არა ისმინა, არამედ განამაგრნა ციხენი, და შევედრნა ერთგულთა მონათა. და თვით წარყვა ძესა მეფისასა ურდოს.

მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თვესი, და თათარნი შირვანელნი, და ყოველი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე წევსა შალვას საერისთვოსა, და ჩამოასხნა დვალანი და წადელ-ცხვატელნი, და ყოველი მთიულნი ქუემონი. და დაწვეს და მოაწერეს ყოველი ცხრაძმის წევი, გარეშე ციხეთა, და ციხეთა ჰბერძოდეს ქუენიფნეეს, ქარჩოსს, ქოლოთს და ისროლის. არამედ ასე ვერ აიხუნეს, და შვიდ წელ გაგრძელდა ომი მათი. ხოლო ციხანთა ესოდენ შესჭირდა და იწყეს ჭამა ღუედისა. და ეს-

ევითართა ზედა მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქართა ურიცხვთა სპითა.

მაშინ დავით დგა ბაზალეთს და, ვითარცა სცნა მოსვლა მათი, მიმართა ციხესა დარიელისასა. და მიუდგა უკანა სპა ყოველი და შეიარეს არაგპ, და გარდავლეს ჯუართა ყელი, და ჩავიდეს დარიელს, და მოადგეს დავითს ციხესა გუელეთისასა.

ხოლო შალვა დადგა წადას, და ესოდენ ძლიერად ჰპრძოდა, რომელ ერთსა დღესა აიღო ცხრა ციხე, და დაარღვივა. და მას ერთსა კარასა დაარღვივა ციხე ოცდახუთი, თხუთმეტი იქით არაგვსა. მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი, და გამოიყვანა გუელეთით. ხოლო შალვა მიმართა წევთა დვალეთისათა, და მოაოქრნა ყუელანი. და მოუწდეს ბოვდაელნი ღამესა ბნელსა, დაუხუდეს მომლოდენი, რამეთუ ესმა შალვას მოსლვა მათი.

მაშინ მიაწყდივნეს იგინი მთხრებლსა კლდისასა და ერთიცა მათგანი ვერღარა ნარვიდა და მოსრეს სიმრავლე არა მცირედი დვალთა. მაშინ მონვნეს და მოაოქრნეს ყოველნი წევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვივნეს ყოველნი ციხენი, თრუსოით აჩაბეთამდის. მაშინ ნარვიდა ყოველი სპა სპარსთა და მეფემან მიუბოძა შალვას თრუსო, ღუდა, გაგასძენი, მლეთე, არაწუეთი, ქანდო, ყანჩაეთი, აბაზას ძეთა მამული, ძაგნაკორანი, დილუამი, გავაზი, აწერის წევი, ბექუშე, და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა. მაშინ მოკუდა დავით მეფე, და მასვე წელსა მოკუდა ვახტანგ მეფე.

დაჯდა მეფედ ძე დავითისი გიორგი და განაგებდა სამეფოსა ქართლისასა. ხოლო აბაზას ძე ნავროზ ნარვიდა სპარსეთად. მაშინ მეფემან უბრძანა შალვას მოდგომად ციხესა ლოწობნისასა. მაშინ შალვა მოადგა ლოწობანს და ჰპრძოდა სასტიკად ოთხ დღე. და მეხუთესა დღესა აღიღო იგი. მაშინ მოიყვანნა ორნი იგი ხატნი ფრიად შუენიერნი.

მაშინ მეფემან გიორგი განილაშქრა მაღაროს და დიდად ევნო მათგან ვიწროთა მათ წევთა სიმრავლითა საგორავისათა და დიდად


 ბეჭი ეჭნაცაშვილია

მწუხარე მოვიდა. და კუალად მეორედ წარვიდა დღეთა ყუელიერი-სათა და იყო სიცივე დიდი. და შიშისაგან საგორავისა წარმოვიდეს გზასა მთისასა, რომელი იყო განყინევულ. მაშინ უმეტეს ევნო, რამ-ეთუ ინქრეოდა ცხენები, და კაცნი იგი მსგავსად მწეცთა შესვარ-ულნი სისხლისა მოსდევდეს. ხოლო შალვა მისა ამას ლაშქრობასა არა იყო მუნ, არამედ ძენი ხოლო მისნი იყვნეს. რამეთუ ესხნეს ძენი ცამეტნი, ქველნი და გონიერნი.

მაშინ შალვა წარვიდა ლაშქრითა თვისითა, მივიდა და დასხა უმჯობესი ლაშქარი მზირად ღამე, და განთიად მივიდა მცირედ-ითა ლაშქრითა. და მოწვა და მოაწრა ქუეყანა მათი, და არა-რა აიღო ლაშქარმან ალაფი თვინიერ აბაჯრისა და წარმოვიდეს. მაშინ მოუდგეს უკანა ლაშქარნი იგი მის ქუეყანისა და წარწდეს მზირთა. და აღდგა ყოველი ლაშქარი დამალული, და მოუბრუნდა შალვა და შეინყუდინეს ადგილსა ინროსა. და მოკლეს ორმეოცდათხუთმეტი კაცი და მრავალი შეიპყრეს. მაშინ კუალად შთავიდეს და დადგეს, და მოაწრეს და დაწყეს ყოველი ქვეყანა მათი, და წარმოვიდეს გამარჯუებულნი ალაფითა დიდითა, ქორონიკონსა ი-ზ, ქრისტეს აქეთ ჩ-სპდ. ამას უამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელსა ერქუა პიპა, გზასა წმელთასა მრავლითა ძლუნითა წინაშე ნისრელისა. და მივიდა პიპა წინაშე ნისრელისა. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძლუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვივა, უამი ანირვინა და ეზიარა, და მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნანილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი, და წარმოვიდა მასვე გზასა წმელით და მოვიდა წინაშე მეფისა, და მოილო იერლაყი შეწყალებისა და ალსრულება ყოვლისა სათხოველისა მისისა. ფრიად განიხარა მეფემან გიორგი, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა.

მაშინ მოადგა ოვსთა გორს მყოფთა და ბრძოდა სამ წელ. ხოლო

ვირშელი და ლაშქარი მისი უმჯობეს ბრძოდა სპისა ყოვლისაგან, და აქებდეს ქებითა დიდითა, რომელი ესე შეიძურეს მთიულთა არაგვსათა და თქუეს: „უკეთუ ომსა გარეგანსა უმჯობეს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემებნენ ჩუენ, და იხილოთ რომელნი უმჯობეს ვართ“. მაშინ შექმნეს პაემანი და დაიმუქარნეს. და შემდგომად გორისა აღებისა აუწყეს ერთი-ერთსა, და შევიდეს ვირშელი და ყოველი ლაშქარი მისი მთასა ლომისისასა, ხოლო არაგვსა მთისნი დადგეს ლოჯის-თავს, და ანუევდეს ლომისასა, ხოლო იგინი ტყესა ციხესა ლოჯის-თავისასა და ქარაფსა კლდეთასა არა განეშორნეს.

მაშინ მივიდა დავით ძე გიორგისი და არა. ჩაუშვნა ომად, არამედ განყარნა ყოველნი თავის-თავ, და ნარვიდეს ყოველნი აზნაურნი ქართველნი თვინიერ სამთა მათ ჰევთა. მაშინ ნარმოვიდა ვირშელი და შთამოვიდა ვაჩედ. ხოლო ლაშქარი წყაროთა, მუხათა და ნისქვილთა თანა გუერდსა მას შთამოვიდოდა. და ვითარცა ესმა ესე მთიულთა არაგვსათა, წარმოუდგეს უკანა მათსა და გამოვიდეს ლომისას. ხოლო დავით ძე მეფისა მუქლთა დაუყრიდა, და ლომისას მყოფნი ხატთა დაუსუენებდეს და ევედრებოდეს, რათა არა სდევდენ. ხოლო მათ არა ისმინეს, არამედ მრავლითა გინებითა მოსძახდეს და საგორავისა სიმრავლესა ჩამოჰყრიდეს. მაშინ ვირშელმან შეერიბნა მცირედნი იგი ლაშქარნი სამისა ამის ქვეყნისანი და რქუა: „მათ ან არღარა იქმნების ომი, რამეთუ გაიყრა ლაშქარი ჩუენი, არამედ კულა შევყაროთ ლაშქარი ჩუენი და მაშინ ვებრძოლნეთ მათ“. ხოლო არა ინებეს ესე მცირეთა მათ ლაშქართა, არამედ თქუეს: „მამანი ჩუენნა მცირედნი მძლავრობდიან მამათა მათთა დიდთა და მრავალთა, და უკეთუ არა ვართ შვილნი მამათა ჩუენთანი, რასათვს გუაქუს მამული მათი?“

მაშინ განიშიშულეს ფერწები მათი და ნარიძლუანეს დროშა და აღმართეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისასა. და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომნი მათ-



ბეჭი ეჭნაციშვილი

ნი. მაშინ ჩამოყარეს ეს საგორავი ურიცხვე, და აღვიდეს კუალადცა, რამეთუ დაბურვილ იყვნეს ფარითა, ვითარცა სიპითა, და დაასხეს ქვა და შუბი მსგავსი წვემისა. მაშინ შეიქმნა სიმრავლე ისრისა, ვითარცა სეტყუა წმირი. და ფუცვიდეს ღმერთსა, რომელ ქუემოთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჭვიანი კაცი გაიარის და მინასა ნახევრად დაესვის. აღმოიწუადეს წრმლები, და შეუქდე, და აიხუნეს, და აემართნეს აღმა მთასა, და გორვიდეს ჩამოლმა. და იგი იყო უმჯობესი მათ შორის, რომელმან დაყარის აბჯარი და ტანისამოსი და შიშუელი მირბოდის.

მაშინ ვირშელმან ერისთავმან, იხილნა რა ესრეთ უღონო ქმნილნი მებრძოლნი მისნი, უბრძანა არა წოცად მათდა, არამედ პყრობად და დევნად. და მიუდგეს უკანა, და გაჰყევეს იქით არაგვსა. და მოვიდა ერისთავი ლომისას და გაუშვნა ყოველნი, რომელნი წლთა დარჩომოდეს, და შენირა ლომისას არა მცირედი. და ისტუმრა შინა დავით ძე მეფისა.

ამისა შემდგომად გარდა წელი რაოდენნიმე. ვითარცა წესი არს ჩუეულება ეშმაკისა, აღძრა ეშმაკმან, მოძულემან კეთილისამან, თურქი ქრისტიანეთა ზედა. შეკრბა ერი ურიცხვ და მოვიდა ქართლს წინაძლომითა ბაედარის მის ხოსიასითა. ენცუნენ ქართველნი და თურქი, მოკლეს მეფე გიორგი და მის თანა ქუენი ფეხელი იოანე და ყოველნი მთავარნი დიდებულნი ქართლისანი, და ლაშქარნი სრულიად დაწოცნეს, საქართველო მოარბიეს და წარტყუნეს თოუესა. აგვისტოსა რვასა, ქუსა ვა.

და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით და განაგებდა ყოველსა სამეფოსა ქართლისასა.

აღესრულა დავით და დაჯდა მის წილ ძე მისი გიორგი.

დაჯდა მეფედ ბაგრატ, და განაგებდა სამეფოსა ქართლისასა. ხოლო მჯდომარე იყო წმიდასა კათოლიკე ეკლესიისა ხარისხსა ზედა უამსა მას და მწყსიდა კეთილად მწყემსი იგი კეთილი სანატრელი და ყოვლად წმიდა კათალიკოზ-პატრიარქი ელიოზ.

და ამას უამსა შინა გამოჩნდა მძღვავრი ლანგ-თემურ, პირველად ქუეყანასა თურქეთისასა. რამეთუ ენოდა სახელად თემური და მკელობელი იყო, და სპარსთა ენათა მიერ მკელობელსა ლანგ ენოდების. ხოლო ესე ლანგ-თემურ გუარტომობით იყო ჩინყის სამარყანელი. ამისთვის უნოდენ ჩინყიზად.

რამეთუ პირველთა უამთა შინა იყო ვინმე ქუეყანასა თურქთასა ასული ერთი მდიდრისა რომლისამე, მუნ მკვდრთაგანისა კაცისა. და იყო ქალი ესე მდიდარ ფრიად. საჭურჭლეთა და მონათა სიმრავლითა გარდარეულ. და უფლებდა რომელსამე ელსა და სპათა ზედა. ესრეთ განაგებდა ელსა და სპათა თვესთა ქალი ესე, და არა ესუა ქმარი.

ხოლო იქმნა მის ზედა წელოვნება რამე ბელიარისა, და მიდგომილება ანტესებრივი, და ეგრეთვე ქალი იგი მიდგომილ იქმნა თვინიერ ქმრისადა დანინდებისა. ხოლო საცნაურ იქმნა მიდგომილება იგი მისი ყოველთა მიერ. და მცნობელთა საქმისა ამის სპათა მისთა მიერ, ფრიად შემძნობელ. განსაქიქებელ და საკიცხელ უჩნდათ რამეთუ დიდად ნარჩინებულ იყო მკვდრთა მის ადგილისათა. ხოლო ვერდარა თავს იდვეს სირცხვილი იგი მისი სპათა და მონათა მისთა. დღესა ერთსა შეკრბეს ვანად მისსა, მიუვლინეს და ეტყოდეს: „ვინათგან მთავარ და უფალ ქმნილ ხარ ჩუენ ზედა, რასათვის ჰყავ საქმე ესე, და შეამთხვიე თავსა შენსა ესევითარი სირცხვილი“. ხოლო მან უარ-ყო ფრიად და ეტყოდა მათ: „უკეთუ სარწმუნო ხარო სიტყუათა ჩემთა, ესე უწყოდეთ, რამეთუ მე კაცთაგან არა მიდგომილ ვარ. და უკეთუ არა სარწმუნო გიჩნისთ, დაადგინეთ სრასა ამას ჩემსა მსტოვარნი, და მათ ცნან, თუ ვინა მოვალს ჩემდა, და მით გულ-სავსე იქმნეთ“. და მათ ჰყვეს ეგრეთ, განაწესნეს მცველნი და განმსტრობელთა საქმისა მის იხილეს მსგავსი ნათლისა მზა-კუარება მთავრისა მის ბნელისა, რომელი წელოვნებათა თვესთა მიერ რეცა ნათლად შეიცვალების, და უფროსლა ნებისმყოფელთა თვესთა ზედა ესრეთ მოქმედებს. ხოლო მცველთა მათ იხილეს ნათლისა სახე იგი, რომელი მივიდა ქალისა მის თანა, და მსგავსმან



ბეჭი გრძნაცაშვილი

განისუენა მსგავსისა თანა. და ეგრეთვე ღამე ყოველ მოქმედებდა. და აუწყეს მცველთა ცხადად ხილული იგი მათ მიერ. მაშინდა სარწმუნო იქმნეს საქმესა მას.

ხოლო მიუდგა ქალი იგი და შვა ყრმა-წული, და აღიზარდა იგი, და უწოდეს მას ძედ ნათლისად, და მიერითგან უწოდეს ჩინყიზი. და ვითარცა აღიზარდა იგი, იქმნა მეფედ თურქთა ზედა, და მიერითგან მეფობდენ მუნ ტომნი მისნი.

და ესეცა ლანგ-თემურ იყო ტომობით თესლი ჩინყიზისა მის, და იყო თურქთა მეფისა ყმა საყუარელი და მწედართ-მთავარი, და მიანიჭა ქალიცა თვისი. ამისთვის განძლიერდა ფრიად, და უძლებდა სპათა თვისთა ზედა, და სხუანიცა მრავალნი მიიმდლავრნა, და დიდად სახელოვან და განთქმულ იქმნა მკუდროანთა მის ადგილისათა. ხოლო წელოვნებითა თვისითა მოიპოვა უამი რამე ნებისა თვისისა, და მოკლა მეფე თურქთა, და ძენიცა მისნი ყოველნივე მოსრნა პირითა მახვლისათა, და თვით და. იპყრა სრულიად ქუეყანა თურქეთისა, და მერმე ინდოეთი და ერანი. და კუალად უმეტესად განძლიერდა, და ვერლარა-ვინ ალუჩნდეს წინააღმდეგომად მისსა, რამეთუ ვრცელად ცხოვრება მისი წიგნთა შინა სპარსთასა განმარტებით წერილ არს, და სომეხთაცა სხუებრ რადმე ალუწერიათ.

ხოლო ამიერითგან უფროსად განძლიერდა ლანგ-თემურ, რამეთუ კნინდა სრულიად დაიპყრა პირი ყოვლისა ქუეყანისა, და ესრეთ ნარემართებოდა საქმე მისი, ვითარცა აღექსანდრე მაკედონელისა. და ესე არა თუ კეთილ-მოქმედებისა მისისათვის, არამედ ესრეთ არს სოფლისა მის ჩუეულება. და იგი მპყრობელი ყოვლისა ქუეყანისა ან ესე-რა იგიცა ნაცარ და მტუერ ქმნილ არს, და სულითა ქუესენელად შთასრულ არს.

ხოლო ან პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

მაშინ დაიპყრა ლანგ-თემურ ყოველივე ქუეყანა აღმოსავლეთისა, და ნარმოვიდა ძლიერებითა მრავლითა და სპითა ურიცხვთა, რომელი ჰიდარვიდა ყოველთა ველთა ქუეყანისათა, და ესრეთ მოი-

ნია სომხითად, და მოიცვა სრულიად სომხითი. რამეთუ მოაწია მათ ზედა ჭირი, სრვა, ტყუენვა და სრულიად იავარ ჰყო სომხითი, ეს-რეთ ვითა ცხოვრებასა სომხეთასა განმარტებით წერილ არს.

ხოლო დაიპყრა სრულიად სომხითი და მრავალი ტყუე ჰყო, და უმრავლესნი მათნი მოსრნა პირითა მახვლისათა, და სხუანი ყოველნივე თვალი მიიმძლავრნა, და ჰყო საპრძანებელსა ქუეშე თვალი. და წარვიდა მუნითგან, და დაიპყრა კარი, და აღილო ყოველნივე ციხენი და სიმაგრენი მათნი, ხოლო წინააღმდეგომნი და ურჩინი ყოველნივე მოსრნა პირითა მახვლისათა. და დაიბანაკა მუნ ზამთარსა ერთსა. რამეთუ იყო ზამთარი ძლიერი და ფიცხელი.

ხოლო წარვიდა ათაბაგიცა და მორჩილ ექმნა მას, რამეთუ ვერ ძალ-ედვა წინააღმდეგომა მისი, და დიდად პატივ-სცა ათაბაგსა.

მაშინ წარვიდა შერდიას-შვილი ვირშელი, და წარმოუძლუა წინა ყოველითა სპითა ჩაღნელ – ქვეშნელ – სიყალშელ – ნალროელ – ინდუსტანელითა, და ყოველისა სპარსეთისა და აღმოსავალისა ლაშქრითა, დიდითა რისხვითა და გულისწყრომითა.

ხოლო შემდგომად ზამთრისა წარმოემართა ქართლსაცა ზდია. ვითარცა დელვანი ზღვსანი. განძვნებულნი, რამეთუ წადიერ იყო დაპყრობა საქართველოსა, და ესრეთ იყო ნება სვინიდისისა მისისა. გარდამოვლო აბოცი, წარმომტყუენველმან და სრულიად იავარ-მყოფელმან ყოველისა სანახებისამან. არა ჰყოვნა მუნ, არამედ წარმოვიდა, გარდმოვლო თრიალეთი და საბარათიანო, საშინელებითა და ზარითა დიდითა, ქრონიკონსკ ქრისტეს აქეთ ჩ-ტუგ.

რამეთუ ვის ძალ-ედვა წინააღმდეგომად მისა? რამეთუ ჰყვა ბანაკი და სიმრავლე სპათა ურიცხვ, რომელსა ვერ იტევდენ მთანი და ველნი და ყოველნივე არენი და სანახებ[ნ]ი საქართველოსანი, და მოსრნა ყოველივე თრიალეთი, საბარათიანო, და გარემონი, მკუდრნი მათ ადგილთანი წარმოსტყუენნა, და შემუსრნა ყოველნივე სიმაგრენი, ციხენი და გოდოლნი. და არა დაშთა დაბანი, რომელი სრულიად არა აღაოწენა.



ბეჭი ეჭნაცაშვილი

რამეთუ არაოდეს მოწევნულ არს ჭირი ესევითარი საქართველო-
სა ზედა, რომელი მან მოანია.

მაშინ სცნა რა საქმე ესე მეფემან ბაგრატ, მწუხარე იქმნა ფრი-
ად, და ეძიებდა ღონესა რასამე საქმისასა, რამეთუ ვერ ძალ-ედვა
ნინაალდგომა მისი. ხოლო შევიდა ციხესა ტფილისისასა.

მაშინ გიორგი მეფე წარვიდა და შივიდა სამწევრისს და ოდეს
ესმა მოსლვა ტფილისს თემურისა, მაშინ აღიყარა მეფე გიორგი
ლიხთიმერეთით.

მაშინ ერისთავი ვირშელი უკუდგა ციხესა ბეჭუშისასა დედანუ-
ლითა და ჯოგითა, და თანა ჰეყა კათალიკოზი ელიოზ ყოვლითა
საყდრის შვილითურთ, და ხიზნითა და ჯოგითა და ცხვრითა, და
გამაგრდა მას შინა.

და ვითარცა ესმა საქმე ესე ლანგ-თემურს, წინაალდგომა და
სიმაგრე, ეგრეთ ჰმონებდა თკო მისლვასა და მორჩილებასა მე-
ფისა ბაგრატისასა, ვითარცა მორჩილ ექმნა ათაბაგი და სხუანიცა
მრავალნი. მაშინ ფრიად განწილენა მძლავრი იგი ზუავი და ამპარ-
ტავანი. მივიდა და გარე მოადგა ციხესა ტფილისისასა, და უბრძანა
სპასპეტთა და სპასალართა თვეთა ყოველთავე ბრძოლა ძლიერი,
და განწირვა თავთა მათთა.

ხოლო რომელნიმე დიდებულნი თავადნი ქართლისანი არა იყ-
ვნენ ციხესა მას. შინა მეფისა ბაგრატის თანა, არამედ წარსულ იყ-
ვნეს თვეს-თვედ სახიზარსა და სიმაგრესა შინა, და რომელნიმე თანა
ჰყვეს რჩეულნი ჭაბუკი, რომელნი სამარადისოდ თანა ჰყვებოდეს
მეფესა.

ხოლო მოისვა მძლავრმან ლანგ-თემურ სრულიად გარემონი
ტფილისისანი, და უბრძანა სიმრავლესა ბანაკთა თვეთასა აღება
ციხისა და შემუსრვა ზღუდეთა ციხისათა.

მაშინ მეფემან ბაგრატ, დიდად მინ[დო]ბილმან და მსასოებელ-
მან მოწყალებათა ღმრთისათამან, განიგულა წინაგანწყობა მათი,
მეტყველმან ესრეთ: „ფრიად უმჯობეს არს და სანატრელ სიკუდ-

ილი სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, ვიდრედა-რა მორჩილებასა და იძულებით შეპყრობასა მძღავრისა მის მიერ“ და ესრეთ შეიჭურა ჯაჭუ-ჭური ქრისტეს სარწმუნოებისა, და გამოვიდა შემთხუევად და ბრძოლად ლანგ-თემურისა. და მიმტევნეს ბანაკსა მათსა მეფე ბაგრატ და სპანი ქართველთანი ესრეთ ვითარცა გავაზი გუნდსა წეროთასა და ვითარცა ლომი მრონეულსა ზროხათასა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი იმიერ და ამიერ, და მოისრა ორ-კერძოვე სიმრავლენი სპათანი, და უფროსღა უმრავლესნი მოსწყდეს სპანი ლანგ-თემურისანი. და ვერა უძღლეს ოტებად მათდა სიმრავლისაგან ბანაკთასა; და დაშურეს ფრიად ქართველნი ფიცხელთა ბრძოლათა მიერ და სრვათა, და მოისრნეს ქართველნიცა მრავალნი. და ესრეთ უკუნ იქცეს. მუნვე ციხესა ტფილისისასა.

ამისა შემდგომად ფრიად განძვნებულმან ლანგ-თემურ და ვერ მიმთხუეულმან ნებასა გულისთქმისასა მოიპოვა ღონე ესევითარი, და ქმნეს ჩელტები რკინითა შემზადებული. ესე აღიფარეს და მიეტევნეს ციხესა მას ტფილისისასა. და ესრეთ მძღავრობით შემუსრეს და აღიღესს ციხე იგო, და იავარ ჰყვეს სრულიად შინაგან მყოფი ციხესა მას შინა: და რომელნიმე მოსრნეს, და რომელნიმე ტყუე ყვეს.

მაშინ შეიძყრეს თვთ მეფე ბაგრატ და დედოფალი ანნა, და მის თანა მყოფნი ქართველნი ყოველნივე. და განიხარა ლანგ-თემურ შეპყრობისა მისისათვეს, და პყრობილ ჰყო მეფე ბაგრატ, და სრულიად მის თანა მყოფნი ქართველნიცა. და თვთ დაიძყრა ციხე, და შეაყენა მას შინა სპანი თვესნი. ხოლო აიძულა მეფესა ბაგრატს სჯული მაჰმადისა ლანგ-თემურ, და აღუთქმიდა ნიჭთა დიდთა, და პატივსა ძმებრივსა, და კუალადვე მინიჭებასა სამეფოსა თვესისასა. ლიქითა სიტყუათათა მოქენე იყო პყრობა სჯულისა მისისა, და არა მორჩილ ექმნა ყოვლადვე, რამეთუ მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა თვესა ზედა მეფე ბაგრატ.

და დაყო მცირედ-რამე მუნ ლანგ-თემურ. და მერმე აუნყეს ნა-დირთა სიმრავლე და შექცევა ყარაიასა, და ნარვიდა ყარაიასა



ბეჭი ეფნატაშვილი

შინა. მოინადირეს და შემოსეს კეთილად, მოსრეს სიმრავლე ნა-
დირთა, და იშუებდეს უზრუნველად და განსცხრებოდეს. მაშინ
განიზრახა წარსლვად ყარაბალს, და აღიყარა და წარვიდა, და თანა
წარიყვანა მეფე ბაგრატ პყრობილი. და შთასრულმან ყარაბალს
დაიბანაკა მუნ რაოდენთამე უამთა, და იგონებდა ბოროტსა, რამ-
დაიბანაკა მუნ რაოდენთამე უამთა, და იგონებდა ბოროტსა, რამ-
დაიბანაკა მუნ რაოდენთამე უამთა, რომლისა თხლე არა წარ-
ეთუ სავსე იყო შორითა და წდომითა, რომლისა თხლე არა წარ-
მოიცალიერა, და გარდამოეცემოდა გესლი ასპიტისა ბაგეთაგან
მისთა, რამეთუ სრულიად ეგულვა და მოქენე იყო იავარ-ყოფი-
სათვს საქართველოსა, ვინათვან მეფე ბაგრატ პატიმრად ჰყვა, და
სხუა არავინ საეჭულ უჩნდა წინააღმდეგომი მისი. ხოლო განაწესა
სკასალარი ერთი ვინმე წარჩინებულთა თვეთაგანი და მისცნა
სიმრავლენი სპათანი ურიცხუნი, წარმოგზავნა საქართველოსა
ზედა, და ამცნო სრულიად მოოწრება და დასრულება ქართლისა;
და უმეტესად წმიდათა ეკლესიათათვს, ციხეთა და შენობათათვს
ეტყოდა: „დაარღვიეთ, დაარღვიეთ მისაფუძვლადმდე მისა. ხოლო
მწცოვანთა მამათა და დედათა, და უფროსღა სამღდელოთაგან
რომელნიცა შეიძყრან, მოსრან ყოველნივე პირითა მახვილისათა,
და სხუანი წარტყუენონ და ტყუე ჰყონ, და მონვან ცეცხლითა წმი-
დანი ეკლესიანი, და ყოველნივე დაბანი და შენობანი ქართლისანი“.
და ესრეთ ამცნო და განამტკიცნა სარდალნი და ყოველნივე სპანი
თვესნი მძლავრმან უწყალომან ლანგ-თემურ. მაშინ წარმოვიდენ და
მოიწივნეს მსწრაფლ მყისსა შინა არეთა ქართლისათა, ქრონიკონს
ქრისტეს აქეთ ჩ-ტუგ.

და ვითარცა მოიწივნეს, მაშინ მოიცვეს ტფილისი და სრულიად
ყოველნივე სანახებნი ქართლისანი, და სრვიდეს უწყალოდ, ვი-
თარცა პირველ მეგვპტელთა ღმრთისა მიერ რისხვით მივლინებუ-
ლი იგი მომსრველი სენი. რამეთუ ესრეთ თქმულ არს:

ორგზის ჟამიც აღარ მოექცევისო. წანდვილვე ფრიად უბოროტეს
ჟამისა გამოჩნდეს. იგინი, რამეთუ მომსრველი იგი ჟამი ზეგარდა-
მოითა ბრძანებითა ყოვლად მონყალისა ღმრთისათა მივლინების

კაცთა ზედა განმრავლებისათვეს ცოდვათა ჩუენთასა, და სწურ-თნის ვითარცა საყუარელსა ძესა მამა იგი მოწყალე. რათა შეინა-ნონ და მოიქცენ სინანულად, და განგებითა ღმრთისათა მის მიერ აღსრულებელი გუამი მეუდართანი ყოველნივე მღდელთა მიერ შეიმუსრვის და იმსახურების, და წმიდათა ეკლესიათა შინა გან-ნესებულ არს სამარხო მათი პატივად და ლხინებელად აღსრულე-ბულთა სულთათვეს. და მომსრველი იგივენი ვერ მიეხების ღდელ-თა რათურთით. და ესრეთ განთავისუფლებულ არიან მღდელი მომსრველთა სენთა მიერსა, და წმიდათა ეკლესიათა მიერ ფრიად შიშენეულ არს, და მძრნოლარე ჭირი იგი მომსრველი, არამედ მაშინ ფრიად უბოროტეს გამოჩნდეს მომსრველისა მისგან ჟამისა სპანი იგი ლანგ-თემურისანი საქართველოსა შინა.

ხოლო არა თუ ყოველთა კაცთა სრვა კმა ვყოთ, არამედ წმიდანი ეკლესიანიცა და მას შინა მყოფი სამღდელონი კრებული ცეცხ-ლითა დამწვან იქმნენს მათ მიერ.

მაშინ დაუტევეს ქუემო-კერძონი იგი სანახებნი ქართლისანი, და წარვიდეს ზემოთ კერძო შიდა ქართლად, რომელსა ან ზემო ქართლად უწოდენ. რამეთუ პირველ მოსლვასა მათსა დაშთა შიდა ქართლი წარუტყუენველად. მაშინ მივიდეს უსჯულონი იგი წმიდა-სა კათოლიკე ეკლესიასა მცხეთას, უფროსღა და უმჯობეს სავსენი შურითა მისითა. ეპა, ვაძე დღისა მისთვეს და ჟამისა, რომელი მოი-ნია ჩუენდა სიმრავლისათვეს ცოდვათა ჩუენთასა. აპა წარმოდევინ ჩუენდა გოდებისა მთხზველად წმა პრამათ მტირალი საღმრთო იერემია, მეტყუელი ესრეთ: „განიშორა უფალმან საკურთხეველი თვსი, განაპნია სიწმიდე თვსი, შემუსრა წელითა მტერისათა ზღუდე ტაძართა მისთა, წმა ბრძოლისა მოსცა სახლსა შინა უფლისასა, ვითარცა დღესა შინა დღესასწაულისასა, და ეკუეთნეს ქუეყანასა ბჭენი მისნი, წარწყმიდნა და შემუსრნა მოქლონნი მისნი, მეცე მისი, და მთავარნი მისნი წარმართთა შორის. და არა არს სჯული, და წი-ნასწარმეტყუელთაცა მისთა არა პპოვეს ხილვა უფლისა მიერ“.


 ბეჭი ეჭნაცაშევილი

რამეთუ ესრედ სახედ ყოველივე ჰყო მძღავრმან უწყალო-მან ლანგ-თემურ საქართველოსა შინა, ვითარცა მეფემან ბა-ბილოვნისამან ნაბუქოდონოსორ მოანია იერუსალიმსა ზედა, ამან უფროსლა გარდამატა მას, რამეთუ მან არა იკადრა დარღუევა ტაძრისა მის სოლომონისა, თვინიერ ნარღებისა მრავალთასსა მას პატიოსანთა ჭურჭელთა ტაძრისათა, არამედ ამან ლანგ-თემურ ესეოდენი ბოროტი ქმნა რომელ ნარილო, სრულიად პატიოსანი სამკაული და შემკობილი რომელი წმიდისა კათოლიკე ეკლესი-ისანი, და იგი არა ჯერ უჩნდა. კმაყოფად, არამედ თვთცა შეკეადრა და ბილნითა ჭელითა ნარმდებად ჭელ-ჰყო დარღუევად და მოოქ-რებად სუეტისა ცხოველისა შინაგან, და გარეთ ზღუდენი და პალ-ატნი. და ყოველივე შენობანი სრულიად იავარ ჰყვეს სპათა ლანგ-თემურისთა.

ამისა შემდგომად აღიყარნეს და წარვიდეს და, სადაცა განვლეს, დაწეს და მოაოქრეს დაბანი და შენობანი ზემო-კერძოთა სანახებ-თანა. და ესევითარითა სიბოროტითა მიიჩივნეს ქუაბთა ჭევს, და იგიცა მოიცვეს და წარმოსტყუენეს. და უყვეს მრავალი ბოროტი გარეშე წმიდისა ეკლესისისა, და ინებეს წმიდისა მის ეკლესისისა ცეცხლითა დაწეს და დარღუევა, რამეთუ შინაგან ტაძრისა მის შევ-ტოლვილ იყვნეს ყოველივე მუნ მყოფი, წმიდანი მღდელი, დია-კონი და ფირჩოსანნი, მღდელ-მონაზონნი, გლახაკნი და უღთონი დავრდომილნი, და დედანი მონაზონნი, რომელი მდგომ იყვნეს. აზნაურთა და თავადთა ასულნი და დედანი.

ხოლო ესე ყოველივე მონაზონნი გამოიყვანნა და შეასხნა სამე-ჩანგო შესასხმელნი, და დაპკიდნა ეუუანნი და ზარნი და ფერწისა დააბმევინა, ათამაშა და ამღერა. და ერთმან ვინმე მონაზონმან ალ-მოთქუა: „ვად ჩუუნს დედაბრობასა, ეს რა გუეძღარუნებიან“. ამისა შემდგომად რომელიცა ინებეს, ნარიყანეს, და რომელთა არა დაუტევეს სჯული ქრისტესი და ურჩ ექმნენ მათ და გლახაკნი და დავრდომილნი რომელიცა იყვნეს, მათ ყოველთა შეუკრნეს ჭელნი

და ფერწი, და დააწყვეს საშუალ ეკლესიისა, რამეთუ იყო ჯმა მათი ვაებისა და ოქრებისა, ვითარცა ქუხილი ცისა. ხოლო მათ ყოველთა, უკეთურებითა ალსაცეთა, აღაგზნეს შიგან და გარეშე ტაძრისა მის აღატყინეს ცეცხლი მძლაფრი, და დაწვეს ტაძარი იგი ქუაბ-თაწევისა ღმრთისმშობელისა, და მას შინა მყოფნიცა იგი წმიდანი და სამგზის სანატრელნი სამღდელოთა დასწი, რომელნი მას შინა ცეცხლითა აღესრულნეს და წამებისა ღუანლითა და გროგნითა შემკულნი ან იხარებენ წანაშე ღმრთისა და ჩუენთვს ჰყოფენ ვე-დრებასა. ხოლო დამწვარნი იგი წმიდათა გუამთა მათთა აჩრდილნი ვიდრე დღეინდელად დღედმდე მსგავსად კაცთა სახედ იხილვების იატაკსა მას შინაგან წმიდისა ტაძრისასა. და ესენი სურვილითა წამებისათა და ტრფიალებითა ზესთა სასურველისათა შეთქმულ იქმნეს, რათა ღირს იქმნენ იგინი ქრისტესთვს სიკუდილსა და ტან-ჯვასა, და აქა მცირედ მოითმინნეს და მუნ საუკუნოდ იშუებენ, და იმოთხვენ ზეცათა შინა ყუავილთა მათ დაუჭირებელთა.

ხოლო უსჯულოთა მათ მოვლეს გარემონი მათ ადგილთანი, და წარტყუენნს ყოველნივე. და ამისა შემდგომად წარვიდეს და მიინივნენ რუისს და დაიბანაკეს მუნ. მოიცვეს სრულიად შიდა ქართლი, დაწვეს და აღაოქრეს, და მოვლენეს ყოველნი არენი და სანახებნი შიდა ქართლისანი, და აღიღეს ციხენი, გოდოლნი და სიმაგრენი ყოველნივე თვინიერ მთისა კავკასიისა. მაშინ ძირითურთ აღმოფხურეს დიდი ეკლესია იგი რუისისა, რომელ არს საყდარი ღვთაებისა, ვიდრე საფუძველითურთ დაარღვივეს, და არა-სადა დაბანი და შენობანი მათ მიერ წარტყუენველად.

და ესრეთ სრულ ჰყვეს ბრძანებული იგი ლანგ-თემურისა სპა-თა მისთა, ვითარცა პირველ ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარმან მეფესა ნაბუქოდონორისმან ჰყო იერუსალიმს შინა იუდიანთა ზედა, მოქმედმან ესევითარისა უკეთურებისმან, რომელმან გა-ნასახლნა იერუსალიმით ბაბილონიდა იუდიანნი, ძენი სიონისანი, სიტყვასებრ წინასწარმეტყუელისა იერემიასა: „მოვიდაო ნაბუ-



ბერი ეტნოგრაფიული

ზარდან მთავარ-ქონდაქარი და წინაშემდგომი მეფისა ბაბილოვნისა იერუსალიმად, და დაწვა სახლი უფლისა, და სახლი მეფისა, და ყოველი სახლი ქალაქისანი, და ყოველი სახლი დიადი მოცეცხლა ცეცხლითა". ესე ყოველივე ჩუენდა მომართ აღასრულა უწყალო-მან ლანგ-თემურ და სპათა მისთა, რამეთუ სრულ ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მისი.

ამისა შემდგომად ალიძრნეს და წარვიდეს მუნითგან და ჩავლეს კახეთი. იგიცა წარმოსტყუენეს და იავარ ყვეს, და მრავალი ტყუ ყვეს. და რომელნიმე მოსრნეს პირითა მახვლისათა, და შენობანი ყოველივე მოცეცხლეს და წარვიდეს ლანგ-თემურისა თანა, მიუ-ლოცეს გამარჯუება.

ხოლო უამსა მას მიევიდა ლანგ-თემურ შაქის, და მიერთნეს ყოველივე მკედრნი მის ადგილისანი, მიიმდლავრნა და ვერვის ძალ-ედა. ნინააღდებომად მისა, და ყვნა ყოველივე საბრძანებელსა ქუშე თვესა. მაშინ შემოიკრიბა და მიერთნეს ყოველივე კავკა-სიანი და ლეკნი, შირვანელნი და გილან-მაზანდარელნი, და თანა ჰყვა პყრობილად მეფე ბაგრატ, და ყოველივე მის თანა მყოფნი ქართველნი, რამეთუ დიდად მოქენე იყო და ლონე-პყროფდა ლანგ-თემურ მიქცევად სჯულსა მისსა ზედა მეფისა ბაგრატისსა, და აღუთქმიდა მრავალსა ნიჭისა და პატივსა დიდძალსა და ეუალად მინიჭებასა საქართველოსასა, და უკეთუ არა სარწმუნო მექმნა და არა ისმინო ჩემი, ვბრძანო სიკუდილითა ბოროტითა სიკუდილი შენი და ყოველთავე ქართველთა, რომელნიცა პყრობილ არიან ჩემ მიერ".

ხოლო მეფემან ბაგრატ, არარას მზრუნველმან თავისა თვესისამან და ვითარცა სურვიელმან მწარისა სატანჯველისა და სიკუდილისა-მან ქრისტეს სარწმუნობისათვე, არა ინება და არცა სათნო უწნდა მორჩილება მათი და დატევება სჯულისა თვესისა, არამედ გამოწ-სნისათვე ქართველთასა, რათა არა მიზეზითა მისითა იქმნას აღ-სასრული მათი მის უწყალოსა მძლავრისა მიერ. ამისთვეცა მოიპოვა

ღონე რამე წელოვნებით ძვნად მათდა აღმრჩეველმან, რეცა-თუ პირ-მორჩილ ქმნილმან ნებასა მათსამან, ხლო გულითა შორად გან-შორებულმან მცირედსა უამსა შინა უმჯობესისა საქმისა ნარმართე-ბისათვს, რათამცა წსნილ და განტევებულ იქმნენ მათ მიერ, და ამისთვისცა მიჰყვა ნებასა. ლანგ-თემურისა. ხოლო ლანგ-თემურს რა ესმა მორჩილება მეფისა ბაგრატისა, განიხარა სიხულითა დიდი-თა და მსწრაფლ წარავლინა კაცი, და თავისუფალ ჰყო პყრობილები-საგან, და მიიყვანა სახიდ თვად. და შეიტკო და დიდად პატივ-სცა, და ეგრეთვე ქართველნიცა განათავისუფლნა კრულებათაგან. მაშინ მიანიჭა მეფესა ბაგრატს წყალობა, და უბოძა საბოძვარი მრავალი, და მოფენილობა სახლთა, და სარცეცელნი და სხუანი მრავალნი საქ-მარნი და სამყაულნი, ყოველივე შემსგავსებული სიმდიდრისებრ წელმწიფობისა მისისა, და მრავლითა ნიჭითა და საბოძვართა სიმ-რავლითა აღუსრულა გული, და უყოფდა ძმებრივსა პატივსა და სიყუარულსა ყზომისა მიქცევისათვს მისისა სჯულსა მაჰმადისა. ხოლო მეფე ბაგრატ. დალაცათუ პირითა აღიარებდა სჯულსა მათსა, არამედ მტკიცედ ეგო გულითა მწურვალითა სარნმუნობასა ზედა ქრისტესა, და საიდუმლოდ თვაგან ევედრებოდა ღმერთსა ცრემ-ლითა მდუღარითა, რათა განტევებულ იქმნეს მათ მიერ.

მაშინ ქართველთა ყოველთავე დაატყვებინეს იძულებით სჯუ-ლი მათი და მიქცეს სჯულსა მათსა, და უფროსლა მას ზედა მწუხ-არე იყო მეფე ბაგრატ მიღრეკისათვს და დატევებისა ქართველთა სჯულსა ქრისტეანობისასა. და უამსა მას დიდად სათონ უჩნდა ლანგ-თემურს მეფე ბაგრატ, და უსმენდა და მორჩილებდა სიტყ-უასა მისისა, და არღარა უფარვიდა საიდუმლოსა სვინიდისისა თვ-სისასა, და იყო თანა-განმზრახი ლანგ-თემურისა.

ხოლო უამსა მას დაეპყრა ყოველივე აღმოსავლეთი ლანგ-თემურს, და არღარავინ საეჭუელ უჩნდა ნინააღმდგომი, ვინათგან მეფე ბაგრატ თანა-ჰყვა და სრულიად საქართველო საბრძანებელ-სა მისისა ქუეშე იყვნეს, და ესრეთ მოქადულ იყო დაპყრობისათვს



ბეჭი გუნდაცმვილი

საქართველოსა და მეფისა ბაგრატისა, რათამცა წელენიფა პყ-რობად პირი ყოვლისა ქუეყანისა, და ამისთვის დიდად პატივცემულ იყო მის მიერ.

ხოლო დღესა ერთსა, ოდეს იყვნეს მხოლოდ თვისაგან თკომპყ-რობელი მძლავრი ლანგ-თემურ და მეფე ბაგრატ და ზრახვიდენ ურთიერთას, მაშინ რქუა მეფემან ბაგრატ ლანგ-თემურს სიტყვთა ლიქნითა: „ვინათგან ესრეთ ვსცან სიმტკიცე სჯულისა თქუენისა, და ან მეცა სარწმუნო მიჩნს და ესრეთ მნებავს, რათამცა სრულიად მორჩილ იყვნე სჯულისა თქუენ სამკუდრნი საქართველოსანი. და უკეთუ გნებავს მოქცევა მათი სჯულსა თქუენსა ზედა, ან მომეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი და მე წარვალ სამეფოსა ჩემსა საქართველოსა, და მე მოვხადო ყოველთავე მკუდრთა ქართლისა-თა: დიდებულთა და მცირეთა, მთიულთა, ოვსთა, დვალთა, სუანთა და აფხაზთა – ამათ ყოველთავე მე დავარნმუნო სჯული თქუენი, და იგინი ვყვნე მოხარკე და მორჩილ ბრძანებისა თქუენისა.

მაშინ ვითარცა ესმა საქმე ესე ლანგ-თემურს, დიდად მხი-არულ იქმნა, და სარწმუნო იქმნა განზრახვასა მისსა ზედა კუალ-ად უმეტესად პატივ-სცა და მიანიჭა საბოძვარი დიდალი, განძი და საწელმინიფო საჭურჭლე. და აღამზადა სპანი, რჩეული კაცი თორმეტი ათასი და უჩინა მათ სარდალი და ათასისთავნი. და ამც-ნო მათ ლანგ-თემურ, რათა მორჩილებდენ მეფესა ბაგრატისა და არა ურჩ ექმნენ სიტყუასა მისსა. ხოლო წარმოვიდა მეფე ბაგრატი, და მის თანა მყოფნი ქართველნიცა, და სპანი ლანგ-თემურისნი თორმეტი ათასი. და ესრეთ იქმნა ნინაუკემო აღრჩევა ესე მეფისა ბაგრატის, ვითარცა. პირველ აქიტოფელი აბესლომისათვის და ესე არათუ თანა-განმზრას იქმნა საქმედ სიბილნისა, არამედ შუ-რის ძიებისათვის პირველთა მათ სიბოროტეთა და უკეთურებათა ლანგ-თემურისათა, რომელი ჰყო საქართველოსა შინა. მაშინ წარმოემართა და მიიწია არეთა და მზღვართა საქართველოსათა და იმარჯუებდა უამსა, თუ ვითარდი საბრწე უდგას სპათა ლანგ-

თემურისთა. ხოლო ჟამსა მას დაეპყრა სრულიად საქართველო გიორგის, ძესა პირმშოსა ბაგრატისასა. მაშინ წინააღმრჩევით იდუ-მალ წარავლინა მეფემან ბაგრატ კაცი ერთი მწედართაგანი, სარწუ-ნო გულისა თვესისა, მალემსრბოლად წინაშე ძისა თვესისა გიორგისა, და მიუწერა ესრეთ: „განვერი საპრწისა მისგან ლანგ-თემურისა ძა-ლითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა; და ან მოვალ შურისგებად და ძიებად პირველთა სიბოროტეთა, რომელი ჰყო მან ჩუენ ზედა და საქართველოსა ზედა. ან ესრა მომყავს სპანი ლანგ-თემურისნი, კაცი ვითარ თორმეტი ათასი, დიდად რჩეულნი და წარჩინებულნი მისნი, საგვენი განძითა და საჭურჭლითა მრავლითა. და ესე იყო წადილი და სურვილი სვინიდისისა ჩემისა ესრეთ“.

და ვითარცა მიუმცნო ძესა თვესა გიორგის, მაშინ მოვიდა მეფე გიორგი ლიხთიმერეთით, და ესმა დვალთაგან ლალატი ქსანთ ერ-ისთვისა. განრისხნა და განილაშქრა მათ ზედა, და შემოვიდა გზა-სა აჩაბეთისასა, და იწყო ტყუენვა და აოქრება მათი, და მოაოქრა სრულიად დვალეთი.

მაშინ მოუწოდა სპათა საქართველოსათა და შემოკრიბნა ყო-ველნივე, და წარმოემართა და მოვიდა და დაიბნაკა ერთსა ვინრო-თაგანსა გზასა სიმაგრისასა, სადაცანინასწარ ბირებულ იყო მე-ფისა ბაგრატის მიერ. ხოლო ოდეს მოინია მეფე ბაგრატ ადგილსა მასა სადა-იგი მზირად განწყობილ იყვნენ უქმნეს წინაუკანა სპათა ლანგ-თემურისთა. მაშინ მიეტევევს ქართველი ვითარცა ხანძარი აღტყინებული ქართა მიერ განძვნებული მდელოთა ველისათა ანუ მაღნართა შინა. და ვითარცა ხე ცულითა, დაკოდნეს ბეჭნი მათნი და პირითა მახვლისათა მოსრნეს იგინი.

და მოინია მათ ზედა რისხვა ღმრთისა საშინელი, ვითარცა-იგი ილოცა ეზეკია მეფემან ღმრთისა მიმართ სენექერემისთვეს, და გამოვიდა ანგელოზი უფლისა და მოსრა ბანაკისა მისგან ასურ-ასტანელთასა ასოთხმეოცდახუთი ათასი კაცთაგან მთავართა. ესევითარი რისხვა ღმრთისა მოინია სპათა ზედა ლანგ-თემურის-


 ბეჭი გვნაცამეოლი

თა, და მიუწყევს მათცა საწყაული იგი, რომელიცა მოუწყეს საქართველთა, ვითარცა იტყვეს დავით: „ასულო ბაბილოვნისაო უბადრუკო, ნეტარ არს, რომელმან მიგაგის შენ მისაგებელი იგი, რომელ შენ მომაგე ჩუენ“ და შემდგომი.

ხოლო მოსრეს ყოველნი სპანი ლან-თემურისნი ვითარ თორმეტი ათასი, და ერთიცა მათგანი არა განერა. და წარიღეს ქართველთა ნატყუენავი და იავარი მათი. და იყვნენ სიხარულით და შვებით განმარჯუებულნი და უფროსლა მოხარულ იყვნენ ხილვისათვს მეფისა ბაგრატისა და მის თანა მყოფთა ქართველთასა, რამეთუ ესრეთ გამარჯუება მისცა ღმერთმან ქართველთა, რომელ თორმეტის ათასის რჩეულის ლანგ-თემურისა სპისა მომსრველთა თორმეტი კაცი არა დააკლდა მათ მიერ საქართველოსა ამა წყობათა შინა.

მაშინ ვითარცა მიესმა ლანგ-თემურს ამბავი ესრეთი, შეუძნ-და ვითარმცა სრულიად მიღებულ ქმნილიყო მისთვს ყოველივე სახელმწიფო და განსაგებელი თვესი, იმთვებოდა სულითა და განიხერხებოდა შურითა, და იმძლავრებოდა ბოროტთა გულისისტყუათაგან. მაშინ დალაიდუმა საქმე იგი. და დაიზამთრა მუნვე შაქის ბანაკითურთ თვესით, და იყო მუნ უამსა რაოდენსამე. და ვითარცა მოინია თუე მარტისა, შემოკრიბნა სიმრავლენი სპათანი, უმრავ-ლესნი ზღვსა ქვიშისა და უმეტესნი პირველთასა.

მაშინ მოუწოდა შარვან-შაპს ბანაკითურთ თვესით, და მოვიდა იგიცა სპითა ურიცხვთა, და წარმოვიდა ლანგ-თემურ ძალითა მრავ-ლითა და საშინელებითა ზარის-საწყდელითა, საყვირითა და დაბ-დაბთა ცემითა და ბუკთა ტკრციალითა. და ესრეთ მოინია ბარდავს, და მუნ დაუტევნა საჭურჭლენი და ბარგნი, სამძიმარი, რომელი არა ეწმარებოდა, და დაარჩინნა სპანი მეომარნი. და ესრეთ წარმოე-მართა და მოინია მდინარესა მას ზედა მტკუარსა, და გასდგა ჭიდი ნავებითა, და განვლეს მას ზედა, რამეთუ მას უამსა იყო გაზაფხუ-ლის პირი, და წკმდა, და მოსთოვდა მთათა ჰაეროვნებისაგან, და არღარა ჰყოვნეს მუნ, არამედ მოისწრაფეს შენობათა შინა.

ხოლო მეფემან ბაგრატ და ძემან მისმან გიორგი შემოიკრიბ[ნ]ა სპანი საქართველოსანი, რომელთა მინდობითა და სარწმუნოებისა ღმრთისათა არა ჰერიდეს სიკუდიდ განწირვად თავთა მათთა, და-ლაცათუ უმრავლეს იყვნეს იგინი უმეტეს ასითა ათასითა ზომითა, არამედ არა შეშინდეს, არცა მომედგრდეს. ხოლო მეფემან ბაგრატ და ძემან მისმან გიორგი და ერთგულთა სპათა მისთა ქართველთა მყის მიისნრაფეს მათდა მიმართ.

ან მიხედეთ მაშინდელსა მას სიქველესა და მწეცემნილობასა და სჯულისა სიმტკიცესა, მკედრნო საქართველოსანო, ჩინებულნო და რჩეულნო, და თუ ვითარი ახოვნება და გულსმოდგინება აჩუენეს უსჯულოთა ზედა არა დაენინებისათვეს საქართველოსა, რამეთუ ესრეთ ჯერ უჩნდათ მაშინ ბრძოლა მათი, ვითარმცა მწეცთა სრვა და შექცევა ჯარაიასა შინა.

მაშინ მივიდეს ქართველი სადა-იგი დაბანაკებულ იყვნეს პირველ შემოსლვადმდე მათსა შენობათა შინა ქართლისათა. ესენი მიეგებნეს ნინა, და მიეტევნეს სპანი ქართველთანი, ვითარცა ლომი ჯოგთა მი-მართ კანჯართასა, და ვითარცა მგელი ჯარათა მიმართ თხათასა; და ეკვეთნეს ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა ძლიერი იმიერ და ამიერ.

აპა, მიხედეს რჩეულებსა და ქებულსა ჭაბუკთა ქართველთა-სა დღე და ღამე სიხარულისა და განცხრომისა, და პირველსავე კუეთებასა ზედა მიდრიკნეს იგინი და შეანარცხეს ურთიერთას, ვი-თარცა შავარდენთა მიერ განქრეული გუნდ ჭილუავთა, ეგრეთ საგონებელ იყვნეს ბანაკნი ლანგ-თემურისნი. არამედ სიმრავლის-აგან მათისა ვერა აგრძენეს ბოლოდ კერძოთა მყოფთა ბანაკთა მის-თა ესევითარი ძლიერი ბრძოლა თხემსა რაზმთა წყობისა მათისასა. რამეთუ მაშინ ფრიად სანატრელ საგონებელ იყო შორით მჭურ-ეტელთა. კაცთა მიერ ახალმოასაკეთა მათ მოყმეთა ქართველთა ჭაბუკთა სიქველე და მკერცხლ-მორბედობა, რომელი კმა იყო ძუელთაგანცა გოლიათთა და ჭაბუკთა ომად, რომელთა ზედა მათ მიერ მივიდოდეს სიმწვავენი, და მკუეთებელნი ისართანი, მფეთე-

ბეჭი ეჭნაცაშვილი

ბელნი წრმალთანი, და მხეთებელნი ოროლთანი, და უშრომელობანი, და სიმაგრენი მკლავთანი. და ამას შინა განგრძელდა ომი.

ხოლო ლანგ-თემურისა მიერ პირველვე განნესებულ იყვნეს მცველნი რათა არავის უტევებდენ მლტოლვარეთაგანსა. და მაშინდა შეკრბეს ზოგად ერთ გუნდად, რამეთუ სიფიცხისაგან ომისა ფრიად შეძრნუნებულთა ეგულვებოდათ სივლტოლა და უკუნ ქცევა. ხოლო ლანგ-თემურ აღირჩია განნირვა თავისა თვესისა და სიკუდილი და არა უკუნ ქცევა.

მაშინ იქადა მახვლი და თკო განვიდა წინაგანწყობად, აღზახა წმითა დიდითა სპათა მიმართ თვესთა. და განმწვდეს სპანიცა მისნი, და მიეტევნეს მიმყოვრებასა თანა ომისასა. რამეთუ სპანი ქართველთანი ფრიად დამაშურალ იყვნეს და დაელენნეს აჯარნი საომარენი, არამედ კუალადცა ფიცხლად იბრძოდეს და სრვიდეს სიმრავლესა მათსა, და დასთხევდეს სისხლსა მათსა, რომელ ყოველნივე მერამულად იხილვებოდეს სპანი ქართველთა, ცხენით კაცითურთ. და მოისრა ორკერძოვე ბანაკი ურიცხვ, და უფროსლა ხუთი ზომა სპანი ლანგ-თემურისნი მოისრნეს, რამეთუ განგრძობასა თანა ომისასა ვერდარა ძალ-ედვათ ქართველთა წინაგანწყობა მათი დიდსა სიმაშურალისაგან, და არცალა იარაღი შერჩომოდათ, არცალა ცხენთა მათთა ძალედვა სრბა. რამეთუ მე ეგრეთ ვერ ძალ-მიძს აღწერად, და შესხმა ქებისა სიმწნე-აქოვნებათა მათ ჭაბუკთა ქართველთასა, ვითარ-იგი სპარსთა წიგნთა შინა წერილ არ; ქება სპათა ქართველთასა. მაშინ უკუნ იქცა მეფე ბაგრატ და ქართველნი და მიშმართეს სიმაგრესა მთათასა, და დევნა უყო უკანა მათსა ლანგ-თემურ და სრულიად სპათა მისთა.

ხოლო წინათვე წარსულ იყვნეს ხიზანნი საქართველოსანი სიმაგრეთა შინა, რომელნიმე მთათა შინა კავკასიისათა, რომელნიმე სხუათა სიმაგრეთა მიმართ იმერთასა, და არღარავინ დაშთა საქართველოსა, არცა იპოვებოდა ხიზანი შენობათა შინა, ყოველნივე შელტოლვილ იყვნეს მთათა მიმართ.



ხოლო მეფემან ბაგრატ და ძემან მისმან გიორგი მიისწრაფეს სიმაგრეთა შინა, და ნარვიდეს ქართველნიცა თვს-თვსად. მაშინ შემოვიდა საქართველოსა შინა რისხვითა დაუპყრობელითა და, ვითარ იგი ჰერნებდა, ვერ მიემთხვივა ნებასა გულისთქმისა თვსი-სასა, ვერ პოვნა ხიზანნი. და მოვლეს სრულიად ქართლი, მოაონტეს და დაწვეს. ყოველნივე შენობანი, და უფროსლა წმიდანი ეკლესიანი და მონასტერნი დააქცინებს და დაწვეს ცეცხლითა. ესე მეორე ბოროტი მოაწია წმიდათა ეკლესიათა ზედა, და შემდგომად მცირე-დისა უამისა წარვიდა ლანგ-თემურ და მიიქცა მუნვე ყარაბალს, და დაპყო მუნ უამ რაოდენმე.

ხოლო მეფემან ბაგრატ კუალად იპყრა სამეფო თვსი და გან-აგებდა კეთილად. და მცირედსა ხანსა შინა მიიცვალა სარწმუნოე-ბასა და სინანულსა შინა მეფე ბაგრატ, და დაჯდა მის წილად მეფედ გიორგი ძე მისი ქრისტეს აქეთ [...]

და ამასვე უამსა მიიცვალა ყოვლად სანატრელი კათალიკოზი ელიოზ და დაჯდა მის წილად კათალიკოზად გიორგი.

და ყო გლოვა დიდი მეფემან გიორგი, და აღასრულეს წესი დაფლვისა. და შემდგომად ამისა დაიპყრა მეფემან გიორგი ყო-ველივე საქართველოს იმერნი და ამერნი, და მეფობდა ერთობით სრულიად საქართველოსა ზედა. და ვითარცა ესეა საქმე ესე მძლა-ვრსა მას ლანგ-თემურს სიკუდილი მეფისა ბაგრატისა და გამეფე-ბა ძისა მისისა გიორგისა, კუალად აღივსო შურითა და რისხვითა დაუპყრობელითა, რამეთუ ესეოდენი ბოროტი და უკეთურება არა მოენყინა, და არცა დააცხრო გულისწყრომა თვსი; მაშინ გამოაყ-ენა მენინავეთ სარდალი თვსი სახელით ყარალათი, და შემდგომად თვთცა წარმოვიდა სპითა ურიცხვთა.

ხოლო განსცა საბოძვარი მრავალი სპათა თვსთა ზედა და დას-ცალნა სალარონი და საჭურჭლენი თვსნი ყოველნივე, და ესრეთ დაიერთვულნა სპანი თვსნი. და აღაზრზინნა იგინი, ვითარცა მწეცნი, განრყუნად ქრისტეს სამწყოსთა, და იღრჭენდეს შეგინებ-



ბერი გეგნაცხადი

ულთა კბილთა მათთა ქრისტეს შემოსილსა მეფესა ზედა. მაშინდა წარმოემართა და მოინია ყარაბაღს საშინელებითა და დიდალითა ბანკთა სიმრავლითა, რამეთუ ვერ იტევდა ვერცა ქალაქი და ვერცა დაბანი სპათა მისთა, არამედ სიმრავლისაგან სპათასა არა იყო რიცხვი. და ესრეთ წარმოვიდა გულისწყორმით აღძრული, და მოინია მზღვართა საქართველოსათა, და დაიპანაკა მუნ. ხოლო წარავლინა კაცი ერთი და მიუნერა მეფესა გიორგის ესრეთ, ვითარმედ:

“მამამან ძენმან მეფემან ბაგრატ, არა სარწმუნო ქმნილმან მორჩილებისა ჩემისამან, ქმნა ბოროტი და ზაკოთ განხეთქა ზოგი მეფობისა ჩემისა, და ვითარცა ქურციკი საბრწით განერა მახეთაგან ჩემთა, და მოსრა პირითა მახვლისათა სპანი ჩემნი რჩეულნი, რიცხვით თორმეტი ათასი, რომელ არცალათუ ერთი განერა. და უკეთუ შემდგომად ამისა სარწმუნო თუმცა ქმნილიყო მორჩილებად ჩემდა, არამცა მეძიებელ ვიყავ შერისა მის პირველისა, არამედ, ვითათგან ან შენ დაგიპყრიან საქართველო თვინიერ ბრძანებისა ჩერსა, რამეთუ ქუეყანა ესე ჭრმლითა ჩემითა დამიპყრიეს და ბრძანებელსა ქუეშე ჩემსა არს, ანვე მოვედ ჩემდა და იყავ მორჩილ ბრძანებისა, ეგრეთ, ვითარცა არს წესი მონათა თვესთა უფალთა ზედა. და მეცა კეთილის-მოქმედ ვიყო შენდა მომართ, და იყოს მშვიდობა ურთიერთას შორის ჩუენსა. ხოლო უკეთუ არა ინებო მორჩილება ჩემი ვყო მრავლი ბოროტი შენ ზედა და თემთა შენთა ზედა უძრეს პირველისა, და ესრეთ სრულიად იავარ ვყო სამეფო შენი”.

მაშინ, ვითარცა ესმა ესე მეფესა გიორგის, განბასრა ამპარტავანება და ქედმალლობა მისი, და შეითუალა მეტყუელმან ესრეთ: „დაღაცათუ სარკინოზ ხარ და ბარბაროს სჯულითა, და არა უწყი წინასწარმეტყუელთა მიერ თქმული, თუ ვითარ იტყვეს: უფალი ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი ესე უწყოდე, რამეთუ მე მეფობისა შენისა არა უმცირეს ვარ, არცა უდარეს. არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყუელისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხე-

ბით განმგების მეფობა ჩუენ ბაგრატოანთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყუელისა? რომლისათვის ბრძანა ღმერთმან, ვითარმედ: „ერთგზის ვეფუცე წმიდასა ჩემსა დავითს, და მე არა ვეცრუო მას, ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა საყდართა შენთაო“. და ესე დავით იგი არს, რომელმან ერთითა შურდულითა მოკლა გოლითათ და შემუსრა ქედმალლობა მისი. ამისთვისცა განგებითა მრავალმოწყალისა ღმრთისათა მეფე დამკვდრებულ ვართ სრულიად საქართველოსა ზედა, და ესრეთ განთავისუფლებულ ვართ, და სხუა მეფე არა უფლებულ არს ჩუენ ზედა. გარნა მეუფე იგი ზეცათა უფალი ჩუენი იესო ქრისტე.

ხოლო მეფობა შენი აქაცა მწრაფელ წარმავალ არს და უმკვდრო, და მუნ საუკუნოდ გეგულების ცეცხლი უშრეტი, რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათვის და შენებრ მსახურთა ყოველთათვისვე. და მზაკუარებითა მაგით და წელოვნებითა ბელზებელთათა დაგიცყრის სრულიად აღმოსავლეთი და გვყავს სიმრავლე ბანაკთა და სპანი ურიცხუნი. და ესე სამგზის მოსრულ ხარ და იავარ გიყოფის სამკვდრებელი ესე სამეფო ჩემი, და წილხდომილი ესე სამყსო წმიდასა დედოფლისა ჩუენისა ღმერთისმშობელისა, და ესე არათუ ძალისა შენისა მოქმედება არს, არამედ ცოდვათა ჩუენთა განმრავლებისათვის სამართლად გუნუართნა ჩუენ ღმერთმან. რამეთუ ესეოდენი ბოროტი გიყოფის და არა განსძელ სისხლთა ჩუენთაგან, და კუალად გნებავს შექმად წორცთა ჩუენთა ძუალთა თანა, და ან, ვინათგან ეგვეითარითა სილალითა მოქადულ ხარ ჩუენდა მომართ მომავალი. მოვედ, თუმცა არა ხარ სეფექალი და დიაც, და თუ შენ არა მოხვალ, მე მოვალ ძალითა ღმრთისათა რჩეუილითა სპითა-ჩემითა.

რამეთუ სამგზის შენცა გიხილავს, და სიმრავლეთა სპათა შენთათა უწყიან მწეცქმნილობა და გამოცდილება ომსა შინა ჭაბუკთა ქართველთასა. დაღაცათუ სიმრავლითა ძალისა შენისათა მრავალი ბოროტი გიყოფის ჩუენდა მომართ, არამედ უვნებელად არცა


 ბეჭი ეფნატაშვილი

ჩუენ მიერ წარსრულ ხარ. და ესრეთი წარგზავნა მოციქული ლანგ-თემურისა.

ხოლო მეფემან გიორგი მსნრაფლ შემოკრიბა სრულიად სამეფო თვესი, სპანი რჩეულნი იმერნი და ამერნი, და მესხნი და კახნი, და ყოველივე საქართველო, და წარმოვიდა.

მაშინ მივიდა მოციქული იგი წინაშე ლანგ-თემურისა, და წარმოუთხრა ყოველივე თქმული მეფისა გიორგისა, და დიდად აქო სიმწენე და სიქველე მეფისა გიორგისა და სპათა მისთა, და სიტყუათა მათ ზედა უფროსლა განძნელდა, ვითარცა მწეცი ბოროტი, და ალიყარა სიმრავლითა ძალისა თვესისათა, და წარმოვიდა იგიცა.

და შეემთხვევნეს რა ურთიერთას, მაშინ ფიცხად მიეტვნეს ქართველნი, ვითარცა. ცეცხლი თივათა. და აპა, შეიქმნა ომი ძლიერი იმიერ და ამიერ. და დიდად სახელოვნად გამოჩნდეს სპანი ქართველთანი, სრვიდეს და იპყრობდეს. და განგრძელდა ომი, და შეაძრნუნეს სპანი ლანგ-თემურისნი, გარნა სიმრავლისაგან ბანაკთა მათთასა ძრვა ვერ ძალ-ედვათ. რამეთუ ესეოდენი სიმწენე აჩუენეს სპათა საქართველოსათა, ვითარმედ, შეჰვედიან კისკასად შუასა შინა რაზმთა მათთასა, და ეგრეთ მახვლ-წვდილნი სრვიდეს, და განვიდიან თავითგან ვიდრე ბოლომდე, და კუალად მათგან უვნებელად უკმოქცეოდიან შორის ბანაკისა მის ისმაიტელთასა. და ესრეთ სახელოვნად გამარჯუებულნი მოვიდიან ღვთივ-გვრგვნოს-ნისა მეფისა გიორგის წინაშე და მოულოცევდიან განმარჯუებასა.

მაშინ ფრიად შენუხნა მძლავრი ლანგ-თემურ, ესრეთ რომე ამის-თანა მარცხი და ზიანი მას არაოდეს შემთხუევია. და ესევითარითა სიმწინითა ლომებრივითა გულითა შებმა უყვეს, და ურიცხუნი სპანი მოისრნეს პირითა მახვლისათა ქართველთა მიერ, არამედ სიმრავლისაგან მათისა არა აკლდებოდათ. ხოლო ლანგ-თემურ გამოცდილ იყო, და უწყოდა ქართველთა ომისა სიფიცხლე და ადრე სიმაშურალე. ამისთვისცა დაღაითმინა, ვიდრემდის დიდად დაშურეს ომისა-გან ქართველნი.

ხოლო ოდეს მიმყოვრდა ომი და მზეცა მიღრეა შთასასვლელად, სცნა ლანგ-თემურ ფრიადი სიმაშურალე, და დაღალვა მკლავთა, და დალენა აბჯართა საომართა სპათა ქართველთასა. მაშინდა განიწირა თავი თვისი მოსიკუდიდ და ალუზახა ჭმითა დიდითა სპათა თვესთა. და განმწნდა იგინიცა, და ესრეთ მიეტევნეს სპათა ქართველთასა და, რაც ოდენ ძალ-ედვაო, კუალად შებმი უყვეს, არამედ ვერდარა ძალ-ედვაო წინადადგრომად ფრიადისა სიმაშურალისა და მოჭირვებისაგან. და მაშინდა სძლეს ბანაკმან ისმაიტელთამან, ლანგ-თემურ და აგარიანთა, და მიღრეუს ქართველნი, და ივლტოდეს მთათა მიმართ და სიმაგრეთა.

მაშინ ლანგ-თემურ წარმოვიდა პირველად და მოადგა ციხესა ტფილისისასა. მაშინ დიდად განმაგრებულ იყო ციხე იგი ტფილისისა, რამეთუ მდგომარე იყვნეს შინაგან ციხისა სპანი ქართველთანი; და ბრძოლა უყო ძლიერად, და აგრეთვე ძლიერად ებრძოდეს მეციხოვნენი. და მოიცა ლანგ-თემურ სრულიად გარემონი ტფილისისანი, და მაშინდა მძლავრებით ინებს შემუსრვა ციხისა. და ეგრეთცა შემუსრნეს ზღუდენი, და ხანთა რაოდენთამე შინა აღილეს ციხე იგი ტფილისისა და ეგრეთვე ყოველნივე სიმაგრენი ქართლისანი აღილეს და დაიპურა ქართლი, და შეაყენა ციხესა შინა ტფილისისანა სპანი ხორასნელნი, და თკთ აღიყარა და წარმოვიდა და დადგა მუხრანს. და შემუსრნეს კუალად წმიდანი ეკლესიანი და მონასტრები, და შენობანი ყოველნი აღაოწერეს და დაწვეს ვეცხლითა. და მაშინდა მოუკიდეს ზოგი რომელიმე ქართველთაგანიცა, რომელთა არა აქუნდათ ძალი სიმაგრესა.

ხოლო იყო ვინმე მთავარი და დიდად წარჩინებული ქართლსა შინა სახელით ჯანიბეგ. ამა ჯანიბეგისა მამულსა ჩაუდგა ლანგ-თემურ და აღაოწერა, დაწვა და დააქცია. მაშინ მოუკიდა იგიცა და შეურიგდა, და იყო ხანსა რაოდენსამე შინა მუნ. და მოვლეს სრულიად ქართლი და მოაოწერეს და დაწვეს, და დიდად ღონე ჰყოფდა და წადიერ იყო შეპყრობად მეფისა გიორგისა, და ვერ შეუძლო.


 ბეჭი ეჭნაცაშეიღლია

ხოლო რაჭამს მოუვიდა ჯანიბეგ, აღიყარა და წარვიდა, და მივიდა სადაცა ჰქონდა ბარგი და სამძიმარი თვესი. ხოლო არცალა მაშინ დასცხრა ბოროტისა მისგან შურისა და გულისწყრომისაგან მეფისა გიორგისთვეს, რამეთუ ჰეგონებდა კუალად შთამოსვასა ქართლად და დაპყრობასა. ამისთვესცა გამოაყენა ამირსპასალარად ხოჯა შიხალი და ამირჯანშა, ესენი წარმოავლინა საქართველოსა ზედა, და წარმოატანნა თანა სპანი რიცხუნი, და უბრძანა თვთოეულსა თვთოსა არესა მტკიცედ დგომა და სრულიად მოოწერბა, დაწვა და დაქცევა ყოველთავე, რათა არღარა დაემკვდრნენ მკვდრნი საქართველოსანი მუნ.

და წარმოვიდეს იგინი და მოვიდეს ქართლსა შინა, კუალად იწყეს უკეთურებად და ბოროტის-ყოფად, წვად და ქცევად ტყუენვად და სრვად, და უფროსლა წმიდათა ეკლესიათა ზედა ყვეს მრავალი ბოროტი. მაშინ დიდად წადიერ იყვნეს წელგდებად და შეპყრობად მეფისა გიორგისა, არამედ ვერ შეუძლს და ესრეთ ყოველს დიდითა ოწრებითა ქართლი. მაშინ შეიძყრეს რომელიმე მეფისა გიორგისანი, და ეკითხვიდეს სადა ყოფასა მისსა, და მათ არა-რა, უწყოდეს, და ვერცალა შემძლებელ იქმნეს მათგან ცნობისა საქმისა.

ხოლო მაშინლა წარმოვიდენ, და მოვიდენ წინაშე ლანგ-თემურისა, და აუწყეს ვერ-შეპყრობა მეფისა გიორგისა. და მაშინ დაჭმუნდა და დიდად მწუხარე იქმნა. და შემდგომად მცირედისა აღიყარა და მივიდა ყარაბალს, და დაიბანაკა მუნ.

ხოლო იყო ვინმე მუნ კერძოთა არეთასა სახელით სახელით თირ-სულთან, ქუეყანისა ჯალალისა, და ასე იყო სჯულითა მაჰმადიანი. მაშინ ოდეს მოვიდა ლანგ-თემურ ყარაბალს, ესე თირ-სულთან ფრიად წინააღმდეგა ლანგ-თემურს, და მრავალი ბოროტი შეამთხვივა თვთ ლანგ-თემურს და სპათა მისთა, და იყო განდგომილ მათგან, და არა ჰმორჩილებდა ლანგ-თემურს და, რაოდენ ძალ-ედვა, ჰპბრძოდა მათ. ხოლო ვერღარა შეუძლო წინააღმდგომად მისსა, და ესრეთ ლტოლვილი წარმოვიდა და მოვიდა მეფისა გიორგისა თანა.

ხოლო მეფემან დიდად პატივ-სცა და კეთილად ისტუმრა იგი, და იყო თანაგანმზრას მისასა, და ისმენდა მისასა. და იყო მის თანა ჟამ რაოდენმე. და ამას შინა კუალად უფროსად განმძლავრდა ლანგ-თემურ. სცნა ესე მეფემან გიორგი, და დიდად მოურნეობდა საქმის წარმართებასა საქართველოსასა, და მაშინდა უმჯობესისა წარმართებისათვეს ინება მორჩილებად ლანგ-თემურისა, და ჰკითხვიდა დიდებულთა თანაგანმზრახთა თვესთა. და განიგულეს წარგზავნად კაცისა მშვდობის ყოფისათვეს. მაშინ სცანა რა ესე სულთან-თირ, რაც ოდენ ძალ-ედვა, დიდად წარდიერ იყო არა ქმნად და დაშლად საქმისა მის, რამეთუ არა ენება მორჩილებად ლანგ-თემურისა, არამედ არა უსმინა მეფემან და წარავლინა კაცი, და იქმო პირველ მოსარული იგი მოციქული, რომელი წარმოევლინა ლანგ-თემურს მეფისა გიორგის თანა. ხოლო ესე იყო შემეცნებულ და ცნობილ მეფისა მიერ, ესე იყო სრულითა მაჰმადიანი, სახელით ისმაილ, და თანაგანმზრახი ლანგ-თემურისა; ამას მოუწიდა და წარავლინა შერიგებისათვეს და მშვდობის ყოფისა წინაშე ლანგ-თემურისა, და შეუთუალნა სიტყუანი მორჩილებისანი.

ხოლო ვითარცა ესმა ლანგ-თემურს, განიხარა სიხარულითა დიდითა, და მართლ-უკუნ აქცია იგივე მოციქული, და ესრეთ მიუმცნო მეფესა გიორგის, ვითარმედ: “ფრიად კეთილი საქმე აღ-გირჩევის თავისა შენისათვეს და სამეფოსა შენთათვესცა, და კმა არს დაცადება ესოდენისა სიბოროგისა. ამიერითგან ვყო მშვდობა და, უკეთუ მოხვალ ჩემდა, არცალა მე მოვიწსენებ გარდასრულთა მათ ჭირთა, რომელნი გიქმნიან ჩუენ ზედა, არამედ ნაცვლად სიმ-დაბლისა და მორჩილებისა შენისა მეცა მრავალი კეთილი ვყო შენ ზედა, და მიიღო ჩემ მიერ მრავალი საბოძვარი და ძმებრივი პატივი”.

და ვითარცა წარავლინა კაცი იგი. მაშინ განიზრახა თვასაგან და თქუა, ვითარმედ: „ესე უნყი, რომელ საქმე ესე ჭელოვნებითრე განუზრახავს, და ჰნებავს ცნობა ჩემი, ვითარცა ჰყო პირველ მამა-მან მისმან მეფემან ბაგრატ, და მოსრნა პირითა მახკლისათა რჩეუ-

ბეჭი გჯნაცაშვილი

ლნი სპანი თორმეტი ათასი; ესე ვერ ეგების და არცა სარწმუნო მიჩნს საქმე ესე, არამედ ზაკვთ ჰერბავს ცოუნება ჩემი“.

მაშინ აემზადა, და ნარმოვიდა სპითა ურიცხვთა საათაბაგოსა ზედა, ამისთვის რომელ პირველსა ომსა შინა ახლდა სპითა რჩეულითა ათაბაგი ივანე მეფესა გიორგის და იყო მორჩილ მისა. ამა პირველსავე შურსა იგონებდა შძლავრი იგი, და ნარმოებართა ძე-რის-ყოფად ივანე ათაბაგსა ზედა, და მიინია და ჩაუდგა შიგან ზემო ქართლსა, რომელ არს საათაბაგო, და ვერლარა წინააღმდეგა ათაბაგი და ივლტოდა სიმაგრეთა შინა.

მაშინ მრავალი ბოროტი მოაწია, და მოსრა პირითა მახვლისათა სულნი მრავალნი, მრავალი ტყუე ჰყო, და დააქცინა წმიდანი ეკლესიანი, და დაწვნა ცეცხლითა ყოველნივე შენობანი, თემი და დაბანი. და სრულიად ივარ ჰყვეს ზემო ქართლი. და ნარმოტყუენა და ნარილო მრავალნი საქმარნი წმიდათა ეკლესიათანი, ხატი და ნანილნი ყოველნივე შერიეს და უქმარ ჰყვეს. და რაოდენიცა შეიკურნეს კაცნი ქრისტიანენი, რომელიმე მოკლეს და, რომელთაცა დაუტევეს სჯული თუსი, იგინი თანანარმოიყვანნეს.

მაშინ ნარმოვიდა მუნითგან, გარდმოვლო მთა კლარჯეთისა და მოინია მანგლისს. და დაიბანაკა მუნ თუესა ორსა, ხოლო მოვიდეს კაცნი, რომელნიცა მსხემ იყვნეს. საზღვართა საქართველოსათა ის-მაიტელნი, სჯულითა მაჲმადიანნი. ესენი მოვიდეს ლანგ-თემურისა თანა ძენად მეფისა გიორგისა და სპათა საქართველოსათა შეტყუელთა ესრეთ, ვითარმედ: „ამიერითგან ვერლარა ძალ-გვძს მკვდრ-ყოფად საზღვართა საქართველოსათა, არამედ განგუასახლეთ სხუათა ქუეყანისა კერძოთა და მუნითგან ვიქმნებით მოხარკე თქუენდა. რაოდენიცა ბოროტი თქუენ მიერ ქმნილ არს მათ ზედა, იგინი. უმრავლესისა ბოროტისა მყოფელ არიან ჩუენდა მომართ. და ანცა, რაჭამს ნარხვალთ ამიერ, უეჭუელად იგინი ჩუენდა მომართ მწვდომ არიან და ილრჭენენ ჩუენ ზედა კბილთა თუსთა“.

ხოლო ვითარცა ესმა ესე, შეეწყალნა იგინი ლანგ-თემურს დი-

დად. მაშინ უბრძანა ამირსპასალარსა თვესსა ამირშიხს ნურადინს და წარატანა თანა სპანი მრავალნი, და უბრძანა სრულიად მოოწოდება კერძოთა მათ საქართველოსათა, რომელნიცა იყვნეს მოსაზღვრენი ისმაიტელთანი, და წარავლინა ესენი მათ ზედა ბოროტის ყოფა. და ვითარცა მივიდა მუნ, ბრძოლა უყვეს ურთიერთას, და დიდად კარგად შემოებნეს ქართველნი, და მრავალი მოკლეს და ამოსწყვდეს. კუალად წარავლინა სხუა ამირსპასალარი თვესი ლანგ-თემურ, და გაატანა მრავალნი სპანი. და მივიდეს იგინიცა, და შეიბნეს და სძლეს სპათა ლანგ-თემურისთა სიმრავლითა, რამეთუ ძლიერად წინაგანეწყუნეს ქართველნი, და იბრძოლეს დღესა ხუთსა, და ვერდარა დაუდგეს, და აართუეს სიმაგრენი და ციხენი, რამეთუ არა იყვნეს მუნ სხუანი ქართველნი, არცა მეფე გიორგი, არამედ იგინი ბრძოდეს, რომელნი იყვნეს მოსაზღვრენი თათართანი, და იგინი უჭდებოდეს მათ. ხოლო რაჟამს წარვიდეს იგინი სიმაგრეთა შინა, ვერაცალა პპოვეს ხიზანი, და დაწვეს შენობანი ყოველნივე და მოვიდეს წინაშე ლანგ-თემურისა. და ამას შინა მოვიდა ლანგ-თემურისათანა ელჩი ფრანგისა, და მოართუეს ძრუენი საქელმნიფო. და კუალად ამათვე ხანთა შინა სპათა მისთა ძლევა მოეღო ბერძენთა ზედა. და მაშინ შეეპყრათ ძე პირმშო კეიისრისა, და მოართუეს ძე იგი კეიისრის ლანგ-თემურს, და განიხარა დიდად, და უბრძა საბოძვარი მრავალი სპათა მისთა. და რაჟამს იხილა ძე იგი კეიისრისა, იგიცა დიდად შეიყუარა და ითვესა, და შეინყალა სიჭაბუკე და შუენიერება მისი, და მასცა მიანიჭა საბოძვარი მრავალი და სამოსელი საქელმნიფო. და ეგრეთვე წარგზავნა იგი სამყოფას თვესსა და მშვდლობით განუტევა.

ხოლო შემდგომად ორისა თვესა აღიყარა იგიცა მანგლისით, წარვიდა და მივიდა იგი ჭევსა არაგვსასა, და დაიპყრა იგი, და დაამტურია და აღიღო ციხენი და სიმაგრენი, და ყოველნივე ადგილი იავარ-ჰერო, და მოაოწირა, და ხიზანი ვერა იძყრა, რამეთუ ყოველნივე შელტოლვილ იყვნეს სიმაგრეთა შინა მთათასა. და ამისა შემდგომად წარმოვიდა მუნითვან. და ხანსა რაოდენსამე უკან განილაშ-



ბერი ეფნატეშვილი

ქრა და დაიპურა ქუეყანა სიასი, და სხუანიცა მრავალნი ქუეყანანი თვესად მიიმძლავრნა, და ყოველნივე მოხარუე ყვნა.

ამისა შემდგომად კუალად იპყრა მეფემან გიორგი საქართველო. და ვითარცა ესმა ლანგ-თემურს, არავე დასცხრა შურისა და ბოროტისა გულისწყრომისაგან. კუალად აღამზადა სპანი ურიცხუნი და ნარმოგზავნნა ძენი თვესი სულთან უსეინ, ფირ-მაჰმად ამირშის, აბუბექირ და სხუანი თავადთა მისთაგანნი, ჯანმა და თემურ-ხოჯა, ალბულა, სეიდ-ხოჯა, შიხალის შეილი, და სხუანი მრავალნი თავადთაგანნი, და სპანი ურიცხუნი. წარმოვიდენ და მოვიდენ ერინჯანგს, და შემრადგნენ ციხესა მას ერინჯანგისასა, რამეთუ მას უამსა ეპყრა იგი მეფესა ქართლისასა, და ბრძოლა უყვეს ძლიერად მეციხოვანთა მათ და პირველად ვერა აართუეს ციხე, და იყვნენ მუნ ხანსა რაოდენსამე, და შემდგომად ხანსა რაოდენსამე აღიღეს, ამით რომე არავინ ჰყვა თანამნე, და დიდად შეწუხდენ, და თვთვე დაანებეს, გამოვიდეს მეციხოვანნი და ციხისთავი, და მოაჯე ექმნეს. და მაშინ წარმოიყვანეს ციხისთავი და უფროსნი მეციხოვანნი და მიგუარეს. ლანგ-თემურს. ხოლო ძენი ლანგ-თემურისნი წარმოემართნეს საქართველოსა ზედა, მივიდეს მანგლისს და დაიბანაკეს მუნ.

ხოლო სცნა საქმე ესე მეფემან გიორგი, წარგზავნა მოციქული და შეუთუალა სიტყუა საავო სიმშვიდისა, ითხოვა მათგან მშვდობა, და აღუთქუა მორჩილება და ურთიერთას დაგება. მაშინ უსმინეს ძეთა ლანგ-თემურისათა, და მათ მიუშცნეს და აუწყეს ლანგ-თემურს.

ხოლო ვითარცა ესმა ლანგ-თემურს მორჩილება მეფისა. გიორგისა, მანცა ინება მშვდობისა ყოფა ურთიერთას, და მიუმცნო ძეთა თვსთა და იქმო იგინი თვს თანა, და წარვიდენ. მაშინ წარგზავნა ლანგ-თემურ ძენი თვესნი ძალითა მრავლითა. ბალდადსა ზედა და მივიდეს და აღიღეს ბალდადი, და დაიპყრეს არაბისტანი, და მრავალნი თემნი ჰყვნა საბრძანებელსა ქუეშე თვესა. და წარმოიღეს მრავალი წატყუენავი.

მაშინ იდგა ლანგ-თემურ თავრიზს და წარმოვიდა, რათამცა

ახალი ქატოლის ცხოვნება

იხილოს ციხე იგი, რომელი პირველ აღიდეს ძეთა მისთა, ციხე იგი რომელსა ეწოდა ალინჯა. წარმოვიდა სპითა ურიცხვთა, და სიმრავლითა ბარგისათა, და კარვებითა მრავალფერითა. და მივიდა და ნახა ციხე იგი ალინჯა. და კუალად განამაგრა იგი, და წარვიდა და დადგა ტბასა მას გელაქუნსა.

სცნა რა ეს მეფემან გიორგი, მაშინ წარმოუგზავნა ძმა თვისი და ძლუენი მრავალი, და მიუმცნ ესრეთ, ვითარმედ: „პირველცა მოგვენებია და ანცა მასვე პირობასა მოგაწენებთ, ვითარცა გნებავსთ, ეგრეთ ვართ მორჩილნი ბრძანებისა თქუენისა, და სადაცა გნებავსთ, გილაშქრებთ, და ამიერითგან ვყოთ მშვდობა და ურთიერთას. ერთობა, და ამიერითგან კმა არს დაცხრომა გულისწყრომისა და არღარა მოწისენებად გარდასრულთა მათ საქმეთა“. ხოლო ლანგ-თემურცა მორჩილ ექმნა, უსმინა და ესრეთ მიუმცნო: „ვინათგან სარწმუნო ქმნილ ხარ მორჩილებასა ჩუენსა, არცალა მე მოვიწენებ შურსა პირველისა მის საქმისასა. და ამიერითგან წულარამცა კადრებულ არს. თქუენ მიერ, და სპათა შენთა წყინობად, და წდომად, და რბევად მათდა, რომელნიცა არიან საზღვართა საქართველოსათა სჯულითა მაჰადინნი, და ვიყვნეთ მშვდობისმყოფელ ურთიერთას“.

მაშინ აღიყარა და წარვიდა ბარდავს და იყო მუნ წელინადსა ერთსა მაშინ გაანაგო ყველივე საქმე თვისი ლანგ-თემურ. და კუალად ინება წარსლვა ქართლსა ზედა და წარმოვიდა და მოვიდა მუნვე მანგლისს.

მაშინ იყო ადგილსა მას კერძოთა სომხითისათა თავადი ერთი, რომელსა ეწოდა სახელად ადგილსა მას მარტინი, ხოლო თავადსა მას ესაია. ამას მიეცა პირობა ლანგ-თემურისთვის მისლვად მის თანა, და ვერდარა მისრულიყო, და იგონებდა ბოროტსა მისთვეს. ხოლო ესმა რა თავადსა მას ესაიას, შენუხდა ფრიად. მაშინ წარვიდა შიშითა შეპყრობილი, და მივიდა ძისა თანა ლანგ-თემურისსა, და ევედრებოდა. რათამცა თანაშემწე ექმნას მამისა მისისა თანა, და აღუთქუა ნიჭად ლარნი დიდფასისანი. მაშინ შეეწყალა ძესა


 ბეჭი გვნაცაშვილი

მას ლანგ-თემურისასა შარუხს, და მივიდა რა მამასა თვესა თანა, დიდად შემწე ექმნა, და მიმადლა იგი მას. მაშინ უძლუნა შლუენი მრავალი და ლარნი საქელმნიფონი ლანგ-თემურს, და მიიყვანა იგი შარუხ, ძემან ლანგ-თემურისმან, დაგებად მამისა თვესისა.

იხილა რა იგი ლანგ-თემურ, მიუგო მრისხანებით: „ვითარ იკადრე ნინაალდგომად და ურჩებად ჩემდა?“ მაშინ ფრიად მოაჯე იგი ნარდგა ნინაშე მისა, და სათნოებისათვეს ძისა მისისა მიუტევა და შეიწყალა, და უბოძა ხალათი. ხოლო ჰყვა თავადსა მას ესაიას ასული შუენიერი, და რა სცნა ძემან ლანგ-თემურისმან აბუბექირ, ეტრიუიალა იგი და სთხოვა ცოლად. და მისცა და იყვნენ მიერითგან წყალობის მიმნიჭებელ.

კუალად წარვიდა ალბულას ძე ათაბაგი ივანე, და მივიდა იგიცა ძლუნითა მრავლითა ლანგ-თემურისა თანა, და შეიწყალა იგიცა, და სცა პატივი, და უბოძა საბოძვარი მრავალი. და მიუვიდნენ ყოველ-ნივე თავადნი სომხითისა, სამცხისა და კარისა.

მაშინ სცნა ესე მეფემან გიორგი, წარავლინა ძე თვესი კოსტანტინე ძლუნითა მრავლითა. და იყო ფრიად მოაჯე მის ნინაშე, და ისმინა მისი, შეიწყალა იგიცა. და ალიყარა მუნითგან, და წარვიდა ქუეყანასა მას ქურთისტანისასა. და დაისყრა ქურთისტანი. და კუალად აქსენებდა ძრისა და ბოროტსა საქართველოსათვეს, და წარდიერ იყო გათათრებისათვეს მეფისა და სრულიად ქართლისა.

მაშინ წარმოგზავნა პატრონი შირვანისა, სახელით შის ბარაიმ საქართველოსა შინა, რათა მივიდეს და შეიტყოს ყოველივე ბეგარა და გამოსალები ქართლისა. და შემდგომად მცირედისა თვეთცა წარმოემართა და მოვიდა კარსა.

და ცნა რა ესე მეფემან გიორგი, წარმოავლინა ესაია, თავადი იგი სომხითისა. ესე წარავლინა ნინაშე ლანგ-თემურისა, რათამცა არა შემოვიდეს იგი ქართლსა შინა; და რამეთუ იყო უამი მკისა და მოსავლის აღებისა, შეუთუალნა სიტყუანი სააჯონი ესრეთ: „ვინათგან გკუოფიეს მშვდობა და ერთობა, მიერითგან არა რად ურჩება გკქ-

ნიან, და არცა ჯერ არს თვეთმპყრობელთა შარავანდედთაგან განტეხა პირობისა. ან შეიწყალე ქუეყანა ესე, და ნულარა განრყუნი. რომელსაცა გვპრძანებთ, მზა ვართ აღსრულებად სამსახურისა და მორჩილებისა თქუენ[სა] წარავლინა და წარატანა თანა ძლუენი მრავალი და ფეშქაში საკელმწიფო.

და რა მივიდა ესაია, თავადი იგი მეფისა გიორგისა, და მიართუა ძლუენი და ფეშქაში, მოაქენნა სიტყუანი მდაბალი და სააჯონი. ხოლო ლანგ-თემურ არა უსმინა და არცა მიირთუა ძლუენი და ფეშქაში, რამეთუ ფრიად განრისხებულ იყო და კუალად სხეუროდა მოოქრება საქართველოსა. მაშინ შეუთუალა მეფესა გიორგის: „უკეთუ გნებავს მშვდობის ყოფა და არა იავარ-ყოფა საქართველოსი და სიცოცხლე თავისა შენისა, ანვე მოვედ ჩუენდა და იპყარ სჯული ჩუენი, და იყო ჩუენ მიერ დიდად პატივცემულ და საყუარელ, და არცა წავაკედნ სამეფოსა შენსა, და არცალა აღვიდებ ხარკსა და მიიღო ჩემ მიერ სხეუაცა მრავალი ნიჭი, და საბოძვარი, და იყოს უკუნისამდე მშვდობა შორის ჩემსა და შორის შენსა. და უკეთუ არა მორჩილ მექმნა, მოვაოწრო და ვყო სრულიად უკვედრო ქუეყანა ეგე შენი.

“ხოლო უკეთუ რჯულისა ჩემისა რწმუნება არა გნებავს, მოვედ ჩემდა და დაიდევ ხარკი, რაც ოდენ ძალ-გედვას, და შემეცნებულ ვიქემნეთ მშვდობით და კეთილად და, ვითარცა გნებავს, ეგრეთ წარვედ სამეფოდვე შენდა ჩუენ მიერ მინიჭებითა სიმრავლითა ნიჭთა საბოძვართათა, და ვითარცა განუტევე ძე იგი კეისრისა, ეგრეთვე შენ წარვედ მშვდობით“. და ესრეთ წარავლინა მოციქული.

და ვითარცა წარვიდა იგი, მაშინცა არავე დაცხრა ზაკვსა და შურისა მისგან ბოროტისა, არამედ იტყოდა: „უკეთუ აღიღონ და შეიკრიბონ მოსავალი და საზრდო თვესი მკვდრთა საქართველოსათა. მიერითგან ვერდარა შემძლებელ ვარ ვნებად მათდა, რამეთუ წარვლენ სიმაგრეთა შინა“ და აღიყარა და წარვიდა, და დადგა მახლობელად საზღვართა.

მაშინ ყოველთავე ისწრაფეს, და აღიღეს მოსავალი თვესი, და ივ-


 ბეჭი ეგნატაშვილი

ლტოდეს სიმაგრეთა შინა მთათა მაგართა. და მივიდა. მძლავრიცა ლანგ-თემურ სპითა მრავლითა და ურიცხვთა, და შევლო ქუემო-ქართლი დიდითა ოწებითა, წვითა და ქცევითა. და ნარვიდა მეფე გიორგი სიმაგრეთა შინა; და მივიდა ლანგ-თემურ შიდა ქართლს, და ჩადგა და მოაწერა ყოველნივე შენობანი, და შემუსრნეს ნმი-დანი ეკლესიანი. არამედ ვერ ენიფა ბოროტსა მას გულისთქმასა თვესა, რამეთუ ენება შეპყრობა მეფისა გიორგისა და დატყუევება ტყუეთა, და ვერცა ერთსა შემძლებელ იქმნა პოვნად.

და იყო ხანსა რაოდენსამე მუნ. და აღიყარნენ და ნარვიდენ და მიადგნენ ციხესა ბირთვესისასა. და იყო იგი დიდად განმაგრებულ, და იყვნენ შიგან ციხესა მას შინა ბირთვესისასა თავადნი ნარჩინებულნი. საქართველოსათა რიცხვით ოცდაათნი. და იყო ციხისთა-ვად სახელით ნაზალ და სხუანი მრავალნი აზნაურნი და მსასურნი საქართ-ველოსანი.

ხოლო სპანი ლანგ-თემურისნი შიშით მძრნოლარენი ფრიად მჭ-მუნვარე იყვნეს და უარ-ჰყოფდეს ციხისა მის აღებასა, რამეთუ მრავალგზის ვნებულ იყვნეს მათ მიერ და უწყოდენ ციხისა მის სიმტკიცე, და საზრდელთა სიმრავლე, და უფროსლა ციხისათა მათ, მშეცემნილობა და ომსა შინა სიფიცხლე, რამეთუ მრავალნი სპანი მოესრათ და მათ მიერ მრავალნი ჭირნი შემთხუეოდათ ციხისა მის-გან. ცნა რა ლანგ-თემურ ესევითარი სიმტკიცე, შეძრნუნდა ფრიად და პკითხვიდა თანაგანმზრახთა თვესთა.

ხოლო დაასკუნეს მიდგომა მეტყუელთა ესრეთ: „არა სადა დაშ-თომილ არს სიმაგრენი და ციხენი, რომელი არა აგუელოს, და იგიცა ადვილ არს თქუენ მიერ. მაშინ მიადგეს ციხესა მას სიმრავლენი სპათანი, და გამოვიდეს ციხოსასნიცა იგი ჭაბუკნი რჩეულნი, მი-ეტევნეს და განეცვნეს შიგან, ვითარცა მახვლი ლესული, ორპირად მცუეთელი მძოვრისა რასამე, და მრავალნი სულნი მოსრნეს პირ-ითა მახვლისათა, და დასჩქაფნეს ხარბად სისხლნი, ვითარცა ღუ-არნი პერად აღძრულნი ფიცხელთა წვემათა მიერ.

ცნეს რა ესევითარი მწეცქმნილობა სპათა ლანგ-თემურისთა, და მყის იქმიეს. სივლტოლა, და უკუნ იქცეს მუნით. რამეთუ ჰყვა ერთკერძო ბანაკი ფარულად ადგილსა ერთსა, და დევნა უყვეს უკანა მათსა ქართველთა, და შთანარცხეს იგინიცა ურთიერთას, და ივლტოდეს ორკერძოვე განწყობილნი სპანი ისმაიტელთანი, და ამოსწყვდეს და ყვეს მრავალი ზიანი, და ესრეთ შემოიქცეს გამარჯუებულნი, და აღვსილნი საშოვრითა მრავლითა შევიდეს ციხესა შინა.

ხოლო ცნა რა ესე ლანგ-თემურ, წარმოვიდა თვთცა ძალითა მრავლითა, განძვრებული გულითა მრისხანითა, მივიდა და მოიცვა სრულიად გარემონი ციხისანი. და აღუშენა გარემოს ციხეები საფრად, და შეაყენნა სპანი მრავალნი. და თვთ მიადგა წინა-კერძო. ბჭესა მის ციხისასა. და მუნცა აღაშენა ციხე, და განავლინა ბრძანება, რათა მტკიცედ ბრძოლა უყონ. და მოიცვნეს კუთხი იორკერძოვე ციხისანი, და მტკიცედ ეგნეს შიგან მეციხოანნი უზრუნველად, და იბრძოდეს მსგავსად შეძლებისა მათისა, და გამოჩდა მსგეფი ერთი, და ვერ შეუძლეს აღებად.

ხოლო იყო კლდე ერთი, და მუნითგან პპოვეს მცირე რამე აღსავალი, და იყო ვინმე სპათა შორის ლანგ-თემურისთა კაცი, სახელით ბეგიჯანლ. ესე იყო მეგვპტელი. ამან მოიწელოვნა და შეიპარა ლამე შიგან ციხისა მის, და აღიყვანა თანა თხა ერთი და დაკლა შინაგან ციხისა, და დაუტევა იგი და თვთ წარმოვიდა. ამისთვის ჰყო საქმე იგი, რათა საცნაურ იქმნას ციხისა მყოფთა მიერ კადნიერება მათი. სცნეს რა ესე შინაგან მყოფთა ციხისათა, კუალად უფროსად განმტკიცდეს, და იყვნენ უშიშრად.

ხოლო აუწყეს ლანგ-თემურს აღსავალი იგი კლდისა მის. მაშინ განიხარა ფრიად და უბრძანა ყოველთავე შეწუნა კიბეთა ბანბისათა, და კუალად წარგზავნეს კაცი იგი მეგვპტელთა აღსაძრომელსა მას კლდისასა, და მოაბა წუერი იგი დაწნულისა კიბისა თავსა კლდისა მის მტკიცედ, და მასვე ლამესა შეუვიდეს თვთოეულად სპანი

ბეჭი ეჭნაცაშვილი

ლაგნ-თემურისანი მრავალნი, რომელი ვერა აგრძნეს მეციხოვნეთა. კუალად მიიწივნეს შინათგამო ციხისა კარსა და უგრძნობელად აღაზუნეს კარნი ციხისა მის, და ესრეთ მიეტევნეს შინაგანნიცა და გარე-მყოფი თათარნი. და მაშინდა სცნეს ქართველთა და შეიძნეს ფიცხლად. და დაერივნეს ქართველნი გულითა სისხლთა მღურელითა, და განაპეს მრავალეცი იგი რაზმი მათი. და მგავსად ქუხილთა იხილვებოდა მსმენელთაგან ცემანი და კუეთებანი აბჯართანი. და ძლიერად ბრძოლა უყვეს ქართველთა, და უმრავლესნი მოსრნეს და დააკუეთნეს. და ბოლოს ეგრეთვე დარჩა გამარჯუება და ძლევა ლანგ-თემურს სიმრავლისაგან სპათასა.

მაშინ აღიღო ციხე იგი ბირთვისა, და მოართუეს შეპყრობილი მრავალნი დიდებული და აზნაურნი წელშემუშაობილნი, და თვთ ციხისთავი იგი, სახელით ნაზალ, პყრობილად მიჰვარეს, და ყოველთავე ნარჯუეთეს თავნი მათნი, და მისცა ცოლი ციხისთავისა ნაზალისა სულთანსა შარვანისასა. და სხუათაცა სხუა მიანიჭა წყალობა მრავალი სპათა მისთა, და უფროსღა მას, რომელმან იქ-ელოვნა აღება ციხისა მის.

და რომელნიცა იყვნეს ციხესა მას შინა, მრავალნი ამოსწყვდნა და უმრავლესნი ტყუედ ნარიყვანნა. მაშინ განაწესა ციხისთავად ერთი ნარჩინებულთა თვისთაგანი, რომელსა ეწოდა მაჰმად. და მისცა მას სპანი მრავალნი, და შეაყენნა იგინი ციხესა მას შინა ბირთვისასა. და უბრძანა მათ დაწვა და მოწყრება მუნ მკვდრთა, და უფროსღა წმიდათა ეკლესიათა დარღუევა, და თვთ ნარვიდა შამს, ხოლო ტყუე და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარყანს, ქორონიკონსა უ“.

და მიერითგან ვერდარა შემძლებელ იქმნა კუალად მოსლვად საქართველოსა შინა, რომელი წუმცალა ქმნილ არს მოქცევა მისი ძალითა ღმრთისათა, ვითარ კეთილის-მოქმედ და მოწყალე და წელის-ამპყრობელ იყო წმიდათა ეკლესიათა და ქურივთა და ობოლთათვს მკვდრთა საქართველოსათა. რამეთუ შედგზის იავარ

ჰყო საქართველო ბოროტმან და ღმრთისა მიერ რისხვეულმან, და ამიერითგან დააცადა.

ხოლო წარვიდა რა ლანგ-თემურ, მაშინ მეფემან გიორგი კუალად იპყრა საქართველო მოოქრებული და იწყეს შენობად. და მას უამსა წარვიდა მძლავრი ლანგ-თემურ და დაიპყრა თურქისტანი, ინდოეთი, სპარსეთი, შირაზი, ადარბადაგანი, და შეიპყრა ბურსას მჯდომი ხვანთქარი, რომელსა სახელად ეროდებოდა ბაიაზით. ეს იყო თესლი ოსმანისა. და შემდგომად ექუსასისა წლისა მაპმადის გამოჩინებისა, ამას უამსა შინა გამოჩნდა კაცი ერთი სახელით ოსმალ და ესე იყო სჯულითა სუნი. ამან იწყო მეკობრობად, და შემოიკრიბნა მრავალნი სხუანი მეკობრენი და თანაშემწენი, და განმდიდრებულ იქმნა ფრიად სიმრათლით – წატაცებთათა, და დაიპყრა სრულიად არაბისტანი და ანატოლი, და ტახტად ეპყრა ბურსა, და მის ზედა განილაშერა ლანგ-თემურ.

რამეთუ ამა ოსმანის ქეთა ეპყრა ბურსა, და ესე ბაიაზითცა თესლი იყო ოსმანისა. ხოლო ლანგ-თემურ ბრძოლა უყო და სძლო: რამეთუ შეიპყრა ბაიაზით ხვანთქარი და ჩასუა რკინის ყაფაზაში, და ეგრეთვე პატიმრად თანა-ჰყვა, და დაიპყრა ბურსა და სანახები მისი. ხოლო კეისარმანცა ჰყო მორჩილება მისი, მიართო ძლუენი მრავალი და მისცა ხარაჯა ლანგ-თემურს.

კუალად რუსეთიცა დაიპყრა. და ამისა შემდგომად წარმოვიდა და მოვიდა თურქისტანს და მუნ სალმობიერ იქმნა, და ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა. რამეთუ მაშინ განუყო ქეთა თვესთა ქუეყანანი: რომელსამე მისცა ინდოეთი, რომელსამე ხვარასანი და რომელსამე ადარბადაგანი. და მიერითგან ვერდარა შესმინეს ქეთა მისთა მისლვად საქართველოსა შინა, რამეთუ იქმნა მათ შორის შური და წლომა. და მას უამსა განისუენა საქართველომან, და იწყეს შენობად.

და მეფობდა მეფე გიორგი და მიიცვალა.

და მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი იმერეთისა. ამასვე წელსა გარდაპჭედა დიდი მეფე ბაგრატ იმერეთისა, და დაჯდა მეფედ ქე

ბეჭი ეჭნაცმივილი

ბაგრატისა კოსტანტინე, და იმეფა შვედ წელ, და მოკლეს ჩალალ-ას. ხოლო ოდეს ლანგ-თემურ მოვიდა, მაშინ შეინახეს დიდოეთს ძე ბაგრატისა და ძმა გიორგისა დავით და, ოდეს აღესრულა მეფე გიორგი, მაშინ მოიყვანეს ქართველთა და კახთა დიდოეთიდამ და გააპატონეს ქართლსა და კახეთს.

და მას უამსა მწყსიდა კეთილად საქართველოს კათალიკოზი ბასილი. და იმეფა დავით კეთილად და მშვდობით. და, შემდგომად, უამსა რაოდენსამე შინა მიიცვალა და დაჯდა მის წილ მეფედ ძე მისი გიორგი. და ესუა ცოლად ამირეჯიბის. ქუცნას ასული ნათია. და შვა ძე სამი: ალექსანდრე, ბაგრატ და გიორგი.

და ამას უამსა შინა მჯდომარე იყო კათალიკოზი გიორგი. და გარდაიცვალა კათალიკოზი გიორგი, და დაჯდა კათალიკოზად ელიოზ.

და გარდაიცვალა კათალიკოზი ელიოზ, და დაჯდა მიქაელ.

და მოკუდა კათალიკოზი მიქაელ და დაჯდა დავით.

დიდი ალექსანდრე

ხოლო მეფობდა მეფე გიორგი კეთილად და მშვდობით. და უამსა რაოდენსამე შინა მიიცვალა იგიცა, და დაჯდა მის წილად ძე მისი ალექსანდრე² ქორონიკონსა რ-სა.

და იყო უამსა მას კათალიკოზი დავით და მიიცვალა იგი, და და-ჯდა ელიოზ.

და მიიცვალა ელიოზ, და დაჯდა კათალიკოზი თეოდორე.

და მოკუდა კათალიკოზი თეოდორე, და დაჯდა კათალიკოზი შიო.

და ამან მეფემან გარდამატა სხუათა მეფეთა საქართველოსათა. და იყო კაცი სახიერი და სწავლული ყოვლისავე საღმრთოსა და საე-როსა ზნეობითა აღსავსე. და გული უთქმიდა კუალად-გებად პირ-ველსავე საზომსა ზედა მოყვანებად წმიდათა ეკლესიათათვეს. და

საქართველოსა. რამეთუ იყო მაშინ ყოველი ესე საქართველო უსაულოსა თემურისაგან უნუგეშინისცემოდ განსრული, და სრულიად აოვრებული დედა-ქალაქი მცხეთა და დიდი წმიდა კათოლიკე ეკლესია, და ეგრეთვე ყოველნივე ეკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე სრულიად საფუძველითურთ დაქცია და მოეოწორებინა, და ყოველი სულნი ქრისტეანენი დედანულითურთ ტყუე ექმნა. ესე იავარ-ნაქმარ ქართლზე მეფე იქმნა.

ამის მეფობამდე მუდამი ტყუენვა, რბევა და მოოწოდა ჰქონდა ქუეყანასა ჩუენსა, რომელ ქართლი დიდად შემცირებულ იყო მრავლის ტყუენვისა და რბევისაგან, და არა სადათ აღუჩნდათ ნუგეშინისმცემელი, ვიდრემდის არა მეფე იქმნა დიდი ალექსანდრე. ამან ინყო ბრძოლა უსჯულოთა მათ, და მრავლისა ბრძოლითა და ზეგარდამო შემნეობითა განასხნა ყოველი უსჯულონი საზღვართა-გან საქართველოსათა.

ქორონიკონსა რ-ბ: მეფე ალექსანდრე და ივანე ათაბაგი კოხტას შეიძნეს. თურქთა ახალციხე ამოსნცყვდეს. ამა მეფის ალექსანდრეს აღმზრდელმან მრავლის ჭირნახულობითა, ბებია მისმან ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე-ყოფილმან რუსა, ამან ინყო მრავლის. ღუანლითა და გულსმოდგინებით, აღშენებად წმიდისა სუეტის-ცხოველისა. პირველად გამოკაზმა და ინყო შენებად სუეტთა საყდრისა-თა და ვერდარა სრულ ჰყო აღშენება მისი, ეგრეთ მიიცვალა ამიერ სოფლით.

და ვითარ ეგულებოდა მეფესა ალექსანდრეს, ეგრეთვე იგულა და იგულსმოდგინა: ოცდაოთხისა წლისამან ინყო აღშენებად სუეტისა ცხოველისა, და ან ახლად აღაშენა და განავრცო და განასრულა, და ყოვლითა მოკაზმულობითა შეამკო და განაშუენა. და დაადგინა პატრიაქად მიქაელ. და მრავალი წმიდანი და პატიოსანი მონაზონნი, მღდელი, მგალობელი და მოწესენი შეკრიბნა, და რომელიცა ძუელთაგან გარიგებული შესავალი ჰქონდა, გინა გარიგებული აღაპნი და სხუანი საეკლესიო საქმარნი, ანუ ქუეყა-


ბერი ექნატშვილი

ნანი ჰქონდეს, მას ზედა მრავალი შეუმატა და უფროსად განავრცეს. და კუალად ქართლსა და კახეთსა და სადაცა ყოფილიყო მკვდრი მისი მამული, რომელიცა ძუღლთა წელმნიფეთა, მამა-პაპათა და დედა-შვილთა გაერიგებინეს და გაესაზღვრნეს და შეენირნეს, ეგრეთვე ამანცა ჯერ-იჩინა და ყოველივე შესწირნა. და ეგრეთვე, სადაცა მოოქრებული აგარაკი ჰქონდა, ყოველივე აღუშენა და ყოველივე საქართველოს უდაბნონი, მონასტერნი და ეკლესიანი, სოფელი, აგარაკი, აზნაურნი და გლეხნი განუწესნა და შესწირნა. და კუალად აღაშენა მცირე ეგუტერი მთავარანგელოზისა მცხეთას სამარხოდ.

ქორონიკონსა რ-ით: მეფემან ალექსანდრე ლორე აიღო, და კუალად ინება აღშენება ყოველთა საქართველოს ციხეთა და საყდართა. აღაშენნა და განავრცნა. მას უამსა შემოსავალი არსაით იყო სახლისა მისისათვს. და ამით საქართველოს კუამლა ზედა ორმეოცი თეთრი მალად განაჩინა.

ასოცდარვა ქორონიკონზე საქართველოს ციხენი, საყდარნი და მონასტერნი ყოველივე სრულიად ახლად აღაშენნა და შეამკუნა, და კუალად მისგან დადებული მალი მანვე ამოჟეუეთა, და ყოველი ქრისტიანენი ფრიადსა მშვდლბასა და მყუდროებასა შინა ამყოფნა. თათართაგან კაცთა მოასხმიდა და დაასახლებდა, და ქუეყანა ესე საქართველო ესრეთ განაგო.

ქორონიკონსა რ-ლ: დასუა მეფე ქართლსა და იმერეთს პირველი შვილი ვახტანგ, და შერთო ფანასეკერტლის ქალი და დაა თაყას ფანასეკერტელისა, დედოფალი სითიხათუნ. ხოლო თკო მეფემან ალექსანდრე სახე მინაზონებისა შეიმოსა, და უწოდეს სახელად ათანაზე. და აღაშენნა მისთვს სენაკი და სახლი დიდნი ქვითკორისანი მცხეთას მისგან აღშენებულს მთავარანგელოზის ეკუდერთანა, და მუნ დადგა, ვიდრემდის ცხოვრებდა, სასოებითა და მოლუანებითა.

ხოლო ოდეს დასუა პირველი შვილი ვახტანგ ქართლსა და იმ-

ერეთს, მასთან დააყენა უმრნემესი ძმა მისი დიმიტრი, და დასუა კახეთს, ქორონიკონსა რ-ლგ, მეფედ უმრნემესი ძმა დიმიტრისი გიორგი, და შერთეს ნესტან-დარეჯან, იმერელ მეფის ქალი. მაშინ ოდეს დაიპყრა ალექსანდრე იმერეთი, განაძეს დე კოსტანტინესი, მეფე იმერეთისა ბაგრატ.

ხოლო შემდგომად სიკუდილისა მძლავრისა ლანგ-თემურისა კუალად იპყრეს არაბისტანი, ანატოლი ძეთა მათ ბაიაზით ხვანთქრისათა. და კუალად იპყრეს ბურსა ტახტი და ყოველი სამკ-კდრო მამული მათნი, და უმეტეს გაძლიერდენ. და იწყეს ბრძოლა ქრისტეანეთა ზედა, და მცირედ-მცირედ კადნიერ-ქმნილთა მათ ზედა ძლევისმოქმედებდენ ყოველთავე საბერძნეთსა ზედა.

ამისა შემდგომად განიგულეს ბრძოლა დიდისა ტახტისა და სამეუფოსა დედაქალაქისა კოსტანტინეპოლისა. და იყო ურთიერთას შორის დაუცადებელი ბრძოლა ძლიერი. და სძლეს ოსმალთა და ხვანთქარმან სულთან მაჰმად. და მიდრკეს ბერძენი. შეაიწრეს ფრიად კეისარი მძენვარედ ზედა-დასხმითა, რომელნი გარე მოადგეს კოსტანტინეპოლის, ქალაქსა მას სამეუფოსა. სძლეს და აღიღეს კოსტანტინეპოლი ოსმალთა, ქორონიკონსა რ-ლბ, ქრისტეს აქეთ ჩ-უმე.

ხოლო იყო უამსა მას კეისარი, სახელით კოსტანტინე პოლე-ოლოლოს. და იყო პატრიაქი აღსრულებულ. მაშინ აღიხუნეს და დაიპყრეს სრულიად საბერძნეთი ოსმალთა: და ოდეს აღიღეს კოსტანტინეპოლი, მას უამსა დაბნელდა მზე, რომლისა ამბავენი ვრცელად წერილ არს ცხოვრებასა ბერძენთასა. და იყო სამარადისოდ ბრძოლა ძლიერი. და კუალად იყო შური და წდომა ძეთა შორის ლანგ-თემურისთა, რამეთუ ფრიად მოშურნე იყვნეს იგინი ურთიერთას შორის. და უამსა ამას განთავისუფლებულ იყვნეს მკვდრნი საქართველოსანი, და იყვნენ მშვდობით განსუენებასა შინა.

ამასვე ქორონიკონსა ჯანშა ყაენი ახალციხეს მოუწიდა.

ამასვე ქორონიკონსა ივანე ათაბაგი მიიცვალა.

ქორონიკონსა რ-ლგ: მეფემან ალექსანდრე დასუა კახეთს უმ-

ბეჭი ეჭნაცაშვილი

რწემესი ძმა დიმიტრისი, გიორგი, და მისცა ზემო-კერძონი მთის ალაგნი. მუნიციპან არაგუს გამოლმართ წევ-ძმარამდის, კუალად წევ-ძმარიდამ გაყოლილი ლილოს სერამდის, რაოდენი ლილოს სერსა წყალი გასდის და შეერთვის, მარტყოფის წყალსა გაყოლით ვიდრე ამართულამდე და ამართულას გაყოლით ვიდრე აჯისუდმდე და აჯისუს გაყოლით ვიდრე მტკურის შესართავამდე და მას ქუ-მოთ მტკურას გაღმართი და შექისი ვიდრე შერვანის. საზღვრამდე. დაჰყო მცირე რამე ხანი და აღესრულა სავსე დღითა.

მას უამსა იჯდა კათალიკოზი შიო.

ოდეს აღესრულა მეფე აღექსანდრე, მაშინ მოვიდა მეფე ბაგრატ იმერეთს, აქ იმერელ მეფისა კოსტანტინესი. გამოაძო ვახტანგ, აქ აღექსანდრე მეფისა, და დაიპყრა იმერეთი.

ქორონიკონსა რ-ლე: აღბუღა და ყუარყუარე შეიბნეს. ამასვე ქორონიკონსა მეფე ვახტანგ მიიცვალა, და არა ესუა ძელ და და-ჯდა მის წილად უმრნემესი აქ, მისი დიმიტრი. და ჰყვა მეუღლედ დედოფალი გულანშარ. და მეფობდა კეთილითა და მშვდობის-მყოფელობისა მეფობითა.

და მოქუდა კათალიკოზი შიო, და დაჯდა კათალიკოზად აქ მეფისა აღექსანდრესი დავით.

ქორონიკონსა რ-მა: მიიცვალა მეფე დიმიტრი, და დარჩა აქ მისი კოსტანტინე. ამისა შემდგომად იქმნა ბრძოლა კახთა უფლისა გიორგისა და ბაგრატს შუა მეფობისათვს ქართლისა, რამეთუ იყო მეფის აღექსანდრეს ძმა ბაგრატ და შვილი, რომელი ზემო ვაწისენეთ გიორგი, კახთა უფალი. სძლო გიორგი ბაგრატს და დაჯდა ქართლს მეფედ. და იყო მცირე რამე ხანი და გააძეს გიორგი. და დასუეს ძმა აღექსანდრე მეფისა და მეფის გიორგისა ბაგრატ. ხოლო კახთა უნოდეს მეფედ. ამიერითგან უნოდენ კახნი კახთა უფალსა მეფედ.

ხოლო რაჟამს იპყრა მეფობა ქართლისა მეფემან ბაგრატ, მოიმორჩილნა ქართველნი და მესხნი შეიყარა ლაშქარი შთავიდა კახეთს დაიმორჩილნა კახნი განაძო ძმისწული თვისი და დაიპყრა კახეთი.

მესამე ცეკვი





**სახელითა ღ(ვ)თისათა ანტიკუროფ ცხოვრისა ბაფტიაცოანთა
მეფობისა**

ქორონიკონსა რ-მბ: დაჯდა მეფედ ძე გიორგისა ბაგრატ და ძმა
მეფისა ალექსანდრესი. და ჰყვანდა ცოლად დედოფალი ელენე,
და ეხნეს ამათ ძენი ალექსანდრე და დავით. და იყო მეფობასა შინა
მეფეთ-მეფისა ბაგრატისა დიდი მოსუენება ქრისტიანეთა.

ამისა უამსა შინა იყო ყაენი ასან-ბეგ, მორჭმული და ორისავე
საყაენოსა მპყრობელი. არაოდეს დარბეულ იყო ქართლი დიდისა
თემურის უკანის, იყო შენება და განსუენება. ამას უამსა შინა არა
იყო ხარაჯა და არცა მალი ქართლსა შინა, არამედ განთავისუ-
ფლდეს ყოველნი სამეფონი და არენი ქართლისანი მონებისაგან
თურქთასა.

ესე მეფე ბაგრატ იყო მორჭმული, სახელოვანი. ამას ჰქონდა
ქართლი, სომხითი, და მონებდეს ლორის პატიახშნი, კახეთისა,
შარვანისა და სამცხისა. და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურულნი,
აფხაზნი, სუანნი, ჯიქნი და მთიულნი კავკასიანნი.

ამას შინა უკუდგა დადიანი და გურიელი. და უკუიტანნეს ოდიშ-
არნი და აფხაზნი. შეჰყარნეს ერთად და არღარა მსახურეს ბაგრატ
მეფესა. წყინა მეფემან და შეიყარა ლაშქარი, მივიდა და დადგა ცხ-
ენის-წყალსა ზედა; იქით ისინი მოადგეს. ქმნეს რაზმი და შეიბნეს.

იპრიანა ღმერთმან და გაიქცნეს დადიანი, ოდიშარნი. დაწოცნეს და დაატყუევეს და მოსწყვეტეს ქართველთა, მიჰყვეს თანა, ჩაუდგეს შინაგან, დაწვეს და დააქციეს ციხენი, სიმაგრენი. მობრუნდეს გამარჯუებულნი და წარმოიტანეს თანა ტყუე და მძევალი. ამას ზედა არღარა ჰქონდა თავი წელთა მეფესა, ლიხთ იქით იყო და ქართველნი თანა იახლნეს.

ქორონიკონსა რ-მდ: შეიყარა ყაენი უზუნ-ასანლ და მოვიდა სომხითს. მოადგეს ბარათიანთა, და ორბეთისა ძირსა დიდად კარგად დახუდეს ბარათიანნი, და გამაგრდეს, და ვერა უყვეს რა, მოვიდეს და ტფილისი აიღეს. თუთ ყაენი მუხრანს დადგა. აღივსო ქართლი ლაშერითა, მოოქრდა სრულ ქართლისა ადგილი. იქმნა ყაენმან ბარათიანნი, მოინდუნა, ნახნა და შეიწყალნა, მოსცნა მრავანი და აღავსნა პირთამდის. ამას ზედა აიყარა ყაენი და წარვიდა, და გამოუშუნა ბარათიანნი შეწყალებულნი, და უბოძა მრავალნი მისაცემელნი.

ამისა შემდგომად გარდაწყდეს წელნი.

ქორონიკონსა რ-ნ: კუალად უზუნ-ასან ყაენი მოვიდა სამცხეს, ყუარყუარეს უშეულა. ჩიხორს შეიბინეს მეფე ბაგრატ იმერეთისა, და ათაბაგს ყუარყუარეს გაემარჯუა. ქორონიკონსა რ-ნა: ქართველთა მეფემან თავრეზს გილაქმა და თემურა ააოწრა. ქორონიკონსა რ-ნგ: მეფე ბაგრატ იმერეთისა დაიჭირა ყუარყუარემ ტყუედ, და დაატყუევა ციხესა შინა.

ქორონიკონსა რ-გ: ათაბაგი ბაადურ გარდაიცვალა წლისა კ-ა, ოკდომბერსა ი-, დასაბამითგან ქორონიკონსა ექუსიათას ცხრაას ოთხმოცდაორსა.

ქორონიკონსა რ-ედ კუალად შეიკრიბა ერი ურიცხვ და წარმოემართა უზუნასან ძალითა დიდითა სამცხესა ზედა. ესმა ესე ყუარყუარეს და ორთა ძეთა მისთა, რამეთუ პირისპირ განწყობა ვერ ძალედვათ სიმრავლისაგან ურიცხვობისა სპათა მათთასა, და ჰქონეს განზრახვა, რათა სამთაგან ერთი წარსრულ იყო და დაეცხრო



ბეჭი ეჭნატაშვილი

გულისწყრომა მძღავრისა მის, რათა არღარა მოსრულ იყვნეს ქუეყანასა სამცხისასა. მოვიდა სამცხეს და მერმე მოიწივნეს აწყუერს და მოსრნეს მრავალნი ქრისტეანენი, მღდელნი და მონაზონნი და ერისკაცი, და წარტყუევნენს სრულიად სამცხე.

აღიყარა ყაენი და წარვიდა საყაენოსა თვესა და ტყუე ჰყვეს ხატი აწყუერისა ღმრთისმშობელი, და წარიყვანეს ქუეყანასა მათ-სა. და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი სრულიად მესხთა ზედა. აღდგეს ყოველნი და შთავიდეს ქართლს, ვიდრემდის მწირობდენ მუნ შვდ წელ.

მიიცვალა ძე მეფისა ალექსანდრესი მეფე გიორგი კახთა და დაჯდა მის ნილ ძე მისი ვახტანგ. და გარდაწდეს მცირე რამე ხანი და წარვიდა კოსტანტინე თათარშიგან. და სხუამან ვერავინ ბედა ქართველმან დარბაისელმან წარსლვა თათარშიგან და ბატონის ხლება. დიდად ერთგულად და კარგად იყვნეს ბარათასშვილი. და იგინივე წარყვეს თანა და მსახურეს. და წარყვა მზეჭაბუქასა, პირმ-შო შვილი ყუარყუარესი. იპრიანა ღმერთმან და ინყინა ამონწყუეტა საქრისტეანოსა.

შეედვა ყაენსა სენი სასიკუდინე, ქმნა ღმერთმან და მოკუდა ყაენი უზუნპესან. და მიიღო პატრონობა ძემან მისმან სულთანმან, და ძმა მისი აღუბ ეშურებოდა მიღებად პატრონობასა.

დააგდეს თათართა ტფილისი და სომხითი, და დაიჭირა მეფემან ბაგრატ. ჩაუქდეს ბარათიანი, დაიფორაქეს ელი და დაწოცეს მრავალი თათარი. ხოლო სულთანი და მკითხველნი სჯულისა თათრისანი უქადაგებდენ სჯულსა თვესა. ხოლო იცოდა მზეჭაბუკ არაბული და სპარსული და თათრულიცა. ესერდენ სწავლულ იყო ენითა და წიგნითა მათითა, ვითარმედ ყოველსავე ღრმათა სცნობდა და მისგან ესრეთ აღმოვიდოდეს საღმრთონი სიტყუანი პირით მისით; და სჯულისა მათისაგანცა ყოველივე ზედამიწევნით უწყოდა და მათისავე სჯულისა წიგნთაგან დაუყოფდა მედგარსა პირსა მათსა და მიერ დღითგან ვერღარა-ვინ იკადრა ამის პირისათვს სიტყუანი ყო-

ფად წინაშე მისა. ხოლო მიეცა ძლევაცა ესევითარი რამეთუ იყო უსჯულოსა მის მთავრისა კაცი ერთი, ფალავანთა თავი, დიდი და გოლიათი, რომელსა სახელად მაღანი ენოდებოდა, და ჰმატდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წყრთა ერთი ანუ უფროსცა, და არავინ გამოჩინებულ იყო სიმრავლესა მას შინა მრკინობელ მისა. ამან ინება ოდესმე განმცდელობა მზეჭაბუკისი და, ვითარცა ცნა ესე, არღარა ჰპოვნა. არამედ ვითარცა ლომმან მსნრაფლ შებმა უყო და მინდობილმან ღმრთისა და ყოვლად-ნმიდისა აწყუერისა ღმრთისმშობელისამან აღიყვანა და უპატიოდ მინასა ზედა დასცა.

ეს რა იხილეს ყოველთა მათ ლაშქართა, დიდებულთა ერთა, დიდად განკვრვებულ იქმნეს და თქმად რასამე უღონო იყვნეს, ესენი და სხუანი უმრავლესნი მწენე ქველობანი მოენიჭნეს, ბრძანა ღმერთმან და ნარმოავლინა დიდითა პატივითა სულტანმან კოსტანტინე და ნარმოატანა თანა მზეჭაბუკა; და მოვიდა კოსტანტინე თათართათ, ყაენისგან შეწყალებული. მას უკანის მძლე ექმნა სულტანსა იაღუბს, დაიპყრა პატრონობა და დაჯდა ყაენად ასან-ბეგის შეილი იაღუბ-ბეგ განზრახვითა ეშმაკისათა.

ამას შიგან გამოწდა ხანი და სოფელმან მისი ბეგარა არ დაიკლო. მიიცვალა მეფე ბაგრატ რაჭასა, და იყო დიდი გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა; აღიღეს და დამარხეს გელათს, მათსა სამარხოსა შიგან. ამასვე შიგან გამოწდა ხანი.

ქორნიკონსა რ-ევ: დაჯდა მეფედ ალექსანდრე მეფის ძის. დიმიტრის შვილი კოსტანტინე და მეფობდა კეთილითა მეფობითა: არღარა იყო წყენა თათართაგან; მოიმორჩილნა იმერელნი, ღდიშარნი და აფხაზნი; მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა; არა სადათ იყო წყენა ქრისტიანეთა; იყო მოსუენება და დაწყნარება.

არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

მაშინ ოდეს მოვიდა უზუნ-ასან მძლავრითა ლაშქრითა და ნარიყვანეს ხატი იგი აწყუერისა ღმრთისმშობელი ქუეყანასა მას უცხოთესლთასა, ესევითარი რისხვა ღმრთისა მიავლინა: არცა შობა

ბერი ეტნოგრაფიული

დედაკაცმან, არცა პირუტყუმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მინამან აღმოაცენა.

და იქმნა დიდი გამოძიება მათ შორის უცხოსა ამისთვის საქმისა და იტყოდეს: „რაღ-მე არს ესე?“ რომელნიმე იტყოდეს: „შენდომით იქმნა“. ხოლო სხუანი სხუასაცა რასამე მიზეზსა მოიღებდეს. ხოლო უბრძნესთა კაცთა მის ქუეყანისათა ესრეთ თქუეს: „ოდეს-იგი საქართველოს ვილაშქრეთ, მაშინ ერთისა დიდისა საყდრიდალ-მენ ფიცარი ერთი, შემქული მრავლითა პატივითა, ვიხილეთ და წარმოვიდეთ; და მგზავრობასა მას. ჩუენსა უცხო სასწაული ვიხილეთ მისგან, რამეთუ მწუხარსა ჩავასუენით ულრმესსა ადგილსა ბარგისასა და, ვითარცა განთენდის, აღმოვიდის სიღრმისაგან და მალლად მჯდომარე იხილვებოდის და ვითარცა მზე ბრწყინვდის. და საქმე ესე უყჭულად მისგან იქმნა ქუეყანასა ჩუენსა და, თუ გნებავს განრინება ჭირისა მისგან, იგი მოვიძიოთ და ქუეყანასა მათსა განუტეოთ“.

მაშინ მოიძიეს წმიდა ესე ხატი და, პპოვეს რა, ესრეთ განიზრახეს: „მოვედით და დავაკრათ კიცუსა უწედსა და, უკეთუ წარვიდეს მართლიად გზასა თვსასა, უწყოდეთ, რამეთუ ამისგან არს ესე ყოველი; და უკეთუ მიიქციოს სხვთ-კერძო, მაშინ შეხდომით რამე იქმნა და არა ამისგან“.

და ვითარცა დააკრეს კიცუსა მას ზედა წმიდა ესე ხატი, ესრეთ მართლიად წარმოემართა გზასა სამცხედ მომყვანებელსა, ვითარმცა საჩინო მქედარი და აღვრითა მცყრობელი და მმართებელი.

და ვითარცა იხილეს უცხოთესლთა საკურველება ესე, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად, და წარმოგზავნეს პატივითა. და თანა-წარმოპყვა სიმრავლე ცხენებისა ფრიადი, რომელთა ზურგები ჩადრეკილები დღესცა ჰქადაგებს მაშინდელსა სასწაულსა. ხოლო უცხოთესლთა მათ არა-რა იზრუნეს ცხენებისა მათისათვის, ვინათგან უზომოსა მის ჭირისაგან წსნასა მოელოდეს. და განგებითა საღმრთოთა მცირედთა უამთა სამცხეს მოინია ადგილ-

ახალი ქაშთლის ცნობილება

სა, რომელსა ან ელავსი ეწოდების, და იქმნა დიდებული სასწაული. რამეთუ მყის განათლდა სრულიად სამცხე და განპრნყინდა წესი-საებრ პირველისა.

და ვითარცა იხილეს ყოველთა ანასდათი იგი შეცვალება ბნელი-სა ნათლად და მიხედეს ადგილსა მას და სახედ ელვისა ბრნყინვიდა ხატი ყოვლად-წმიდისა, განკვრვებულთა თქუეს: „რამე არს ესე ელვის სახედ ბრნყინვალე?“ და მიერითგან ეწოდა ადგილსა მას ელავსი.

და შეკრბეს ყოველნი და მივიდეს და იხილეს ხატი ესე ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობელისა ბრნყინვალეს მჯდომარე კიცუსა ზედა, და სიმრავლე ცხენებისა გარემოს. მისსა; განკვრდეს უცხოსა მას ელედა საკვრველსა და ადიდეს ღმერთი და ყოვლად-წმიდა ღმ-რთისმშობელი, და ცრემლითა მქურვალითა ღაღად-ჰეყვეს მისსა მი-მართ: „კურთხეულ არს მოსლვა შენი, დედაო სახიერისა ღმრთისაო, რასათვს დაგტევენ ესეოდენთა ფამთა ბნელსა შინა, რომელთა შენ მიერ ვიხილეთ საღმრთო ნათელი ძისა შენისა?“

და ვითარცა ესმა ხატისა სასწაულითა მოსლვა მესხთა ქართლს მყოფთა, ვითარმედ სამცხე განათლდა, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად და თქუეს: „უეჭუელად ხატი ყოვლად-წმიდისა მო-სუენდა. აღვდგეთ და ნარვიდეთ ქუეყანასა ჩუენსა“. ხოლო მეფე კოსტანტინე აყენებდა და არა უტევებდა ნარმოსლვად; და ვი-თარცა პპოვეს ფამი მარჯუე, აღდგეს ღამესა ერთსა და ნარმო-მართნეს ყოვლით სახლეულით მათითურთ.

და ესმა მეფესა, ვითარმედ მესხნი ნარვიდეს, აღიმშედრა ლაშქრითა თვისითა და დევნა უყო, ვითარცა იგი ოდესმე ფარაო ისრაილთა, და მოენივნეს ადგილსა, რომელსა არადეთი ეწოდე-ბის. ხოლო მესხნი მოუბრუნდეს სახლსა ზედა ყოვლად-წმიდისა აწყუერისა ღვთისმშობელისასა, და განეწყვნეს ურთიერთას, და შეიბნეს კოსტანტინე მეფე და ყუარყუარე ათაბაგი და მესხნი.

ქორონიკონსა როა, თუესა აგვისტოსა ი-გ, ათაბაგს და მესხთ

ბეჭი ეჭნატაშვილი

გაემარჯუა. და ესევითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლისა მსგავსი არა სადა სმენილ არს, და მოსრნეს მრავალნი წარჩინებულნი. მეფისანი. ხოლო მეფე ლტოლვილი მცირედითა მწედრითა განერა და უკუნ იქცა სახედ თვისად. ხოლო მესხნი უკმოიცცეს ძლევა-შემოსილნი მშვიდობით და მადიდებელნი ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობელისანი, და მოვიდეს სამცხეს.

ამისა შემდგომად გარდავდეს წელნი ორნი. მერმე, ვითარცა წესი არს და ჩუეულება ეშმაკისა, ალძრნა ეშმაკმან მოძულემან კეთილისამან თათარნი ქრისტეანეთა ზედა, შეკრბა სიმრავლე ურიცხვ თურქმანთა და მომართეს სამცხეს.

ქორონიკონსა როგ: მოვიდეს და მოადგეს ტაშირზედა, მოუმცნეს მეფესა ქართლისასა, რათა ქუემოთ ქართველნი შეუძლენ სამცხეს. ვითარცა ესმა ეს ყუარცუარეს და ძეთა მისთა მზეჭა-აბუკს და ბაადურს, შემოკრიბნეს სპანი თვისნი და დაადგრეს სიმაგრესა ადგილსა ქვიანისა მთისასა, რათა უკუ მიინივნეს რა მათდა, მყის განეწყვნენ და შებმა უყონ. და სხუათა ყოველთა თემთა და ქუეყანათა მათთა უბრძანეს ციხეთა და სიმაგრეთა შინა ყოფა და გამაგრება, ვითარცა-იგი ეპისკოპოზსაცა წმიდისა ამის დედა-ქალაქისასა უბრძანეს, რათა ხატი ყოვლად-წმიდისა აწყუერისა ღმრთისმშობელისა ციხესა საჭურჭლეს შინა დაასუენონ.

და ვითარცა ესრეთ იქმნა, ქორონიკონსა როდ მოვიდა ყაენი იალუბ ურიცხვთა ერითა და უბრძანა ერთსა თავადსა და ლაშქარსა მისსა, რათა ჩაუდგეს სამცხეს. ჩაუდგნენ და მოიცვეს სრულიად და იავარ-ჰყვეს ქუეყანა სამცხისა, და მერმე მოადგეს ციხესა და ქალაქსა ახალციხისასა. ჰბრძოდეს დიდხან და ვერლარა დაუდგნა სიმაგრემან, გატეხეს ციხე და დაწვეს ქალაქი, და დაიპყრეს ჭელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი. მერმე აიყარნეს და მოადგეს ციხესა და ქალაქსა აწყუერისასა, და მოწვეს აწყუერი და მოაოწრეს ქალაქი, და ციხესა ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად და წარსლვა ინებეს.



მაშინ ეზრახნეს ციხოვანთა და უქადეს მშვდობა და არა დაქცევა საყდრისა და ციხისა. ამას ზედა გამოენდვნეს, შესცოტენ მცველნი იგი ციხისანი და მანუსერელი და მას თანა სხუანიცა ჩინებულნი განიზრავნეს, აღიხუნეს კლიტენი ციხისანი და თვინიერ თხოვისა და ბრძოლისა უღმრთოსა მას მთავარსა მიართუეს და მან გაიხარა ფრიად და აღუთქეუა, ვითარმედ არა-რა ავნოს მათ. და გამოენდვნეს და ვითარცა შევიდეს ციხესა მას შინა, მიეტევნეს ვითარცა მწეცნი და იავარ-ჰყვეს ყოველი საჭურჭლე საყდრისა, და ერი ურიცხვ დედებით და ყრმებითურთ რომელნიმე მოსრნეს მახვლითა, ხოლო სხუანი ტყუედ ნარიყვანნეს.

ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა სასოსა ჩუენისა, შემკობილი თუ-ალთა მიერ პატიოსანთა, ცოდვათა ჩუენთაგან ტყუე-ჰყვეს და მი-ჰეგუარეს უსჯულოსა მას მთავარსა. ხოლო მას ფრიად განუკრდა შემკობილება ხატისა მის და პატიოსნება თუალთა, და ბილნითა წელითა თვისითა განძარცუა შემკობილება ხატისა. და შემდგომად ამისსა აღავზნეს ცეცხლი ფრიად დიდძალი და მას შინა შთააგდეს. ხოლო ცეცხლი იგი დაშრტა და ხატსა ყოვლადვე არა შეეხო, არცა-თუ ნაბრძოლი აჩინა, რომელი-ეს მრავალთაგან და თვთ თუალითა-ცა ჩუენითა სახილველ იქმნა. ესე-რა სასნაული იხილა ერთმან ვინ-მე ლაშქართა მათ შინა მყოფთაგანმან ქრისტიანებან და სჯულითა არამართლმადიდებელმან, აღიპყრა ხატი იგი ყოვლად-წმიდისა და წარახვა ფაქელსა წმიდასა ამას შინა.

მაშინ ბრძანა ყაენმან, რათა სომხითი მოარბიონ, ბარათაშვილი გაუზახა და მისი უკეთესი ლაშქარი, მალვით მივიდეს და დაესხნეს შეუგრძნად დმანისს და ქუეშისკევსა, ნარმოილეს ტყუე-ალაფი უამრავი დაუვარდა წმა ბარათიანთა, გარდაუდგეს წინა ცოტათა ლაშქრითა. იპრიანალმერთმან, ესე გაემარჯუათ, რომე ერთისა ქართველისაგან ასი და ორასი მოიკლა. დაწოცეს და ამოსნუკტეს, დაატყუევეს და ცოტა რამე გარდამოეხუენა ცხენ-კეთილი და თა-ვად კარგი კარგად იყო სულხან ბარათაშვილი, ერთი ასეთი დარ-

ბეჭი გეგნაცაშეილი

ბაისელი მოკლა, ყაენის კარზედ მისთანა არ იყო, და სხვს ნაწოცისა ანგარიში არ იქმნებოდა.

რანილაც გარდაიხუენნეს, მივიდეს ყაენსა თანა ერთობ. ეწყინა და დაუმძიმდა ლაშქართა ამონყუეტა და ამას ზედა აიყარა ყაენი სამცხით და ნარვიდა. და დატყუევდა ანყუერისა ღმრთისმშობელი თუესა სეკდემერსა კე, და მოქალაქენი, და რაცა ციხესა შიგან იყო, დიადი სული წაასხეს. და ნარვიდა ყაენი მისსა საყაენოსა.

ხოლო რომელი ზემო ვაწესენეთ, კაცმან ქრისტიანებან და სჯულითა არამრთლმადიდებელმან წარასუენა ქუეყანასა მათსა. ვითარცა ესმა ესე ყუარყუარეს და მეუღლესა და ძეთა მისთა, განრისხნეს გამცემელთათვს ციხისათა და სიკუდილად დასცა ბრძანეს მანყუერელისა და სხუათა ყოველთა, რომელი შინა-გამცემელ იქმნეს. და იძლია ბუნებითისა მოწყალებისაგან, არლარა სიკუდიდ დასაჯნა, არამედ ექსორია ყვნა.

ამისა შემდგომად მოიძიეს სხუა ეპისკოპოზი და ჰპოვეს საზღვართაგან პონტოსათა, ქალაქით ტრაპიზონელი, სახელით სვიმეონ, რამეთუ მაშინ საჭეთ-მპყრობელობდა საყდარსა ტბეთისასა. ამას მიუბოძა უკანასკნელ მანყუერელობა. ხოლო ვითარცა ზემორე ვთქუ, ეპყრა კაცსა მას ხატი იგი ყოვლად-წმიდისა სასოსა ჩიუენისა ანყუერისა ღმრთისმშობელისა დიდითა პატივითა; გამოცხადა კაცსა მას და რქუა: „უკეთუ არა წარმიყვანო ქუეყანასა ჩემსა, დიდი ბოროტი მოვაწიო შენ ზედა“ და წარმოვიდა მსნრაფლ კაცი იგი და აუწყა ყოველივე პატრონსა ყუარყუარეს და მანუჩარს. ხოლო მათ განიხარეს სიხარულითა დიდითა და მსნრაფლ წარგზავნეს კაცნი სარწმუნონი, და დაიქსნა პატრონმან მანუჩარ, და ვითარცა მივიდეს, იცნეს იგი და დაცვივნეს პირსა ზედა თვესა და თაყუანის-ცეს, და ალიწუეს, და წარმოასუენეს წმიდა იგი ხატი, აღიყვანეს და დასუენეს საყდარსა თვესა ანყუერისასა.

ამას შიგან გამოწყდა ცოტა ხანი და გამოგზავნა ყაენმან ხალიბეგ, და დაუწყო შენება ქაოზიანთა და არჯაყალისა ციხესა. ინყინეს

ბარათიანთა და არ დაანებეს, და აუწყეს მისარჩელი წყენა და მტერობა. გაგულისდა ყაენი და აშუელა ლაშქარი ხალიბეგა. შეიყარნეს და მოადგესტფილისა, ებრძოლეს მრავალ-დღე და ვერა-რა ავნეს, რამეთუ სიმტკიცესა ზედა ეგნეს; და იყვის ყოველთა დღეთა ომი, და არა იყო ლონე ციხის ნალებისა.

მერმე შეიყარნეს ბარათიანნი და შემოუთუალეს მეფესა კოსტანტინეს და ითხოვეს მისგან შუელა. მეფემან გაგზავნა ციცის-შვილი ქაიხოსრო და ჯავახის-შვილი ჯავახი ცოტათა აზნაურისშვილითა და ლაშქრითა. ნარუძლუეს ნინა ბარათიანნი, მივიდეს და დაესხნეს ჭანდართა მდგომთა მონაპირეთა თათართა, გააქცივნეს და დაზოცეს, ასრე რომე თუ არა მაცნე ნავიდა სადმე, ვერცა ერთი ნაუვიდა, აივსნეს აბჯრითა, ალაფითა და ბარგითა პირთამდის.

ხოლო ვითარცა ესმა ესე ქალაქს მდგომთა თურქმანთა, უკუეყარნეს ციხესა ტფილისისასა და ნარვიდეს ჩაღმა, გარდაუდგეს კუმისის ბოლოს, შეებნეს ნინამავალსა ლაშქარსა, გაიქცივნეს და და წოცეს, ასრე რომე თათარსა თავსა სჭრიდეს და ვენაჯისა ლობესა და მარგილზედა აცუემდეს. მერმე განრისხდა ღმერთი და მოუკვდა ზემოთ ბუსუნი, შუა შეიყარნეს და რაცა ბარათიანთა ქაიხოსრო და ჯავახმან ქმნეს არცა ნინა გმირთა უქმნია, ასრე რომე ულუს-სა ლაშქარსა ომითა და წრმლითა ნამოვიდეს, და ცოტა ლაშქარი დაზიანდა, და თკო მორჩეს ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა.

ამას ზედა ნარვიდა თურქმანი ლაშქარი შერცხუენილი და ორბეთისა ძირსა დადგნენ. ეცადნეს თათარნი და მუდამ ბარათიანთა და ორბეთის-ძირელთა გაემარჯვის.

- ამას ზედა ადგა ხალიბეგ და სხუანი ყაენის თავადები, მივიდეს, შეეხუენეს ყაენსა.

რა გამოქდა ნელინადი ერთი, აშუელა ლაშქარი, მოირთო ძალი და ნარმოებართა სომხითისა და ორბეთისა ძირზედა, მომართა ციხესა კოურისასა, მოადგა გარე და დაუწყეს ომი და თოფსა სროლა. აწყუდინეს შინაგან სოლალას-შვილნი. იყო დიდხან ომი და შეანუხ-



ბერი გენაციაშვილი

ნა მეტმან თოფისა საქმემან და ცოტა ციხეცა დააქციეს. ვერღარა დაუდგ ეს, ამისთვის რამეთუ მეშუელი აღარა ჰყვათ, ერთსა დამესა თოვლმან უკუყარნა და გამოვიდეს ციხით, და ციხე დაუგდეს ცარილი, თუთ მიმართეს მთათა და სიმაგრეთა.

ხოლო ვითარცა განთენდა, ნახეს თათართა ციხე უკაცური, შევიდეს შიგან და კაცი არა ბოვეს, მიჰყვეს წელი და დააქციეს.

ვითარცა ესმა მეფესა აღება ციხესა, დაუმძიმდა, რამეთუ მეფე შეყრილი ნიჩბის წყალზედა იდგეს, ამას ზედა ადგეს თათარნი და მოადგეს ტფილისისა ციხესა და იყო ყოველთა დღეთა ომი და ეს-როდეს თოფსა და არა იყო ღონე ციხისა ნალებისა. რამეთუ მწარი ბარათიანთაგან ჰქონდა, ეუბნებოდა მეფეს კაცთა და არა უშუელეს. იმერელნი უკუდგომით იყვნეს, და არცარა მესხთ უშუელეს. ამისთვის ომი ვერ გაბედა მეფემან, ადგეს დიდსა ხანსა ქალაქსა. და შეეწყინა იმი თათართა, ციხეს ვერა უყვეს რა მერმე აკაზმეს ლაშქარნი და გამოარჩიეს დარბევა ორბეთისა ძირისა აარჩიეს ათას ხუთასი ისპაი კაცი და სხუა წვრილი კაცი ლაშქრისა მრავალი და ცისკრისა უამსა შეუდგეს ორბეთისა ძირსა. დაესხნეს და იფორაქეს და ამოსწყვდეს მთისა სოფლები; იშოვეს განძი, ტყუე და ალაფი ურიცხვ. ამას ზედა ესმა ბარათიანთა და იგინი იყვნეს ენაგეთს და მათ თანა იყვნეს ქაიხოსრო თურმანის ძე და სხუა მეფისა ყმები ცოტაოდენი. დავარდა ჭმა და მოპმართეს ასრე, ვითა ვეფხთა. წამოვიდა აქეთ სულხან ბარათას-შვილი და მისნი ძმანი; აქათ სხუანი ბარათიანი მიენივნეს უკანა, შეიბნეს და გააქცივნეს, მისჯარნეს წევსა და წირვალსა. ასრე წოცა დაუწყეს, ვითა ქათამთა მართუეთა.

ხოლო მოსცა ღმერთმან ძლევა ქრისტეანეთა და დაწოცეს ურიცხვ, რამეთუ არა იყო განცდა მკუდრისა; სისხლისა რუ დიოდა; რაცა სიკუდილსა მორჩეს, წელთა დაიაყრნეს; ერთი ასეთი თავადი დარჩა ბარათაშვილს მერაბს, რომე ყაენის კარზედა მას არავინ სჯობდა, და მეყვესიცა იყო ყაენისა. ასეთი ძლევა მოსცა ღმერთმან ბარათიანთა, რამეთუ ერთისა ტყვესა დედაკაცისაგან სამი და ოთხი

მუსულმანი მოიყვანებოდა ყელ-დოლბანდიანი, რამეთუ პირველ-სა ომსა ველარ მოესწრნეს ქაიხოსრო ჯავახი, ქავთარ სოლალას-შვილი და სხუანი დარბაისელნი. მოხუდეს უკანა მომდევარნი და რჩეულნი ჩაღდაულად დიდნი ლაშქარნი აქათ, არცა ამათ დაუგდეს გზა. შეიძნეს ოცი კაცი სამასამდის ისპასა თათარსა წრმლითა წინადაუდგა, იპრიანა ლმერთმან და მორჩეს მშედობით. ორჯერ და სამჯერ ცხენები დაუჭრეს, ჩამოყრილნი ზედავე შესხდეს. ჩუენი ქართველთაგანი ერთის თურმანის-ძის. მეტი არა დაგუაკლდა, იგიცა ჯარმან გაატანა დიდისა ულუსისა ლაშქრისაგან ცოტანი ჩაღ-თაულნი წავიდეს მაცნედ, სხუა ყელა დაიწყოცა და წელთა დარჩა.

რა ეს ესეა ქალაქს მდგომთა თათართა, შეშინდეს, დააგდეს და უკუ-ეყარნეს ციხესა: თუმცა ბარათიანთა არა გამარჯუებოდა, ძალად ქალაქსაც წაართმევდეს და ქართლსაცა შემოეჭიდებოდეს. ამას ზედა იპრიანა ლმერთმან. და წყალობით მოხედნა ბარათიანთა მოჭირვებასა და მას უკანის თათართა ძალი ვერლარა უკადრებია და არცადა რბევა, გატყდეს და შეშინდეს შენევნითა ღმრთისათა.

და ვითარცა მცირედნი დღენი გარდაწყდეს, შემდგომად ტყუეობით მოსლვისა წმიდისა მის ხატისა, რამეთუ არა დაუტევა უფალმან კუერთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალათასა. არამედ ვინმე იტყოდეს: „ძლიერებათა შენთა უფალო“, ანუ ვინმე სასმენელ ყვნეს „ქებულებანი შენნი“, რამეთუ მიავლინა ყოვლად-წმიდამან დედოფალმან რისხვა საშინელი სახლსა ზედა იაღუბისასა, და ნათესავსა მისსა, და ყოველსა გუარსა მისსა. და მცირესა უამსა სრულიად, დაემზუნეს და მოისპნეს და აღოვრდეს. რამეთუ იაღუბს უღმრთოსა ესევითარი სიკუდილი უფლა, რომლითა ლელითა იკადრა წმიდისა ამის ხატისა მახლისა შეხება, მითვე წელითა განზავა სასმელი მაკუდინებელი, რეცა-თუ კეთილ. საგონებელ უჩნდა შეცოომილსა მსჯაერითა მით საღმრთოთა, და შესუა მან, და მიუძლუანა მისგან დედასა თვესა და ძმასა. და მიიღეს მათცა. და შესუეს, რამეთუ არა ეგებოდა ურჩება მათგან. და ვითარცა სუეს, ერთბამად მოსწყდეს

ბეჭი გვირაფიშვილი

ერთსა შინა უამსა სიკუდილითა სალმობიერითა. და მათ თანა სხუანიცა მთავრნი და წარჩინებული სახლისა მათისანი მოისრენეს, რომელიმე მახვლითა და სხუანი სიკუდილითა უცნაურითა. და მიერითგან სრულიად დაემწეუა მთავრთბა მათი, უკეთუ ცოდვათა ჩუენთა სამხილებელად მიშუებითა ღმრთისათა მოივლინნეს და სახლი ღმრთისა და წმიდანი სამსახურებელნი დათრგუნნეს. არამედ ყოვლად-წმიდამან ღვთისმშობელმან შეურაცხება ხატისა თვესისა არა თავს-იდვა და ესევითარი რისხვა მიუვლინა, ვითარემდ ნათესავი მათი ვიდრე დღეს-აქმომდეცა არლარა სადა იპოვების.

ქორონიკონსა რ-ზ: ახალციხეს თათარნი მოვიდეს. ამასვე წელინადსა ალექსანდრე ქუთაისი აიღო, ძემან ბაგრატისმან.

ქორონიკონსა რ-ზ: მიიცვალა მეუღლე ყუარყუარე ათაბაგისა, ბატონი დედისიმედი, წლისა ნ-დ, სეკდემბერს ი-ც.

ქორონიკონსა რ-ზ: ბაგრატ დაიბადა, ძე ალექსანდრესი, თებერვალსა კ-გ. კახეთის მეფესა ვახტანგსა და ძმასა მისსა ბატონს ალექსანდრეს ჩხუბი ჩამოუგდეს კახთა და შეამდურეს. და იყო შფოთი მათ შუა, იყო დიდხან შური მათ შუა და ვერ შეიწყვნეს.

მერმე მეფე კოსტანტინე და კათალიკოზი დოროთეოს შუა ჩამოუკიდნენ, და შეიწყვნეს მეფე კახეთისა ვახტანგ და ძმა მათი ბატონი ალექსანდრე, ქორონიკონსა რ-პც.

ამასვე ქორონიკონსა დიდი ბატონი ყუარყუარე მიიცვალა წლისა პ-ბ, ივნისსა ვ-

ქორონიკონსა რ-ზ: ათაბაგი ბატონი ქაიხოსრო მიიცვალა წლისა ნ-გ, მაისსა ვ-

ქორონიკონსა რ-ზ: მეფე კოსტანტინე მიიცვალა, და დაჯდა მის წილ ძე მის დავით და ბარათაშვილის დავითის ქალი დედოფალი ნესტან-დარეჯან.

ქორონიკონსა რ-ზ: დიდისა მონასტრისა გენათისა ნინამძღუ-არი მანასე მიიცვალა.

ქორონიკონს რ-ზ: აიღო გორი ალექსანდრე, ძემან ბაგრატისმან

თუესა აგვისტოსა ვ-. ამასვე წელსა ქუთათისს თათარნი მოვიდნენ და დაწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ, და ქუთათისი და საყდარი, და სხუანი ეკლესიანი; და ციხე ვერა აიღეს, და აურაცხელნი ტყუენი წასხეს ქრისტეანენი. თუე იყო ნოემბერი ქ-გ.

ქორონიკონსა რ-ჟც: მარტსა ი-ბ, მიიცვალა დედოფალი თამარ. აპრილსა ა- ამასვე წელსა მეფეთ-მეფე ალექსანდრე მიიცვალა. ამასვე წელსა დაჯდა მეფედ იმერეთს ძე მისი ბაგრატ. ამასვე წელსა იქმნა ბრძოლა ძლიერი ქართლის მეფეს დავითსა და ბაგრატს შუა. ამისთვის ბევრის ტყუენვისა და რბევისაგან ძალი ქართლისა შემცირებულ იყო; აღელო და დაჭირა გორი ალექსანდრეს, მამასა ბაგრატისასა. ამას ზედა მოეწმარნენ ქართლის მეფეს დავითს კახეთის მეფე ვახტანგ და ათაბაგი მზეჭაბუკ. დავით მეფე ველარ მოესწრო, მოხისს შეება ბაგრატ ვახტანგსა და მზეჭაბუკს და გაემარჯუა თუესა ივნისსა ვ-

ამასვე წელსა მიიცვალა ბატონი დედოფალი ელენე, დედა ალექსანდრესი, ნოემბერსა ვ-

ამასვე წელიწანდა აღესრულა კახთა მეფე ვახტანგ და დაჯდა მის ნილ კახეთს ძმა მისი ალექსანდრე. ეს ალექსანდრე იყო კაცი კეთილი და ღმრთისმოყუარე, დიდად შემწე წმიდათა ეკლესიათა, შემამკობელი ხატთა და ჯუართა. ამან ალექსანდრე და დედმან მათმან ბაგრატიონმან დედოფალმან ნესტან-დარეჯან დაქცეული და დაძველებული ალუშენა ალავერდსა სამწრენა და გუმბათი, და დაასატვინა და შეამკო ჯუარითა და ხატითა. წიგნითა და ეკლესიის შესამკობელითა, და შემდგომად ამისა ყოველნივე საეპისკოპოზო ეკლესიანი კახეთისანი შეამკუნა და შესწირნა ყოველნივე საეკლესიო სამკაულნი.

და ესუა ძენი ორნი, უხუცესსა ეწოდა გიორგი და უმრნემესსა ეწადა დიმიტრი. ამან გიორგი დაიხუნ ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოდა ქართლისა. ხოლო მამა მისი ალექსანდრე და ძმა მისი დიმიტრი ევედრებოდეს: „რამეთუ ძმანი არიან და არა

ბერი ეჭნაცაშვილი

ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა, ემა არს შენთვს კახეთიცა". და არა მისცეს თავი წელთა და გარდაუდგნენ ნინა საფურცლეს. ამას ზედა აღივსო შურითა. გიორგი და ღალატით მოკლა მამა თვისი ალექსანდრე საფურცლეს ჩალასა შინა. აღიღეს და დამარხეს კახთა მეფეთა სასაფლაოსა ალავერდს შიგნით საყდარსა უკანა ეკუდერსა შინა. და მერმე შეიპყრა ძმა თვისი დიმიტრი და დასთხარა თუალები. მაშინ იყო ქორონიკონი რუთ. და მერმე ცოლითა და შვილითა გამოაგდო დიმიტრი და მოვიდა მცხეთას და სვეტს-ცხოველს შემოეხუენა. და იყო რაოდენიმე ხანი. ამის მოქმედებისათვეს ავ-გიორგი უწოდეს.

ხოლო რაჟამს მოკლა გიორგიმ მამა თვისი ალექსანდრე, მაშინ თვით დაპყრა კახეთი. და მეფობდა ქართლსა ზედა მეფე დავით, კაცი მშვიდობის-მყოფელი და სათხო ღმრთისა. ხოლო მეფესა დავითს ჰყვანდა ძმა გიორგი, ბაგრატ და ალექსანდრე და მელქისედე მონაზონი. და მას ჟამას იჯდა კათალიკოზი დოროთეოს. ხოლო აღიღო შური მახვლითა ავ-გიორგი მეფესა დავითს ზედა და ქმნა მრავალი ბოროტი საქართველოსა ზედა. ხოლო ეკრძალებოდა სახლსა ავ-გიორგისასა მეფე დავით და სპანი მისნი ყოველივე. და ამას ზედა უფროსღა განლაღნა ავ-გიორგი და უკდებოდა საქართველოსა, და მრავალგზის იავარ-ყო საქართველო, და უფროსღა ზემო ქართლი მრავალგზის ნარმოსტყუევნა, ვიდრე იმერეთის საზღვრამდე. და თვი მეფე დავით შეწყუდეულ ყო ციხესა შინა ატენისასა და ბრძოდა მრავალ-დღე და ვერ წაუღო ციხე იგი ატენისა. და ნარვიდა სახედ თვისად, და ნარიღო ნატყუენავი მრავალი.

მაშინ ეზრახნეს უმრნემესნი ძმანი მისნი მეფესა დავითს, ვითარმედ: „ამიერითგან ვერღარა შემძლებელ ვართ დათმენად ბოროტისა მის კაცისა მიერ, რამეთუ კახეთიცა ვიდრე აქამომდე მამათა ჩუენთა ეპყრათ, და სრულიად კახეთი საბრძანებელთა სახლისა ჩუენისაო დამონებულ იყნეს. და ან ესრეთ აღზუავნეს ჩუენ



ზედა ვიდრედა საქართველოსაცა ზედა უფლებულ არს და პნებავს სრულიად მიმძლავრებად თვისად. და ან ჩუენცა აღვსდგეთ მათ ზედა და ვბრძოდეთ მათ“. არამედ მეფემან დავით არა ინება, რამეთუ მსგავსად სეხნად სახელისა მისისა დავითისებრ მშვდ იყო და არა შურისმეძიებელ, ვითარ-იგი საულისთვის მშვდ იყო.

ხოლო ვინათგან არა უსმინა, მაშინ სთხოვა უმრნემესმან ძმა-მან მისმან ბაგრატ მეფესა დავითს მუხრანი საუფლისწულოდ და დროშა, და დარაჯად გამოითხოვა ერისთავი ქსნისა და წეობა არაგვისა. ხოლო მეფემან დავით მისცა და ესრეთ წარმოემართა და მოვიდა მუხრანს ციხე მტუერისა, რომელ არს ციხის-ძირის თავსა და დადგა მუნ.

სცნა რა ესე ავ-გიორგი, შემოკრიბნა სპანი თვისნი, რაოდენ ძალ-ედვა, და წარმოემართა, მოვიდა და მოადგა გარე ციხესა მას მტუერისასა. და ადგა სამსა თუესა და ვერ უძლო აღებად. მაშინ ავ-გიორგი მიუძლუანა ღვნო ერთითა საღვითა და მიუმცნო ესრეთ ბაგრატს: „ვინათგან ესეოდენი უამი არს ციხესა მაგას შინა შეწყუ-დეულ ხარ და არა ჯერ არს ძისა მეფისა შეჭირვება უღვნობითა და შეიძლენ ღვნო ესე და სუ ამისაგან ნუგეშინის საცემელად შენდა, რამეთუ პური და ღვნო ახარებს გულსა კაცისასა“.

და ვითარცა მიართუუს ბაგრატს სიტყუა ესე და ღვნოცა იგი, მაშინ აქუნდაციხესა მას შინა ორაგული ახალი და ღვნისა მის წილ წარმოსცა ორაგული იგი, მეტყუელმან ესრეთ: „ეგეოდენი უამი არს, ვინათგან მდგომარე ხარ პირსა ზედა ქსნისასა და არა მოგვალვიან ორაგული და ესრეთ სიმტკიცით არს ცხოვრება ჩუენი. ან მიირთვ ესე, და ამით საცნაურ არს, რომელ ვერ ძალ-გიძს აღება ციხისა ამის“.

ხოლო მოართუეს რა ავ-გიორგის ორაგული იგი, მაშინ სცნა სიმ-რავლე საზრდელთა და სიმტკიცე ციხისა მის და შეუწუხდეს სპანი-ცა მისნი. მაშინ ალიყარა და წარვიდა სახლად თვისად, და მუნ დაჰყო მცირედ. და შემდგომად მცირედისა ხანისა წარმოვიდა ზემო ქართ-

ბეჭი ეფნაფაშვილი

ლად და წარმოსტყუევნა იგი ძლიერად და წარმოიღო იავარი მრავალი და წარმოვიდა უძიშრად.

სცნა რა ესე ბაგრატ, მპერობელმან მუხრანისამან, შემოიკრიბნა მცირედნი სპანი თესნი და დაუმზირდა წევსა მას, რომელ არს ძალისსა და ჭაპურს შუა. ხოლო რომელნიმე სპანი ავ-გიორგისნი წინათევენ წარმოსრულ იყვნეს ნაშოვრითა. ხოლო ავ-გიორგი უკანით-კერძო წარმოემართა ნადირობითა და შექცევითა. და ვითარცა მოინია მუნ, სადა ბაგრატ მზირად განწყობილ იყო მაშინ მიეტევნეს გულითა სრულითა და მსწრაფლ დაემზუა სილადე და ამპარტავანება მისი. ძალისს შეიძნეს; და შეიძყრა თკთ ბაგრატ, და შეიქმნა სარტყელი და შეუკრა მწარნი.

ხოლო იყო ავ-გიორგი ენითა ბრგუნილ, რქუა ავ-გიორგი ბაგრატს: „ვის ეკადრება შეპყრობა და შეერვა მწრისა?“ და რქუა ბაგრატ ავ-გიორგის: „ჯერეთ ესე მოვანიე შენ ზედა და ან გამცნებ, თუ რა მოინიოს შენ ზედა, ვინ ხარ და რა კაცი ხარ, რეგუნი და ჭკუა-მცირე“. ხოლო ავ-გიორგისთანაც მყოფნი რომელნიმე კახნიცა შეიძყრნეს და სხუანი ლტოლვილნი შეიქნეს და წარმოართუეს ნატყუენავი, რომელი წარმოელოთ მათცა მრავალი. და წარიყვანეს შეპყრობილი ავ-გიორგი და პატიმარ-ყო, ციხესა მას შინა მტუერისასა, ქორონიკონსა ს-ა, ქრისტეს აქეთ ჩ-ფიდ.

ხოლო ბაგრატ მიუმცნო საქმე ესე ძმასა თვესსა მეფესა დავითს, და განიხარა სიხარულითა დიდითა. და შემდგომად მცირედისა უამისა მოაშთვეს ავ-გიორგი ციხესა მას შინადა მოკუდა. ხოლო სცნა რა სიკუდილი მისი მეფემან დავით, შეწუხნა. მაშინ აღიღეს გუამი მისი და წარიღეს მცხეთას ეკლესიასა მთავარ-ანგელოზისასა ჩრდილოეთით-კერძო და მას შინა დამარხეს, და აღასრულეს წესი დაფლვისა, და კეთილად მოურნე ექმნეს, ვითარცა ჯერ არს მიცვალებულთათვე. ხოლო დაშთა ავ-გიორგის ძე ერთი და ეწოდა სახელი ყრმასა მას ლევან.

ამისა შემდგომად განილაშქრა მეფემან დავით კახეთსა ზედან

და დაიპყრა სრულიად კახეთი, და მტკიცედ ეპყრა იგი უამსა რაოდენსამე. ხოლო მეფე დავით განაგებდა კეთილად ქართლსა და კახეთსა.

და იყო ყრმა იგი ლევან დედითურთ სახლსა შინა ჩოლაყაშვილის გარსევანისასა. რამეთუ იყო მეყვსი დედა იგი ლევანისა ჩოლაყასშვილის გარსევანისა, რომელი იყო სახლთ-უხუცესი კახის ბატონისა.

მაშინ აუწყეს მეფესა დავითს ყრმისა მისთვე ლევანისა, რამეთუ აღორძინებულ არს კახეთსა შინა. და წარავლინა ძმა თვისი ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი, რათამცა მოიძიონ ყრმა იგი, თუ სადა არს. მაშინ იწყეს ძიება მკედრთა მათ კახეთისა სახლთა შინა დიდთა და მცირეთასა. და განავლინეს ბრძანება და შემოიფიცეს ყოველნივე, რათამცა გამოაცსალონ ყრმისა მისთვეს, თუ სადა არს. და ესრეთმოვლეს რომელიმე კახეთისა კერძონი.

მაშინ წარიყვანეს ლევან მოსკოვისა კნიაზთანა, და დედა მისი დედოფალი ელენე ალიყვანეს ციხესა მაღლანისასა, და განამაგრეს ციხე იგი, და მერმე მივიდეს ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი სახლსა ჩოლაყაშვილის გარსევანისასა. და მას ლამესა კეთილად უმანსპინძლა, და დღესა მეორესა დაუმტკიცა ფიცით გარსევან, ვითარმედ: არა არს სახლსა ჩემსა, და რომელიცა იხილეთ თუალითა თქუენითა სხუა არავინ არს სახლსა შინა ჩემსა“.

ხოლო იყო რაოდენიმე ხანი. კუალად მოვიდა ლევან სპითურთ რუსით, და შთამოვიდა კახეთს, და შევიდა ციხესა მას შინა ოჩონისასა, რომელ არს თავსა ივრისასა. მაშინ კახნი ყოველნივე მივიდეს მის თანა და შეჰვიცეს და მიერთნეს ლევან, ნარმოიყვანეს და გაიბატონეს. და დაიპყრა კახეთი ლევან.

ხოლო სცნა რა საქმე ესე მეფემან დავით, შემოიყარა სპანი თვესი და წარემართა კახეთსა ზედა გადავლო გომბორი და შთავიდა კახეთად. მაშინ კუალად იპყრა კახეთი და შემოეყარნეს კახნი ყოველნივე.

და დაიპყრა სრულიად კახეთი, და მტკიცედ ეპყრა იგი უამსა რაოდნენსამე. ხოლო მეფე დავით განაგებდა კეთილად ქართლსა და კახეთსა.

და იყო ყრმა იგი ლევან დედითურთ სახლსა შინა ჩოლაყაშვილის გარსევანისასა. რამეთუ იყო მეყვსი დედა იგი ლევანისა ჩოლაყაშვილის გარსევანისა, რომელი იყო სახლთ-უხუცესი კახის ბატონისა.

მაშინ აუწყეს მეფესა დავითს ყრმისა მისთვის ლევანისა, რამეთუ ალორძნებულ არს კახეთსა შინა. და წარავლინა ძმა თვისი ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი, რათამცა მოიძიონ ყრმა იგი, თუ სადა არს. მაშინ ინწყეს ძიება მკვდრთა მათ კახეთისა სახლთა შინა დიდთა და მცირეთასა. და განავლინეს ბრძანება და შემოიფიცეს ყოველნივე, რათამცა გამოაცსადონ ყრმისა მისთვის, თუ სადა არს. და ესრეთმოვლეს რომელნიმე კახეთისა კერძონი.

მაშინ წარიყვანეს ლევან მოსკოვისა კნიაზთანა, და დედა მისი დედოფალი ელენე აღიყვანეს ციხესა მაღრანისასა, და განამაგრეს ციხე იგი, და მერმე მივიდეს ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი სახლსა ჩოლაყაშვილის გარსევანისასა. და მას ლამესა კეთილად უმანსპინძლა, და დღესა მეორესა დაუმტკიცა ფიცით გარსევან, ვითარმედ: არა არს სახლსა ჩემსა, და რომელიცა იხილეთ თუალითა თქუენითა სხუა არავინ არს სახლსა შინა ჩემსა”.

ხოლო იყო რაოდენიმე ხანი. კუალად მოვიდა ლევან სპითურთ რუსით, და შთამოვიდა კახეთს, და შევიდა ციხესა მას შინა ოჩინისასა, რომელ არს თავსა ივრისასა. მაშინ კახნი ყოველნივე მივიდეს მის თანა და შეჰვიცეს და მიერთნეს ლევან, წარმოიყვანეს და გაიბატონეს. და დაიპყრა კახეთი ლევან.

ხოლო სცნა რა საქმე ესე მეფემან დავით, შემოიყარა სპანი თვისნი და წარემართა კახეთსა ზედა გადავლო გომბორი და შთავიდა კახეთად. მაშინ კუალად იპყრა კახეთი და შემოეყარნეს კახნი ყოველნივე.

და დაიპყრა სრულიად კახეთი, და მტკიცედ ეპყრა იგი უამსა რაოდენსამე. ხოლო მეფე დავით განაგებდა კეთილად ქართლსა და კახეთსა.

და იყო ყრმა იგი ლევან დედითურთ სახლსა შინა ჩოლაყაშვილის გარსევანისასა. რამეთუ იყო მეყვსი დედა იგი ლევანისა ჩოლაყაშვილის გარსევანისა, რომელი იყო სახლთ-უხუცესი კახის ბატონისა.

მაშინ აუწყეს მეფესა დავითის ყრმისა მისთვეს ლევანისა, რამეთუ აღორძინებულ არს კახეთსა შინა. და წარავლინა ძმა თვეს ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი, რათამცა მოიძიონ ყრმა იგი, თუ სადა არს. მაშინ ინყეს ძიება მკვდრთა მათ კახეთისა სახლთა შინა დიდთა და მცირეთასა. და განავლინეს ბრძანება და შემოიფიცეს ყოველნივე, რათამცა გამოაცსადონ ყრმისა მისთვეს, თუ სადა არს. და ესრეთმოვლეს რომელნიმე კახეთისა ეკრძონი.

მაშინ წარიყვანეს ლევან მოსკოვისა კრიზთანა, და დედა მისი დედოფალი ელენე აღიყვანეს ციხესა მაღრანისასა, და განამაგრეს ციხე იგი, და მერმე მივიდეს ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი სახლსა ჩოლაყაშვილის გარსევანისასა. და მას ღამესა კეთილად უმანსპინძლა, და დღესა მეორესა დაუმტკიცა ფიცით გარსევან, ვითარმედ: არა არს სახლსა ჩემსა, და რომელიცა იხილეთ თუალითა თქუენითა სხუა არავინ არს სახლსა შინა ჩემსა“.

ხოლო იყო რაოდენიმე ხანი. კუალად მოვიდა ლევან სპითურთ რუსით, და შთამოვიდა კახეთს, და შევიდა ციხესა მას შინა ოჩინისასა, რომელ არს თავსა ივრისასა. მაშინ კახნი ყოველნივე მივიდეს მის თანა და შევფიცეს და მიერთნეს ლევან, წარმოიყვანეს და გაიბატონეს. და დაიპყრა კახეთი ლევან.

ხოლო სცნა რა საქმე ესე მეფემან დავით, შემოყარა სპანი თვესი და წარემართა კახეთსა ზედა გადავლო გომბორი და შთავიდა კახეთად. მაშინ კუალად იპყრა კახეთი და შემოეყარნეს კახნი ყოველნივე.



ხოლო ლევან ივლტოდა; წარვიდა და შევიდა ციხესა მას შინა, რომელ არს თავსა მაღრანისასა. ხოლო მიადგა მეფე დავით და მოცვა გარემონი ციხისა მის, და ბრძოლა უყო ძლიერად.

ამას უამსა შინა მიციდეს ურიცხუნი სპანი ოსმალთანი, და მოაოქრეს სრულიად სამცხე, და ვერ აღუდგეს მესხნი წინა წარმოვიდეს მუნითვან და მოვიდეს ქართლს. და ვერავინ აღუდგა წინა, რამეთუ ქართველი ყოველნივე კახეთს იყვნეს ლაშქრად. და ვითარცა ესმა მეფესა დავითს მოსლვა იგი ოსმალთა, ჯერეთ არა გამოაცხადა, ამისთვის რომე ძლიერად შეჭირვებინა ციხესა მყოფნი, და მცირედსა ხანთა შინა ეგულებოდა აღება ციხისა მის, და წარავლინა მოციქული მეფემან დავით ამილახორი და მთავარ-ეპისკოპოზი, და სთხოვა ციხე.

მაშინ ფრიად შეჭირვებულ იყვნეს ციხესა შინა მყოფნი, და ვერ ძალ-ედვათ გამაგრება ციხისა მის. და რა ესდა საქმე ესე დედასა ლევანისასა მისლვა ამილახორისა და მთავარ-ეპისკოპოზისა, და არღარა ჰქონდათ ღონე ციხის მიცემისაგან კიდე. რა შევიდა მთავარ-ეპისკოპოზი და ამილახვარი ხილვად დედისა ლევანისა, მაშინ აღდგა დედა იგი ლევანისა და მიეგება შემთხუევად მთავარ-ეპისკოპოზისა. და რა მივიდა, თქუა მთავარ-ეპისკოპოზმან იდუმალ: „მაგრა იყავით, რამეთუ დამესა ამას უკუ-ვეყურებით ციხესა ამას და წარვალო ქართლს“. მაშინ წარვიდა დედა იგი ლევანისა სიხარულით, და აუწყა საქმე მეციხოვანთა მათ და განამტკიცნა იგინი.

ხოლო დღესა მეორესა სთხოვეს ციხე და მათ დიდად უარჲყვეს მიცემა ციხისა და შემოუთუალნეს სიტყუანი მაგარნი. მაშინ წარმოვიდეს მოციქული ციხე და აუწყეს მეფესა მას დავითს. ხოლო მსწრაფლ აიყარა მეფე დავით და წარმოვიდა ბრძოლად ურუმთა, მოინია ზემო ქართლს. მაშინ ენყვენეს ძლიერად ოსმალთა და ძალითა მრავალ-მოწყალისა ღმრთისათა მიეცა განმარჯუება ქართველთა. და მოსწყვდნეს მრავალნი ოსმალთაგანნი, და სხუანი შეიპყრეს

და ტყუე-ყვნეს, და წარმოართუეს ალაფი და ნაშოვარი მითი, და სხუანი რომელიმე ლტოლვილი წარვიდეს სახედ თვსა.

მაშინ რაჟამს წარმოვიდა მეფე დავით, კუალად დაიპყრა ლევან კახეთი. და შემოეყარნეს კახნიცა სრულიად. და იყო მაშინ ლევან ნლისა შვდის. ხოლო რაჟამს ესმა მეფესა დავითს პყრობა კახეთისა, მაშინ შეიყარნა სპანი და წარვიდა კუალად კახეთსა ზედა, მივიდა საგარეჯოს, და შემოეყარნეს გარესჯელნი და მას-აქათნი კახნი ყოველნივე.

მაშინ ლევან იდგა ქისიყს და ახლდეს რომელნიმე კახნი მივი- და მეფე დავითცა ქისიყსა და ეწყვნეს ურთიერთას. და სძლო სა- მართალმან ლევანისამან, რამეთუ ესრეთ, მონყალე არს ლმერთი ქურივთა და ობოლთათვეს. და მცირითა სპითა განემარჯუა ლევანს მეფესა დავითს ზედა. და მეოტ იქმნა და წარმოვიდა ქართლსა.

მაშინ ლევან მტკიცედ იპყრა კახეთი. და შემდგომად მცირედისა დაემძახა ლევან, მპყრობელი კახეთისა, გურიელსა და მოიყანა ასული გურიელისა ცოლად, და ეწოდა თინათინ. და ამან გურიელის ასულმან თინათინ უამსა სიყრმისა თვესისასა იხილა ჩუენებასა შინა ესრეთ, რომე მიჰყვანდა იგი სძლად კაცსა ვისმე მთავართაგან- სა და გზასა ზედა დაისადგურეს დღესა ერთსა; და მას ადგილსა, რომელსა მდგომარე იყვნეს, იხილა მუნ შინდი ერთი მდგომარე, და იყო შინდი იგი თეთრი; და აუწყებდა ვინმე კაცი სამღდელოთაგანი, რათამცა აღუშენოს მონასტერი დედასა ღმრთისასა ადგილსა მას, სადა იდგა შინდი იგი თეთრი. და ესრეთ იხილა ჩუენება იგი.

ხოლო რაჟამს სთხოვა ლევან მპყრობელმან კახეთისამან გური- ელსა ასული იგი მისი თინათინ ცოლად, მაშინ მოსცა გურიელმან და წარმოიყვანეს კახეთს. მაშინ მიინივნეს იგინი შუამთას და მუნ განისუენეს მას დღესა. ხოლო მიმოიხედვითა ასული იგი გური- ელისა თინათინ და იხილა მუნ შუამთას შინდი იგი თეთრი, რომე- ლი პირველ ეხილვა ჩუენებასა შინა, და მოექსენა ჩუენება იგი და შინდი, რომელი მდგომარე იყო ნიშად ეკლესიისა მის მომასწავლე-

ბეჭი ეფნატშვილი

ბელად. მაშინ გულისჯმა-ჰეყო და სარწმუნო იქმნა განგებულებასა მას ზედა. ხოლო რაუამს იქორნინა, შემდგომად მცირედისა უამსა იწყო შენებად შუამთას მონასტერსა დედისა ღმრთისასა, რამეთუ ფრიადი მოსწრაფება აჩუენა და უამსა რაოდენსამე შინა ალაშენა იგი, შეასრულა და შეამკო ყოვლისავე სამონასტროსა წესთა და სამკაულითა, და შესწირნა აგარაკი და დაბანი, და დაადგინა მას ზედა მოძღვართ-მოძღვარი. და იგი შემზადა სამარხოდ თვალი.

ხოლო შვა ამან გურიელის ასულმან თინათინ ძენი ორნი: სახელი ერთისა მის ალექსანდრე და მეორისა მის ვახტანგ. და ამისა შემდგომად მიიცვალა გურიელის ასული თინათინ, და დაუტევა. ანდერძი, რათა არა დამარხონ გუამი მისი ქმრისა თვისისა ლევანის თანა, არამედ დაემარხოს იგი შუამთას თვისსა ალშენებულსა მონასტერსა. და ყველა ეგრეთ. და ამისთვის არა დაემარხა ქმრისა თვისისა თანა, რამეთუ ლევან იყო სიძვისა და მრუშების მოყუარე.

და კუალად ისუა ლევან ცოლი სხუა, ასული შამხლისა, რომელსა ენოდა შამხალისა მას სახელად ყარამუსალ. და კუალად მიეცა შამხლისა ასულისა თანა ძენი სამნი: გიორგი, ელიმირზონ და ქაიხოსრო.

ხოლო მეფე ქართლისა დავით მეფობდა კეთილად მშვიდობით.

ქორონიკონსა ს-ზ: აღიძრა ყაენი და ნარმოვიდა ულუსითა საქართველოსა საქრისტეანოსა; ხატთა და ჯუართა ყველასა ატყუევებდეს. პატრონმან მეფემან დავით თვისი შვილი რამაზ გაგზავნა და ყაენს წინა მიაგება, და დაიწინა საქრისტეანო. და დაპყორადენიმე ხანი და მერმე დღითა აღსავსემან აღირჩია კეთილი ნაწილი და იქმნა მონაზონ, და უნდეს სახელად დამიანე. და ეს-ხეს ძენი სამნი: ლუარსაბ, დომიტრი და რამაზ.

ქორონიკონსა ს-ზ: მიიცვალა დიდისა მონასტრისა გენათისა მოძღვართ-მოძღვარი ილარიონ პატრონი, თუესა მაისსა ვ-, და გორის-ჯუარით აქა გელათს მოასუენეს.

ამასვე ქორონიკონსა მიიცვალა მეფის ბაგრატის შვილი მუცლის ტკივილითა, და იყო მეფე დავით-ყოფილი დამიანე სინანულსა

და ვედრებასა ღმრთისასა, რამეთუ აღეშენა სენაკი მცხეთას და იყოფებოდა სიმართლით. მაშინ იყო ქორონიკონი ს-იდ.

უამსა ამას ჯდა კათალიკოზი მელქისედეკი, ძმა მეფის დავითისა.

ქორონიკონსა ს-იდ: მისცეს ბაგრატის ქართლი მეფესა იმ-ერეთისასა, არადათის წყალს გამოლმა: ალი, სურამი და ახალდაბა.

ამასვე წელსა მიიცვალა მეფე დავით. ტფილისის ქალაქს, და დამარხეს მცხეთას.

ამასვე წელსა იქორნინა ქემან მისმან ლუარსაბ, და შეირთო ცო-ლად მეფის ბაგრატის ასული თამარ, მარტასა კ-ე.

და მეფობდა ლუარსაბ ძალითა და შეწევნითა ბაგრატისითა. და იყო ყაენად შაპისმაილ, მეოთხე შევილისშვილი იყო შიხისა მის, რომელი გამოჩნდა პირველ არდაველს. და დაიპყრა შაპ-ისმაილ სამ-კვდრო თვისი არდაველი, და მუნითგან იწყო ბრძოლად სპარსეთისა და დაიპყრა სპარსეთი.

ქორონიკონსა ს-იგ: მიიცვალა იმერელი ბატონისშვილის ვახ-ტანგის ცოლი, კახთა მეფის ასული ხვარამზე.

ქორონიკონსა ს-იზ: მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, იანვარსა ი-ამასვე წელინადსა დაჯდა მათი ძმისწული სვიმონ, და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისასა.

ამასვე ქორონიკონსა მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ლიხთ-იმ-ერი სამ საეპისკოპოზოდ, ბრძანებითა აფხაზეთისა კათალიკოზისა აპაშინდისათა. ინება ღ(ვ)თივ-გვრგვნოსანმან მეფეთ-მეფემან ბა-გრატ და დედოფალთა დედოფალმან ელენე დიდისა და ცათა მობა-ძავისა საყდრისა, ახლისა იერუსალიმისა, გენათისა ეპისკოპოზისა მელქისედეკისა საყუარელის ძისა, საუკუნოდცა არს წისენება მათი.

ამასვე დროსა იმავე პატრონმან გააჩინა ხონელ ეპისკოპოზად მჩხეტის-ძე მანოელ მისვე აფხაზეთისა კათალიკოზისა წელითა საყდართა შიგან ბირვინტისათა, ქორონიკონი იყო ს-იზ: წარვედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა კ-, და მოვედით ივლისსა კ-.

ამასვე უამსა მონაზონ იქმნა გიორგი, ძმა დავით მეფისა, და

ბეჭი გრიგორიშვილი

უწოდეს სახელად გერასიმე. და ბაგრატცა, ძმა მეფის დავითისა და გიორგისა, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა, და უწოდეს სახელად ბარაბე.

ხოლო რაჟამს მონაზონ იქმნა ბაგრატ მპურობელი მუხრანისა, და ესხნეს მას ძენი ოთხი: ერეკლე, არჩილ, აშოთ და ვახტანგ. მაშინ მტკიცედ ეპყრა ქართლი მეფესა ლუარსაბს. ხოლო კათალიკოზი მელქისედეკ პირველვე განძებულ იყო და იდგა მონასტერსა არმაზისასა, და იყო კათალიკოზად გერმანე, და ტფილელად დომენტი, და მროველად გედეონ.

ქორონიკონსა ს-ით: ივლისსა ი-ა მიიცვალა მწეცის-ძე სარგის.

ხოლო ოდეს დაიპყრა ქუეყანა სპარსეთისა შაპ-ისმაილ, მაშინ ნარმოებართა და განიგულა დაპყრობა საქართველოსი, მოვიდა ძალითა დიდითა და სპითა ურიცხვთა, და დაიბანაკა აღჯაყალას. მაშინ სცნა რა მეფემან ლუარსაბ, შემოიყარა სპანი თუსნი და დადგა ტფილისს, განამაგრა ციხე-ქალაქი.

ხოლო შაპ-ისმაილ ნარმოგზავნა ამირსპასალარი ყარაფირილ სპითა ურიცხვთა. კუალად შემდგომად მცირედისა ნარმოგზავნა მიშკარბაში ელიასბეგ სპითა ურიცხვთა. და შემდგომად მათსა თვითცა ნარმოვიდა. მაშინ ნარვიდა მეფე ლუარსაბ ტფილისით და მივიდა ღელესა მას თელეთისასა, და მუნ განაწყო სპა თუსი. და რა-ჟამს მოვიდა ყარაფირი ამირსპასალარი, და ეწყვნენ ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. და მწერე იბრძოდეს სპანი ქართველობინი, ვითარცა ლომნი, და მოსწყვდნეს ურიცხუნი თათარნი. მიდრკეს იგინი და ოტებულნი ივლტოდეს, ვითარცა ჯოგი კანჯრისა ლომთა-გან დანქრეული.

მაშინ შეემთხვია წინათ-კერძო მიშკარბაში ელიასბეგ. ოტებულთა მათ ყიზილბაშთა. და კუალად უკუმიოაქციანნა ლტოლვილნიცა იგი, და თვისითა სპითა წინაგანენყვენეს ქართველთა. კუალად შეიქმნა ბრძოლა ძლიერი, უძლიერესი პირველისა, და ძალითა ლმრთისათა კუალად მძლე ექმნეს ქართველნი და მოსრეს უმრავლე-

სი პირველისა ომისა. და იოტნეს იგინი და მიჰყვნენ უკანა მათსა ქართველი, სრვიდეს. და ამოსწყვდნეს მრავალნი. და აღმოვიდა შაპ-ისმაილიცა ყოვლითავე ძალითა თესითა და სპითა უმრავლესითა. ესრეთ მოინია მთასა თელეთისასა, რომელ არს კერძოთა ტაბაზმელისათა. გარდმოხედნა შაპ-ისმაილ და იხილნა სპანი თესნი ძლიერად ოტებულნი და მიმოდანქრეულნი, და უმრავლესნი დაწოცილნი, და უკანა მათსა ქართველი ფიცხლად მდევნელნი და განლაღებულნი მათ ზედა. ამას ზედა შეწუხნა შაპ-ისმაილ, და შემოუტიცეს შაპ-ისმაილ და სპათა მისთა ყარაყოინლუთა.

მაშინ დაშთეს ქართველნი ნინათ-კერძო და უკანა მათსა შაპ-ისმაილ და სპანი მისნი, რამეთუ ფრიადისა ომისაგან მაშურალთა ქართველთა, რაც ოდენ ძალ-ედვათ, ძლიერად ბრძოლა უყვეს, და განგრძობასა შინა ომისასა იძლიერეს სპანი ქართველთანი. მაშინ ივლტოდა მეფე ლუარსაბ და მივიდა ზემო ქართლს, და კუალად ენება შეკრება სპათა და ბრძოლად არამედ ვერდარა უძლო ადრე შეყრა, რამეთუ დაიფანტნეს ქართველნი.

და ნარმოვიდა შაპ-ისმაილ და გარე-მოადგა ციხესა ტფილისისასა და ბრძოლა უყო ძლიერად. მაშინ აღუთქუეს ნიჭი დიდი ციხისთავსა მას ტფილისისასა, და ესრეთ მოინდო ციხისთავი იგი, და მისცა ციხე. და დაიპყრა ციხეცა და ქალაქი, და ქმნა მრავალი ბოროტი. შემუსრნა წმიდანი ეკლესიანი, და შეაგინნეს სინმიდენი, და მრავალნი ხატნი და ჯუარნი ნარყვნეს. და თვთ შემუსრა ჭელითა თესითა სიონთა ღმრთისმშობელი და განძარცუა მრავალფასი სამკაული, ქართველთა მეფეთაგან სასოებით შემკული; ამან უღმრთომან მიჰყო ნარმდებად ბილნი ჩელი თვსი და შემუსრა, და უფასონი იგი თუალნი და მარგარიტნი თვთ ნარილო, და წმიდა იგი ფიცარი განაშიშულა მძლავრმან უსჯულომან შაპ-ისმაილ, და დას-დვა თავსა ზედა განსავალსა მას ჭიდისასა, რომელ არს ციხესა შინა ტფილისისასა.

და შეიპყრნეს მრავალნი ქრისტეანენი, და მიჰკრიბეს ჭიდსა მას


 ბერძოლის გენერალი

ზედა და მძლავრებით აიძულებდეს ფერწითა დათრგუნვად ხატსა მას. რომელთამე ქრისტეანეთა ფრიად უარ-ჰყვეს განსლვა წილსა მას ზედა და დათრგუნვად ხატსა მას წმიდისა დედოფლისა ჩუენ-ისასა, და მრავალთა აღირჩიეს სიკუდილი და არა დათრგუნეს ხატი იგი, და წარეკუეთნეს წმიდანი და ყოვლად ქებულნი თავნი მათ-ნი, და ან იმოთხვენ ყუავილთა მათ შინა დაუჭნობელთა, წმიდათა ორმეოცთა მონამეთა თანა. ხოლო რომელნიმე ქრისტეანეთაგანი მომედგრძეს უძლურებითა წორცთათა და დაკლებულ იქმნეს სას-უფეველისაგან, რამეთუ ვერა-რა ივაჭრეს, და განვიდეს კრებისა-გან ცალიერი.

ხოლო ოდეს აღასრულა ყოველივე სიბოროტე თვისი მძლავრმან უსჯულომან შაპ-ისმაილ, მაშინ გარდაუტევეს ხატი იგი წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა მდინარესა მას შინა მტკუარსა და წარილო ხატი იგი წყალმან მან, და განვიდა ქუემოთ-კერძო წიაღ მდინარისა მის. ეპა საკურველება ესე და სასწაული ხატისა მის, რამეთუ არავე განეშორა ტაძარსა თვისსა, არამედ იყო რამ წიაღ მდინარისა მის, ხე ტირიფისა მდგომარე, და ძირსა ზედა მისა მიყრდნობილი წალმართ სუენებული იხილა ვინმე მწყემსმან, მიმაგალმან კახეთად, და განსავალსა წყლისასა აღილო და განიხ-არა ფრიად, და თაყვანის-ცა მწყემსმან მან აღილო და მიართუა მპყ-რობელსა მას კახეთისასა ბატონს ლევანს; და მხიარულ იქმნა დი-დად და მიანიჭა მწყემსსა მას წყალობა მრავალი. და იწყო მეორედ შემკობად ხატისა მის და, რაც ოდენ ძალ-ედვა, აჩუენა მოსწრაფება დიდი და ესრულ შეამკო, ვითარცა ან იხილვების სიონისა ღმრთისმ-შობელი. და კუალად ზედა-ნერილ არს ხატსა მას ზედა ცხოვრება კახეთის მპყრობელის ლევანისა. ხოლო ოდეს განასრულა ხატი წარმოგზავნა ხატი იგი პატივითა დიდითა სიონსა შინა, და არს მიერითგან ვიდრე აქამომდე ზე-აღმკულ ლევანის მიერ.

ხოლო აღაშენა შაპ-ისმაილ მეჩითი სჯულისა თვისისა ყურესა მას წიდისასა, და შეაყენნა მცველნი თვისნი, და განამაგრა ციხე,

და წარვიდა. და ამას შინა შემოიკრიბნა სპანი თვისნი მეფემან ლუარსაბ, და წარმოემართა შაპ-ისმაილსა ზედა, და ეგულვა კუალად ბრძოლა მისი. და რაუამს ცნა აღება ციხისა მის და შექცევა შაპ-ისმაილისა, დაუმძიმდა ფრიად. მაშინ კუალად იპყრა ქართლი მეფემან. და ამასვე უამსა შინა ენია რისხვა ღმრთისა ულხინებელი შაპ-ისმაილს. და ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა, და დაჯდა მის ნილად ძე მისი შაპ-თამაზ.

ხოლო შაპ-ისმაილ იყო კაცი მზაკუარი, და ამან გამოაჩინა სჯული შიასი და იწყო ძაგებად და გინებად სჯულისა ოსმალთასა, და განთქმულ ჰყო სახელი ალიასი, და იწოდა თავი თვისიმედ ალიასა, და მიერითგან ირწმუნეს ყიზილბაშთა ძედ იმამისა, და ვიდრე აქამომდე სწამსთ, და უპყრიესთ მტკიცედ. ხოლო გამდიდრდა შაპ-თამაზ უფროს მამისა თვისისა და დაიპყრა მრავალი ქუეყანა უცხოთა, რომელი არა ეპყრა მამასა მისსა.

ხოლო მეფემან ლუარსაბ დაიპყრა ტფილისი, და ალილო ციხე ტფილისისა და გაამაგრა. მაშინ შაპ-თამაზ იდგა ყარაბაღს, დაესმა აღება ტფილისისა ციხისა, შემოიკრიბა სიმრავლე სპათა რჩეულთა და ესე იდუმალ წარმოემართა ტფილისისა ზედა. და ამას უამსა შინა მიიცვალა ტფილისს ძე მეფის ლუარსაბისი ყრმა მცირე. და წარიღეს ყრმა იგი მცირე მცხეთას სამარხოსა თვისსა, და წარიყვნეს თანა მეფე და დედოფალი. და რომელსაცა დღესა განვიდეს ტფილისით, მასვე ღამესა შემოვიდა შაპ-თამაზ ტფილისისა შინა, და დაიპყრა სრულიად ქალაქი და ზეგარდამოთა განგებითა ღმრთისათა მორჩეს დიდსა განსაცდელსა მეფე და დედოფალი და მათ თანა მყოფნი ქართველნიცა.

ხოლო სცნა რა საქმე ესე მეფემან, წარვიდა სიმაგრეთა შინა, და ეგრეთვე სრულიად ქართველნი წარვიდეს სიმაგრეთა შინა. ამისთვის ვერდარა შემოიკრიბა სპანი თვისნი მეფემან, რამეთუ იყვნეს დაუხიზნავნი ქართველნი, და ყოველნივე დასახიზნავად წარვიდეს.


ბეჭი ეგნატაშვილი

მაშინ შაპ-თამაზ მოაწია მრავალი ბოროტი ტფილისსა ზედა: შეიძყრეს და განსძარცვეს ხატი იგი მეტებისა, სახე წმიდისა ღმრთისმშობელისა, და ამოსწყვდნა მრავალი სულნი. ხოლო ციხისთავსა გულბადს შეეშინა დიდად მეფისა თვისისაგან: ნუ უკუე ესე საქმე ესე დამადვის მეფემანი“, და გარდამოვიდა ციხით, და მივიდა შაპ-თამაზთანა; და მიანიჭა წყალობა მრავალი და სხუანი მეციხოვანნი რომელნიმე წარვიდეს სახლსა და რომელნიმე მიერთნეს ყიზილბაშთა.

მაშინ ციხისთავმან გულბად და სხუათა მეციხოვანთა დაუტევეს სჯული თვის და მიიქცეს სჯულსა მაჲმადისსა. და დაიპყრა შაპ-თამაზ ციხე იგი და განამაგრა, და თვით შეიქცა და წარვიდა ყარაბალს. მაშინ შეურიგდა მპყრობელი კახეთისა ბატონი ლევანი, და წარვიდა შაპ-თამაზ ნახჩევანს ქუეყანასა სომხითისასა, და დაიმორჩილნა ყოველნივე ურჩნი და ჰყვნა საბრძანებელსა ქუეშე თვესა.

ქორონიკონსა ს-კა: დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლად ზღვთ ნავებითა, და შეიბნეს თუესა იანგარსა ოცდაათსა. პირველსა დღესა ამათ გაემარჯუა; მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ღმერთი ოდიშართათვეს, უღალატეს. და გამოექცნეს, დადიანი და გურიელი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს; მოექცევნეს; ჯიქნი და შეიბნეს: მრავალი დაწოცეს დადიანმან, გურიელმან და გურიელის ლაშა ქართა. მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და მისნი აზნაურშვილნი. დაღალულნი ომისაგან შეჩრდებულმან ცანდია ინალდიფითა გაინდვნა, დადიანი გააშიშულეს, სრულიად შიშუელი დაჭრეს გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ეპისკოპოზნი, და მისნი ლაშქარნი ტყუე ყვეს. წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიწინნა ცოცხალნი, და მკუდარნი ფასით იყიდნა.

ქორონიკონსა ს-კგ: მერე ალექსანდრე, ძე ლევანისა, იშვა.

ამასვე ქორონიკონსა მურჯახეთს შეიბნეს; აგვისტოს ი-გ, დღე-

ახალი ქართლის ცხოვრება
 

სა ხეთშაბათსა, შეიძა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყუარყუარე ახალქალაქსა, და დაიწოცნეს მრავალნი კაცნი, და გაემარჯუა მეფესა, და ჭელთ დარჩა ყუარყუარე და მისნი ლაშქარნი, და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესმან.

და უამსა ამას ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა იყო სამცხეს, და ვითარცა ესმა დაპყრობა სომხითისა, წარმოებართა იგიცა და მოვიდა შაპ-თამაზთანა მიზეზითა ამით, რაჟამს გაემარჯუა ბაგრატს ყუარყუარე ათაბაგსა ზედა, და დაიპყრა ბაგრატ საათაბაგო. მაშინ ოტებულ იქმნა ოთარი შალი კაშვილი, ივლტოდა იგი, და თანა-წარიყვანა ძე ათაბაგის ყუარყუარესი ქაიხოსრო. მივიდეს სტამბოლს და მოაჯე ექმნენს ხვანთქარს. და შეინყალა ხვანთქარმან, და მოსცა ჯარი მრავალი, და თოფი, და ზარბაზნები დიდ-დიდნი, და უჩინა ამირსპასალარად მუსტაფა ფაშა, და წარმოგზავნა იგინი ბრძოლად ბაგრატისა.

ხოლო ესმა რა ამბავი ესე ბაგრატს, მპყრობელსა იმერეთისა-სა, ამისთვის წარვიდა შაპ-თამაზთანა, და არავინ წარიყვანა კაცნი უჭალარონი, არამედ არჩინა კაცნი ჭაღარანი, და წარიყვანნა დიდებულნი და მცირენი, მოხუცებულნი, ჭკუისმყოფელნი, ჭაღარანი, კაცნი მსგავსნივე მისნი.

ხოლო იყო შაპ-თამაზ აიდარბეგს, და მივიდა ბაგრატ. დიდად პატივ-სცა ყაენმან, და დაისუა წინაშე, აქა მოხუცებულნი მიმყოლნი მისნი. და უბრძანა ყაენმან ბაგრატს, რათა მოსნიოს მშელდსა, და მოუტანეს მშელდი ძლიერი ბაგრატს. ხოლო, ბაგრატ არა რამე თავს-იდვა, და ეპყრა მცირე რამე ნატეხი წვრილი ჯოხი, და მით ას-წია. ხოლო ყაენმან გაიცინა, და მისცა საბოძვარი დიდი და გამოისტუმრა. ითხოვა ბაგრატ მისგან შენევნა და ძალი ოსმალთა ზედა. და იყო მაშინ შაპ-თამაზ ფრიად უცალო, ვერა ათხოვა ჯარი, და მისცა საბოძვარი მრავალი, და მით შემწე ეყო. და წარვიდა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა სამცხეს.

მაშინ წარავლინა ბაგრატ კაცი და ითხოვა გურიელისაგან შეწ-

ბეჭი ეჭნატაშვილი

ევნა. და წარმოვიდა გურიელი სპითა თვესითა და მოვიდა ბაგრატის თანა.

ქორონიკონსა ს-კე: მეფე სვიმონ იშვა, ძე ლუარსაბისი.

ქორონიკონსა ს-ლა: ხვანთქრის ფაშები მოვიდეს, კ-ბ ათასი, და სრულიად ტაო ამოსწყვდეს. მოუქდა ბაგრატ მეფე და ენცვენეს ურთიერთას, იქმნა ბრძოლა ძლიერი. მისცა ღმერთმან გამარჯუება ბაგრატს და იოტენეს ოსმალნი, მოსრნეს მრავალნი მახვლისათა. მაშინ მოკლეს თვთ მუსტაფა ფაშა, და სხუანი ივლტოდეს ოსმალნი. და იშვენეს მრავალნი საგანძურნი, და დაიპყრა მტკიცედ საათაბაგო.

ამისა შემდგომად კუალად წარვიდა ხვანთქართანა ოთარი შალიკაშვილი, და ქაიხოსრო ძე ათაბაგისი, ესმა რა ხვანთქარსა, დაუმმიმდა ფრიად. და კუალად წარმოავლინა აზრუმისა ფაშა, და დიარბექირისა, და სხუანიცა მრავალნი, და შეკრბა სპათა სიმრავლე ურიცხვ. და ესრეთ წარმოემართა სამცხესა ზედა. სცნა რა ესე ბაგრატ, წარმოუვლინა კაცი და ითხოვა შენევნა მეფისა ლუარსაბისაგან.

ხოლო მეფე ლუარსაბ იყო კაცი სახიერი და ფრიად ზრუნვიდა საქართველოსათვს, და ეძნებოდა უცულოთა ზედა-მოსვლისათვს და დაკრინებად საქრისტეანოსა. მაშინ მოუწოდა სპათა საქართველოსათა და წარემართა შენევნად ბაგრატისა რამეთუ ამან მეფე-მან ლუარსაბ მრავალგზის აწვივნა იმერელნი, მესხნი და კახნი შენევნად უსჯულოთა ზედა, არამედ იგინი არა თანა-შემწე ექმნეს. და ესოდენ უმეტეს მოუწენე იყო მათთვს, ვითარცა მამა შვილთათვს ტკბილ არს და ლმობიერ, ეგრეთვე ესეცა ტკბილ იყო მათთვს და არა ძვრის მოაქსენე. და ვითარცა წარვიდა ესე, მაშინდა წარვიდა გურიელი სპითა თვესითა. და შეკრბეს ყოველნივე სამცხეს.

ხოლო მოვიდეს ოსმალნი ურიცხუნი ბასიანს, ქორონიკონსა ს-ლგ, და მივიდეს ესენიცა მუნ, სადა ოსმალნი დაბანაექულ იყვნეს. ხოლო იქმნა რამე განზრახვა ქართველთა შორის და მესხთა. თქუეს ქართველთა და ალირჩიეს მეწინავედ მისლვა, არამედ მესხ-

ახალი ქაზთლის ცხოვრება

თა არა თავს-იდვეს, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: „ძუელითგანვე მეწინაობად მისლვა მესხთათვს განწესებულ არს და ანცა ჯერ არს ჩუენდა მისლვაო, და რამეთუ რიგი ესე და წესი ძუელითგანვე გუაქუსო“.

ხოლო უმეტეს ქართველთა არა უსმინეს, და იქმნა ცილობა ურთიერთას შორის, და აღეგზნა შური დიდი. აპა იხილეთ, მს-მეწელნო, გაბეჭვა და მკუეთელობა საქმისა, ვითარი იგი ჰყვეს მაშინ ლომ-ვეფხებრ მწეც-ქმნილთა რჩეულთა მათ სპათა ქართველთა უსჯულოთა მათ ზედა, და მიეტევნეს ქართველნი, ვითარცა ელვა ქუხილისა ცისა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და შეიბრნეს სოხოიტს ზედა იმერელი მეფე ბაგრატ, და ქართლის მეფე ლუარსაბ, და ათა-ბაგი პატრონი ქაიხოსრო, და სრულიად საქართველო იყო, და ორი ფაზა იყო. და მეფენი მეოტი იქმნეს.

მაშინ შურითა ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს გან-დრეკილება, და არლარა მიჰყვნენ ომსა შინა. ხოლო სცნეს რა გან-დრეკილება მესხთა, უფროსად განინირნეს თავნი თვესნი ქართველთა და იმერელთა, და გარგრძელდა ომი, და მოისრნეს მრავალნი იმიერ და ამიერ, და უფროსად მოსწყდნეს ოსმალნი, ვიდრე ოთხი ზომა მოისრა. მაშინ მოკლეს ძე გურიელისა ქაიხოსრო და სხუანი მრავალნი ქართველნი და იმერელნი. ქმნეს სახელი დიდი, და შე-მუსრეს ყოველივე საომარი საჭურველი, და ესრეთ დარჩნენ, რომ საბრძოლველი იარაღი აღარა ჰქონდათ. და იყო ომი ძლიერი დილითგან ვიდრე მწუხრადმდე.

მაშინ სიმრავლისაგან სპათასა იოტნეს სპანი ქართველთანი, დამაშურალთა ქართველთა სძლეს სმალთა და მეოტი იქმნენ, და ლტოლვილი ნარმოვიდა მეფე ლუარსაბ ქართლს და ბაგრატ იმ-ერეთს.

ხოლო დაიჰყრეს ოსმალთა სამცხე-საათაბაგო, და აღილეს ყოველნივე ციხენი და სიმაგრენი სამცხისანი, და გააბატონეს ქაიხოსრო, ძე ყუარყუარესი, და იქმნა ათაბაგ. მაშინ შემოიკრიბნა მესხნი

ბეჭი ეფნატაშვილი

დიდნი და მცირენი ყოველნივე, და მთავრობდა ოთარი შალიკაშვილი. ხოლო ათაბაგი ქაიხოსრო დაემოყურა მშენებელსა მუხრანისასა ბაგრატს, მოიყვანა ცოლად ასული ბაგრატისი დედისიმედი და იქორწინა. და იყო ქალი ლალ და ამპარტავან, გლისპი და არა მოშიში ღმრთისა.

ქორონიკონსა ს-ლდ: აწყურისა ღმრთისმშობელი ტყუედ წაასუნა ციხისჯუარს იმერელ მეფემან ბაგრატ.

ქორონიკონსა ს-ლ: ტაოს ქუეყანა დაიჭირეს თათართა ურუმთა.

ქორონიკონსა ს-მა: არტანუჯი ნაგუართუეს ურუმთა, და არსიანამდის დაიჭირეს ფარნაკანი, და სრულ არტანი დაიჭირეს, და ფარნაკანი აღაშენეს, აწყურისა ღმრთისმშობლის შენევნითა სამცხეს ვერ გარდმოვიდეს, და მძლავრობდენ ფრიად ყოვლისავე მესხთა ზედა და ვერლარა შეუძლეს ტკრთვად ბოროტის ყოფასა თსმალთასა. მაშინ ოთარმან შალიკაშვილმან და ათაბაგმან და ყოველთავე მესხთა ნარავლინეს მოციქული თვთმპყრობელის ერანის მპყრობელის შაპ-თამაზის თანა, და ფრიად მოავე ექმნეს, ებირნეს და ითხოვეს მისგან შენევნა, და აღუთქუეს მორჩილება და დამონება ვითარცა პირველ.

ხოლო ვითარცა ესმა შაპ-თამაზს, განიხერა ფრიად და წარმოემართა სპითა ურიცხვთა საათაბაგოსა ზედა; მოესწრა ყაენი შაპ-თამაზ. ბატონი ქაიხოსრო მოვიდა; ვარძია, თმოგვ, და ვანის ქუაბი, და აწყური, ასპინძა, ვარნეთი და სრულიად სამცხის ციხეები აღილო, და ვარძიისა ღმრთისმშობელი და სრულიად ციხეები ბატონს ქაიხოსრის. მოსცა. და წარვიდა ყაენი და ჩავიდა სომხითს, და დაწოცნა [...] და ვახუშტი დიასამიძე, და ამაონ ტყუედ წაიყვანა მარიამობის თუესა.

ამასვე ქორონიკონსა ციხისჯუარიდამ აწყურისა ღმრთისმშობელი ტყუედ წაასუნეს იმერეთს.

ხოლო სცნა რა საქმე ესე ხვანთქარმან სულთან სულეიმან, წარმოვიდა იგიცა ძალითა მრავლითა და გულისწყრომითა მესხთა ზედა.

მაშინ შაპ-თამაზ ვერდარა უძლო წინააღმდეგომად მისსა და მოიპოვა მზაურება ესე, და მიუმცნო ოთარს შალიკაშვილსა სიტყუანი გულისწყრომისანი. მიუწერა წიგნი რისხვისანი, და ექადდა მოკუეთასა თავისასა, და სრულიად იავარ-ყოფასა ქუეყანისა მათისასა. ამისთვის მოსწერა ესე წიგნი, რომ ოთარს მიეგზავნა ხვანთქრისათვეს, რომ შაპ-თამაზ ჩემი მტერია და ესრეთ მექადვისო, და მით მორჩომოდა ხვანთქარსა. ვითარცა მიუვიდა წიგნი იგი ოთარსა, მეყსეულდ წარუვლინა წიგნი სულთან სულეიმანს, და მიუმცნო სიმართლე თავისა თვისისა და უბრალო-ყოფა მისლვისათვეს ყაენისა.

მაშინ მიხედა ღმერთმან მესხთა, და შეიბრალა სულთანმან და წარვიდა სახიდ თვესად სულთანი, და წარვიდა ყაენიცა. ხოლო ბაგრატს, მპყრობელსა იმერეთისასა, აქუნდა შური დიდი დადიანისა, რამეთუ მაშინ ოდეს შეება ურუმთა ბაგრატ, ესე დადიანი არა თანამწე ეყო მას. ამისთვეს განიზრასა და მოაწვია დადიანი ლეონ ჭალასა ხონისასა, და ღალატად შეიპყრა იგი ბაგრატ მპყრობელმან იმერეთისამან და პატიმარ ჰყო. მაშინ მიუმცნო გურიელსა საქმე ესე, და აწვია იგი განლაშქრებად ოდიშსა ზედა და აღუთქეუ ნახევარი ოდიშისა.

ხოლო გურიელმან არა უსმინა და თქუა გულსა შინა თვესა: „ვინათგან ოდიშიცა დაიპყრას, განლაღნების და მერმე ალიძრვის ჩემ ზედაცა ბოროტის-ყოფად უეჭუელად“. ხოლო რაუამს სცნა ბაგრატ არა მოსლვა გურიელისა, მაშინ ენება თუაღებისდანვა დადიანისა და არლარა ინება, და ჰყვანდა იგი პატიმრად გელათს სამრეკლოსა შინა.

მაშინ ათაბაგმან ქაიხოსრო, სცნა რა შეპყრობა დადიანისა, ალძრა ჩემიძე ხოფილანდრე და გააპარა დადიანი, და მიიყვანა ათაბაგთანა. ხოლო ათაბაგმან და გურიელმან წარიყვანეს და გააპატონეს იგი ოდიშს, და კუალად იპყრა დადიანმან ოდიში.

ამისა შემდგომად გაუწყრა ხვანთქარი გურიელსა, და მოიქსენა ძვრი პირველი, რაუამს იგი თანაშემწე ეყო ბაგრატს, და მოსწყვ-

ბეჭი უფრატშვილი

დნეს სპანი მრავალნი ხვანთქრისანი. ამისთვის წარგზაინა სპანი მრავალნი გურიასა ზედა, და მოვიდეს ბათომს, და იწყეს შენებად ციხისა. მაშინ შემოიკრიბა სპა თვისი გურიელმან და წარვიდა მათ ზედა, და მისცა ღმერთმან ძლევა და გაემარჯუა გურიელსა. დაუტევეს ბათომი, და შევიდეს ზღუასა შინა ნავებითა. და აღუდგეს მათ ლელვანი მძაფრნი, და განყარნა იგინი ჭორასს გალმართ; და იყო იგი მდინარე ჭორახი აღდიდებულ, და ვერდარა განვლეს იგი ცხენებითა გურიელმან და სპათა მისთა.

მაშინ მივიდეს გონიას, და იწყეს შენება ციხისა; და გამაგრდენ ოსმალნი და იწყეს მძლავრება, ამოსწყვტეს ჭანეთი, და თვით დაიპყრეს. ხოლო გურიელმან ითხოვა შენევნა ბაგრატისაგან და დადიანის ლეონისაგან. მაშინ დადიანმან შემოიყარა სრულიად აფხაზნი და ოდიშარნი, და წარვიდა.

ხოლო ბაგრატცა წარავლინა ძმა თვისი ვახტანგ, და სპანიცა იმერელნი წარატანნა კაცი ხუთასი. და აუწყა ბაგრატ ძმასა თვისა ვახტანგს: „ამას წადიერ იყავ, რათა არა ჰყონ დადიანმან და გურიელმან ერთობა. და უკეთუ იგინი გაერთდენ, მრავალი ბოროტი გუენიოს ჩუენ მათ მიერ, და ეცადე, რომე დადიანი არ შეეყაროს გურიელსა“, რამეთუ მაშინ იდგა დადიანი თუალსა რიონისასა.

და ვითარცა მივიდა ვახტანგ საჯავახოს, მიუმცნო დადიანსა, ვითარმედ: „შენცა უწყი, ვითარცა მე ფიცი ვარ შენი და არა-რას დაგიფარავ. ესე უწყოდე, რამეთუ ძმამან ჩემმან ბაგრატ და გურიელმან შეთქმულება ყვეს შენ ზედა; და თუ მოხვალ გურიას, ღალატი ნებავსთ შენი. მაშინ სცნეს რა ესე მეგრელთა მოშიშართა, არღარა იწებეს წამოსლვა გურიას, და მივიდა ვახტანგ როსტომ გურიელთანა ბათომს.

ხოლო ვინათგან არღარა მოვიდა დადიანი, ვერდარა შეუძლო გურიელმან ბრძოლად ოსმალთა, და ვერცალა განვიდეს გალმა, რამეთუ არა აქუნდათ ნავები. მაშინ ოსმალნი უფროსლა განძლიერდეს, და აღაშენეს ციხეები. ხოლო წარმოვიდა ვახტანგ იმერეთს.

ამისა შემდგომად მიიცვალა ბაგრატ, მპყრობელი იმერეთისა, და დამარხეს გელათს. და დაიპყრა იმერეთი ძემან მისმან გიორგი.

და ეპყრა როსტომს გურია ნელსა იპ, და მიიცვალა იგიცა, და დაეფლა შემოქმედს. და ესხნეს ძენი სამნი, და უხუცესსა ეწოდა გიორგი და ესე დასუეს გურიელად. ხოლო ესუა ასული როსტომ გურიელისა ძესა დადიანისასა ცოლად. და შემდგომად სიკუდილისა მისისა განუტევთ ქალი იგი ძემან დადიანისმან და ქმნა დადი ბოროტი, რამეთუ ბიძასა თვესსა წაართუა ცოლი და თვთ შეირთო ცოლად.

და გამოწედა ხანი რამე და კუალად ერთობა ყვეს გიორგი გურიელმან და დადიანმან ლეონ. და შეირთო გურიელმან ასული დადიანისა ცოლად, და შემდგომად მცირედისა მანცა განუტევა ასული დადიანისა, და იძია შური.

სცნარა ესე გიორგი, მპყრობელმან იმერეთისამან, მაშინ ეზრახა გურიელსა და კვეს ერთობა. რამეთუ ჰყვა მას სძალი ქურივი, და მისცა იგი ცოლად გურიელსა გიორგის შურად დადიანისა, და იწყეს მტერობად დადიანისა. და ვერლარა შეუძლო წინააღმდეგომა მათი დადიანმან, და მეოტად წარვიდა სტამბოლს, და მოაჯე ექმნა ხვანთქარსა და ითხოვა მისგან შეწევნა. მაშინ მოსცა ხვანთქარმა სიმრავლენი სპათანი აზრუმელნი და ტრაპიზონელნი, წარმოვიდეს და მოიწივნეს სატყეპელას.

ხოლო გურიელმან ვერლარა უძლო წინაგანწყობა მათი სიმრავლისაგან სპათასა. მაშინ წარავლინა მოციქული ხუენნად დადიანისა, და მისცა სისხლი განტევებისათვს ასულისა მისისა, ფლური ათასი, და შერიგდენ დადიანი და გურიელი.

ხოლო გიორგი, მპყრობელმან იმერეთისამან, მოაწვია სახლსა თვესსა ჯავახ ჭილაძე და ღალატითა მოკლა იგი. მაშინ იწყონა საქმე ესე გურიელმან და დადიანმან, და მივიდეს და დაიპყრეს საჯავახო და განიყვეს: წახევარი დადიანმან დაიპყრა და წახევარი გურიელმან. ამისა შემდგომად წარვიდა დადიანი ნადირობად, და ჯაიანმან


 ბეჭი ეგნატაშვილი

შეაძგერა ცხენი და მოკლა დადიანი, და დასუეს ძე მისი უხუცესი გიორგი დადიანად.

მაშინ გურიელმან გიორგი გარდიბირა უმრნემესი ძმა მისი მამია, ესე მოიყვანა გურიას და შერთო გურიელმან და თვისი ცოლად მამიას, ძესა დადიანისასა. ხოლო ულაშქრა გურიელმან, წარვიდა ლაშქრითა და მივიდა ზუგდიდს, და მუნ შემოება დადიანი და გაემარჯუა გურიელსა და წარიოტეს დადიანი, და დასუა დადიანად მამია,

და წარვიდა გურიელი სახიდ თვისად. მაშინ დადიანმან გიორგი შემოიყარნა სპანი აფხაზთანი და წარმოემართა. და კუალად მოუვიდეს ჯიქნიცა შეწევნად და ჩერქეზნიცა. მაშინ ათხოვა გურიელმან ჯარი დადიანსა მამიას. და ეწყვენ ურთიერთას. კუალად გაემარჯუა მამიას, და იულტოდა გიორგი დადიანი.

ხოლო დადიანი გიორგი მოაჯე ექმნა მპყრობელსა იმერეთისასა გიორგის. მაშინ აღუთქუა შეწევნა მპყრობელმან იმერეთისა-მან, რამეთუ უამსა ამას ესუა ცოლად გიორგის, მპყრობელსა იმერეთისასა, ასული ჩერქეზის ბატონისა. და კუალად ჰესამე და ამათი იყო გაუთხოვარი სახლსა შინა იმერეთის მპყრობელის გიორგისა-სა, რომელი აღეზარდა მათ. და ესე უმცირესი ასული ჩერქეზის ბატონისა სთხოვა დადიანმან გიორგი მპყრობელსა იმერეთისასა. მა-შინ აუწყა საქმე ესე გურიელსა და მან ესრეთ უპასუხა: „ვინათგან დადიანსა ნებავს გაერთება ჩუენი, მომცეს საუპატიო და სისხლი დისა ჩემისა განტევებისათვეს, ვითარცა მე მივეც სისხლი განსატევებელად დისა მაგისისა, და იყოს მშედობა ჩუენ ყოველთა შორის. და იქმნას დადიან მოყუარე და ქვისლი თქუენი და ჩემი“. მაშინ დაურთო ნება და აღუთქუა მიცემა სისხლისა გურიელსა დადიან-მან. ხოლო არა აქუნდა თეთრი, და მისცა გირაოდ ხოფი; რომელიცა სისხლი გურიელს მიეცა, ეგეოდენისა მიცემა აღუთქუა; და ამის გირაოი დაუდვა ხოფი. და მაშინ მისცეს ასული იგი ჩერქეზის ბატონისა და გაერთდენ სამნივე.

ხოლო სცნა რა საქმე ესე მამია დადიანმან, იგიცა ლმობიერ იქმნა უხუცესობისათვეს ძმისა თვისისა, დაურთო ნება და დაანება დადიანბა. მაშინ მამია დადიანს ძმისცეს სარჩოდ ლომკაცის ჭილაძის უეული და რევანოზისეული, და ესრეთ შეითვისნეს ურთიერთას და იქნა მშედლობა სამთავე საბატონოთა შინა. ხოლო სცნა რა ესე დათულიამ, ბიძამან დადიანის გიორგისამან, შემოყარა საჯავახოელნი და ნარვიდა საღალატოდ დადიანის გიორგისა. აგრძნა საქმე ესე დადიანმან, და ვერდარა უდალატა, და ნარვიდა საჯავახოს დათულია. ხოლო დადიანმან და მპყრობელმან იმერეთისამან შეუთუალა გურიელსა და აუწყა ღალატი დადიანისა, და მიუმცნეს ესრეთ: საჯავახო „შენთვეს დაგნებებია და დათულიას უდალატეო“.

ხოლო გურიელმან უდალატა და შეიძყრა დათულია, და დაატყუევა უზურებელს, და თკო დაიპყრა საჯავახსო. მაშინ შეუთუალეს გურიელს სიკუდილი დათულიასი, და გურიელმან არ მოკლა, ესრეთ შეუთუალა: „შენის სახლის კაცს მე არ მოვკლავო, შენ მოკალო“. და მერმე ამათ გაგზავნეს კაცი, და მოაშთვეს იგი. ამის შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი, და კუალად დაიპყრა მამიამ დადიანობა. ხოლო დაშთა დადიანს ძე ერთი, რომელსა ეწოდა ლეონ. მაშინ განირისხა ლმერთი მამია დადიანმან, ნაართუა დედასა მისისა, და ნარმოიყვანა ყრმა იგი, და შეხფის ციხეში დაატყუევა, და იყო ყრმა იგი გამოუცდელი, და ვერ გაუძლო ტყუებასა, შენუხდა ყრმა იგი განშორებისათვეს დედისა თვისისა, და გარდმოიგდო თავი თვისი ციხისა მისგან და ესრეთ აღესრულა იგი.

ხოლო ჟამსა მას შინა შეითქუნეს მეცე ქართლისა ლუარსაბ, მპყრობელი კახეთისა ლეონ და ათაბაგი ქაიხოსრო. ამათ შეკრეს პირობა, და დაუწყეს რბევა და ოქრება ქუეყანასა ყიზილბაშისასა ადარბადაგანსა. მაშინ განუდგა შაჰ-თამაზს მპყრობელი შირვანისა ასანბეგის შვილი დავრიშ მაჰმად მაშინ შაჰ-თამაზ შემოიყარა სიმრავლენი სპათანი, ნარმოვიდა და ნამსავე მოიწია ყარაბაღს. მაშინ ნარავლინა კაცი და შეუთუალა ლევანს, მპყრობელსა კახე-



პეტი ეჭნატაშვილი

თისასა, და გარდამოიბირა იგი. და მივიდა ლევანშაჲ-თამაზთან. და იყო განდგომილ დავრიშ მაჲმად, ძე ასანბეგისა, რამეთუ უამსა მას ოდეს ეპყრა შაჲ-ისმაილს შაჲისი, მას უამსა მიუკუდა ბატონი ლევან ასანბეგს, და იავარჲყო შაჲისი, და მოკლა ასანბეგ. ამისა შემდგომად მოიყვანეს ძე მისი დავრიშ მაჲმად, და გააბატონეს შაჲელთა, და მტერ იყვნეს ურთიერთას დავრიშ მაჲმად და ბატონი ლევან.

ხოლო შაჲ-თამაზ გაუძახა ლაშქარი თუსი შირვანსა ზედა, მაშინ დავრიშ მაჲმადი შეიყარა სპა თუსი, დაესხა თავსა, და მოსრა მრავალი ჯარი შაჲ-თამაზიც და გამოაქცინა იგინი, ქრისტეს აქეთ ჩ ფოვ.

ხოლო შაჲ-თამაზ აღიყარა სპითა ურიცხვთა, და ნარვიდა შირვანს, და მისნერა შაჲ-თამაზ წიგნი დავრიშ მაჲმადს მისლვად მის თანა, და აღუთქუა არა მოქსენებად ძვრსა, არამედ მინიჭებად მრავლისა პატივისა. ხოლო მან არა ისმინა მისი, და უფროსად განამაგრა ციხეები, და ეგო სიმტკიცესა ზედა.

მაშინ ნარვლინა ბატონი ლევან სპითა მრავლითა მის ზედა. და მივიდეს რა, შაჲისი მოაწერეს, და იავარ-ჲყვეს სრულიად შაჲისი, და გარე-მოადგეს ციხესა მას, რომელსა შინა იყო დავრიშ მაჲმად. და იყო ხანსა რაოდენსამე, და ვერლარა უძლო გამაგრება, და ღამით განვიდა ციხისა მისგან. ხოლო სცნა რა ბატონმან ლევან, დევნა უყო, მიენია და შეიძნეს, და გაემარჯუა ბატონს ლევანს, და მოკლეს დავრიშ მაჲმად, და შემოიცა გამარჯუებული, და მოართუა თავი დავრიშ მაჲმადისა შაჲ-თამაზს. ხოლო უყო წყალობა მრავალი ბატონს ლევანს, და ნარმოვიდა სახიდ თუსად კახეთს.

მაშინ შაჲ-თამაზ ნარვიდა ყარაბალს, და შემდგომად მცირედისა წარმოემართა კუალად ტფილისსა ზედა, და ქმნა მრავალი ბოროტი, მოაწერა სრულიად ტფილისი და აღილო ციხე ტფილისისა და შეაყენნა მცველნი თუსნი და ვერა-რა ავნო მეფესა ლუარსაბს, რამეთუ უამსა მეფობისა მისისასა არა მორჩილ ექმნა ყიზილბაშთა, არცა ოსმალთა, და მრავალი ჭირი შეაჩუენა ორთავე, და არა დაამონა საქართველო უსჯულოთა სახარკოდ. მაშინ შაჲ-თამაზ ინება მოყ-



ურობა ქაიხოსრო ათაბაგისა, და არა ჰყვანდა ასული ათაბაგსა. მაშინ ოთარს შალიკაშვილს გამოართუა ასული, რომელი იყო მეცნიერი ათაბაგისი, და მის ნილად ნარუებზავნა შაპ-თამაზს, და მან შეირთო იგი ცოლად, და დიდად საყუარელ უჩნდა ქალი იგი, და მიერითგან იყო ფრიად კეთილისმყოფელ ათაბაგისა.

სცნა რა ესე მეფემან ლუარსაბ, შეიყარა სპა თვისი და მიუწდა ათაბაგსა, და ნარულო თემნი და დაბანი მრავალნი, ააოქრა და ნარმოვიდა გამარჯუებული. ხოლო ათაბაგმან ქაიხოსრო მიუმცნო ესე ყოველივე შაპ-თამაზს, რამეთუ მას უამსა ნარმოსრულ იყო მტერობად ათაბაგისა აზრუმის ფაშა ისკანდარ, და აუწყა იგიცა შაპ-თამაზს, ქორონიკონსა ს-მდ.

ამისა შემდგომად ხვანთქარი სულთან სულეიმან გამოვიდა, და ყაენს ჩაუდგა, კარი აღაშენა, და უკმობრუნდა, და ასიანს მოვიდა. მაშინ ყაენმან შაპ-თამაზ შეიყარა სიმრავლენი სპათანი, და ნარმოდგა, და მოვიდა არტანს. მაშინ გაგზავნა შაპ-თამაზ ძე თვისი მირზა ისმაილ კარს, და დაიპყრა კარი, აღილო ციხენი და სიმაგრენი, და რომელი იყვნეს ყმანი ხვანთქრისანი მოსრნა პირითა მახვლისათა, და განსდევნნა იგინი, და თვთ დაიპყრა კარი. ხვანთქარი ნარვიდა.

ხოლო ვინცა იყვნეს განდგომილნი ათაბაგისნი, ყოველნივე მოსრნა პირითა მახვლისათა, და აღილო ციხენი და სიმაგრენი მათნი, და შემუსრნეს წმიდანი ეკლესიანი, და მრავალნი ხატნი და ჯუარნი, და დაამონნა ურჩნი და განდგომილნი ათაბაგისნი, და მივიდეს ომან და შერმაზან და ივჯუშ, განდგომილნი ათაბაგნი. ხოლო შაპ-თამაზ შეიპყრა და მკვლელ ექმნა ივჯუშს და შერმაზანს, და მისიცა მამული მათი ათაბაგსა. და რაუამს განაგო საქმე მუნებური, მაშინ უკმობრუნდა ყაენი ბოროტის-ყოფად ქართლსა ზედა სპითა ურიცხვთა, ჩამოვლო თრიალეთი და ივარ-ჰყო. ნარმოემართა საპარათიანოს ზედა და მოაოქრა იგიცა. მაშინ მიადგა ციხესა ბირთვსისასა და ვერა აღილო; და აღუთქუა ნიჭი დიდძალი მეციხოვანთა და მობირნა იგინი, და დაანებეს ციხე. და რომელნიცა იყვნეს ბარათიან-

ნი ციხესა მას შინა არღარა დაინდო: რომელნიმე ამოსწყვდნა, და რომელნიმე შეინყალნა დადააყენნა მამულსა თვისსაზედა, სხუანი მრავალნი ტყუედ ჰყო.

მაშინ მეფემან ლუარსაბ ვერღარა შემოიკრიბა სპანი თუსნი, რამ-ეთუ ფრიად მოსურნე იყო ნინაგანწყობად ყიზილბაშთა. და ვინათ-გან ჯარი არღარა ჰყვანდა, ესრეთ იყო ჩუეულება მისი მცირითა კაცითა ზედა-დაქსხმოდა თარეშთა ანუ სიმაგრეთა შინა, და ესრეთ მოქმედებითა მრავალნი ყიზილბაშნი ამოსწყვდნა.

ხოლო შაჳ-თამაზ მივიდა გორს და აღიღო ციხე წედისისა, ციხე ძალათ აღიღეს, და ვერის ციხე ნებით მოსცა ფარსაბან, და უვენებელად ციხოვანნი მორჩნენ, და იქიდამ მიადგა ციხესა ატენისა, რომელ არს თავსა საცივისასა, რამეთუ მას შინა იდევნეს-დედა და და მეფისა ლუარსაბისი, და სხუანი მრავალნი ჯალაბნი თავადთანი. ამისთვის გარედამ ყაენის ლაშქარი შემოადგა და შიგნიდამ ქართველნი დაუწყეს ერთმანეთს ცემა და ბრძოლა, და მრავალნი ყიზილბაშნი დაიწოცნენ, და ციხის აღება გაძნელდა, ამისთვის რომე არც სიბა მიიტანებოდა, და არც შეეთხრებოდა, და. არც სით თოფი ესროლებოდა. და თათართ ერთი ფარეში, კავთისწეველი ბეთაშვილი, ფარეში მეფის ლუარსაბის დიდისა, დაიჭირეს, და სიკუდილის შიშით იმან უთხრა: „თუ არ მომკლავთო, ციხეს აგაღებინებო“ და ამათაც უვენებელობის ფიცი უთხრეს. და იმან ეს ამბავი უთხრა: „ჭის წყალი დალევიაო, და ჩრდილოეთისაკენ მომცრო წყალი ჩამოუდისო, და იმ წყაროს მისაპარავი გზა აქუსო, გასწავლით და ის დაუჭირეთო. და ღონე გაუწყდებისო, და ციხეს მოგცემენო“.

იმ წყლის გზა ასწავლა, ყიზილბაში წყალი უკუ-უჭირეს, ციხოვანთ მშეუელელი აღარსაით გაუჩნდათ, და უწყლოობამაც ძალი უყო, და მრავალი ყიზილბაში და ქართველნი იმ ციხის აღებაში ამოსწყდენ, და ციხე აიღეს. დედოფალი ნესტან-დარეჯან, დედა ლუარსაბისი, და დაა, და მრავალნი სხუანი ჯალაბნი თავადთანი [ტყუე ყვნა და წარვიდა].



ქორონიკონსა ს-მდ: მეფის ლუარსაბის დედა და და ქუეითი ნარასხეს ციხითგან ზედა ველამდის, და მერმე მეაქლემეთ მისცეს, და ნარიყვანეს. მეფე ლუარსაბ ხან აჩაბეთის სიმაგრეში და ხან იმ-ერეთს იყო. მაშინ ნარმოსტყუენა ციხე იგი ატენისა, დაყანი აი-ყარა და ყარაბალში ნავიდა, და ნარიყვანა უმრავლესნი ტყუეთანი.

ხოლო ესმა რა საქმე ესე მეფესა ლუარსაბს, მაშინ ნარმოუდგა უკანა ყიზილბაშთა, და ამოსნყვდნა მრავალნი თათარნი, და ნაარ-თუა ურიცხვ აღაფი, და ვერღარა ნაართუა დედა თვესი.

და რა მივიდა შაპ-თამაზ ერევანს, მაშინ სცნა დედამან მეფისა ლუარსაბისმან გაუპატიოება თავისა თვესისა. ამისთვისცა რომელნ-იმე იტყვან: „შესუა ნამალი სასიკუდინე და მოიკლა თავი თვესი და არა შეამთხვია თავისა თვესა საქმე უჯერო“. ხოლო რომელნიმე იტ-ყვან: „სასჯელითა და უპატიოებით აღესრულა“.

ხოლო უკმოიქცა მეფე ლუარსაბ ფრიად მწუხარე, და ნარვიდა შაპ-თამაზცა ადგილსა თვესა, და დასუა ხანები ყაზახს, შამშადი-ლოს, და დასუა სულთანი განჯას, და კუალად ეპყრა მათ ციხეცა ტფილისისა, და იყო ესე ყოველი წელდებული განჯას მჯდომისა სულთნისა, და ყოველი გარემონი ყიზილბაშთანი მიუჩინა ციხესა მას ტფილისისასა, რათა არღარა იპყრას მეფემან ლუარსაბ.

ხოლო მწუხარე იყო ფრიად ესრეთ განძლიერებისათვეს უსჯუ-ლოთასა მეფე ლუარსაბ, სრულ საქართველოს მეფეთა და მება-ტონეთა ზედა, ძუელთა და ახალზედ ნამეტავად ნაქები იყო. თავად სარდლად, მერმე მამაცად და უხობით პურად გამცემად, სამართ-ლის-მოქმედად და ყმა მორჩილი, ცხენოსან-ცეროსანი, უშიშარი ომში, ამაყი, ქრისტეანობის სჯულზედ მაგარი, და ურუმთა და ყიზ-ილბაშთ ნამეტავად მისგან ეშინოდათ. და მეზობელნი ვითაც ყმანი ეგრეთ ემსახურებოდეს, და სხუათა ყმობის თქმა არა იკადრა.

ამისთვეს შაპ-თამაზს ყაენმან ხუთჯერ ამაზედ ილაშქრა, და არას საქმით ვერც მოამშვდა, ვერც მოკლა, ვერც დაიჭირა, და ვერც შეიხ-უენა, ამისთვეს რომე ცოტას შემოებმოდა, ამოსნყუედდა და ბევრს

ბერი ეფნაციაშვილი

უკუ-ეფერებოდა, და ღამით დაესხმოდა და გზებზე წაეწეოდა, და მრავალს ნავნებს იქმოდა. ხოლო რომელნიმე ზემო აღნერილ არს მომრება საქართველოსი.

ვერ გაუძლო გონებამან მეფეს ლუარსაბს; ამისთვისცა შე-მოიკრიბნა სპანი თვესნი, და დაუწყო წდომა და რბევა, და ამოსწყვ-დნა მრავალნი. და რაოდენიცა ეპყრა მათ კერძონი და ადგილი საბარათიანო, იგი ყოველნივე წარმოართუა, და განდევნა, და დაიპყრა რაოდენიცა ეპყრა არენი და თემნი საქართველოსანი, თვინიერ ტფილისისა ციხისა.

შევერდი სულთან, განჯის სანი, ყაენს ამ ალაგების მცველად-დაეყენებინა, და რა მეფის ლუარსაბის ლაშქრის შეყრა გაიგონა, მანცა არაზის-აქათი ლაშქარი შემოიყარა და მეფეზე წარმოვიდა.

რა ეს შეიტყო, მეფე ლუარსაბ გორითგან გარის ვარხუნას მივ-იდა, იქითგან შავერდი სულთან წამოვიდა და მოვიდა ქართლად. და იმ ღამეს მეფე ლუარსაბს სიზმარი ენახა. და მეორეს დილას კა-თალიკოზი და საქართველოს თავადნი და თავისი შეილები მოიქმო და ასრე უთხრა: „სიზმარი ვნახეო, მართალი და ჭეშმარიტად დასა-ჯერიო, რომ უსაცილოდ ჩუენ გავიმარჯუებთო, და ყიზილბაშნი გაიქცევიანო, და ამ ოში მე მომკვლენო, და ჩეეს მომკვლელსაც ქართველნი მოჰკვლენო“.

მაშინ ჰყვანდა მეფესა ქენი სამნი: სვიმონ, და დავით, და ვახტანგ. და მაშინ უხუცესსა შვილსა სვიმონს წელი მოჰკიდა და ქართველთ უბრძანა: „წელმნითვობა ამისთვის მიმიცემიაო, და კიდეც ეს ღირსაო“ და შვილთაც ასე უანდერდა: „უფროს ძმას დაემორჩილენითო“ და ყველას უბრძანა, და ფერვთ აკოცეს, და მეფე აკურთხეს. და ასრე ანდერძი დაუგდო: „ჩემის სიკუდილით ნუ მოიშლებითო, და ნურც ჩემის სიკუდილის წმას დააგდებთო. რა ყიზილბაშნი გალახოთო, მას უკან მცხეთას მინას მიმაბარეთო. ჩემს გლოვა-ტირილს დაე-წენითო, ქუეყნის შენახვას გაფრთხილდითო“.

რა ესე სიზმარი მეფისაგან გაიგონეს, სრულ ყველანი ატირდენ

და ასრე მოაწენეს: „რადგან მაგისთანა სიზმარი გინახავს, ამ-გზობით ნუ შევეძმითო და უკუ-ვეცალნეთო“. ეს სიტყუა მეფემან შორს დაიჭირა და ასე უპასუხა: „დღეს-აქამომდე ხვანთქარსა და ყაენს ზურგი არ შევაქცივე; რით იქნების, რომ ახლა ერთს ყაჯარს პირი ავარიდოო“ ქართველი დიდად ეაჯნეს, მაგრამ მეფემან ლომ-გუნებისამან ზრახვას სიკუდილი არჩია.

და რა სულთან შავერდი რაზმ-წყობით მოახლოვდა, და არა ინ-ება მეფემან ომი მინდორსა ზედა, და ჩავიდა გარისს, და უთავა ქართველთა უხუცესი ძე თვის სვიმონ, და მივიდა სვიმონ სპითა თვისითა მენინავედ, და თკო მეფე უკან-კერძო მდგომარე იყო, და ახლდა თანა კათალიკოზი და ეპისკოპოზი და მოხუცებულნი ერისკაცნი. რა მოვიდეს ყიზილბაშნი, მაშინ მიეტევა მათ სვიმონ და სპანი ქართველთანი, ვითარცა ლომი განძვნებული, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მაშინ მოეცა ღმრთისა მიერ ძლევა ქართველთა, და მოსწყვდნეს ურიცხუნი სპანი თათართანი, და წარიქციონეს იგინი, და ივლტოდეს. და დევნა უყვეს უკანა მათსა და დაანქრივნეს, რამეთუ ვერლარა უძლეს ზოგად წარსლვა, არამედ დასწყვდნეს ურთირთას; და ვიდოდეს შეცოომილნი ღელეუშენთა და ტყეთა მიმართ. და ერთ-კერძო წარივლტოდა სულთანი იგი შავერდი-ბეგ.

ხოლო მაპმად სულთან სპითა თვისითა შელტოლვილ იყო ტყე-სა შინა შეშინებული, და ვერლარა ეძლო წარსლვა დღისით. მაშინ იხილა მეფე ლუარსაბ მცირედითა კაცითა, შემოუტივა მეფესა, და განმწნდეს ძალითა ღმრთისათა მეფე და მის თანა მყოფნიცა ეპისკოპოზი და მოხუცებულნი ერისკაცნი, და იქმნეს ვითარცა ჭაბუქნი. და კუალად იქმნა ბრძოლა ძლიერი, და სძლო მეფემან, და წარიქციონეს იგინი, და მოსწყვდნეს მრავალნი ყიზილბაშნი.

ხოლო მეფემან იხილა მაპმად სულთან, და არა აქუნდა ორო-ლი წელთა, რამეთუ შეემტვრია კაცსა ზედა; და განაფიცხა ტაიჭი თვისი მეფემან, შეაძგერა ცხენსა მაპმად სულთანისასა, და დაან-არცხა მინასა ზედა. კუალად მიეტევა სხუასა. რამეთუ ყოველივე

ბერი ეჭნატმენი

საბრძოლველი იარაღი დაემსხვრია მეფესა და იბრძოდა ცხენითა თვინიერ საჭურველისა. და რა მისდევდა სხუასა ყრზილბაშვილი, იყო რამე თხრილი და დანახეთქი მიწისა, და შთაუვარდა ფერწი ცხენსა მეფისასა, და წარმოექცა ცხენი მეფესა. მაშინ მოუწდა ყიზილბაში ერთი, სახელით ზაქირ, და იქადა მახვლი, სცა თავსა მეფისასა და სწყლა სასიცუდინედ, შეჯდა ცხენსა მეფისასა და ივლტოდა. სცნეს რა ქართველთა, დევნა უყვეს ძლიერად და მიენივნეს, და მოკლეს იგიცა, და სულთან მაჰმად, და სპანი მისინი ყოველნივე ამოსწყვ-დნეს.

მაშინ სვიმონს გამარჯუებოდა ძლიერად და სდევნიდა სულ-თანსა განძისასა შავერდის, და სრვიდეს სპათა ვითარცა მხალთა მდელოსათა. და აუწყეს სვიმონს საქმე ესე, და მყის შემოიქცა და მოვიდა მეფეს თანა, და მწუხარე იქმნა ფრიად და წარვიდეს. ყიზ-ილბაში განჯას, და დაიპყრნა სვიმონ ალაგნი საქართველოსანი ყოველნივე.

და იცოცხლა მცირესა ხანსა დაწყლულებისა მისგან მეფემან ლუარსაბ, და მასვე წყლულებასა შინა მიიცვალა იგი, ვითარცა წმ-იდა მონამე ვახტანგ და დავით მეფე. და ალილეს წმიდა გუამი მისი და დამარხეს სამარხოსა თვესა მცხეთას ღ(ვ)თივ-აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა. და იქმნა გლოვა და მწუხარება ქართველთა მიერ, ქორონიკონსა ს-მვ, ქრისტეს აქეთ ჩ-ფიზ.

და დაჯდა მეფედ მამისა მისისა წილ სვიმონ. და იყო უამსა ამას შინა კათალიკოზი ნიკოლაოზ. მაშინ წარიყვანეს სვიმონ და აკურთხეს მეფედ მცხეთას და მცხეთით გორს მივიდა. და ქალაქი ყიზილბაშთ ეჭირა, და გარეშე კაცნი მეფეს სვიმონს ემსახურებოდ-ენ. მაშინ დაემზახლა მეფე სვიმონ კახსა ბატონსა ლევანს. და მისცა ლევან ასული თვესი, ნაშობი შამხლისა ქალისაგან. და წარმოიყვანა იგი მეფემან სვიმონ და ჰყვეს ქორნილი სახელოვანი და ეპყრა მტ-კიცედ საქართველო.

ქორონიკონსა ს-მც: მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი არჩილ

დაიჭირეს თათართა. ალიძრა მეფე სვიმონ მტერობად და შურად ყიზილბაშთა, და იკრებდა სპასა თვესა სვიმონ, რათა აღილოს ციხე ტფილისისა. ესმა ესე ამბავი ნაპრის მცველს ყარაბაღის ბატონს, და იმანცა არეზის-წყალს გამოღმართი ლაშქარი შეიყარა, და ქალაქს მოსაშუალებლად ნარმოვიდა.

მაშინ ესმა მეფესა სვიმონს, შემოყარა სპანი საქართველოსანი, და ჩამოვიდა ციხედიდს, და მიუწერა ცოლის-ძმასა თვესა კახის ბატონის შვილს გიორგის და ითხოვა მისგან შენევნა და ნარმოვიდა გიორგი სპითა თვესითა და შემოყარა ციხედიდს.

მაშინ სცნეს საქმე ესე სპარსთა, შემოყარნეს სპანი მრავალნი და ნარმოემართნეს ტფილისს, რამეთუ უამსა მას უშენ და ოქერ იყო კაცთაგან ხუნანი, და ლვინჭრობი, და ვაშლოვანი. მოვიდნენ და დადგრენ იაღლუზას ლამესა ერთსა, და შემოვიდეს ციხესა ტფილი-სისასა, რამეთუ მათ ეპყრა ციხე იგი. უამსა მას ქართველთ ხანდაგი გაეთხარათ, ამისთვე რომე არამც მოპარვით ყიზილბაში თავს არ დაესხნენ, და ტფილისითგან ნარმოვიდეს უგრძნობელად. და მიმართეს ციხედიდს.

ხოლო მეფემან წინათვე ყარაულად გამოაყენა გერმანიზის-შვილი სოფელსა შინა მუხათგუერდისასა, გარდავდად დღესას-ნაულსა აღდგომისასა, და ეგულებოდა კუალად მუნ ჩასლვად, და შეკრვად გზებისა. და ამას შინა უგრძნობელად შეუვლეს ყიზილბაშთა მუხათგუერდი. მივიდეს და, სადაცა ხანდაგი იყო, ხანდაგთან ჩამოქდეს, და ის ხანდაგი გაასწორეს, შეუგრად დაესხნეს დღესა აღდგომისასა, აქათ ქართველთა და იქით ყიზილბაშთ რაზმი დააწყვეს. და ყიზილბაშთ მენინავეში და ქართველთ ლაშქარში ომი და ცემა გაჯშირდა, და ქართველნი ნამეტავად თავგამომეტებით იბრძოდეს, და მრავალი ყიზილბაში მოკლეს.

და რა განჯის ხანმა ასრე თავგამომეტებით ქართველთ ომი ნახა, ყიზილბაშთ ასრე უთხრა: „გზა შორსა გუაქუსო, რომ გავიქცეთო, და ვერსად გავატანთო, უკან დაგუენევიან და დაგუწოცენ.



ბეჭი ეჭნაფიშვილი

მუხანათობით სიკუდილს ისევ ვამჯობინოთო, რომ ძალმიცემით ომში ამათვე შევაკუდეთო". ყველამ „ჰალა, ჰალა“ დაიძახეს, და შეუტივეს წმალ-დაწვდილთა და იქიდამ ქართველთ წამოუშინეს. და ორგნითვე კარგად იყვნენ, მაგრამ ყიზილბაში უფრო ბევრი მოკუდა, და გაქცევასაც აპირებდენ. და კახის ჯარმან შექნა ტირილი და თავს-ცემა, რომე ბატონიშვილი გიორგი მოკლესო. ოშისა ალარა ინაღვლეს რა, მკუდარი საომარით გამოიტანეს, და ომი და ბრძოლა გაუშეს. ამაზედ ყიზილბაშთ დრო დაისცეს, მოშლილთა და მტირალთ ლაშქართ კიდევ შემოუტივეს, და ყიზილბაშთ გაიმარჯუეს, და სხუანი მრავალნი თავადნი და აზნაურნი და მსახურნი ქართლისანი უფროსლა მოსწყვდნეს, და დარჩათ ძლევა ყიზილბაშთა, და შეიცეს ქართველნი, ქრისტეს აქეთ ჩ-ფო, ქორონიკონსა ს-მთ.

იმავ ღამეს შავერდი სულთან ქალაქს შევიდა, და მეფე სკმონ თავისის ლაშქრით გორს მივიდა. და კახის ბატონის შვილი გიორგი მოკულული ლევანს მიუტანეს. შეიქმნა გლოვა და ტირილი შვილი-სათვს ბატონის ლევანისა ერთობილად კახთა. და ასრევე გორს ნესტან-დარეჯან დედოფლას საყუარელის ძმის გიორგი ბატონისშვილის. მოკვლა გაუმჟღავნეს. და საქართველოს ჯარი მოვიდა, იტირეს, იგლოვეს, და საორმოცედ ბატონი დედოფლალი, ქართლის თავადები ჯალაბობრივ კახეთს მამის მისატირებლად და საყუარელის ძმის სატირლად ალავერდს მივიდნენ, და ორმოცამდინ მამას-თან იყო, იტირა, იგლოვა და ისევ ქართლს მოვიდა.

ამავე ნელსა და ქორონიკონსა მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი აშოთან მოკლეს ფხოველთა. ხოლო იყო უმრნემესი ძმა მეფისა სვიმონისი, სახელით დავით, და შემოსწყრა ძმასა თვისსა მეფე-სა სვიმონს, და წარვიდა შაპ-თამაზ ყაენის კარსა. ყაენი ყაზმინს იყო და, რა დავითის მოსვლა წელმნიფეს მოაწსენეს, დიდად იამა, და სრულ ბეგლარი, ვინც კარზედ იყო, ნინ მიაგება, და უფროსი-ერთი ბარათიანნი თან ახლდენ, და მისის ძმის მეფის სვიმონისაგან

შემომწყრალი იყო. ამისთვის უფრო დიდად პატივ-ცეს და შვილობის რაყამი უბოძეს. და მეჯლიშშიგან ყაენმან თვესსა სიახლოვეს დაისუა, და ვითაც წელმწიფესა ქუეშ მოუფინეს, და დორი დაუდვეს, და ზედ დასუეს. და მისი თავადები მეჯლიშში დასხეს, და ალაგ-ალაგ შუაში ჩაუსხდენ. და ცოტას ხანს უკან ჰგმო ღმერთი და გათათოდა, და უნდეს სახელად დაუთხან. და მისთანანიცა დაათათორეს და საქელმწიფი იარაღი ყოველი რამე უბოძეს და მის თავადთა და აზნაურის შვილთა ხალათი, სახარჯო, ცხენი და იარაღი გაუკეთეს და უბოძეს. რაც ბატონ-ყმათ მიეცა, სრულ ცხრაათასის თუმნისა იყო. და ქალაქისა და სომხით-საბარათიანოს მეფობა მისცეს, და რაყამში შვილობით ჩაწერეს, და მესტუმრე თან გაატანეს, და დიდის პატივითა და მორჭმით გაისტუმრეს. და წელიწადში თვოთოს ნაპირის ხანს მეფის დავითის მცველად თავისის ლაშქრით მოუყენებდენ ქალაქის ციხეში.

მაგრამ მეფე სვიმონ არ ექინებოდა, და სომხით-საბარათიანოს არბევდა, და ქალაქის აღებას ცდილობდა, მაგრამ ვერ აიღო. კიდევ მეფემან სვიმონ ლაშქარი შეიყარა საქართველოს ცხენოსან-ქუეითნი, და წარვიდა ბრძოლად დაუთხანისა, ქრისტეს აქეთ ჩ-ფიტ. მოვიდა და დადგა დიღვამს. სცნა რა ესე დაუთხან ქალაქზე წამოსვლა სვიმონისი, იმანაც სომხით-ბარათიანი, თათარნი და მოქალაქენი შემოიყარნა, და ძმას საომრად მიეგება. ნახა რომე მეფის სვიმონის ლაშქარი ბევრი იყო. შეება დიღომს. იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოისრენს სპანი მეფისა სვიმონისნი მცირედნი რამე, ხოლო დაუთხანისა მოსწყდეს ორი ათასნი, სძლიეს სპათა სვიმონისთა, და წარიქციეს. დაუთხან, და მეოტი ისევ ქალაქში შემოვიდა. მაგრამ ყარამანალუს ხალიფა რომე ყიზილბაშის სარდალი იყო, ჭკუა-ნაკლები და ამაყი კაცი იყო, მეფეს დავითს არ დაუჯერა, და სამარტოოდ სახელს ეძებდა, მეფეს სვიმონს შეება, და ძალმიცემით და თავგამომეტებით ძალზედ იბრძოდა, და ბევრი ნავნებიცა ქმნა, მაგრამ თვითანაც მოკლეს და ჯარიც ამოუწყვეტეს.


 ბერი ეფნაცხაშვილი

ეს ამბავი დავით მეფემან ყაენს მისწერა, და ლაშქარი სთხოვა, და ყაენის ბრძანება იქმნა, და ასან-ბეგჲ ყარამანლუ სარდლად უჩინეს, და დიდის ლაშქრით მეფეს დავითს. მოაშუელეს; დავით მეფემანც თავისი ლაშქარი შეიყარა და მეფეს სვიმონზე გაილაშქრა.

მეფე სვიმონ დიღომს იდგა, და შეიბრუნ, ქორონიკონსა ს-ზე. იქმნა ბრძოლაძლიერი, და მოისწრეს სპანი მეფისა სვიმონისნი მცირედნი რამე, ხოლო დაუთხანისა მოსწყვდნეს ორი წილი. და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა სვიმონს და ნარიქციეს. დაუთხნა მეოტი, და შევიდეს ციხესატფილისისასა მხოლოდ, და სპანი მისნი რომელიმე მოსწრეს და რომელიმე დაიპყრნეს. მაშინ მოადგა მეფე სვიმონ ციხესა ტფილისისასა, და ეგონა მოქალაქენი მომივლენო. ყაენის შიშით მოქალაქენი არ მოუვიდნენ, და ცოლშვილი იმათაც ციხეში შეასხეს, და ციხიდამ შეიქმნეს ბრძოლა და თოფთა და ზარპაზანთა სროლა, და აღარც ბარათიანნი მოვიდნენ, და ციხიდალმეც კაცნი დაუწოდნეს, და იდგნენ უამსა რაოდენსამე, და შეაწუხნეს ფრიად.

ხოლო ნარავლინეს კაცი, და აუწყა ამირსპასალარსა შაპ-თამაზისსა უსეინ-ბეგს. შანუხება თვისი დაუთხან და ითხოვა მისგან შეწევნა. მაშინ ნარმოვიდა უსეინ-ბეგ სპითა ურიცხვთა და ღამე შემოვიდა ციხესა შინა ტფილისისასა. და ვერა სცნა მეფემან სვიმონ მოსვლა მისი და ნარვიდა სამაღლოს. ამას ზედა მოიცა ძალი და განლაღნა დაუთხან, განვიდა ციხით და მივიდა სამადლოს.

ქორონიკონსა ს-ზე: ენყვნეს მეფე სვიმონ და დაუთხან ურთიერთას, შეიქმნა ბრძოლა ძლიერი. მაშინ განლომნეს მეფე სვიმონ და სპანი ქართველთანი, და მოსცა ღმერთმან ძლევა მეფესა და ქართველთა. კუალად ნარიქციეს დაუთხან, და ყიზილბაშნი მრავალნი ამოსწყვდნეს და უმრავლესნი დაიპყრნეს და დევნა უყვეს. მაშინ ღატოლვილნი შეიხუენნეს ციხესა შინა ტფილისისასა, და მივიდა მეფე სვიმონ, და ადგა ციხესა მას უამ რაოდენმე და ვერა აიღეს; და ნარვიდა გამარჯუებული და აღვსილი საშოვრითა მრავლითა.

ხოლო დაუთხან აუწყა საქმე ესე შაპ-თამაზს, და მოავე ექმნა

ახალი ქანონის ცნობება

კუალად შეწევნად. მაშინ მოუმცნო შაპ-თამაზ შამხალსა, რომელსა ეწოდა ჩერქეზ, და სულთანსა შაქისასა, და ყარაბაღელთა, და გარე-მოთა ყოველთა ყიზილბაშთა, რათა შემწე ეყონ დაუთხანსა.

ხოლო შეიყარა სპანი ურიცხუნი, და მოვიდეს საზღვართა ქართლისათა. მაშინ წარვიდა ყორლანაშვილი კახაბერი და წინა-მიეგება მათ განჯას, რამეთუ ფრიად ეშიშოდეს ყიზილბაშთა მოსლ-ვად საქართველოსა შინა. ხოლო ამან ყორლანაშვილმან იტვირთა სისხლი მათი და წინამძღვარ ექმნა მათ, რამეთუ ვერ ძალ-ედვათ თვინერ მისსა შემოსვლა საქართველოსა შინა.

მაშინ შემოიყარა მეტემან სვიმონ სპანი საქართველოსანი და მივიდა ფარცხისს, რამეთუ მუნ მდგომარე იყვნეს ყიზილბაშნი, და იყვნეს ათგზის უმრავლეს ქართველთა. მაშინ მიეტევნეს ქართველ-ნი გულითა სრულითა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მიდრიკენეს ყიზილბაშნი პირველსავე კუეთებასა ზედა. და განმწნდეს სპანი ქართველთანი მათ ზედა, სრვიდეს და იპყრობდეს.

ამას შინა მოუწდა მეფე სვიმონ ერთსა ჭურვილსა ყიზილბაშსა, სცა ძლიერად ოროლითა და დაანარცხა მინასა ზედა, და მოკლა იგი. და კუალად სილალით მიეტევა სხუათა, და განშორდა სპათა თვესთა მაშინ იცნა იგი ყორლანაშვილმან და უთხრა ყიზილბაშთა: „ესე არს მეფე სვიმონ“ ხოლო მათ მიმართეს, და შემოერტყნეს გარე, და სიმრავლითა მათითა შეიპყრეს მეფე სვიმონ, ქორონიკონსას-ზე, და ვერა სცნეს ქართველთა შეპყრობა მისი. ამისა შემდგომად ჰქმნეს სახელი დიდი და იბრძოლეს, და მოსრნეს მრავალნი ყიზილბაშნი. და ვითარა სცნეს შეპყრობა მეფისა, დამაშურალნი ფრიად სიფიცხ-ლისაგან ომთასა, ირალი არღარა აქუნდათ, ყოველივე შეემუსრათ. მაშინ უკუმოეცალნეს ქართველნი, და წარიყვანეს მეფე სვიმონ და მიიყვანეს დაჭერილი ტფილისის ქალაქს, და დიდის პატივით ყაენ-თან გაისტუმრეს ყაზვინს. შაპ-თამაზ ყაენთან. ხოლო ყაენმან დი-დად პატივ-სცა და მისცა საბოძვარი მრავალი, და აიძულეს დატ-ევებად სჯულისა. ხოლო მეფემან სვიმონ არა უსმინა მათ, არამედ



პეტი ეჭნატეჭილია

მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა. ამისთვისცა განრისხდა ყაენი, და წარავლინეს იგი, და ტყუე ჰყვეს ციხესა შინა ალამუტისასა.

ქორონიკონსა ს-და: პატრონი ქაიხოსრო ათაბაგი წლისა ნ-ა თე-ბერგალს ო-გ გათავდებოდა მიიცვალა ყაზმინს ენკენისთუეს კ-თ, დღესა სამშაბათსა, მეცხრესა ჟამსა, მთოვარეს ბ-.

ამასვე ქორონიკონსა მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი არჩილ შირაზს გაგზავნეს ყაზმინიდამა ღვიძლისთუეს კ-ბ, დღესა ხუთშაბათსა.

ხოლო ჟამსა ამას შინა მიიცვალა კახი ბატონი ლევან ქრისტეს აქეთ ჩ-ფორე, ქორონიკონსა ს-დგ, და დაჯდა მის წილად პირმშო ძე მისი ალექსანდრე და მან დაიპყრა კახეთი.

ესე ალექსანდრე იერ ნაშობი გურიელის აულისა, ხოლო ელიმ-ირზონ და ხოსრომირზა-ნაშობი შამხლის ასულისაგან, პირველ მეფიბასა ლევანისასა. ესენი ელიმირზონ და ხოსრო-მირზა დედითაც გამო იყვნენ მეფის სვიმონის ცოლისა, და სამშობლოდ ჰყვანდათ შამხალი, და ამ ორის გზითა და ზურგით უფროს ძმას არა თავს უდებდენ, საულობდენ.

და შემდგომად ლევანის სიკუდილისა განიყვნეს კახნი: რომელ-ნიმე მიერთნენ ალექსანდრეს და რომელნიმე ელიმირზონს და ხოსრო-მირზას. და არს ჩურულება ესე კახთა ძუელითგან, და იქმნა შერი დიდი ძმათა შორის. მაშინ ნარვიდეს ელიმირზონ და ხოსრო-მირზა და მივიდეს თორლას. ხოლო ალექსანდრემ შემოიყარა თვეში კერძნი კახნი და წარვიდა მათ ზედა. და ვითარცა მივიდა, ეწყვნენ ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა, და მოიკლა ომსა მას შინა ორნივე ძმანი ელიმირზონ და ხოსრო-მირზა, და ძმისწულნი, და დაიპყრა სრულიად კახეთი ალექსანდრემ.

ხოლო დაუთხანს ეპყრა ტფილისი და საბარათიანო, და იჯდა დმანის-წევს ციხესა შინა. და ცოლი მეფისა სვიმონისა დედოფალი ნესტან-დარეჯან იყო კავთისწევეს, და ჰყვა ძე ერთი მცირე, რომელ-სა ეწოდა გიორგი. და ოდეს დაიდასტურეს ქსნის ერისთავმან და ამ-



ილახორმან ტყუეობა მეფისა სვიმონისა და სიკუდილი ცოლის ძმებისა მისისა, კახის ბატონის შვილებისა, მაშინ განირისხეს ღმერთი. სძლია ანგარებამან და ვეცხლის-მოყუარებამან, შეესივნეს დედოფალსა ნესტან-დარეჯანს და იავარ-ყვეს საუნჯენი მისნი, და წარიღეს ყოველივე, რაცა აქუნდათ, მეფისა სვიმონისა და დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა, და მიმოაქცნდათ ყოველთავე დიდთა და მცირედთა, რამეთუ იტყოდეს სიტყუასა ამას ერთგული ყმანი მეფისანი, რომელსა ანცა იტყვან ანდაზად, და არს სიტყუა ესე მაშინ თქმული: „ვაპმე, ბატონის სვიმონის საქონელო“ და წარიღეს ყოველივე საუნჯენი მეფისა და დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა.

და იყო უამასა ამას ამირსპასალარი საბარათიანოსა ბარათასშვილი საჩინო, კაცი ფრიად კეთილი, და ესე არა მორჩილებდა დაუთხანს, რამეთუ იყო ერთგული მეფისა სვიმონისა. დღესა ერთსა მოვიდოდა იგი კოჭრის-ეკრძოდ და, ვითარცა მივიდა თავსა გელიყარისასა, შეემთხვია მუნ წინ ყორლანაშვილი კახაბერი, რომელი მოუქდლუ ყიზილბაშთა, ოდეს შეიძყრეს მეფე სვიმონ. ხოლო იცნა საჩინო ბარათაშვილმან კახაბერი იგი ყორლანაშვილი, შეიძყრა იგი და გარდაბაგდო კლდესა მას გელიყარისასა, და მიგორევდა ყორლანაშვილი და იტყოდა თვთვე ლექსა ამას:

ყორლანას-ძე „ქარაფიდანა, ხელი ჰერეს და გარდაფრინდა“.

ხოლო კახსა ბატონსა ალექსანდრეს ესუა ცოლად ასული ამილახორისა თინათინ. და ესხნეს ალექსანდრეს ხუთ ძე: დავით, ერეკლე, გიორგი, კოსტანტინე და როსტომ; და ჰყვა ასული ერთი ნესტან, რომელსა ეწოდა დარეჯან. და ესე ნესტან-დარეჯან მიათხოვა დადიანს მანუჩარს, ძესა მამია დადიანისასა, და წარგზავნა ზითვითა დიდითა.

ხოლო ძე მისი ერეკლე ურჩ ექმნა მამასა თვესა ალექსანდრეს, და წარვიდა სტამბოლს. მაშინ მიესმა შაპ-თამაზს, განრისხნა და წარმოემართა, რამეთუ ჰერნებდა განდგომილებასა ალექსანდრესსა, და მოვიდა სპითა ურიცხვთა ყარაბალს. და შეწუხნა ფრი-


 ბერი გეგმატეტვილი

ად ალექსანდრე. მაშინ სახლთხუცესმან ჩოლაყაშვილმან მოიპოვა ლონე რამე და რქუა ალექსანდრეს და კახთა: „უკეთუ იქმნას საქმე-სა მას ზედა სიმრავლე ცოდვისა, იყავნ ზოგად ყოველთათვს, და მე განვარინო კახეთი რისხვისაგან შაჰ-თამაზისა“. ხოლო მისცეს ყოველთავე დიდებულთა კახეთისათა წელითნერილი.

ხოლო უამსა მას გარდაცვალებულ იყო ქაიხოსრო ათაბაგი, და იპყრობდა ძე მისი მცირე მანუჩარ. მაშინ ნინააღმრჩევითა ჩოლაყაშვილის სახლთხუცესისათა ნარავლინეს კაცი და მიუწერეს დედისიმედსა, ცოლსა ქაიხოსრო ათაბაგისას, ესრეთ, ვითარმედ: შალიკაშვილს“ ვარაზს ნებავს ღალატი შენთვს და ძისა შენისა მანუჩარისთვეს, რამეთუ მაგას ნებავს დაცყრობა საათაბაგოსი, და მოჰყავს ყავნი სპითა ურიცხვთა საათაბაგოსა ზედა. და ან, უკეთუ ძალ-გიძს, შეიძყარ ეგე და მოკალ, ვითარცა ორგული და მკვლელი ძისა შენისა, და არლარა მოვალს შაჰ-თამაზ და ნარვალს სახიდ თვალს, და უმეტესად მტკიცედ იპყრობ ქუეყანასა მაგას“.

ხოლო ესე დედისიმედი იყო ჭკუით სულელი და ულ(ვ)თო. ვითარცა ესმა საქმე ესე, ვერ გულისწმა ჰყო მზაკუარება იგი კახთა, და სარწმუნო-ქმნილმან სიტყუასა ამას ზედა შეიძყრა ღალატად შალიკაშვილი ვარაზა და მოკლა იგი, და დასთხია სისხლი უბრალო, რამეთუ ესე ვარაზა იყო ძე ოთარ შალიკაშვილისა, მრავალგუარად ერთგული და ნამსახური ქაიხოსრო ათაბაგისა და ცოლის-ძმა შაჰ-თამაზისა.

ხოლო ესმა შაჰ-თამაზს სიკუდილი ვარაზისი, განრისხნა ფრიად. მაშინ არლარა მოვიდა კახეთსა ზედა, არამედ მივიდა რისხვითა საშინელითა სამცხეს, ამოსწყვდა სრულიად სამცხე-საათაბაგო და ქმნა მრავალი. ბოროტი, და ნარავლინა კაცი ხვანთქართანა, და ინებეს მშვდლიბისა ყოფა ურთიერთას, და განიყვეს ქუეყანა უამსა მას და შერიგდენ.

მაშინ დარჩა ნილად ხვანთქარსა იმერეთი, ოდიში, გურია და საათაბაგო ქართლისა საზღვრამდე; დარჩა კარი საზღვრამდე აბო-



ცისა და ერევანისა და სომხითი საზღვრამდე, რომელსა ან თურკისტანად უწოდენ, ვიდრე ბალდადადმდე.

ხოლო შაპ-თამაზ დაიპყრა ქართლი, კახეთი, ერევანი, ქურთისტანს-აქათი, და მიერითგან იყო ურთიერთას შორის ერთობა და მშვიდობა ვითარცა ერთგულნი მოსავნი მაჰმადისანი. ხოლო ბატონმან ალექსანდრე ნარავლინა ძე თვისი კოსტანტინე შაპ-თამაზისა თანა, და ნარატანა ძლუენი მრავალი და მოაჯე ექმნა ფრიად, და მიუმცნო ურჩება ძისა თვესისა ერეკლესი, რომელ „ურჩებითა ჩემითა ნარვიდა ხვანთქართანა“. მაშინ უსმინა შაპ-თამაზ აპა ბატონის ალექსანდრესი, და ნარვიდა სამყოფას თვესა, და თანა ნარიყვანა კოსტანტინე ყრმა მცირე მძევლისა მსგავსად.

შემდგომად ამისა გარდავდა მცირე რამე ხანი.

ქორონიკონსა ს-დე: მაისსა ი-ე, დღესა სამშაბათსა, ყაენი შაპ-თამაზ მოკუდა და უსტა-ჯალუანთა და იოთამის შვილმან ალიხან-სულთან აიდარ-მირზას ბატონობა მოინდომეს. ჯარგაზმა შამხალ ავშართა და ვინცა მათი ომატი იყო მოუკდენ, აიდარმირზა მოკლეს, უსტა-ჯალუანი ამოსწყვდეს და ისმეილ-მირზას გამოსაყვანად კაცი გაგზავნეს.

ამავე ქორონიკონსა და ამავე მაისსა ოცდაორსა შაპ-თამაზის შვილი შაპ-ისმაილი ტყუედ იჯდა ციხესა ყალყას დაგამოიყვანეს დღესა სამშაბათსა. და ამავე მაისსა კ-ვ არდაველს ქალაქში მოვიდა და კ-ც ყაზმინისავენ ნაევიდა.

და დასუეს ყაენად შაპ-ისმაილ, და მეფე სვიმონ ალამუტის ციხითგან გამოიყვანა, ყაზმინს მოაყვანინა, და საქართველოს ბატონობა მისცა, და მრავალი სხუა წყალობა დამართა, საქელმწიფო მორთულობა ყოვლის ქარხნებისაგან გაურიგა.

რა ეს ამბავი ტფილისის ქალაქს მჯდომს მეფეს დავითს მოუვიდა, იწყინა და ხვანთქართან ჩაფარი გაგზავნა, და ლაშქარი სთხოვა.

ამავე წელს ივნისსა ათაბაგი ყუარყუარე, და ძმა მათი პატრონი მანუჩარ, და ბიძაშვილი მათი, მუხრანის ბატონის არჩილის შვილი,



სერი ეჭნაციებილი

პატრონი ერეკლე მგელციხეს ნავიდეს ყაენთან ელჩის გასაგზა-
ვნელად. ავ-კარგად სამოცამდის კაცი იახლა, სამწუბთ-ლელეში
დავდეგით. აცნობა ოლადის ქვაბიდამა ბედიანის-შვილმან იასონ
ვარაზაშვილს კოკოლასა, და მის ძმასა ლაშქარასა, და მის ბიძას
გურგაქსა.

იახლნეს თანა დიასამიძის ელიას შვილი ავთანდილ და მისი
ძმა შერმაზან, ამატაკის შვილის როსტომის შვილი ამატაკ და აბ-
დუყაფარ, და მათი ძმისნული როსტომ, და ამატაკის ვაჟი სეხნიაი
ესენი დაეკაზმნეს ხუთასამდი კაცი და ნამოვიდეს, და ორთვალთ-
წილს გამოვიდეს, ბორგს მივიდეს.

იქ ფანასკერტელი იობის შვილი ჯირასონ გუერდს იახლა, საუ-
ბარს შეესწრა კაცსა: „თუ გულმართლა ბატონებზე თავ-დასას-
ხმელად და დასაწოცლად მიდიანონ“. იარა და აცნობა უგუბოს დო-
ლენჯის-შვილს ყანდურალის: „თუ გულმართლა ბატონის. შვილებს
დაწოცენ, ფიცხლა აცნობეონ“. ნარმოვიდა ყანდურალი და აცნობა
ბატონებსა; ქათამს ეყივლა. ადგეს ბატონები და, ვინც იყო, დაე-
კაზმნეს, ოცამდი შეკაზმული კაცი იყო, ბარგი აპკიდეს, დიდხანს
იქივ იბრუნეს და არ მოვიდეს. უკმოიგეს ოქერათ თავს სიმაგრე-
სა. ივნისს ლ-, შაბათს დღეს, განთიად, დაესხნეს ნასადგომევსა,
სხუა აღარა დახუდათ-რა, თუხარლიანთ კარავი და ბარგი დახუდა
და ის დაიფორაქეს; ჯორები კიდევ მოსცეს ჩუენი და მათი კაცი
გარდაიკიდნეს ერთი მოკლეს და ერთი წელთ დაიჭირეს ჩუენთა, ნა-
ვიდეს განბილებულნი, ეკუებათ: „თუ არ გაგუსწრებოდეს, თავებს
დავსჭრიდით და მეუდარს ასო-ასო ავიქმოდით; და ეს გუექნა თუ,
მარტვილებსაც არ გაუშვებდით ცოცხალსა“.

დავარდა ჭმა, დაინყო ჩუენმან ლაშქარმან მოდენა, გაემართნეს
პატრონი ყუარყუარე და პატრონი მანუჩარ და ერეკლე სახელსა
ზედა ლმრთისასა, და მივედიო ზედა თმოგუს, და თმოგვს ქალაქი
მოვარბიეთ და იქვე ზედა თმოგუს ამოვედით. და პატრონი დედა
მათი დედისიმედ-ყოფილი დებორა იქ მოვიდა. და ორშაბათს ვანის



ქუაბს მოვადეგით, და ოთხშაბათს იერიშით აღვიღევით, და პარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდეგით, რჩეულიან[ნ]ი შემოვიწყვენით, კვირას დღეს ოლადის ქუაბი ავიღევით, ამოვედით, კარწახს დავდეგით ივლისსა ი-თ, დღესა ხუთშაბათსა.

ქორონიკონსა ს-დდ: ერეკლე შევკაზმეთ, მუხრანის ბატონის. არჩილის შვილი, ნლისა ი-ვ, სამის თვასა და სამის კვრისა. მიუწედით ფოსოს, სახლი დავწვით და ამოვწყვდეთ. გაუძახეთ ლაშქარი, დარღუეულთ ხიზანი და ალამი გამოვიღეთ, და მოვედით და პალაკაციოს დავდეგით. იქიდამა თეთრ-ციხის გარეშემო დავწვით ალაბუტი და კამროანი. ყაენთან ელჩი გავგზავნეთ, და ამავე თუესა, ივლის-სა კ-, დღესა შაბათსა, შალიკაშვილის ზემბადის შვილმან მათივ ნაქონები ოლთის ციხე ნაართუა, ჩუენ თათარნი შუა შემოვიდეს, გამოუდეგით, ნამოვედით მგელციხეს შერანშაიანთ ნყაროზე დავდეგით, და მერმე აწყუერს ნავედით.

ამავე ქორონიკონსა, აგვისტოს ოცდათერთმეტსა, ვარნეთის ციხეს უღალატეს მგელციხიდამ, და ენკენისთუეს ოთხსა დიასამიძემან დემოთის საღალატოი აზნაურისშვილები და მსახურები გაგზავნა, და ვეღარ უღალატეს. და ჩვიდმეტი ჰელთ დარჩა აჯარს შალვაშვილს, ციხისთავესა. პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე, მათი ბიძასშვილი, მგელციხეს იყვნეს და შალიკაიანთ აზნაურშვილებს თავს დაესხნეს აზნაურშვილები გარდაეხუენნეს. ერეკლე მოენია, კაცი ჩამოაგდო, და კარგი ცხენი დარჩა, და ჩუენც მოვედით სამცხიდამა, და შერანშაიანთ ნყაროზე დავდეგით.

ამავე ქორონიკონსა ს-დდ, ივანობისთუეს კ-დ, ბატონი არჩილ შირაზიდამ ყაზმინს მოსირულ იყო ცოლშვილიანად. მერმე ჩაუდეგით. ფოსო ამოვწყვდეთ და შახთან ელჩი გავგზავნეთ, უკმოვბრუნდით, სამცხეს მოვედით.

ქორონიკონსა ს-დე, მარტში, მოგვიდა კოკოლა და აჩხის ქუაბი ნაგუართუა. ნავიდა ბატონი მანუჩარ და იმავე ნამს ნაართუა, ერეკლე თან ახლდა. მერმე გურგაქ უკუადგა, კოკოლა თავის ძმისნულსა



ბეჭი ეფნატაშვილი

და ბატონის მანუჩარს შემოჰყოცა, ქაჯის-ციხე შემოუჭირა, მერმე ფიცი გაუტეხა და კიდევ უკუადგა ბატონის მანუჩარს. უკმობრუნდა ბატონი მანუჩარ, ჩაუდეგით კიდევ გაზაფხულზე, ვეუბნენით და არ შემოგუენყვნენ, დაურბიერ ფოსო. ელჩი გავისტუმრეთ და უკმოვ-ბრუნდით.

ამასვე ქორონიკონსა: სახელსა ზედა ღმრთისასა გავილაშქრეთ, ენკენის-თვეს ნახევარს ქაჯის-ციხეს მოვადეგით. ღვნობის-თვეს ორს გურგაქ შემოგუენყო და ველი მოგუცა. გავბრუნდით, ურთის ციხე-საყდარი წავართვით, კოკოლას კერძად იყო, და ციხე დავაქციეთ, სიმაგრე რაც იყო დავწვით, საყდარი გაუშვით ფოსო მოვარბიეთ და ელჩი გაუშვით ყაენთან; მოვბრუნდით, მგელციხეს მოვედით, ბოსტოლანაშვილმან მატამა უხუცესი მისი ძმა მოკლა, ათამირძა ერქანა. წამოვიდა ბატონი მანუჩარ, დაიჭირა მატაი და თუალები დასწვა მას და მასთან მყოფთა ყმათა. მობრუნდა ბატონი მანუჩარ, მგელციხეს მოვიდა, ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ იქ დადგეს, და ბატონი დედისიმედი წამოვიდა, ახალციხეს მოვიდენ.

ქორონიკონსა ს-ვ გამოჩნდა კუდიანი ვარსკულავი, ოდეს მისე-ბრი არავის უხილავს.

ესე შაპ-ისმაილ იყო კაცი უწყალო და მსმელი სისხლისა. ამისთვეს არა ინებეს ყიზილბაშთა უფლება მისი, და ენამებოდენ სჯულითა სცრობსა და თუესა მეექუსესა მონამლვით მოკლეს ყიზილბაშთა შაპ-ისმაილ ყაენი, გიორგობის-თვეს კ-გ, და მისივე ძმა შაპ-ხუ-ჯაბანდ გააწელმნიფეს. ესე შაპ-ხუდაბანდა იყო კაცი ულონო და თუალით ბრმა, და ვერა კეთილად წარმართა საქმე თვისი წესისაებრ.

ქრისტეშმობის-თვეს ოცდათერთმეტს ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ თმოგუს მოადგეს სამშაბათს დღეს იანვარს ე-, კუ-რას დღეს, ქორონიკონსა ს-ვ, პატრონი დედისიმედი და ბატონი ბექა ყუელს მოადგეს.

ამასვე იანვარს ოთხშაბათს, თმოგვ წაართვეს, და აქეთ იმავე დღეს ყუელი წავართვით. ოთხშაბათს, გიორგობის-თვეს ზ-, ბატონის

ერეკლეს ცხენი წამოექცა, საქმე სათუოდ გაუკვდა. ასრე საძულად დასცა, უცხოფერს ფათერაკს მორჩია. ეგრეთვე მეცამეტეს დღეს წარვიდა სანადიროდ, ქარაფის ძირს იჯდა; ჩამოაგდო ქვა, დაეცა, თითის წუერი ძულითურთ მოჰკუეთა, გონჯად დალენა, ორს თუეს ძლივ გაუმორელდა. მისთვის. არც თმოგუს იყო და არც ყუელს.

შეიყარა კოკოლამა ყარახან, წამოვიდა თმოგუზე მოსაშეულებლად, ველარ მოენრა, ციხე ორივ წაერთმევინა. ყუელიდამე თმოგუს წავიდა დედისიმედი. იქიდამ ბატონი მანუჩარ ჯავახეთს წავიდა, ფოსო და ჯავახეთი დაარბია; და გურგაქს ქაჯის-ციხე გაუბარაქიანა.

ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ ახალციხეს წამოვიდეს, და ბატონი დედისიმედი თმოგუს დადგა. თმოგვს ციხეს რაც დახირა უნდოდა, მიატანინა, გააბარაქიანა. და თუალშეუნიერთან ელჩი გაგზავნა, ციხეების შოვნა შესთვალა, და ურუმთ აშლა აცნობა. და ურუმთ საჩქარო წმა დაუუარდა, პატრონი დედისიმედი ახალციხეს შეიღებთან მოვიდა. პატრონმან მანუჩარ და პატრონმან ერეკლე ლაშქარი შეიყარეს, წავიდეს და ურუმთ პირს მიუდგეს. პატრონი ყუარყუარე ცოტად უგუნებოდ იყო, ის ველარ წავიდა, ზღუდერს ჩავედით.

ამასობაში ითმანიანი, რვა ათასი კაცი, თებერვალს კ-ვ თხშაბათს დღესა, დაესხნეს ყარახანს, გაუდრკა საილათოდ, წაუდგეს ურუმნი, და ათიოდე კაცი მოუკლეს. მობრუნდეს, გორი დაუნვეს, და იმავ ზარიშატში დადგეს. მობრუნია ყარახან, ექუსასი კაცი ახლდა, დაესხა თავსა, ამოსნყვდნა ურუმნი, და გააქცივნა სახელსა ზედა ღმრთისასა. გაემარჯუა ყარახანს და აღივსნეს საქონლითა და იარაღითა მობრუნდა ბატონი მანუჩარ, და ანუუერს ჩამოვიდა.

ამავე ქორონიკონსა გამოვიდა ჯარი ხვანთქრისა, და დაიპყრეს თავრიზი, ერევანი, განჯა, ყარაბაღი ვიდრე სულთანიადმდე, და ყოველი ადგილი ადარბადაგანისა.

ამავე ქორონიკონსა, მაისსა კ-ა, დღესა ითხშაბათსა, წარვიდა მუხრანის ბატონის არჩილის შეილი ერეკლე სურამს ნესტან-დარე-


 ბეჭი ეგნატაშვილი

ჯან ქართლის დედოფალთანა. დედოფალი ლარიბად იყო, მისთან სამყოფლად ჩავიდა.

ამასვე ქორონიკონს მიიცვალა აფხაზეთის კათალიკოზი ევდე-მონ ჩხეტის-ძე.

ამასვე ქორონიკონსა მიიცვალა მეფეთ-მეფის გიორგის შვილი ბაგრატ თუესა მაისსა კ-ბ. და დედა მათი შარვაშიძის ქალი დედოფალი რუსუდან მიიცვალა აგვისტოს დ-.

ამასვე ქორონიკონსა, მარიამობის-თუეს ზ-, ხუთშაბათს დღეს, ხვანითქრის ლაშქარი და ლალა ფაშა მგელციხეს მოადგეს, შეიბნეს, სამშაბათამდის ყოველთ დღეთ ომში იყვნეს, ციხოანნი გოგორისშვილი როინ და მისი ძმა ბერი მრუშნელი და მისი ძმისნული ზურაბ იყენეს მათის ძმითა, და ღვთის შენევნით უკუეყარნეს, და ციხე ჩუენვე დაგურჩა, ჩუენთა გაემარჯუა.

პარასკევს დღესა, ც მარიამობის-თუესა, ქაჯის-ციხე, ველი და თეთრ-ციხე ნაგუართუეს ურუმთა. და ქაჯის-ციხის მეციხოვნენი სრულიად შემოეწოდეს. და თ-, შაბათს დილასა, ძურძანასა და ნინნალს შუა აზრუმისა და ვანის ფაშა მოვიდეს, და სულთანი და ყარახან ბაზუქლუ და კიდევ მუღანლუს ბატონი იქ შეიყარნეს. მაჰმად სულთან გორაზე ნამოდგა, მისი ვინც იყო გუერდს მოიყენა, და სხუა ბატონები შეებნეს ურუმთა, პირველად გაიმარჯუეს ყიზილბაშთა. და მერმე ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯუეს, მაჰმადი სულთან გამოიქცა, გარდაეხუენა.

იმავ კვრას, ათსა მარიამობის-თუესა, პატრონი მანუჩარ ქაჯის-ციხეს შეეყარა, ვერც ლაშქრის ომსა და ვერც ციხეების აღებასა ვერ მიეწრა. ამილახორის შვილი ქოიარ მიეგება არტანს და ორი ციხე მას შესძლუნა, ლალა ფაშასა, მარიამობისთვეს ორსა.

აგრევე ართაქსად პპირებოდა ექუსით ციხითა მას ნინათ, და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლუნა, და პატრონს მანუჩარს თან მიჰყვა. იმ ნამს გამოჰგუარეს, ციხეები გამოართუეს და ხახული სასანჯახოდ მისცეს.

პატრონმან მანუჩარ ი-ზ ამავე თუესა თმოგვს ციხე მისცა ლალა ფაშასა. ახალქალაქი უნინ ნაართუეს, კოკოლას მეციხოვნე იდგა და იქიდამ მისცა თმოგვ.

გაიარეს, წავიდეს ტფილისის ქალაქზე, ი-ზ დაუთხან დაწვა და გაეცალა, ლორეს. ჩავიდა. ტფილის ჩავიდეს ურუმნი, ფაშა დასუეს, და გორს ხანჯახი.

დაუთხან ხვანთქართან წავიდა, და იქ დიდი პატივი მიაპყრეს, ორი საფაშო სარჩოდ გაუჩინეს და თუთან კარზედ შეინახეს; და მისნი ორნი შვილნი, ბაგრატ და ხოსროვ, მამას არ გაჰყუნენ. კახის ბატონას სიძე იყო ბატონი ბაგრატი, სიმამრისას დადგა. და უმცროსი ძმა ხოსროვ-მირზა ისიც ძმასთან დადგა, და ბოლოს ყაენის კარზე ჩავიდნენ.

როდესაც ტფილის ფაშა დასუეს და გორს ხანჯახი, მუხრანის ბატონის შვილი პატრონი ვახტანგ, ერისთავი ელისბარ და ამილახორი ბარძიმ ერთად შეიყარნეს. ლალა ფაშამ ლაშქარი გაუძახა დედოფალსა და სრულიად ქართლსა. ესენი მივიდეს და ამათის წყალობით ლაშქარი დააბრძნეს. თემი აღარ ამოსნედა, მათ მათი მამული მისცეს, ოთხი დღე არ დააყოფინეს და დააბრუნეს, მათს მამულმი მოვიდეს, სომხითართ ბევრი ანყინეს, ლაშქარი გამოშუა ლალა ფაშასა. აღმოიარეს ქართლი, დაუდგეს იმერელნი წინა და მწვედ ამოსნედეს. მეორედ ერეკლე დაემზუდია შიგა ომში, პატრონის არჩილის შვილი, და მას გაემარჯუა, უცხოფერად შებმულიყო. ცხენი ქუეშ გამოეკლათ მისთვის, თექუსმეტი მუზარადს ჰქონდა ნაერავი ისარი, ორმოცამდი აგრევე ჯაჭუს. და ვერც ჯაჭვდა ვერც მუზარადი ვერ გაეკუეთა, ერთი წრმალი ხანჯარს სცემოდა, ხაჯრის ტარი ზედ დაეჭირა. ექუსი აზნაურშვილი მძიმედ დაუჭრეს, დაუკოდეს; გამარჯუება ერეკლეს დარჩა, გამოაქციეს თათარნი, უფროსი ერთი დაჭოცეს და ამოსნედეს.

ენკენის-თუეს ერთს იმერელნი შეიბნენ და გაიმარჯუეს, და ქართველნი და ერეკლე ენკენის-თუეს ი- შეიბნეს და სრულიად

ბერი გვიატევილი

ამოსწყვდეს. ორავუანდასშვილი მოვიდა, და ლალა ფაშასთან პატრონს მანუჩარს ის მიუძღვა; ახალქალაქიდამ ფაშა და პატრონი მანუჩარ ქართლს ნავიდეს. ორავუანდასშვილი ქაიხოსრო აქათ გამოეგზავნა.

ქორონიკონსა ს-ვე: ენკენის-თუეს დ-, ხუთშაბათს, ქორნილი უყავით მასთან პატრონის შვილს თამარს, და საშინელმან ანუსურისა ღმრთისმშობელმან და წმიდამან ნიკოლოზ ქორნილი ბეჭინერად მოუწინოს, ჭამა აგურიანში იყო თათართ შიშითა, დია ჩუენი უგუნებო ქორნილი იყო.

აგრევე კახი მეფე, ბატონის ლევანის შვილი პატრონი ალექსანდრე, მიეგება ლალა ფაშასა, სათის-ჭალას შეეყარა, და შაქისა და შარვანზე ნავიდეს.

ამაზე შერაშაშვილი მოვიდა ყაენიდამა, თუალშუენიერთან იყო. ეს ამბავი მოიტანა: მანუჩარისა “ლალა ფაშასთან მისვლა შეიტყო ყაენმან, თუალშუენიერს კაცები გამოუგზავნა, სადამი დააგდებინეს, და ყორჩიბაშ მიაბარეს. მარიამობის-თუეს კვ, ორშაბათს დღესა, დაიჭირეს თუალშუენიერი”. შირვანი დაიჭირეს, ციხე ააშენეს და ოსმან ფაშა შეაყენეს მისით ლაშქრითა, და შემობრუნდეს. ალექსანდრეს შვილი არაგუამდის მოჰყვა, და დაბრუნდა; ლალა ფაშა მუხრანს დადგა, გორი გაამაგრა.

და მიესმა საქმე ესე შახუდაბანდას. მაშინ დედამან შახუდაბანდასამან, ასულმან ოთარ შალიკაშვილისამან, მოიყვანა მეფე სვიმონ და, ვითარცა წესი არს ქართველთა დედათა, ეგრეთვე ყო ამან, ნარმოუგზავნა ლეჩაქი: „საბურველი ესე დედათა მომიხუევია წრმლის შენისა კეტარსა ზედა, შენ იცი და წრმალმან შენმან. და ან მოგვცემია შენთვს სამეფო შენი საქართველო და სხუაცა მრავალი საბოძვარი, ნარვედ და განამაგრე საქართველო, რათა არა ნარგვლონ ოსმალთა. და იყავ თანამწე და ერთგულ საკელმნიფოთა ჩუენთ“. ხოლო მისცეს საბოძვარი ურიცხვ, და ესრეთ ნარმოემართა მეფე სვიმონ.

და მოაბით მოიყვანეს ავადმყოფი მუხრანის ბატონის ბაგრა-
ტის შვილი არჩილ ერთის შვილითა და ბევრი ტყუე თან მოიტანა.
ღვნობის-თვეს ნახევარს მოვიდა; ლალა ფაშა ქართლსავე იდგა, მო-
ვიდეს სომხითს და დალაპარაკდეს, ავადმყოფი იყო, მისით მიზეზ-
ით ვეღარ ნახა, აიყარა ლაშქარი. ღვნობის-თვეს ერთსა, პარასკევს
დღესა, მოდენა დაიწყო, ანყუერს ვიდეგით. ორშაბათს პატრონი
მანუჩარ გამოეშუა, ნინათ მოვიდა. სამშაბათს პატრონი ყუარყ-
უარე წინ მიეგება, თვთონ ლალა ფაშაც მოვიდა, და გალმა ლეკზე
დადგა. ხუთშაბათს პატრონი დედისიმედი გავიდა ციხიდამა, და
ლალა ფაშა ნახა. ანგარიში არ იქნებოდა, რაც ლაშქრისა და აქლე-
მების ჯარი იყო. შაბათს ცისკრისას აიყარა და წარვიდა. პატრონი
ყუარყუარე თან გაჰყვა მოტყუებით და აღარ დაბრუნდა. პატრო-
ნი მანუჩარ თანნაჰყვა, ათს დღეს ძლივ ლაშქარი განწმდა. სამშა-
ბათს დღეს ამბავი მოვიდა პატრონი ყუარყუარე აღარ დაბრუნდაო.
წაუდგა პატრონი დედისიმედი, ჯაყამდის სდია, ვერ მიეწია; აზნაუ-
რისშვილები წაუყენა, ვეღარ დააბრუნა, ისრე დედისა და ცოლშვი-
ლის გამოუსალმებელი წავიდა. ოლთისი სასანჯახოდ მისცეს, იქივ
მივიდა. პატრონი მანუჩარ მოვიდა ანყუერს.

მობრუნდა მეუე სვიმონ, გორი აიღო, ქართლში გაძლიერდა და,
ვისაც დედოფალსა და ბატონის შვილს გიორგიზე უმტყუენნეს,
ზოგნი მეფეს დავითს თან გაჰყვნენ ურუმში და ზოგნი იმერეთსა და
კახეთს გარდაიხუნნეს. და ქსნის ერისთვის მამული ზოგი ბატონს
ნესტან-დარეჯანს დედოფალს საუპატიოდ მისცეს, და ზოგი ბა-
ტონისშვილს მისცეს. და ამიღაბორის კასპი სუეტს ცხოველს შეუ-
ნირეს, და აზნაურშვილნი სახასოდ დაიჭირა, და გორის მოურაობა
სულხან თურმანის-ძეს მისცა.

მუხრანის ბატონი ვახტანგ, ტაძრად მიყვანების დღეს წელთ
დაიჭირა პატრონმან სვიმონ მეფემან, და კეხვის ციხეში ტყუედ
ჩააგდო. ლალა ფაშას ლაშქარი და მირზა-ალი გამოეგზავნა პა-
ტრონს მანუჩართანა, ქართლს გაეძახა, ქართლს ვერ ჩაუვიდეს,


 ბეჭი ეგნაცაშვილი

სადგერს დადგეს და ამოსნეულეს სადგერი, წმიდის გიორგის. განძი ნაწყდა. მეორედ კიდევ სანახები გამოევზავნა. შეიყარა პატრონი მანუჩარ, ჩაუწდა და ზემო ქართლი დაერბიგა. მოუვიდა კაცი პატრონს ყუარყუარეს, ოლთისს აღარ დააყენეს, აზრუმს მიიყვანეს, შების ნინა დღეს ნაიყვანეს.

მოუწდა შაპ-ხუდაბანდას ცოლი ბეგუმ შირვანსა, შეიბნეს, ამოსნეულეს ლაშქარნი, ციხე დაწვეს, დააქციეს, ხაზინა ყველა წელთ დარჩა. თათარხანი წელთ დაიჭირეს, ყაზმინს ტყუედ ნაიყვანეს, მოერივნეს ყიზილბაში, ოსმან ფაშა დემურყაფს უკუ-რჩა. ნავიდა ყაზმინს ბეგუმ. დაიჭირეს ბეგუმ გამარჯუებული წელთა, ისიც მოკლეს და თათარხანიცა, ყაზმან დააწოცინა.

ყაენი შაპ-ხუდაბანდა ცოლის სიკუდილს უკან ყიზილბაშთ დაჩაგრეს, და ადრიბეჯანი და შირვანი ურუმთ დაიჭირეს. განჯის ხანი, შაპვერდი სულთან, კახეთს მივიდა, და ბატონს ალექსანდრეს შეეხუნა. იმან შეხუნილი კაცი დააჭირვინა და ხონთქარს გაუგზავნა.

ქორონიკონსა ს-ზე: მარტს კ-გ პატრონი ყუარყუარე და პატრონი მანუჩარ კოსტანტინუპოლის ნარვიდეს აზრუმიდამა. აპრილს კ-, ორშაბათს, გადგეს. მას-უკან მოვიდა ამბავი, ბატონი თუალ-შეუნიერი მარიამთბის-თვეს ოცდასამს წელთ დაიჭირეს. ღვნობის-თვეს ა-, ორშაბათს დღესა, ალამუტის ციხეში ტყუედ ნაიყვანესო.

უამი შეიქმნა; მაისს ლ-ა, შაბათს საღამოსა, ხოსიტა გააცხ-ელა საკანაფეს, პატრონის ყუარყუარეს შვილი; ღვთის შენევნით გარდაიქადა. ივნისს ი-თ ბატონი ბექა გააცხელა და ღვთის შენ-ევნით მანც გარდაიქადა. ბევრი გააცხელა ჩუენში და არავის რა დაუზიანდა.

მეორედ მოვიდა ლაშა თაშა და კარი აღაშენა, ტფილისის ქალაქს ლაშქარი გაგზავნა, და ნუზღლი შეუტანინა.

მარიამთბის-თუეს კ-ვ პატრონი დედისიმედი გააცხელა ხუთშა-ბათს დღესა. და ორშაბათს დღესა ბერის პატრონის ბასილის უამით გაცხელება მოვიდა, და საფარას საბურთეზე გაეცხელებინა. იმ

წამს წაპრძანდა პატრონი დედისიმედი, ორნი დედაშვილი ერთს კარავში დაწვნეს. ენეგნის-თვეს გ-პარასკევი განთენდებოდა, ღმერთი განრისხდა, ბატონი ბასილი მიიცვალა ო-ე წლისა და კ-ბ დღისა, ღამით ჟამსა ბ-. და წამოვიდა პატრონი დედისიმედი მოაბითა, ზღუდერს ჩამოვიდა, და ღვნობის-თუეს უსკუდარიდამ პატრონის შვილების გამოშუების მახარობელი მოუვიდა.

ამასვე ქორონიკონსა, გიორგობის-თუეს, პატრონი მანუჩარ მოვიდა კოსტანტინოპოლიდამა, ფაშობა უბოძა ხვანთქარსა და სრულად მისი მამული, ორს თუეს პატრონი ყუარყუარე თორთომს დაეყენებინა, არ გამოეშუა.

ქორონიკონს ს-ები: იანვარს ც პატრონი ბექა ვალიდამა გავაყენეთ. ლალა ფაშა წარსულიყო, და ბექა ოლთისს დადგომილიყო. პატრონი ყუარყუარე, ღვთის წინაც შეურცხვენელი და ეაცთანაცა, ფილაჯანი დაეცა ხვანთქართანა, და ქართველობით გამოეშუა, მისის საბატონოს წყალობა ექნა, და მარტში მოპრძანდა. ივანობის-თუეს წახევარს ბექა მოიყვანეს, და თვთან ორნივ ბატონები ლორეს წავიდეს, დაარბიეს და გამარჯუებული მოვიდეს. მას-უკან მეორეს წელინადს სინა ფაშა მოვიდა, და ტფილისს წავიდა, და ორნივ თან გაჰყვეს, პატრონი ყუარყუარე თრიალეთიდამ მოეპრუნებინა, იმერეთს მოციქულად გაეგზავნა, და პატრონი მანუჩარ თანა წარტანა.

ქორონიკონსა ს-ები: მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი, მუხრანის ბატონი ვახტანგ, მიიცვალა ივანობის-თვეს დამდევს.

ქორონიკონსა ს-თ: პატრონმან მანუჩარ გვრგვნი იკურთხა ფე-ბერვალს. და ბექა კოსტანტინუპოლეს წაიყვანეს.

ამავე ქორონიკონსა, მარიამობის-თვეს დ-, პატრონი არჩილ მოპრძანდა ანუერს, დიდის ხნის უნახავნი და-ძმანი შევიყარენით, ღვნობის-თუეს წაპრძანდა.

ამავე ქორონიკონსა, გიორგობის-თვეს კ-ე, პატრონი ყუარყუარე და მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი არჩილ მიიცვალა.



ბეჭი ეტნოტექნიკი

ხოლო მეფემან სვიმონ ყორლანაშვილის კახაბერის ცოლშვილი და სახლეულნი ყოველნივე შთააყრევინა კლდესა მას გელიყარისა-სა, და იტყოდე პირველსავე მას ლექსა. და სხუანი ნათესავნი მისნი ივლტოდეს: რომელნიმე ყიზილბაშშია და რომელნიმე საათაბაგოსა შინა.

ხოლო დაუთხანს ჰყვა ძე ერთი მეუღლისა თვესისა თანა, რომელ-სა ეწოდა ბაგრატ. და შემდგომად დაუთხანის ნარსლვისა არცალა ეს დააყენეს ბიძასთან, წარიყვანეს ყაენთან. და მუნ გათათრდა. ამის ბაგრატის დედა შეყვანი იყო, გუარით კახი ბატონის ალექსან-დრესი ახლო. ხოლო ჩამოვარდა შური კახ ბატონსა და მეფეს სვი-მონს შუა დაწოცისათვს ელიმირზონისა და ხოსრო-მირზასთვს. და ესე ალექსანდრე უფრო მოყურობდა დაუთხანს. მიზეზისა ამისთვს დიდად მოშურნე ექმნა კახი ბატონი ალექსანდრე მეფესა სვიმონს.

მაშინ ტფილისი და ციხე ტფილისისა ეპყრათ ურუმთა, და მეფე სვიმონ იდგა დიღომს დედოფლითურთ. ხოლო კახი ბატონი ფრიად მოშიში იყო მეფისა სვიმონის. მიერ, „ნუ უკუე ძვრი იქ-სენოს ამონყუედისათვს ცოლის ძმებისა თვესისა“: ოდეს დაწოცა ალექსანდრე ძმანი თვესნი, იგინი იყვნენ ცოლისძმები მეფისა სვი-მონისა. ამისთვესცა მიესმა ალექსანდრეს მცირითა კაცითა ყოფნა მისი დიღომს, შემოიყარა კახნი და ნარმოემართა ლამით, და დაესხა უგრძნობელად მეფესა სვიმონს.

ხოლო მეფემან სვიმონ თვე მხოლომან კნინდა განარინა თავი თვესი სიკუდილსა. მაშინ შეესია და იავარ-ჰყო საჭურჭლე და ბარგი მისი, და სირცხვილთა საფარველი დედოფლისა, დისა თვესისა, თვე მანვე ალექსანდრე აიცვა წუერსა ზედა შუბისა თვესისასა. და ქმნა მრავალი უკადრისი საქმე, და ნარმოვიდა. მივიდა და დადგა მარტყ-ოფს, [ადგილსა] რომელსა ჰქვან ჭოტორი.

ხოლო მეფემან სვიმონ შემოიყარა სპანი ქართველთა, და ნარვ-იდა გულითა სრულითა ალექსანდრესა ზედა. და წინათვე ნარავ-ლინა კაცი და მიუმცნო ესრეთ: „ვინათვან შენ იკადრე ეგევითარი

ახალი ქართლის ცნოვუწყება

ბოროტი, რომელი არა არს წესი მეფეთა, და მუხტლად დამესხი შეუგრად მძინარესა, და ან უწყოდე, რამეთუ წარმოსრულ ვარ შენ ზედა ბრძოლად. და უკეთუ ხარ კაცი გამოცდილ მამაცობასა შინა, დამხუდი, რამეთუ უმჯობეს არს ომი გამოცხადებული უფროს ღალატად ნაქმარსა“ მაშინ მივიდა მეფე სვიმონ და შეიძნეს, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მიეცა ძლევა მეფესა სვიმონს და ქართველთა. და ივლტოდა ალექსანდრე, და შეიპყრეს კახნი თავადნი, რომელ მცირედნი ძნიად განერჩეს.

და წარმოვიდა მეფე სვიმონ გამარჯუებული, და წარმოასხეს პყრობილნი კახნი დარბაისელნი, და დააფიცეს მცხეთას სუეტისა ცხოველსა ზედა. ესრეთ დააფიცეს კახნი, ვითარმედ: „ლმერთომან სამართლის მოქმედმან კახს კაცს ნურაოდეს გაუმარჯოს ქართველს კაცს ზედაო, არცა დიდთა და არცა მცირედთაო“. და ოდეს ესრეთ დააფიცეს, მაშინ მიანიჭა ყოველთავე კახთა წყალობა და ხალათები. და ესრეთ განუტევნა იგინი მშკდობით და არღარა ემტერებოდა მიერითგან. და უკეთუმცა ენება მეფესა სვიმონს, მაშინ დაიპყრობდა სრულიად კახეთასა და ალექსანდრესაცა. ხოლო იქმნა ომი ეს ქორონიკონს ს-თ, ქრისტეს აქეთ ჩ-ფპბ.

ამისა შემდგომად გამოვიდა დიდი ამირსპასალარი ხვანთქრისა, მაჰმად ფაშა, ჩამოვლო ზემო ქართლი და ალილო გორის ციხე, და შეაყენნა მცველნი თვისნი. და თუ წარმოვიდა და დაიპანაკა მუხრანს, და მუნ დახუდა მეფე სვიმონ შეყრილი. მაშინ იქმნა ბრძოლა ძლიერი, და ეკუეთნეს სპანი ქართველთანი ძლიერად, და შეიბრალა ლმერთმან, და მიეცა ძლევა ქართველთა, და გაემარჯუა მეფესა სვიმონს. ამოსწყვდნეს მრავალნი სპანი ოსმალთანი, და შეიპყრნეს ურიცხუნი; კნინდა განერა თვით ფაშა, და ივლტოდა მცირედითა კაცითა, და შეიხუენა ციხესა ტფილისისასა, ქრისტეს აქეთ 6 ჩ-ფპბ.

ხოლო მეფე სვიმონ მოვიდა დიღომს და მოაწვია მუნ ყოველნი თავადნი ქართლისანი ყალბიანადლ, და შემოკრბეს ყოველნივე დარბაისლის ცოლნი დედოფლისათანა. და ალიყარნეს დიღო-

ბეჭი გენაციებილი

მიდამე, განვიდეს ტბასა ლილოსასა, და დადგნენ მუნ მას ზედა, რომელ არს გორა მაღალი, რამეთუ მუნ ახლდეს ყოველნივე დიდე-ბულნი და მცირენი სპანი ქართველთანი, თკთ დედოფალი და ჯალ-აბანი თავადთანი.

ხოლო გამოვიდა ტფილისის ციხიდამე მრონეულნი ზროხათა. მაშინ გაუძახა მეფემან სვიმონ მცირედნი სპანი თვსნი, და წარმოი-დეს მრონეული იგი. ხოლო კაცნი იგი ივლტოდეს, და გამოვიდეს ციხიდამ მრავალნი სპანი ოსმალთანი, და იყვნეს განწყობილნი მეფე და სპანიცა ქართველთანი. მსწრაფლ მიეტევნეს იგინი, ვი-თარცა ლომნი, და პირველსა კუეთებასა ზედა წარიქცივნეს სპანი ოსმალთანი, და მოსწყვდნეს მრავალნი მათგანნი, და უმრავლეს-ნი შეიძყრნეს. და უჭვრეტდეს თკთ დედოფალი და დარბაისელთა ჯალაბნი თუალითა, და მისდევდეს ოტებულთა ოსმალთა სპანი ქართველთანი, და ვიდრე ციხისა კარამდე სრვიდეს და იპყრობდეს. და ესრეთ გამარჯუებულნი გამობრუნდეს, და მოვიდა მეფე სვიმონ სიხარულითა და წაშოვრითა დედოფალსა თანა, და იყო შუება და განცხრომა ზოგად ყოველთა შორის.

ქორონიკონსა ს-ო: პატრონს მანუჩარს ულალატეს ურუმთა. პატრონი მორჩა, ორნივ ფაშანი მძიმედ დაიკოდნეს და გაიქცეს, და თემი ჩუენვე დაგვრჩა. მაშინ ყაენი განჯას მოვიდა, და პატრონს მანუჩარს ჩალაბუთი მოსცა და პატრონს დედისიმედს ხუთი დიდი სოფელი.

ქორონიკონსა ს-ოა: თუალშუენიერი ორმოდამ ამოიყვანეს და ყაენთან მოიყვანეს. ამავე ქორონიკონსა, მარტს კ-დ, კურას დღეს ბზობას, პატრონმან მანუჩარ მეფეთმეფის პატრონის სვიმონის ქალი, პატრონი ელენე, მოიყვანა.

ქორონიკონსა ს-ობ: მიიცვალა ბარათასშვილი, კათალიკოზი ნიკოლოზი, და ნებითა და ბრძანებითა ლმრთისათა კათალიკოზ იქმნა ძე კახთა მეფისა ლეონისა, თუესა თებერვალსა კ-, დღესა შაბათსა.

ახალი ქაზითლის ცხოვნება



ამასვე ქორონიკონსა სარდალი ვარად ფაშა მოვიდა ახალციხეს საშენებლად, ვეღარ დადგა, წავიდა და თემი ჩუენვე დაგვრჩა.

შემდგომად მცირედისა კუალად შეიყარა სპა თვესი და წარვიდა ლორეს, რამეთუ ოსმალთა ეპყრა იგი. და ვითარცა მივიდა, მაშინ გამოვიდა ფაშა სპითა მრავლითა, და ეწყვნეს ურთიერთას, და იქენა ბრძოლა ძლიერი. და მისცა კუალად გამარჯუება ღმერთმან მეფესა სვიმონს, და ამოსწყვდნეს მრავალნი ოსმალნი, რიცხვით ოთხას სამოცდაცამეტნი, ქრისტეს აქეთ ჩ-ფპვ, ქორონიკონსა ს-ოგ. და ალილო სიმაგრენი და ქუბები ვითარ ცხრა ლორისანი, რომელი ეპყრა ოსმალთა. და თვე დაიპყრა თვინიერ ციხესა მის და იგი მხოლო ეპყრათ ოსმალთა. მაშინ მიადგა ციხესა მას ლორისასა, აპრილსა ა-, და ალილო იგნისსა ი-

ამასვე ქორონიკონსა ყაენმან სამცხე ამოსწყვდა ხოლო დაიპყრა მეფემან სვიმონ სრულიად ლორე და წარმოვიდა გამარჯუებული სახიდ თვესად.

ხოლო შემდგომად მცირედისა კუალად შეიპყრა და მივიდა ტაბაქმელას. მაშინ სცნა რა ასან-თაშამ, იდუმალ გამოვიდა იგი ციხესაგან სპითა მრავლითა. აგრძნა ესე მეფემან და ენყვნეს ურთიერთას. იქმნა ომი ძლიერი, და მისცა ღმერთმან გამარჯუება ქართველთა. და მაშინ მეფე სვიმონ გალომებული მიეტევა ერთსა წარჩინებულცა ბეგსა ოსმალსა და წარიქცია იგი. და მივიდა კაცი იგი და შთაიჭრა დიდსა მას წევსა ტაბაქმელისასა ცხენითურთ. და ესრეთ თქმულ არს, ვითარმედ არა მომკუდარ არს კაცი იგი, და ივ-ლტოდეს ოსმალნი. და მოისრა მაშინ ოსმალი კაცი ვითარ ხუთასი.

ხოლო მიადგა ციხესა მას ტფილისისასა, და ალილო გალავანი ტფილისისა, და უკან ციხე. და შემდგომად ამისა ალილო დიდი ციხე იქით ტფილისისა და ქალაქი ტფილისისაცა და მოსრნა ყოველნივე რაოდენნიცა იყვნეს ციხესა მას შინა. და თვე დაიპყრა ყოველივე.

მაშინ მიესმა რა საქმე ესე ხვანთქარსა, შეუძნდა ფრიად. და წარმოავლინა უმრავლესნი სპანი თვესნი; და უჩინა ამირსპასალა-


ბეჭი გვნაცაშვილი

რი ერთი ვიწმე წარჩინებულთაგანი, და მოვიდა ლორეს, და აღიღო ციხე ლორისა, და დაიპყრა ლორე. მოვიდა და დაიბანაკა ხატის სოფლისა ბოლოს.

მაშინ მეფემან სვიმონ შეჰყარა სპა თვესი, მივიდა და დაიბანაკა ხრამის გაღმა, რამეთუ მოიპოვა ღონე რამე მეფემან სვიმონ, და მოირთო ელჩიად თვე, და მივიდა ფაშას თანა სვიმონ მეფისა მაგი-ერად, და მიუთხრნა სიტყუანი ლიქნისანი, ვითა: „თქუენცა გასმიან, თუ რაოდენი ჭირნი და პყრობილებანი და ტყუეობანი მონევნულ არიან ყიზილბაშთა მიერ ჩემ ზედა. და ან არლარა ძალ-მიძს ესე-ოდენი სისხლი და ბრძოლა ხვანთქრისა და სპათა მისთა, რამეთუ საქმე ესე არა ნებითა ჩემითა მიქმნიან, არამედ მძლავრებითა ყიზილბაშთა. ამიერითგან არლარა მნებავს მონება ყიზილბაშთა, და აღმირჩევიეს მორჩილება ხვანთქრისა უფროს ყიზილბაშთა. და ან, უკეთუ თქუენცა გნებავს, შევრიგდეთ და ვიყვნეთ მშედობით, და აუნყეთ ხვანთქარსა დამონება ჩუენი, და ამიერითგან ვიქმნებით მორჩილ ბრძანებისა მისისა“.

ხოლო ვითარცა ესმა ფაშასა მას საქმე ესე, განიხარა ფრიად და მიუმცნო მეფესა სვიმონს, ვითარმედ: „კეთილად განგიზრახავს, და ჩუენცა სარწმუნოდ გვიჩნის სიტყუა შენი. ანვე გავრიგდეთ და ამიერითგან იყოს მშედობა და ერთობა ჩუენ შორის“.

და წარმოვიდა მეფე სვიმონ სპათა თვესთა თანა. მაშინ განიმ-სტრო ბანაკი იგი ოსმალთა და იხილა ყოველივე საქმე ესე, და სიმა-გრე მათი, და სიმრავლე მებრძოლთა მათთა და მასვე ღამესა წარვ-იდა მათ ზედა: შემოვლო ხატის-სოფლის გორასა, და დაესხა თავსა ოსმალთა, და მოსწყვდნა მრავალნი პირითა მახვლისათა, სხუანი შეიპყრნა უმრავლესნი და გაემარჯუა ძლიერად. და იავარ-ყვეს ბარგი მათი, და წარმოიღეს საშოვარი ურიცხვ, და მთვიდეს გამარ-ჯუებულნი ტფილისს, და განისუენა მცირედ.

და კუალად შემოიყარნა სპანი ქართველთანი. და იყო მაშინ ათა-ბაგიცა მანუჩარ სიძე მისი მას თანა, წარვიდა და მიადგა ციხესა



დმანისისასა, რამეთუ მაშინ ოსმალთა ძლიერად ეპყრაო დმანისი და ციხცა დმანისისა. ხოლო აღიღო ციხე და დაიპყრა დმანის-ქევი და გარემონი ადგილი, რომელი ეპყრაო ოსმალთა. მაშინ წარვიდა. ათაბაგი მანუჩარ და კულად იპყრა საათაბაგო. და განძლიერდა ფრიად მეფე სვიმონ. ხოლო ჟამსა ამას შინა იყო მოსუენებით მეფე და სრულად საქართველო, რამეთუ ვერლარა უძლეს ოსმალთა მოსლვად საქართველოსა ზედა.

ქორონიკონსა ს-ოე: აქა შაპ-ხუდაბანდის შვილი ამზაი-მირზა დალაქმა მოელა.

აქა მანყუერელი გაგზავნეს კოსტანტინეპოლეს, და მესაპატიონი კაცნი მძევლად მისცნეს შალიკაშვილი ედიშერ, შალიკაშვილი ელია და ამილახორის შვილი ქიოარ. და მძევლები დაუჭირეს, და პატრონი მანუჩარ ვერლარა მიენდო.

ამავე ქორონიკონსა ახალციხე და გორი აღაშენეს ურუმთა. აგვისტონსა, დასაბამითგან წელთ შვიდათას ოთხმოცდათოთხმეტსა, მეფე სვიმონ საშუელად მოვიდა. აღარ შეაბეს, მესხთა თემი დაარბიეს და წარვიდეს.

ბევრ-რიგი მოღალატე შემოადგეს პატრონს მანუჩარს. ვეღარ დაუდგნა და ახალდაბას ცოლი წაიყვანა და წავიდა. პატრონი დედისიმედი და პატრონის ყუარყუარეს შვილი, პატრონი ქაიხოსრო, საკანაფეს ციხეში დადგეს. და დასამიძემან ელია დემოთიას ციხეს სავალნაშვილი საღალატოდ შეიყენა. უღალატეს, ციხე წაართუეს და ბევრი საქონელი და საღარო დაიჭირეს.

და გოგორის-შვილმან ბეჟან ციხისჯუარი უკუ-იჭირა და მისცა ფაშასა. შემოგვიყენეს მოღალატენი და ვეღარც ჩუენ დაუდგენით და ჩავედით ახალდაბას.

მარტს წახევარს, გაზაფხულ, ყაენი ხუდაბანდის შვილი, აბასი მირზა, გამოვიდა, არდაველს მოვიდა. ოზბეგნი ხუარასანს წამოეჭირნეს, დაბრუნდა, იქითვე წავიდა და თუალშუენიერი თან წაიტანა. თავრეზს რომ ჩავიდეს, იქ ომი იქმნა. სამჯერ შეიბა თუ-


 ბერი ეცნატეტეილია

ალშუენიერი, სამჯერვე გაემარჯვა კიდეც დაწოცნა, წელთაც დაიჭირნა. ყაენს მიუსხა. ყაენმან მამულიც დიდი მისცა და ჯილდოცა.

მერმე პატრონი მანუჩარ აღარ მიენდო, ღონე ველარა მოიგონა რა. დაგვიწყეს მოციქულობა. პატრონი დედისიმედი და პატრონი მისი შვილისშვილი, პატრონი ქაიხოსრო, გამოუგზავნეს ახალციხეს ფაშას თანა შობის წინა დღეს.

ყიზილბაშთა განდევნეს შახუდაბანდა ყაენი და დასუეს მის წილად ძე მისი შააბაზ. და გამოვიდა ესე შააბაზ და აღილო თავრეზი და ყოველივე ადარბადაგანი. თვინიერ ერევნისა და ბალდადისა. და იყო ფრიად მწყალობელ შააბაზ მეფისა სვიმონისა. და კუალად უფროსად განმდიდრდა მეფე სვიმონ და განძლიერდა. და არღარა იყო მტერობა. რამთუ ყვეს მშვდომა ალექსანდრე, მპყრობელმან კახეთისამან, და მეფემან სვიმონ. რამეთუ უამსა ამას მოკუდა პატრონი იმერეთისა გიორგი და დაჯდა კოსტანტინე. და მცირედსა ხანსა შინა მოკუდა კოსტანტინე და დაჯდა ძმა მისი ლეონ. და მტერობდენ ურთიერთას დადიანი მანუჩარ და ლეონ მპყრობელი იმერეთის, რამეთუ ესუა ცოლად დადიანს მანუჩარს ასული კახის ბატონს ალექსანდრესი ნესტან-დარეჯან. და ჰყვა დადიანს მანუჩარს მას თანა ძე ერთი, რომელსა ეწოდა ლეონ. ამას უამსა შინა მოკუდა ცოლი დადიანისა ნესტან-დარეჯან, და შეირთო ასული ათაბაგისა თამარ.

ხოლო რაჟამს განძლიერდა მეფე სვიმონ, მაშინ განიზრახა დაპყრობა იმერეთისა: შემოიყარა სპანი ქართველთანი და წარვიდა დაპყრობად იმერეთისა. სცნა რა ესე ლეონ მპყრობელმან იმერეთისამან, შეიყარა მანცა სპანი იმერთანი, თვინიერ დადიანისა და გურიელისა, და წარვიდა და დაიბანაკა გოფანთოს. მაშინ გარდმოვლო მთა ლიხისა მეფემან სვიმონ და მივიდა გოფანთოს, და ეწყუნენ ურთიერთას. იქმნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯუა მეფესა სვიმონს, და ივლტოდა ლეონ მპყრობელი იმერეთისა.

მაშინ დაიპყრა მეფემან სვიმონ იმერეთი, და გამოართუა დიდე-

ბულთა თავადთა მძევალნი და წარმოვიდა ქართლს, რამეთუ მას უამად გორის ციხე ეპყრა ოსმალთა. ამისთვის ვერა დაადგრა იმ-ერეთს. და ოდეს წარმოვიდა მეფე სვიმონ, მაშინ კუალად დაიპყრა იმერეთი ლეონ. და აღილო მური დადიანზედა, რამეთუ არა თანამნე ექმნა იგი მეფესა სვიმონსა ზედა, და იწყეს მტერობა ურთიერთას. შეიყარა ამიერ მპყრობელი იმერეთისა ლევან და იმიერ დადიანი მამია. ენყუნენ ურთიერთას და გაემარჯუა დადიანსა, და შეიპყრა მპყრობელი იმერეთისა ლეონ. და პყრობილ ყვეს იგი ოდიშს ციხესა შხეფისასა, და მუნ მოკუდა ლეონ, ქრისტეს აქეთ ჩ-ფუბ, ქორონ-იკონს ს-ოც.

სცნა რა ესე მეფემან სვიმონ, შეიყარნა სპანი თვესი და გარდავ-ლო მთა ლიხისა და ჩავიდა ქუთაისს, ქრისტეს აქეთ ჩ-ფუბ, ქორონ-იკონსა ს-ოც. მაშინ ძმისნული ლევანისა ბაგრატ იყო ციხესა შინა ქუთაისისასა განმაგრებულ. მიადგა მეფე სვიმონ ციხესა მას და აილო იგი, გამოიყვანა ბაგრატი, ძმისნული ლეონისა, და სხუანიცა მრავალნი თავადნი იმერეთისანი, და გამოართუა მძევლები და დაიპყრა მტკიცედ იმერეთი, და წარმოიყვანა ბაგრატ თანა.

და ოდეს მოკუდა მპყრობელი იმერეთისა ლევან უძევოდ, რამეთუ არა დაშთა თესლი მისი, და არღარავინ იყო სხუა სახლსა შინა მათ-სა, თვინიერ ძე კოსტანტინესი როსტომ. და რაჟამს წარვიდა მეფე სვიმონ ქართლს, ამან როსტომ მოიყენა დადიანი მამია, და მისცა ქალი დადიანმა, და წარმოიყვანა იგი და გააბატონა. და დაიპყრა იმერეთი როსტომ. მიადგეს ციხესა ქუთაისისასა და ალილეს იგიცა. ხოლო რაჟამს ესმა მეფესა სვიმონს საქმე ესე, შეიყარა და წარმოვ-იდა, ქრისტეს აქეთ ამასვე ქორონიკონსა გარდავლო მთა და მივიდა რაჭას, და აღილო. ციხე კვარისა, და ციხე სკანდისა, და ციხე კაცხი-სა. მივიდა ქუთაისს და ალილო ციხე, და დაიპყრა კუალად იმერეთი. და ვერღარა დაუდგა როსტომ და წარვიდა ოდიშს დადიანისა თანა.

მაშინ წარვიდა მეფე სვიმონ დადიანსა ზედა, ჩავიდა და დაბა-ნაკა ოფიშკეტს, დიდებითა და ძალითა მრავლითა. და წარიღო

ბეჭი გვირაფაშვილი

თანა ზარბაზნები დიდ-დიდი სახელოვანნი, რომელი აწცა არს ზუგდიდს, და უდიდესი ზარბაზანი ერთი არს რუსს დღესცა. მაშინ დადიანმანა მოუგზავნა მოციქული მეფესა სვიმონს, რათამცა პატივ-სდვას მას და შეირიგოს სიძე მისი როსტომ, და მისცეს სარჩო მამული: „და იყოს დამონებულ და მორჩილ ბრძანებისა თქუენისა, და მეცა ვიქმნები დამორჩილებულ, ვითარცა ერთი თავადი შენი ერთგული და მონა-მორჩილი ბრძანებისა თქუენისა, და ესრეთ ერთობით დაიმკვდრე საქართველო, ვითარცა პირველ დავით აღ-მაშენებელმან“.

ხოლო მეფემან სვიმონ არა მოიქსენა განლაღებულმან თქმული იგი სოლომონისი, ვითარმედ: „რაჟამს ამაღლდე ღმრთისა მიერ, მაშინდა უფროს ჯერ არს შენდა დამდაბლება თავისა შენისა, რამ-ეთუ არა უსმინა დადიანსა განზრახვა იგი ფრიად სარგებელი მათი და უმჯობესი ზოგად ყოველთათვს.“

მაშინ სილალით და კადინერებით მიუმცნო მეფემან სვიმონ. ვითარმედ: „ვერ ეგების საქმე ეგე, არამედ მოსრულ ვარ ბრძოლად თქუენდა. უკეთუ ძალ-გიძს ნინაგანწყობად ჩუენდა, აპა უამი სიმწ-ნისა თქუენისა“.

სწორა რა ეს დადიანმან მამია, შემოიყარნა სრულიად ოდიშარნი და რომელნიმე თავადი იმერელნი თანა-გარდაყოლილნი როსტომისანი. წარმოემართნეს მსწრაფლ, და განთიადისა უამსა დაესხა თავსა შეფესა სვიმონს უგრძნობელად. მაშინ მეფე სვიმონ და სპანი მისი შესხდეს და იქმნა ბრძოლა ძლიერი. არამედ სძლო სამართალ-მან დადიანისამან და მიეცა გამარჯუება ქართველთა ზედა.

რამეთუ ჰყვანდა მეფესა ცხენი ორი რჩეული: ერთსა ენოდა ფალავანი და მეორესა შურდანი. რამეთუ იყო მეფე სვიმონ მრავ-ალგუარად გამოცდილი ბრძოლასა მინა და პირველსავე ჯარის მიდგომას სცნობდა: უკეთუ გაემარჯუებოდა, მაშინ შეჯდებოდა ფალავანზედა; და უკეთუ დაუმარცხდებოდა, მაშინ შეჯდებოდა შურდანსა ზედა და წარმოვიდოდა. და არავინ უწყოდა ესე, გარნა



საამ თურქისტანისშვილმან, და მზერდა ესე თურქისტანისშვილი საქმესა მეფისასა, რომელსა ცხენსა ითხოვსო-და ესრეთ იყო ჩუეულება მისი. მაშინ მოითხოვა შურდანი. სცნა რა ესე თურქისტანისშეილმან, რომელი იყო კაცი ყრმა, ახალ-ვაჟკაცი, და მზერდა საქმესა მეფისასა, მოაწენა: „მეფეო. რა არს მიზეზი შურდანზედ შეჯდომისა თქუენისა? ნუმცა მიხილავს თუალითა ჩემითა ლტოლვა მრავალჯერ გამარჯუებულისა და სახელოვანისა თავისა თქუენისა, და მე აქადამ შუბ-მოუქნეველი ცოცხალი არ წავალო“.

მაშინ მიეტევა გამარჯუებული. შეისწრაფა რაზმთა შინა, სცა ოროლითა და გარდააგდო კაცი, და ქმნა სახელი დიდი დამარცხებულსა ომსა შინა. ხოლო მეფემან სვიმონ სცნა რა გაჭირება ომისა და გამარჯუება მამია დადიანისა, მაშინ უკუნ იქცა და წარმოვიდა მარტო თავ-კაცად, ამოვლო იმერეთი და მოვიდა კოლიბაურს.

ხოლო ოდეს წარმოემართა მეფე სვიმონ და წარვიდა ბრძოლად მამია დადიანისა, მაშინ დაიპანაა კოლიბაურს. მაშინ ერთმან ვინ-მე დედაკაცმან კოლიბაურელმან მიართუა მეფესა სვიმონს შვილი თუსი. და ფრიად ევედრა დედაკაცი იგი, რათამცა იახლოს და წარიყვანოს შვილი მისი, ხოლო მეფემან სვიმონ არა იახლა იგი და უბრძანა: „დედაო, ესე არა უნყი, რომე კაცითა მთვრალი ვარო“. და რაჟამს ოტებული მხოლოდ წარმოვიდა, მივიდა მუნვე კოლიბაურს. მაშინ დედაკაცი იგი სთოვნიდა ახოსა, და იხილა დედაკაცმან მან მეფე სვიმონ მომავალი მარტო უკაცოდ. მიეგბა დედაკაცი იგი და იცნა მეფე სვიმონ. და სცნა დედაკაცმან მან დამარცხება მეფისა სვიმონისა. მაშინ მოაწენა: „წელმწიფეო, კაცისაგან რომ მთვრალი იყავ, ვეჭობ ახლა კი გამოგფხიზლებიაო“. და რა ესმა მეფესა სვიმონს, გაუკრდა და მადლობა შენირა ღმერთსა და წარვიდა.

მაშინ წარმოვიდა თურქისტანისშვილიცა და ყოველნივე ქართველნი; და მრავალნი ამოსწყვდეს მუნ, და სხუანი წარმოვიდეს ოტებულნი. და დაშთა მუნ მრავალი საუნჯე და დიდნი თოფნი და ზარბაზანნი, რომელი არს დღესცა ზუგდიდს.

ბეჭი ეგნატაშვილი

ხოლო მეფემან სვიმონ გარდაალო მთა ლიხისა, ჩავლო ზემო ქართლი მხოლომან, თვინიერ კაცსა, და მივიდა კავთისხევს. რამ-ეთუ ფრიად დაშურა და ვერლარა ძალ-ედვა სლვა, მიადგა ერთსა მუნ მკუდრსა მცირეთაგანსა გლეხსა და ინება მუნ მცირედ-ჟამ განსუენება.

და გამოვიდა სახლისა მისგან ქალი ერთი და ვერა იცნა მეფე სვიმონ. მაშინ ანვია და უსადგურა კეთილად, და მოუმზადა სერი და მიართუა მას. და მიიღო მცირედი საზრდელი, და მერმე მოაწენა ქალმან მან და ჰყითხა ამბავი ლაშქრისა და მეფისა: „თუ მეფე რა იქმნა, ანუ ცოცხლებით არისო, ანუ გამოვიდა ომისაგან მშვდობითო“.

ხოლო მეფემან უბრძანა: „არა უწყი რა მეფისაო“. ამისა შემდგომად ჰყითხა ქმრისა თვესისა და ანიშნა ნიშანი ქმრისა თვესისა. და უბრძანა: „არა უწყი რა მათი, თუ რა შეემთხუა ლაშქართა მეფისათვაო“. ხოლო ქალი დიდად მნუხარე იქმნა და ტიროდა მეფისათვეს უფროს, ვიდრე ქმრისა მისისა, და იტყოდა: „ნეტარ თუმცა ღმერთმან მიხედოს წყალობითა და გუალირსოს მეფისა სვიმონის ცოცხლებით გამოსლვა, და სხუანი ყოველნივე სპანი მისნი ჭირისა მისისა სანაცვლო იყოსო“.

მაშინ ფრიად მხიარულ იქმნა მეფე გულსა შინა თვესა ერთგულობისათვე დედაკაცისა მის, და მერმე ნარვიდა სახიდ თვესად. ამისა შემდგომად მოვიდა ქმარი ქალისა მის; და უყო წყალობა ფრიადი მეფემან სიტყვთა მის ქალისათა, და ებოძა ყვა და საწელო და სხუა საბოძვარი მრავალი. და მიერითგან აზნაურ იქმნა კაცი იგი, რომელ აწცა არიან ქულივიძენი.

ხოლო ესმა ლორის ციხესა შინა მყოფთა დამარცხება მეფისა სვიმონისა. მაშინ გამოვიდეს და იავარ-ყვეს რომელნიმე კერძონი საქართველოსანი, და დაიბანაკეს ტაშირზედა. და იყო სიხარული დიდი ოსმალთა შორის. ხოლო მეფემან სვიმონ კუალად შემოიყარა მცირედნი რამე სპანი ქართლისანი, რაოდენნიცა დაშთომილ იყ-

ვნეს, და წარვიდა ლორეს ოსმალთა ზედა უგრძნობელად. და ენყუნეს ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯუა მეფესა, და აღიღეს ციხე ლორისა და მოსრნა იგინი პირითა მახვლისათა, და დაიპყრა ლორე და წარმოვიდა გამარჯუებული სახიდ თვსად.

ამისა შემდგომად წარვიდა ზემო ქართლს და მივიდა გორიჯუარს, რამეთუ ჟამსა მას ეპყრა ციხე გორისა ოსმალთა. მაშინ მეფე სვიმონ დაჯდა გორასა მას ზედა გორიჯურისასა და სმიდა ღვნოსა და სჭამდა თრიაქსაცა. ესე ჩუეულება ესწავა ყიზილბაშთა შინა. ხოლო ოდეს განმხიარულდა ღვნითა და თრიაქითა, გახედა გორის ბოსტნებსა და იხილა ახალი მწუანვილი. მაშინ უბრძანა მეფემან მუნ მყოფთა: „აპა, რჩეულნო სპანო ჩემნო ქართველნო, მნებავს ახალ-ალმოცენებული იგი მწუანვილი მოღებად ჩემს წინაშე, და რა საკადრებელ არს ესე სიმწნისა თქეუნისაო“. ესმა რა ესე ქართველთა, მყის ისწრაფეს და განვიდეს გაღმა გორის ბოსტნებსა შინა და დაგლიჯეს მწუანვილი. მაშან დაუშინეს ოსმალთა თოფნი და დიდნი ზარბაზანნი, და მოკლეს კაცნი მრავალნი, დიდნი და მცირენი.

რამეთუ მუნ მოკლეს ბატონისმვილი გოჩა, რთმელი იყო პაპის ძმისნულიმეფისა სვიმონისა, და სხუანიცა მრავალნი თავადნი და აზნაურშეილნი ამოსნყვდეს მნარეს ხახვისათვეს. და მაშინ განგმეს მეფე სვიმონ. და ამა სვიმონს უნინაცა სძრახევდენ ჭკუასა ტყუერბას უკან. და ყიზილბაში და ოსმალნი დელუ-სვიმონს უნოდდენ, რომელ არს ხელი. ხოლო შეუძნდა ფრიად საქმე ესე მეფესა, და შემდგომად მცირედისა შემო ყარა სპანი ქართველთანი, და გარემოადგა ციხესა გორისასა; და ბრძოლა უყო ციხესა გორისასა და აღიღო იგი, და ამოსნყვდნა ყოველნივე ოსმალნი მეოფნი ციხესა შინა.

ხოლო ესმა რა საქმე ესე ხვანიქარსა, განრისხნა ფრიად ესე-ოდენისა სპათა მისთა ამონყუედისათვეს, არა თუ ერთგზის. არამედ მრავალგზის და წარმოავლინა ამირსპასალარი თვეში ვეზირი ჯაფარ ფაშა და გამოატანა თანა სიმრავლენი სპათანი ურიცხვ. წარმოვიდეს და დაიბანაკეს ნაწილურს. მაშინ მეფემან სვიმონ შემოიყარნა


 პეტრი გენატაშვილი

სპანი თვესი, მივიდა და დაიბანაკა თავსა სალირაშენისასა. და მერე განიზრახა თვესაგან საქმე არა კეთილი და არა აუწყა სპათა თვესთა, არამედ მინდობითა თავისა თვესისათა ყო რასაქმე საქმე ესე და არა ითხოვა ღმრთისა მიერ შენევნა, რამეთუ ესრეთვე ქმნა მეფე-მან სვიმონ, და წარვიდა ათითა ცხენოსნითა მარტო, რა წარიტანა ერთი საყვირისა მცემელი მექანარე და ეგულებოდა განმსტრობა ბანაკისა მის ოსმალეთისა.

მივიდა და გარდაადგა თავსა ნაწილურისასა, რომელ არს მცირე ეკლესია, და მუნიციპან განისილა ბანაკი იგი ოსმალთა. მაშინ უბრძანა მეფემან დაცემა ქანარისა, რათა ალრივნეს სპანი მათნი. ხოლო ვითარცა ესმა ოსმალთა ჭმა საყვირისა, თქუეს უცილოდ მოსვლა მეფისა სვიმონისა. შეიფურნეს მყის და ალსხდეს ჰუნეთა ზედა. და მოეტევნეს ამიერ კერძო, სადა მდგომარე იყო მეფე. და რა სცნა მეფემან, მოისწრაფა სპათა თვესთა თანა. ხოლო მათ დევნა უყვეს ძლიერად, მიენივნეს და იხილეს მეფე სვიმონ, რამეთუ ცხენი მისი შთაფლულ იყო ლიასა შინა ბოლოს ფარცხისისასა და თკო მდგომარე იყო. ამას ზედა მივიდეს ოსმალნიცა და გარემოადგეს. და იწყო ბრძოლად მხოლომან და, რაოდენ ძალ-ედვა, აჩუენა სიმწენე თვესი, არამედ სიმრავლენიოსმალთანი ზედა დაესსნეს და შეიპყრეს იგი, ქრისტეს აქეთ ჩრე.

მაშინ სცნეს რა მეფობა მისი, განიხარეს ფრიად და მსწრაფლ იქმიეს სივლტოლა, ალიყარნეს და წარვიდეს ლორეს. მაშინ მიესმა ქართველთა საქმე ესე, რამეთუ გიორგი, ძე მეფის სვიმონისა, მუნ იყო ქართველთა შორის, წარმოუდგეს ოსმალთა უკან და დევნა უყვეს ძლიერად, და ვერლარა მიენივნეს. მაშინ ოსმალთა ალილეს ციხე ლორისა, და შეაყენეს მცველნი თვესი, და წარვიდეს, და წარიყვანეს თანა მეფე სვიმონ, და მიიყვანეს სტამბოლს. ხოლო გიორგი, ძე მისი, განავებდა ქართლსა, წარავლინა კაცი სტამბოლს და აღუთ-ქუა საქართველოს მამისა თვესისა ხოლო მათ სთხოვეს საქართველოს მრავალი და აღუთქუეს განტევება მეფისა სკმონისა.

ახალი ქაზთლის ცხოვტება

ხოლო ხვანთქარმან მიუმცნო მეფესა სვიმონს დადება ხარკი-
სა საქართველოსა ზედა და დამორჩილებად პრძანებისა მისისა.
ხოლო მეფემან სვიმონ არა ნება სცა, ამისთვის რომე ყაენის ბეგარა.
ქართლსა შინა ამან განწესა, კომლის თავს გლეხზედ მარჩილი ასი,
რამეთუ ამა თეთრითა იყიდდეს ტყუესა შედასა და ნარუვზავნიდეს
ყაენსა.

მაშინ გიორგი, ძემან მეფისა სვიმონისამან, აღილო ყოველივე
საუნჯე მამისა თვისისა, ანუ რომელიცა თვისი ჰქონდა და სხუა სა-
დაცა მონასტრებისა საქონელი იყო, ანუ რომელიცა ქართველთა
დარბაისელთა ჰქონდათ მოკრიბეს ზოგად, და ნარგზავნეს. საქ-
სრად მეფისა სვიმონისა. და ვიდრე საქონლისა მისლვადმდე, მიცვ-
ლილ იყო მეფე სვიმონ საპყრობილესა შინა, და ესეოდენი საუნ-
ჯეცა მუნ დაშთა.

ხოლო იყო მუნ სტამბოლს ერთი გორელი ვაჭარი, რომელსა
ეწოდა დიაკუნისშვილი. და ამან იშოვნა ძუალნი, სვიმონ მეფისანი,
და ნარმოილო იგი და მოართუა გიორგის და დედოფალსა ნესტან-
დარეჯანს. და ყვეს გლოვა დიდი, და დამარხეს სამარხოსა თვისა
მცხეთას. ხოლო რომელმანცა მოილო ძუალნი მისნი იგი დიაკუ-
ნისშვილი ყოვლითურთ სახლეულით მისით გაააზატეს, და შეს-
ნირეს პატიოსანსა და ცხოველს-მყოფელსა ჯუარის მონასტერსა
სალხინებელად და საოხად მეფისა სვიმონისა. და არიან ანცა გორს
დიაკუნისშვილები ყმანი ჯარის მონასტრისანი.

ხოლო გიორგიმ დაიპყრა ქართლი და მეფობდა კეთილად. ამისა
შემდგომად შემოიყარნა ქართველნი და ნარვიდა ლორესა ზედა. და
აღილო ცხე და დაპყრა ლორე მეფემან გიორგი.

და ამას უამსა შინა მიიცვალა მპყრობელი იმერეთისა როსტომ,
ქრისტეს აქეთ ჩ ქიდ; და არა დაშთა როსტომს ძე, ხოლო ჰყვა ნა-
შობი მწევლისა, რომელსა ეწოდა გიორგი, და ესე გააპატონეს იმ-
ერელთა.

ამავე უამთა მინა მოკუდა დადიანიცა მამია, და დაუშთა მას ძე

ბეჭი გტნაცაშვილი

ერთი, სახელით ლევან. ესე იყო ნაშობი კახის ბატონის ასულის ნესტან-დარეჯანისა. ესე ლევან წარმოიყვანა კახმან ბატონმან ალექსანდრე, პაპამან მისმან, და აღზარდა კახეთს. ხოლო შემდგომად მამია დადიანისა ესე ლევან, ძე მისი, წარმოიყვანეს ოდიშართა და დასუეს დადიანად.

ამასვე უამთა შინა წარმოემართა ყაენი შააბაზ ალებად ერევნისა. მაშინ იწმო ყაენმან მეფე გიორგი და კახი ბატონი ალექსანდრე სპითა მათითა, და წარვიდეს. და რა მივიდენ, დიდად მოენონა შააბაზს სპანი ქართველთა და კათანი, და უბრძანა ყოველთავე სპათა მისთა იერიში ერევნის ციხისა. მაშინ სიმწენე დიდი აჩუქნეს ქართველთა უმეტეს ყიზილაბმთა და მივიდეს მენინავედ, და აღიდეს ციხე ერევნისა. დადაიპყრა შააბაზ ერევანი და შეაყენა ციხე-სა შინა სპანი თვესნი. ხოლო სთხოვა შააბაზ მეფესა გიორგის ლორე და ციხე ლორისა, და შეუძნდა ფრიად. და რამეთუ არა ეძლო უარი შააბაზისა, და დაანება ლორე და დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ. და შეაყენნა სპანი თვესნი და მიიქცა სახიდ თვსად, რამეთუ იყო ყაენი შააბაზ კაცი მზაკუარი და აღსავსე ყოვლითავე სიბოროტითა. პირველად ესე წყალობა უყო მეფესა გიორგის. ერთგულობისა ნაცვლად მამისა თვესისა.

მაშინ წარმოვიდენ მეფე გიორგი და კახი ბატონი ალექსანდრე სამყოფსა თვესსა. და შემდგომად მცირედისა წარმოვიდეს ძენი კახის ბატონის ალექსანდრესი დავით და გიორგი და ესტუმრნეს მეფე გიორგის, მამიდას-შვილსა თვესსა. მაშინ მიეგებნეს წინა ავლაბარში მეფე გიორგი და განიხარეს ნახვა ურთიერთას. და წარმოუძლუა და დააყენა და ისტყუანა იგინი კეთილად, და უმზადა სერი დიდი, და იყოლხინობა და გამოჩუქნება დიდი. და ესრეთ იყვნეს დღეთა რაოდენთამე. და მერმე კუალად შინაგან თვესსა მოაწვივნა იგინი. და წარვიდა დავით და რაოდენ[ნ]იმე კახნი იახლნეს თანა. ხოლო გიორგი მიზეზ ყო სნეულება ბევრთა ღვნისა სმათა მიერ და არა წარვიდა. მაშინ შეექცეს ლხინსა იგინი. ხოლო გიორგიმ, უმცირეს-



მან ძმამან დავითისამან, განიზრასა ზრახვა ბოროტი ძმისა თვ-სისა დავითისთვეს, და ეგულებოდა ღალატად სიკუდილი მისი. ესე ბოროტი აღრჩევა გაანდო ერთგულთა ყმათა თვეთა, რამეთუ იყო ესე გიორგი კაცი გამცემი და მოყუარე ყმათა. და იყვნენ კახნი უმ-რავლესნი ამის კერძო, და ერთგულნი დიდად.

ხოლო უხუცესი ძმა მისი დავით იყო კაცი კადნიერი და მრისხანე. ამისთვესცა დიდად ერთგულ იყვნენ გიორგისა კახნი. მაშინ შემოიფიცა ერთგულნი ყმანი თვესნი გიორგიმ, და დაასკუნეს ღალატად სიკუდილი დავითისა ღამესა მას, რამეთუ ეგულებოდათ ღვინითა მთერალსა ღალატი დავითისი და იმარჯუებდა უამსა აღსრულებად ძმისა მელველებრთა გულის-სიტყუათა წარწენებედელთა სულისათა.

ხოლო იყო ვინმე მათ შინა მყოფი ღმრთის-მოყუარე კაცი ჩოლაყაშვილი. და ამან არა თავს იდვა დაფარვად საქმე ესე, არამედ წარვიდა და აუწყა დავითს ღალატი იგი მისთვეს განმზადებული. მაშინ დავით ალდგა მყის სერისა მისგან და წარმოვიდა. რამეთუ ვერ აგრძნა საქმე ესე მეფემან გიორგი, და მივიდა დავით კარავსა ძმისა თვესისა გიორგისასა, და იხილა ძმა თვესი აღჭურვილი კარავსა შინა. და რქუა დავით: „ძმაო, ვის ზედა აღჭურვილხარ, ანუ ვის ზედა მიმავალხარ ბრძოლად?“ ხოლო მან ვერა რად სიტყუა უგო. და შეიპყრა იგი და მის თანა შეთქმულნიცა იგი კახნი და წარიყვანა იგი და პატიმარ ყო ციხესა შინა თორლასა, და თორმეტნი ყმანი მისნი ჭოეთის ციხიდამან გადმოყარნა და დაქოცნა, და თვესი დაიპყრა კახეთი. და იქმნა ურჩ და წინააღმდეგომ მამისა თვესისა ალექსან-დრესი. რამეთუ მძლავრებით მიუღო კახეთი და თვეთ დაიპყრა და იბატონა თუესა ექუსსა. და მერმე ურჩებისა მისთვეს ეწია მსწრაფლ გულისწყრომა ღმრთისა და მოკუდა იგი. და შემდგომად კუალად იპყრა კახეთი ალექსანდრემ, და გამოიყვანა ძე თვესი გიორგი პატი-მარი ციხისაგან, და რამეთუ სხუა არლარა ჰყება მე თვინიერ მისსა.

ხოლო დავითს ესუა ცოლად ასული მუხრანის ბატონის აშოთა-ნისა. და ესე იყო ღუანლ-მრავალი და სამგზის სანატრელი დედათა

ბერი ეჭნაცმელი

შორის ახოვანი დედოფალი და მოწამე ყოვლად ქებული ქეთევან. და ამას დაუშთა დავითის მიერ ძე ერთი ყრმა მცირე თემურაზ. და ფრიად შიძნეულ იყო და ზრუნვიდა ქეთევან მხოლოდ შობილისა ყრმისა მისისათვეს, ნუ უკუე ძრო იწსენოს გიორგიმ, რომელ ყო ძპნად მის ზედა დავით. მისთვეცა ქეთევან იქმია გონიერება კეთილი და ნარგზავნა ძე თვისი თემურაზ შააბაზ ყაენთანა. და ნარჟყვა თანა შერმაზან ჩოლაყაშვილი.

ხოლო მივიდეს რა, დიდად პატივ-სცა შააბაზ, და ითვისა ვითარცა ძე თვისი, რამეთუ მაშინ დიდად ნადიერ იერ შააბაზ და ღონებყოფ-და დაპყრობად საქართველოსა. ხოლო ალექსანდრეს, მპყრობელსა კახეთისასა, პირველ ოდესმე მიეცა ძე თვისი კოსტანტინე შააბაზ ყაენისათვეს, და აღზარდა სჯულსა თვისსა ზედა.

ესე კოსტანტინე ნარმოგზავნა შააბაზ, და ნარმოატანა თანა სპანი შირვანისა და ყარაბაღისათვესა. და წელითა კოსტანტინესითა ნარმოუგზავნა მამასა მისსა ალექსანდრეს. ხალათი. მაშინ შააბაზ მზაკუარებითა თვისითა აღჭურა და ამცნო კოსტანტინეს, ვითარმედ: „არღარავინ დაშოომილ არს სახლსა მამისა შენისასა თვინიერ შენსა, ნარვედ და უღალატე მამასა შენსა და ძმასა შენსა და დაიყარ შენთვეს კახეთი, და მეცა ვიყო თანაშემწედ შენდა, და მიიღო ჩემგან პატივი და წყალობა ურიცხვ“. ესე აცთუნა ბოროტ-მან მან, და ნარმოგზავნა მკვლელად მამისა და ძმისა თვისისა. ხოლო მან უბადრუკმან იწნეუნა განზრახვა ესე ბოროტი. ში, დიდი ესე უგუნურება, რამეთუ ვინ სადა იხილა თვინიერ სულელთა და ხელქმნილთა, რათამცა სარწმუნო იქმნა განზრახვათა მტერისათა.

მაშინ ნარმოემართა კოსტანტინე. და რა მოიწია საზღვართა კახეთისათა, მაშინ ნარავლინა კაცი და მიუმცნო მამასა თვისსა ალექსანდრეს, ვითარმედ: „ნარმოვედ დასტურითა შააბასისათა, რამეთუ ფრიად მსურის ხილვად შენდა“.

მაშინ ფრიად განიხარა ალექსანდრემ, და ნარვიდა, და თანა ნარიყვანა ძე თვისი გიორგი, და მიეგებნეს წინა. იხილეს რად ურთი-

ერთას, განიხარეს სიხარულითა დიდითა და განისუენეს მცირედ. მაშინ მიუძღვნა კოსტანტინემ ხალათი იგი, რომელი წარმოეცა შააბაზს ალექსანდრესთვეს, და იყვნეს მუნ შუებით და სიხარულით.

ხოლო კოსტანტინეს აშფოთებდა ბოროტი იგი გულისთქმა, და აღდგა მკლველად მამისა თვესისა და ძმისა. დღესა ერთსა განაზრახნა სპანი იგი შირვანელნი და განიგულა წარწყმედა სულისა თვესისა, და სიკუდილი მამისა და ძმისა თვესისა. მაშინ მიუწოდა ალექსანდრეს და გიორგის [...] გადამწერთა ანდერძი

წყალობითა ღ(ვ)თისათა სრულ იქმნა ქართლისა ცხოვრება ესე ჯელითა ჩემ ულირსისა მღლლისა ქალაქსა ტფილისისასა, ჯვარის საყდრის დეკანოზის ოიანესითა, დედასა ზედა სვეტის ცხოვლისასა. რამეთუ ვიდრე აქამიმდე ალენერათ, და ამისგან უსრულესი ქართლის ცხოვრება არსად იპოვობოდა. ვითხოვ მხილველთაგან შენდობით მოხსენებასა, რამეთუ ფრიად დავშურ და ვეცადე სიმართლესა, ვითარცა თქვენცა იხილავთ: აპრილის თთვის 24, ქრისტეს აქეთ ც 1761. ქართულს ქრონიკონს უმთ.

ქ. სამი დედანი ვნახე. ამის მეტი არ ენერა, და სიტყვანიცა და ლექსინცა ესრეთ ენერნეს. სხვა თუ არის სადმე მეტი და ან თვით ამისსავე ავქსონს ლექსისა და სიტყვას დაუნუნებო, თქვენ იცით და მან. მე შენდობილმცა ვიყო აღმწერი აღმომკითხავთაგან, ცოდვილი ზაქარია, ძე დეკანოზისა, ულირსი მდლელი: აგვისტოს წელს ქრისტესით ჩაღმა.

e. 1860 M
7592/4

020 053 40
020 053 333



K 35.989
4 ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԵԱԴՐԱԳՐԱՎՈՐՈՒԹՅՈՒՆ